N48 (547) 2/XII-8/XII-2010 ფასი 1 ლარი

# „გზა“

1168
2010

ქართული პროზის საბანკური

## ტომი №40
## ვაქა გიგაშვილი

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი
**გიორგი წერეთელი**

**გიორგი ყიფშიძე კარიერის რუსეთში გაგრძელებაზე ოცნებობს**

**ცხინვალში ტყვეობის ათდღიანი კოშმარი**

**რატომ აკარებს ლელა მებურიშვილი ოქროს რგოლს**

**SOS!**
„ფუფუნების საგნად“ ქცეული პატარები და საქართველო — „მომაკვდავი ერების“ სიაში

**თემა**
ვისზე ჭორაობს საზოგადოება



„საკუთარი თავის აფეთქებაც კი ვცადე“

„ჩემს შვილს დედის სითბოც აკლია“...

## „გზა“ – ყველაზე მაღალტირაჟიანი ჟურნალი საქართველოში!

**რეალური**
აჩრდილის დედოფლის ინტრიგებით სავსე ცხოვრება

ISSN 1987 - 5029

ლოგინს მიჯაჭვული სეიფების დიდოსტატი

„ჩემს საქმიანობას შსს აკონტროლებს“...



**რისთვისაა ეროტიკა აუცილებელი**

მის თიკას ქმარი „ბუქსირზე“ გამობმით ემუქრება

# წიგნი

## რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!




## წიგნი 3
## შოთა რუსთაველი
## „ვეფხისტყაოსანი"

მაგარ გარეკანში, შემოსაკრავი სუპერით
და სპეციალური სანიშნით

6 დან - 13 დეკემბრამდე!

მხოლოდ „კვირის პალიტრის" მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი - 7 ლარი




ალექსანდრე დიუმა
ტომი I

ალექსანდრე დიუმა
ტომი II




უილიამ შექსპირი

და ახლა დიდი ზიგნები...
ყოველ თვე ერთ ნაწილში
„ნაწილი ნაწილისთან"
ერთად!

ყურადღება ! თუ თქვენ ვერ მოასწარით პირველი წიგნის - „შაგრენის ტყავის" შეძენა 7 ლარად, „პალიტრა მედია" ამ სერიის მესამე წიგნთან ერთად ისევ შემოგთავაზებთ ბალზაკის „შაგრენის ტყავს" სპეციალურ ფასად!
აგრეთვე ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენის" შეძენას შეძლებთ მეოთხე წიგნთან ერთად!

„კვირის პალიტრის" ხელმომწერებო, წიგნის შესაძენად დაგვიკავშირდით: **ტელ: 38 26 73; 38 26 74**

კურიერი ყოველ წიგნს ადგილზე მოგართმევთ. **„ელვა.ჯი"**

# ტერაფლუ®

## ავადმყოფობის დრო არ არის!

ტერაფლუს სხვადასხვა ფორმა გრიპისა და გაცივების ყველა სიმპტომის სამკურნალოდ

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

NOVARTIS

ნოვარტისი, შვეიცარია

გ. ტაბიძის ქ. №18;
ტელ.: 98 27 30;
98 27 50

## გრიპისა და გაცივების დროს

# „ბორჯომი“ 120 წლის გახდა

## იუბილე, რომელიც არასდროს დაგავიწყდება

„ბორჯომის“ საწარმოო წესით ჩამოსხმიდან 120 წელი შესრულდა. ეს თარიღი კომპანია „IDS ბორჯომი საქართველომ“ პომპეზურად აღნიშნა. საზეიმო და შემეცნებითი ღონისძიებების ნაწილი დაბა ბორჯომში გაიმართა, იუბილეს დასკვნითი ნაწილი კი თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში გრანდიოზული კონცერტით დასრულდა.

საგანგებოდ „ბორჯომის“ იუბილესთვის საქართველოში ჩამოვიდა კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ პარტნიორი კომპანიების 130-მდე წარმომადგენელი მსოფლიოს 30 ქვეყნიდან. „ბორჯომის“ იუბილეს ბორჯომსა და თბილისში ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ქართველი და უცხოელი ბიზნესმენები.

ბორჯომში ჩასულ სტუმრებს, „ბორჯომის“ №2 ჩამომსხმელი ქარხანა დაათვალიერებინეს, სადაც მინერალური წყლის ახალ ბოთლებში ჩამოსხმა წარმოებდა. ახალი ბოთლის პრეზენტაცია კომპანიამ საგანგებოდ დაამთხვია „ბორჯომის“ 120 წლის იუბილეს და სტუმრები მინერალურ წყალს უკვე ახალი დიზაინის ბოთლიდან აგემოვნებდნენ. ქარხნის

შესასვლელთან კი კომპანიის იუბილეზე ჩასულ ადამიანებს შეეძლოთ ენახათ, როგორ ხდებოდა 120 წლის წინ მინერალური წყლის ჩამოსხმა და წარმოება: ძველებურ სამუშაო სამოსში გამოწყობილი მამაკაცები ოსტატურად ფუთავდნენ „ბორჯომის“ ძველებურ, მძიმე მინის ბოთლებს და ჩალის კონუსებსა და ხის ყუთებში აწყობდნენ.

მოგვიანებით კომპანია „ბორჯომის“ სტუმრებმა ბორჯომის პარკში გადაინაცვლეს, სადაც ჯერ ქართული ფოლკლორით ისიამოვნეს, შემდეგ კი ქართული სუფრა დააგემოვნეს. ბორჯომის პარკში საზეიმო ღონისძიების ოფიციალური ნაწილიც გაიმართა, სადაც კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ გენერალურმა დირექტორმა მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა და კომპანიის განვითარების ეტაპებზე ისაუბრა.

„ბორჯომის“ 120 წლის იუბილე ბორჯომელებს კონცერტით მიულოცეს ქართული ესტრადის ახალგაზრდა შემსრულებლებმა. კონცერტით დასრულდა საზეიმო ღონისძიება თბილისშიც, სადაც რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ — „სუხიშვილები“, ნატო მეტონიძე, ეკა მამალაძე, გიორგი უშიკიშვილი და სხვა ვარსკვლავები. „ბორჯომის“ უცხოელი და ადგილობრივი სტუმრები მთელი დღის განმავლობაში მიღებულ შთაბეჭდილებებს მხურვალე აპლოდისმენტებით გამოხატავდნენ.

**ზაზა კიკვაძე („IDS ბორჯომი საქართველოს“ გენერალური დირექტორი):**

„1890 წელს აშენდა ნომერ პირველი ჩამომსხმელი ქარხანა ქ. ბორჯომში და სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ინდუსტრიული წესით ქართული მინერალური წყლის „ბორჯომის“ წარმოება. წელს ზუსტად 120 წელი გავიდა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი თარიღიდან. იუბილესთან დაკავშირებით ჩვენს მომხმარებელს სიახლეც შევთავაზეთ — დღეიდან „ბორჯომი“ ახალი შეფუთვით გამოჩნდება ბაზარზე. სიახლე განპირობებული იყო იმ მოთხოვნით, რომელსაც სხვადასხვა ბაზრის მომხმარებელი გვიყენებდა. მომხმარებელი სიახლეს ითხოვდა და ჩვენც ეს მოთხოვნა დავაკმაყოფილეთ.

არ შემიძლია, არ შევეხო 2006 წლის მოვლენებს. რუსეთის ბაზრის დაკარგვა მართლაც დიდი დარტყმა იყო კომპანიისთვის. თუმცა, ჩვენ ეს კრიზისი დავძლიეთ. მივაღწიეთ იმას, რომ დანაკარგის დივერსიფიკაცია სრულად მოვახდინეთ სხვა ქვეყნების ბაზრებზე. ჩვენი მთელი გაყიდვები გადანაწილებულია მსოფლიოს 30 ქვეყანაში და ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ „ბორჯომი“ დღეს გაცილებით ძლიერია, ვიდრე იყო ოთხი წლის წინ. სხვათა შორის, შემიძლია სიხარულით ვაუწყო საქართველოს მოქალაქეებს, რომ წელს „ბორჯომი“ რაოდენობრივად მეტი გაიყიდა, ვიდრე რუსეთის ბაზრის არსებობის პირობებში იყიდებოდა. ჩვენ ვამაყობთ, რომ არა მარტო ჩავანაცვლეთ რუსეთის ბაზარი სხვა ქვეყნების ბაზრით, არამედ უფრო მეტს მივაღწიეთ. მიმდინარე მონაცემებით, მხოლოდ წელს ექსპორტზე გავიდა დაახლოებით 90 მილიონი ბოთლი და ვვარაუდობთ, რომ წლის ბოლომდე ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება“.

**აუშა ნასავიჩენა (კომპანია „IDS Borjomi Euroup“-ის წარმომადგენელი):**

„ჩვენ წარმოვადგენთ კომპანია „ბორჯომის“ ევროპულ მხარეს და ჩამოვედით, რომ ეს დიდი დღესასწაული თქვენთან ერთად გვეზეიმა. ვმუშაობთ ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში. ამ ქვეყნებში განვითარებული სადისტრიბუციო ქსელი გვაქვს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კომპანია „IDS ბორჯომის“ ევროპულმა წარმომადგენლობამ დიდი სამუშაო შეასრულა და ჩვენ ამით ძალიან ვამაყობთ. შემიძლია გითხრათ, რომ ერთ სულ მოსახლეზე, ბალტიისპირეთის ქვეყნებში „ბორჯომის“ მოხმარება ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ამ სეგმენტში. ამას ემატება ისიც, რომ ლატვია, ლიტვა და ესტონეთი საქართველოს მეგობარი ქვეყნებია და კარგი დამოკიდებულებაა ჩვენს ხალხებს შორის. ეს დაკავშირებულია, როგორც ჩვენი ქვეყნების წარსულთან, ასევე სამომავლო გეგმებთან. ჩვენი ქვეყნების ისტორია ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რაც კიდევ უფრო გვაახლოებს“.

**ალექსეი რეპინი (ყირგიზეთის წარმომადგენელი):**

„ჩვენ გახლავართ „ბორჯომის“ დისტრიბუტორები ყირგიზეთში. ძალიან სერიოზულად და მთელი გულით მოვეკიდეთ ამ ვიზიტს. მეოთხედ ჩამოვდივარ საქართველოში და ყოველი ჩამოსვლისას ახალ-ახალი კუთხით ვეცნობი თქვენს ქვეყანას. „ბორჯომი“ პრემიუმ კლასის მინერალური წყალია, ამიტომ, პირველ რიგში, მას ისინი მიირთმევენ, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს და ვისთვისაც ღირებულია ცხოვრების ჯანსაღი წესი. ერთმნიშვნელოვნად შემიძლია განვაცხადო, რომ „ბორჯომი“ წარმატებული პროდუქტია, უკვე 120 წელი შეუსრულდა, მაგრამ ყველაფერი ახლა იწყება! რომ არაფერი ვთქვათ ბიზნესის მნიშვნელობაზე, ამ ვიზიტმა კიდევ უფრო გააფართოვა ჩვენი მსოფლმხედველობა. აქ იგრძნობა ურთიერთობების ფასი, ის, რომ ყველაფერი გულიდან მოდის. გულია ხალხი ხართ ქართველები, ჩვენ რაღაცით ვგავართ კიდეც ერთმანეთს. ჩვენთან სტუმარი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა და იგი თქვენთანაც წმიდათაწმიდაა“.

№48 (547)
2 - 8 დეკემბერი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
„შენ რო გყავ?! იმაი რო ჰყავ?!“
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ ფაქტი და კომენტარი 7
■ ფესტივალი 9
■ პრობლემა 12
„ბავშვი დღეს „ფუფუნების საგანია“...
■ კონკურსანტი 16
■ მსახიობი 18
ეგოისტური პროფესია და კაიფი სცენაზე
■ იმიჯი 20
„სექსუალური იმიჯის გამო,
არავითარი შეფერხება არ მქონია“
■ ფსიქოპორტრეტი 22
გიორგი ახვლედიანის საქვეყნო მიზნები
და „ოჯახური“ ოცნება
■ ვარსკვლავები 24
■ თემა 26
ჭორაობა — სენი თუ დროის მოკვლის
ერთ-ერთი გზა
■ სულის სიმტკიცე 29
მრავალშვილიანი კაცის ხიფათიანი ცხოვრება
■ ემიგრანტი 32
„ოსლოს მშვიდობის“ პირველი სტიპენდიანტი
■ ბედის ბორბალი 34
პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან
■ ექსტრიმი 36
სპორტის ექსტრემალური საშუალება
■ ტაძარი 39
იგავი დაკარგულ ძეზე
■ ანტიდეპრესანტი 40
■ ავტო 40

## ქვეყანა

### საგანგაშო დემოგრაფიული სურათი და გულგრილი ხელისუფლება

„მდგომარეობა საგანგაშოა და თუ სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგა, 2050 წლისთვის ქვეყნის მოსახლეობა განახევრდება. რეალურია ისიც, რომ საქართველოში ქართველები ეროვნულ უმცირესობად იქცნენ. საგანგაშო სტატისტიკის მიუხედავად, ქართველი მშობლების დიდი ნაწილი 3 ან მეტი შვილის ყოლას არ აპირებს, მიზეზად კი მატერიალურ სიძნელეებს ასახელებს.“

7

## სახე

### საუკეთესო „დიეტა“ — ბედნიერებაა

ბავშვობაში კეიტს რეკლამაში ხშირად იღებდნენ. რეჟისორები სიამოვნებით სთავაზობდნენ ფუმფულა გოგონების როლებს, რომლებიც გემრიელად ილუკმეზოდნენ ტკბილეულით... ახლა მსახიობი ფოტოშოპზე უარს ამბობს, სილამაზის ახალ სტანდარტს თავად გვკარნახობს და აშკარად გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება, ქალური მომხიბვლელობის „თითოეული გრამით“ იამაყო!

16

27400

## ცხოვრება

### „ჩემს საქმიანობას შსს, ვიდეოთვალით აკონტროლებს...“

„უკვე 30 წელია, რაც ასეთი მოხერხებული, 2-იარუსიანი საწოლი დავამზადე. მე აქედან და ამ ფორმით ვებრძვი ცხოვრებისეულ სიძნელეებს“.

26

## ჯარისკაცები

### „ჯარში ქალის ადგილი არ არის“

„ისე, ჯარი რა გოგოს საქმეა? მართლაც, „ჯარისქალებზე“ ცუდს ბევრი ფიქრობს და სხვების მსგავსად, მანდილოსანი მეც „კუხნაში“ ვიცი“.

76

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

■ ისტორიის ლაბირინთები 42
რუსული სამეფო ოჯახის საიდუმლოს ახალი დეტალები

■ ეს სამყაროა 44

■ პროფესია 46
„გემრიელი“ ინტერვიუ რაჭველ შეფ-მზარეულთან

■ საკითხავი ქალებისათვის 49

■ ჯანმრთელობა 51

■ გასაჭირი 55
ეტლს მიჯაჭვული გოგონა თქვენს დახმარებას ელის

■ მეომარი 56
ცხინვალში ტყვეობის 10-დღიანი კოშმარი და რუსი ჯარისკაცის სულგრძელობა

■ სიტუაცია 58
„გაქცევა 2“ და ჩემი სასკოლო მოგონება

■ თინეიჯერული პონტები 59
გართობა — თინეიჯერულად და ფულის შოვნის იოლი გზა

■ წვეთი პოეზია 62

■ სახსოვარი 63

■ პროზა 64
ვაჟა გიგაშვილი. ერთი ვინმე
ყაფლანიშვილი (ნაწყვეტი)

■ რეალური 65
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (დასაწყისი)

■ ფანტასტიკური დეტექტივი 68
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)

■ რომანი 72
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა თუ დანაშაული?! (გაგრძელება)

■ გზავნილები 76

■ ყველა ერთისათვის 80

■ მობილი-ზაცია 82

■ მოზაიკა 88

■ ეკრანს მიღმა 89

■ ერუდიტი 92
მოპარული წიგნი, ჰამლეტთან მეგობრობის სურვილი და ცხოვრების ნაწილად ქცეული სერიალი

■ გასართობი 94

■ ასტროლოგია 96

■ სკანვორდი 97

■ საფირმო კროსვორდი 98



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## სამყარო



### „ნამდვილი ომი“ პლასტმასის ტყვიებით

„ერთ მოთამაშეს ჰქონდა იდეა, ნამდვილი ავტომატებით ვიომოთ, „ბრონეჟილეტები“ ჩავიცვათ, ოღონდ თავში სროლებს „არ ვიყოთო“...

36

## ადამიანი



### უსინათლო ქართველი პიანისტის ცხოვრების გზა

„ჩემი პირველი წარმატება იყო, როცა კონსერვატორიის დიდ დარბაზში, პრეზიდენტის სტიპენდიანტების კონცერტზე გამოვედი“.

54

## ბიბლუსი

„ არ მინდა, ისე მოვკვდე, რომ ჩემი თავგადასავალი არავინ იცოდეს, გპირდებით, გულახდილი ვიქნები და შეულამაზებლად მოვყვები ყველა წვრილმანს. უკვე მესამედ გწერთ წერილს და თქვენგან პასუხს ვერ ვიღებ. პატივისცემით, მარგო“.

62

## ტაიმ-აუტი

### მოპარული წიგნი, ჰამლეტთან მეგობრობის სურვილი და ცხოვრების ნაწილად ქცეული სერიალი

„ბავშვობაში არა, მაგრამ მოგვიანებით, ერთ-ერთი ახლობლის ოჯახიდან, 1945 წელს გამოცემული წიგნი მოვიპარე. დამაინტერესა, მოგზაურობაზე იყო... ეს რა წამომაცდენინეთ“.

88

# „შენ რო გყავ?! იმაი რო ჰყავ?!"

**შესავლის ნაცვლად** არ ეშვება ეს ბიჭი ხალხზე ზრუნვას, რა... მიჩვევა სცოდნია, ეტყობა, მაგ საქმესაც... აი, „პროვოკაციიდან" „პროვოკაციამდე" ორი სკოლის გახსნა მოასწრო; სკოლაც არის და სკოლაც — ჯერ იმერეთის სოფელ ჩხარში, შემდეგ კი კახურ გავაზში ისეთი შენობები აიგო, რომ სოფლის კი არა, იმ რაიონების თეატრებსაც არა აქვთ... ოღონდ, უცხოელ სტუმრებთან საუბრისას, მიშამ ცოოოტა „ითავმდაბლა" — ამ სოფელში 70%-მა დაგვიჭირა მხარი და მაშინ დავპირდი სკოლის აშენებასო, სინამდვილეში „ნაციონალებს" 70-მა კი არა — 92%-მა მისცა ხმა და მიიღეს კიდეც დაპირებული...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტის ჯანმრთელობის გამო ვნერვიულობ; ეტყობა, გადაღლის ბრალია: ამ ორი კვირის წინ, ქუთაისში, იქაური ოპერის შენობასთან დაკავშირებით თქვა, — რა ლამაზია, პირი მაქვს ღიაო და ვიფიქრე, ალბათ წამოსცდა-მეთქი... მაგრამ აგერ, ამ ჩხარის სკოლის გახსნისას ისევ არ თქვა: „რა მაგარი შენობაა, პირი დავაღე..." ასე არ შეიძლება! რა გახდა ერთი კარგი ექიმი? ფაქტია, ამ კაცს კარგი შენობების დანახვაზე ასეთი „უცნაურობა" ემართება და იღონონ რამე!

არადა, ესენიც რომ აშენებენ და აშენებენ?! მტრები ჰყავს ამ კაცს, მტრებიიი...

თანაც, აშენება აწი ნახეთ თქვენ — თბილისმა მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მოიგო და დაიწყება ახლა ახალი სასტუმროებისა თუ სპორტული არენების შენება, ჰოდა, ვივლით მერე პირდაღებულები (თანაც, გადამდები ყოფილა).

ჰო, ეს ახალგაზრდული ოლიმპიადა რომ სინამდვილეში ე.წ. იუნიორთა (14-17 წლის) ოლიმპიური ფესტივალია, თანაც — მხოლოდ 9 სახეობაში, ეგ არაფერი — მაინც მიჩვეული ვართ „მსოფლიოში პირველის", „ევროპაში უდიდესის" და „სამყაროში უგრძესის" ძახილს, მაგრამ რა ვქნა, ეჭვიანი გავხდი სიბერეში და რატომღაც მგონია, რომ მაგ თამაშებისთვის მზადებაში იმაზე მეტი ფული დაიხარჯება, ვიდრე სხვა, ჩვენზე დალხენილი ქვეყანა დახარჯავდა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, იმ მარკშეიდერისა არ იყოს, კიდევ ერთი-ორი სპორტის მინისტრი ხომ დაგვჭირდება? აბა, ამ საქმეს მხოლოდ ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის დეპარტამენტი, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო ეყოფა (ისე, თვითონ თუ იციან, ფუნქციურად რა განსხვავებაა ამ ორ სახელმწიფო სტრუქტურას შორის ან რომელი რომლის უფროსია?)?!.

ვარძელაშვილი რომ მინისტრობით უნდა „დაეჯილდოვებინათ", ხომ „გამოიგონეს" ეს სამინისტრო? ახლა მით უმეტეს, საჭიროება მოითხოვს, თანაც — მერე შეიძლება მსოფლიოს საბავშვო ბაღების სპარტაკიადის მასპინძლობის უფლებაც მოვიპოვოთ!

მერედა, თქვენ გგონიათ, იმ მინისტრების შენახვას ფული არ დასჭირდება?! ეს ვარძელაშვილი როა, მანამდე რომ გუბერნატორი იყო, აგერ დოკუმენტი გამოქვეყნდა — შარშან საკუთარ თავს ყოველ თვეში, 3.000-ლარიან პრემიას უწერდაო (ხელფასის გარდა) და ატყდა ალიაქოთი! მერე რა?! ჰო, კიდევ 1.000 ლარს დამატებით იღებდა (ისევ საკუთარი ბრძანებით) სატელეფონო საუბრებისთვისო! აბა, რა ექნა, არ ესარგებლა ტელეფონით?! ჰოდა, რომ იწივლეს ჟურნალისტებმა, კაცი იძულებული გახდა (აგერ, მაროკოში ორი წუთის საქმე ჰქონდა, მაგრამ იფიქრა, რომ დავრეკო, შეიძლება ისევ გნიასი მორთონო) — ადგა და გადაფრინდა...

არა, გადამეტებული ვიცით ყველაფერი — ლისაბონის სამიტისა და იქაური ბოზებისა არ იყოს: 80 ქალი აიყვანეს სასტუმროშიო! ახლა ხომ ჩაიგდეს ენა?! არავითარი 80! სასტუმროს პერსონალმა განაცხადა, რომ სულ 45 ქალი იყო და თანაც, რაც მთავარია, ბოზები არ ყოფილან — ვიცნობთ, კარგი გოგოები არიანო!..

ისე, პროვოკატორობა იქით იყოს და, მაგ „80-ქალიან სკანდალზე" მეტად, პირადად მე, ის მაინტერესებს, რატომ უნდა დადიოდნენ ასეთ (თუნდაც, ძალიან მნიშვნელოვან) სამიტ-ყრილობა-კონფერენციებზე ჩვენი ჩინოსნები მაინცდამაინც მეუღლეებითურთ და ვინ იხდის მათი „პაეზდკის" ფულს (ლისაბონში, „კაკ მინიმუმ" — მინისტრის, მისი მოადგილისა და პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლეები იყვნენ)?!

მოკლედ ან ნაკლებმადიანი მინისტრები გვინდა, ან რამე სხვა უნდა მოვიფიქროთ, თორემ იმ ძველი ანეკდოტისა არ იყოს, — „დაგვენგრა ოჯახი". აი, თუნდაც გარემოს დაცვის მინისტრი როა, ხაჩიძე, სიმღერა რომ იცის, მინისტრობა რომ არ იცის და მაგის სამინისტროში მაგის გარდა რომ ყველა დაიჭირეს, თურმე, ხორცს საერთოდ არ ჭამს (ერთი წელია უკვეო, — ასე თქვა ინტერვიუში), დაცვა არ ჰყავს და სიგარეტს არ ეწევა! ეგეთები თუ იქნებიან, კი, ბატონო, იყოს თითო დარგში სამი მინისტრი (როგორც სპორტშია), უხარიათ ბავშვებს, რა მოხდა...

ამასობაში თბილისში ტრანსპორტი ძვირდება, ჩოხატაურში — სიმინდი; შაშკინი მასწავლებლებს ემუქრება: თქვენს სისხლს დავლევო, იმ მასწავლებლების მოსწავლეები კი თხზულებებს წერენ, თემაზე — „მე მიყვარს ჩემი პოლიცია"!..

მაგრამ ბავშვი მაინც ბავშვია ყველა დროში, ოღონდ ახლა უფრო თანამედროვედ აზროვნებენ — ამას წინათ შევესწარი, როგორ ეუბნებოდა ერთი პირველკლასელი მეორეს (მახსოვს, ჩემს ბავშვობაშიც ვერთობოდით ასეთი „ჩამჭრელი" კითხვებით: „ქალის სახელს ვერ გათქმევინებ?"):

— საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სახელს ვერ გათქმევინებ?

— ვერა!

**P.S.** ლისაბონის სამიტზე მაღალჩინოსანთა მეუღლეებითურთ ყოფნა ვახსენე და იქვე ისიც გამახსენდა, რომ პორტუგალიური პრესის ცნობით, ჩვენი დელეგაციის წევრებს როსკიპები რომ შეუყვანიათ სამინისტროში, თავიანთ ცოლებად გაუსაღებიათ. ხუმრობა იქით იყოს და, მართლა დარწმუნებული ვარ, რომ ის სამი კაცი, ვინც ზემოთ ვახსენე, ასეთ უმსგავსობაში მონაწილეობას არ მიიღებდა და სწორედ ამიტომაც მგონია, რომ მათი ხელქვეითი „წვრილფეხობა", მათ ჯიბრზე, ნამდვილად „გაიჯეჯილებდა" ნაშებში ძველი ქართული ფილმის პრინციპით. აი, ხელქვეითი რომ უფროსს ეუბნება:

— შენ რო გყავ?! იმაი რო ჰყავ?!.

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# იაპონიაში იეროგლიფების სისტემის რეფორმა განხორციელდა

იაპონიის განათლების სამინისტრომ 30 წლის მანძილზე პირველად, კანძის (Joyo Kanji) სისტემაში იეროგლიფების რაოდენობა შეცვალა: თავდაპირველ სისტემას, რომელიც 1945 სიმბოლოს მოიცავდა, 5 გამოაკლდა და 196 ახალი დაემატა. შედეგად ნუსხა, რომელსაც იაპონელი მოსწავლეები საშუალო სკოლებში სწავლობენ, 2136 სიმბოლოსგან შედგება. დღემდე, ბოლო ცვლილებები 1981 წელს შეიტანეს. რეფორმის აუცილებლობას განათლების სამინისტრო ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებითა და ახალი ტერმინების საჭიროებით ხსნის. ერთ-ერთი ახალი სიმბოლო — „უტსუ“ დეპრესიას აღნიშნავს და მისი მოხაზულობა 29 შტრიხს აერთიანებს. სამინისტრომ ახალი იეროგლიფების შერჩევა 2005 წელს დაიწყო, როდესაც სხვადასხვა წყაროდან (წიგნები, ინტერნეტი და მასმედია) 45 ათასი ახალი სიმბოლო დაგროვდა. იეროგლიფების სისტემის რედაქტირებაზე ექსპერტთა ჯგუფი და ინტერნეტმომხმარებლები მუშაობდნენ. ■

# ჯულია რობერტსს უსიტყვო როლში მილიონი გადაუხადეს

ჯულია რობერტსი იტალიური ყავა Lavazza-ს სარეკლამო რგოლში გადაიღეს. 45-წამიან კლიპში „მუნჯური“ მონაწილეობისთვის, მსახიობმა 1,2 მლნ ევრო მიიღო. რეკლამაში მსახიობი მხატვრის წინაშე პოზირებს და ზღვის ნიჟარაზე დგას. რგოლის სიუჟეტი ბოტიჩელის ტილოს — „ვენერას დაბადების“ კომპოზიციის მიხედვითაა აგებული. რეკლამაში ცნობილი იტალიელი წამყვანი და კომიკოსი მსახიობები — პაოლო ბონოლისი და ლუკა ლაურენტიც მონაწილეობენ. ისინი ბრენდ Lavazza-ს 2000 წლიდან უკეთებენ რეკლამირებას. რგოლის გადაღებები რომში მიმდინარეობდა.

ჯულია რობერტსი 2009 წლიდან Lancome-ის კოსმეტიკური ნაწარმის სარეკლამო სახეც არის. სექტემბერში კომპანიამ მსახიობს 5 წლით გაუგრძელა კონტრაქტი. „ლანკომმა“ ხუთწლიან კონტრაქტში მას 50 მლნ დოლარი გადაუხადა. ■

# გულუხვი ბერლუსკონი და 10 ათასი ორი ღამისთვის...

იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი მორიგ სექსსკანდალში გაეხვია. კიდევ ერთი გოგონა ირწმუნება, რომ პრემიერთან ორი ღამე გაატარა, რისთვისაც 10.000 ევრო მიიღო. 28 წლის ნადია მაკრიმ ერთ-ერთი ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრის წვეულებას მასთან ერთად ბევრი გოგონა ესწრებოდა. მაკრის თქმით, მილანში მას გამოელაპარაკა უცნობი, რომელმაც „სერიოზულ ადამიანებთან“ შეხვედრა შესთავაზა და წვეულებაზე მიიწვია. განქორწინებული მარტოხელა დედა შეთავაზებას სიხარულით დათანხმდა. მას უთხრეს, რომ სექსუალურად უნდა ჩაეცვა... წვეულების ორგანიზატორი თავად პრემიერ-მინისტრი აღმოჩნდა, რომელმაც ქალს ორი ღამის გატარების სანაცვლოდ, 10.000 ევრო შესთავაზა. „მითხრა, მე ყველა იტალიელი ქალის ოცნება ვარო“, — ირწმუნება მაკრი. თავად ბერლუსკონი აღნიშნავს, რომ ქალი ცრუობს. „ყველაფერი, რასაც ქალბატონი მაკრი აცხადებს, უსაფუძვლოა“, — განაცხადა პრემიერის ადვოკატმა ნიკოლო გედინმა. შეგახსენებთ, რომ შარშან ბერლუსკონის 18 წლის ნოემი ლეტიციასთან ინტიმურ კავშირში ადანაშაულებდნენ. ■

# რუსეთში ბერიას მისტირიან

26 ნოემბერს ტელეარხ ენ-ტე-ვეზე ლავრენტი ბერიას შესახებ გადაცემა — „დაბრუნეთ ბერია“ გავიდა. გადაცემაში ბერიას, ანატოლი ჩუბაისის მსგავსი „რეფორმატორი“ უწოდეს და აღნიშნეს, რომ მას 1937 წლის რეპრესიებზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება. „პირიქით, ბერიამ ბანაკებიდან 1 მლნ პატიმარი გაათავისუფლა... მისი ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირმა რეკორდულ ვადებში ბირთვული იარაღი შექმნა. 15 წელიწადში ბერიამ სამხედრო მრეწველობა ისე განავითარა, რომ კოსმოსში იური გაგარინი გაფრინდა. რუსეთში ნებისმიერი რეფორმატორი სძულთ, როგორც ალექსანდრ მეორე ან ანატოლი ჩუბაისი სძულდათ“, — აღნიშნეს გადაცემაში. იმავე დღეს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც სტალინის რეჟიმი საჯაროდ გააკრიტიკა და კატინში პოლონეთის მოქალაქეების დახვრეტაში დაადანაშაულა. მანამდე კი ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა, ლეონიდ პარფიონოვმა განაცხადა, რომ „პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ყველა ელექტრონული მედიის მიღმა ხელისუფლების მიზნები და ამოცანები, მისი განწყობილება და დამოკიდებულება იმალება“. ■

# როგორ „აუფეთქებს“ „ვიკილიქსი“ სამყაროს

„რუსკი რეპორტიორი“ „ვიკილიქსის“ პარტნიორი საიტია. რუსული ვებგვერდის ცნობით, „ვიკილიქსის“ სკანდალური ინფორმაციის ნაწილი მანაც განათავსა და ეს მომავალშიც გაგრძელდება. სწორედ ამ საიტმა გაავრცელა ფრაგმენტი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომს ეხებოდა. „რუსკი რეპორტიორი“ „ვიკილიქსის“ საინფორმაციო ბაზის ანალიზს აკეთებს. ვებგვერდის ინფორმაციით, არქივი 251288 დოკუმენტისგან შედგება. მათ შორის ყველაზე ძველი — 1966 წლის 28 დეკემბრით არის დათარიღებული, ყველაზე ახალი კი — 2010 წლის 28 თებერვლით. შეტყობინებები ვაშინგტონში 274 საელჩოდან გაიგზავნა. ეს არის მაღალი რანგის ამერიკელი დიპლომატების გზავნილები სახელმწიფო დეპარტამენტისადმი, ასევე — დეპარტამენტის კანცელარიიდან — ამერიკული წარმომადგენლობებისადმი, მათ შორის ნატოსა და გაეროსადმი. მათში ოფიციალური ვაშინგტონის ინსტრუქციებია ასახული. დოკუმენტები საერთაშორისო ურთიერთობებს, საშინაო პოლიტიკას, ადამიანის უფლებებს, ეკონომიკას, ტერორიზმსა და უსაფრთხოების საკითხებს ეხება. ყველაზე ხშირად ნახსენები სიტყვაა „ერაყი“; ყველაზე მეტი გზავნილი ვაშინგტონში ანკარიდან გაიგზავნა. 15652 გზავნილს ადევს გრიფი „საიდუმლო“; 101748-ს — „კონფიდენციალურია“, დანარჩენს კი — „სამსახურებრივი მოხმარებისთვის“.

„ვიკილიქსის“ ადმინისტრაციის განცხადებით, გზავნილები ერთბაშად არ გამოქვეყნდება, რადგან ინფორმაციის დიდი ნაკადი ხელს შეუშლის მის გაანალიზებას, ამიტომ არქივი „ტალღებად“, თვე-ნახევრის განმავლობაში გაიხსნება.

„ვიკილიქსის“ დამფუძნებელი, ჟულიან ესენჯი ჩრდილოეთ ევროპაში იმყოფება, მასთანაა რუსული გამოცემის კორესპონდენტი ისრაელ შამირი, რომელიც „რუსკი რეპორტიორს“ აწვდის მასალებს. ესენჯის თქმით, ამ პუბლიკაციების მიზანია, დახურული და ფარული დიპლომატია აღარ არსებობდეს. „რუსკი რეპორტიორის“ ინფორმაციით, მომავალში უპირატესობას მიანიჭებენ გზავნილებს, რომლებიც რუსეთს, საქართველოს, აზერბაიჯანსა და უკრაინას ეხება.

„ვიკილიქსის“ დამფუძნებლის ბოლო ინტერვიუ ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა. გამოცემის ცნობით, საარქივო მასალის ახალი ნაკადი მსხვილ ბანკებსა და ბიზნესს შეეხება. ■

*გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები*

# ქვეყანა

# რა „უპირატესობა“ აქვს ქართველს გერმანელთან, ფრანგთან და სხვა ევროპელთან შედარებით?

## „ნაციონალებს“ შევთავაზეთ, მხარი არ დაეჭირათ ამ სამარცხვინო გადაწყვეტილებისთვის“

**„ეს იყო ყველაზე სამარცხვინო და უსამართლო გადაწყვეტილება, რომელიც საკრებულომ მიიღო თავისი არსებობის განმავლობაში“ — ეს განცხადება ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარემ, ინგა გრიგოლიამ მას შემდეგ გააკეთა, რაც საკრებულომ მეტროთი და ავტობუსით მგზავრობის გაძვირებას დაუჭირა მხარი. მერიის ინიციატივითა და საკრებულოს თანხმობით, 6 დეკემბრიდან მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა 50 თეთრი გახდება.**

ხათუნა გახტურიძე

*როგორც ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ მდივანი, ზაზა გაბუნია ამბობს, ტრანსპორტის გაძვირების ფონზე, დედაქალაქის მოსახლეობას საკუთარი შემოსავლიდან იმაზე მეტი ხარჯის გაღება მოუწევს, ვიდრე გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის და პორტუგალიის მოქალაქეებს უწევთ. სტატისტიკის მიხედვით, გერმანიის მოქალაქე ტრანსპორტზე საკუთარი შემოსავლის 1.8%-ს; საფრანგეთის მოქალაქე — 1.78%-ს; იტალიის — 2.3%-ს; ესპანეთის — 3.6%-ს; პორტუგალიის — 3.8%-ს, ხოლო საქართველოს მოქალაქე — 5.3%-ს დახარჯავს. „ქრისტიან-დემოკრატები“ იმ ფაქტსაც აპროტესტებენ, რომ მოქალაქეს, რომელსაც ქალაქის ცენტრამდე მისასვლელად მხოლოდ ერთი ტრანსპორტი ესაჭიროებოდა, ახლა ორი ან სამი ავტობუსით მოუწევს მგზავრობა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ჯაბა სამუშია იმასაც ამბობს, რომ დღევანდელი სოციალური პირობების ფონზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ფასების ზრდა ჯაჭვურად, ყველა ტრანსპორტის ტარიფის გაზრდას გამოიწვევს.*

*მგზავრობის საფასურის გაზრდის გამო უკმაყოფილონი არიან როგორც მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლები, ასევე მიკროავტობუსების კერძო მფლობელები, მაგრამ სამსახურის დაკარგვის შიშით, ამ საკითხზე გულახდილი საუბრისგან თავს იკავებენ. უკმაყოფილებას ღიად გამოხატავენ ის ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივი ტრანსპორტით სისტემატურად სარგებლობენ.*

**ვახტანგ მეგურიშვილი:**

— შეიძლება, ვიღაცისთვის 10 ან თუნდაც 5 თეთრი ბევრი არაფერია, მაგრამ ჩვენთვის, ვისაც ყოველთვიური შემოსავალი 200 ლარი გვაქვს და არანაირი შეღავათით არ ვსარგებლობთ, ეს მცირე თანხაც ძალიან მნიშვნელოვანია. ვარკეთილში ვცხოვრობ, სამსახური კი ქალაქის ცენტრში მაქვს. იქ მისასვლელად, ორი ტრანსპორტის გამოცვლა მიწევს. ე.ი. ჯერ გადავიხდი 50 თეთრს, შემდეგ კი — 40-ს; რა გამოდის? თუ ადრე დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად, 40 თეთრი მჭირდებოდა, 6 დეკემბრიდან 90 თეთრი დამჭირდება. ე.ი. ჩემთვის მგზავრობის ფასმა 10-ით კი არა, 50 თეთრით მოიმატა.

**ციალა ძებისაშვილი:**

— როგორც მახსოვს, თბილისის მერმა საჯაროდ განაცხადა, რომ ტრანსპორტის ფასი არ მოიმატებდა. ძალიან ცუდია, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლის სიტყვას ფასი ეკარგება. 10 თეთრით მგზავრობის გაძვირება ნამდვილად არ არის ცოტა, იმიტომ, რომ წყლის ფასმაც მოიმატა. საბოლოოდ, ჩვენი ყოველთვიური დანახარჯი რამდენიმე ათეული ლარით გაიზრდება. ჩემთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ქალა-

ქის ცენტრში მოსახვედრად, ორი ტრანსპორტის გამოცვლა დამჭირდება. ზედმეტ დანახარჯზე რომ არაფერი ვთქვა, ტრანსპორტის გამოცვლაში დროც მეტი დამჭირდება.

**ირაკლი გაგოძე:**

— ჩემი ოჯახისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს მგზავრობის ფასის გაზრდა. თვიდან თვემდე ისედაც ძლივს გაგვქონდა თავი. ძალიან მაინტერესებს — რატომ ხდება ისე, რომ ამ ქვეყანაში ყველაფრის ფასი იმატებს, ჩვენი ხელფასების გარდა...

**ნელი აბუსერიძე:**

— მე უკვე დავიანგარიშე და დავადგინე, რომ დღეში 10 თეთრით მეტის დახარჯვა 3 ლარს უდრის. შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ 3 ლარის




ზედმეტად გადახდა ძალიან რთულია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კომუნალური გადასახადებიც იზრდება, შეიძლება ითქვას — სავალალო დღეში ჩაგვაგდო ხელისუფლებამ. ამბობენ, მგზავრობის ფასი კიდევ გაიზრდებაო. აი, ეს ნამდვილი კატასტროფა იქნება.

*გაიზრდება თუ არა კიდევ მგზავრობის ფასი, რატომ გახდა კომუნალური ტრანსპორტის 10 თეთრით გაძვირება აუცილებელი და შეუნარჩუნდებათ თუ არა შეღავათები პენსიონერებს, სტუდენტებს, მოსწავლეებსა და სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს? — ამ კითხვებით ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს, აკაკი ჯოხაძეს მივმართე.*

**აკაკი ჯოხაძე:**

— მუნიციპალურ ტრანსპორტზე მგზავრობის საფასურის გაძვირების ერთ-ერთი მიზეზი — სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება და უსაფრთხოება გახლავთ. ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანი სამუშაოებია დაგეგმილი, ვინაიდან ტრანსპორტი, რომლითაც დღესდღეობით ჩვენი თანამოქალაქეები სარგებლობენ, არსებულ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. სამომავლოდ დაგეგმილია ტრამვაის ხაზის აღდგენა, რომელიც ბევრად ეფექტური და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის არაფერი შეიცვლება. თბილისის მოსახლეობა 3 კატეგორიად დავყავით. აქედან 50%-ს ანუ 600 ათას კაცზე — პენსიონერებზე, მოსწავლეებზე, ვეტერანებზე, 9 აპრილს დაზარალებულებზე — შეღავათებია დაწესებული. მეორე 50% იყოფა ორ ნაწილად, აქედან 24% გამოიყენებს სამგზავრო ელექტრონულ ბარათს, რომლითაც მეორე მგზავრობისას გადაიხდის 40 თეთრს, მესამედ — 30-ს, შემდეგ კი 20-ს. რეალურად, მგზავრობა 10 თეთრით მხოლოდ დარჩენილი 6%-ისთვის გაძვირდა.

**— იმ მგზავრებმა რა უნდა ქნან, რომლებსაც გარეუბნიდან ქალაქის ცენტრისკენ ყოველდღიურად გადაადგილება უწევთ და შესაბამისად, ეს 90 თეთრი უჯდებათ?**

— ეს მხოლოდ დროებითი პრობლემაა. სქემაზე ჯერ კიდევ ვმუშაობთ და ვიკვლევთ — რომელი ხაზი მუშაობს სრული დატვირთვით, რომელი — საშუალოდ და რომელია საერთოდ გასაუქმებელი. ეს საკითხი უახლოეს მომავალში დარეგულირდება.

**— კერძო სამარშრუტო ტაქსებს რა ბედი ეწევა?**

— ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა. ამ საკითხთან დაკავშირებით, კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის. ლიცენზიის ახალი მფლობელის გამოსავლენად, კონკურსი უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

*ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა და მერიის სხვა წარმომადგენელთა განმარტებებს „ქრისტიან-დემოკრატები“ არალოგიკურად მიიჩნევენ და ირწმუნებიან, რომ ბრძოლას გააგრძელებენ, როგორც მგზავრობის საფასურის, ისე წყლის ტარიფის გაიაფებისთვის. თუ როგორ და რა მეთოდით — ამის შესახებ* **ინგა გრიგოლია** *გვესაუბრება:*

— „ქრისტიან-დემოკრატებმა“ საკრებულოს წევრ „ნაციონალებს“ შევთავაზეთ, მხარი არ დაეჭირათ ამ სამარცხვინო გადაწყვეტილებისთვის, მაგრამ მათ 30 ხმით პროექტი დაამტკიცეს.

**— რატომ ფიქრობთ, რომ მერიის არგუმენტები უსაფუძვლოა?**

— იმიტომ, რომ მათ რეალურად, ვერ დაასაბუთეს, თუ რატომ არის ტრანსპორტის ოპტიმიზაციისთვის საჭირო მგზავრობის ფასის 10 თეთრით მომატება, რა სარგებელს ნახავს ამით ბიუჯეტი. ერთი სიტყვით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს სამარცხვინო გადაწყვეტილებაა.

**— ბრძოლის გაგრძელებას რა მეთოდებით აპირებთ?**

— უკვე შევიტანეთ სარჩელი სასამართლოში, წყლის ტარიფის გაძვირების გამო. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არა გვაქვს, როგორ ვიბრძოლებთ მგზავრობის ფასის გაიაფებისთვის. ხელისუფლებას კი კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ — შეცვალოს ეს სამარცხვინო გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან მძიმე შედეგს მიიღებს. ბიუჯეტის განხილვისას უმრავლესობა ვერაფრით დავიყოლიეთ, რომ პენსია საარსებო მინიმუმამდე გაეზარდათ, არადა, ფასები კატასტროფულად იმატებს პროდუქტზე, წამალსა და ყველა სხვა საჭირო ნივთზე. ამ ყველაფერს დაემატა წყლის გადასახადი და მგზავრობის გაძვირება. ხალხი ძალიან გამწარდება, ყველაფერი ყელში ამოუვა და მერე მოვლენები უმართავი გახდება.

■

# ქართული თეატრების „დრამატურგიული აღლუმი“ მესხეთ-ჯავახეთში

**ჩვენი თეატრების ხშირი სტუმარი, გულშემატკივარი და დაკვირვებული მაყურებელი უთუოდ შეამჩნევს, რომ წლებია, ქართული თეატრის რეპერტუარს ქართველი დრამატურგების პიესები შემოაკლდა. რეჟისორები უმეტესად, უცხოელი დრამატურგების ნაწარმოებებს ან ქართულ კლასიკას ირჩევენ, თანამედროვე დრამატურგების გვარები კი აქა-იქ თუ გაიელვებს აფიშაზე. ამის მიზეზებზე უპირველესად, ალბათ თეატრმცოდნეები უნდა ლაპარაკობდნენ, ეროვნული დრამატურგიის მნიშვნელობასა და მისი განვითარების გზებზე კი — თეატრისა და ზოგადად, ქართული კულტურის მესვეურნი — ერთად. სწორედ ამას ცდილობდნენ ხელოვანები ახლახან მოწყობილი, თეატრების „დრამატურგიული აღლუმით“ მესხეთ-ჯავახეთში, რომელსაც ჩვენმა მასმედიამ, სამწუხაროდ, ძალზე მწირი ყურადღება დაუთმო.**

*ირმა ხარშილაძე*

*10 ნოემბრიდან ახალციხეში თბილისის „თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლით — „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!“ — ეროვნული დრამატურგიის მეორე ფესტივალი გაიხსნა. 12 დღის განმავლობაში მესხეთის თეატრი მასპინძლობდა თბილისიდან ჩამოსულ კოლექტივებს: რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელმწიფო, პეტროს ადამიანის სომხურ დრამატულ და მიხეილ თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრებს, „თეატრს ათონელზე“, თეატრისა და კინოს აკადემიის თეატრალურ დასსა და ილიას უნივერსიტეტის ახალ თეატრს; რუსთავის დრამატული, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახ. და ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახ. დრამატულ თეატრებს. ფესტივალი 21 ნოემბერს დაიხურა სპექტაკლით — „აგვისტოს სიგიჟე“, რომელიც „თეატრმა ათონელზე“ წარმოადგინა. მართალია, ფესტივალის ყველა წარმოდგენა ვერ ვნახეთ, მაგრამ „კუდს“ კი მივუსწარით.*

**ნათელა არველაძე,** *თეატრმცოდნე:*

— დღეს არ არსებობს სახელმწიფო, რომლის ქალაქებშიც თეატრალური ფესტივალები არ ტარდება. როგორც ჩანს, ადამიანებს ძალიან მოსწყურდათ ერთმანეთთან ურთიერთობა სწორედ სათეატრო ენის საშუალებით. გამონაკლისი არც ახალციხე გახდა. 43 წლის წინ აქ, ამ სცენაზე გათამაშდა პირველი წარმოდგენა. რეჟისორი გახლდათ ნანა დემეტრაშვილი, ერთ-ერთი მსახიობი კი — ლია სულუაშვილი, დღეს უკვე ამ თეატრის ხელმძღვანელი. იმ დღიდან მოყოლებული, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ ამ ქალაქში ისმოდეს ქართული სიტყვა. შემთხვევითი არ არის, რომ ეს ფესტივალი სწორედ ეროვნული დრამატურგიის ნიშნით ჩატარდა. აქ მონაწილეობდა დღევანდელი ქართული თეატრის თითქმის ყველა საუკეთესო დასი, რომელსაც ახალციხეში არაჩვეულებრივი და გულწრფელი მაყურებელი დახვდა.

**ეკა ნიჟარაძე,** *მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი:*

— მესხეთის თეატრში მაშინაც კი მითამაშია, როცა დარბაზში გამყინვარება იყო, მაგრამ მაინც მომიხაროდა. არც დღევანდელი აჟიოტაჟი გამკვირვებია: აქ არაჩვეულებრივი მაყურებელია, უთბილესი, რომელიც ზუსტად იგებს შენს სათქმელს და რეაქციაც ყოველთვის შესაბამისი აქვს.

**გაია დვალიშვილი,** *მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი:*

— ისე მოხდა, რომ მესხეთის თეატრში პირველად ვარ (*იღიმის*). ჩვენები ძალიან აქებდნენ ახალციხელ მაყურებელს, მაგრამ აქაურებმა მოლოდინს გადააჭარბეს. თეატრის პერსონალიც საოცრად თბილად დაგვხვდა. რაც შეეხება ფესტივალს, კონკრეტულად კი ქართულ დრამატურგიას: რამდენადაც ქართული თეატრი საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე არ ჩამორჩენილა, ეროვნული დრამატურგიის მხრივ ძალიან ცუდი ვითარება გვაქვს — თეატრების რეპერტუარში სულ რაღაც 4-5 პიესაა და ეს ძალიან ცოტაა. არათუ ნაკლებად დგამენ რეჟისორები ქართულ პიესებს, არამედ ნაკლებადაც იწერება და რაც იწერება, იქიდან ცოტა თუა კარგი. სახელმწიფო ვერ უკარნახებს რომელიმე მწერალს, კარგი პიესა დაწერეო. პიესის წერა ძალიან რთულია, ამას ნიჭი უნდა, დრამატურგიის ნიჭი. ბევრჯერ მიფიქრია, ჩვენს თეატრებში, სადაც მსოფლიო დონის სპექტაკლები იდგმება, რატომ გვაქვს ეროვნული დრამატურგიის ასეთი სიმწირე? სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ეროვნული დრამატურგია ჯერჯერობით დავით კლდიაშვილს ვერ გასცდა.

**გოგი მარგველაშვილი,** *თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორი, რეჟისორი:*

— აქაურ მაყურებელს ვულოცავ, რომ საქართველოს სხვადასხვა ქალაქის მთელი რიგი სპექტაკლების ნახვის შესაძლებლობა მიეცა. ამით შეექმნებათ შთაბეჭდილება იმაზე, თუ რა ხდება ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში. დარწმუნებული ვარ, ამ ფესტივალს ძალიან კარგი პერსპექტივა აქვს და კიდევ ერთხელ ვუხდი დიდ მადლობას რეგიონის ხელმძღვანელობასა და თბილისის მერიას მხარდაჭერისთვის, ქალბატონ ლია სულუაშვილს კი — შემართებისთვის, შეუპოვრობისა და

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

თავდადებისთვის, რომლითაც ის ემსახურება მაყურებელს. ეს ფესტივალი, უპირველესად წარმოაჩენს, თუ რა ადგილი უკავია ქართულ დრამატურგიას ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში.

**— რა ადგილი უკავია?**

— სამწუხაროდ, არცთუ დიდი. აქ თეატრებს ჩამოაქვთ ქართული დრამატურგიის მიხედვით დადგმული სპექტაკლებიდან თავისი შეფასებით — საუკეთესო. შესაბამისად, ჩვენც დასკვნების გაკეთების საშუალება გვეძლევა. საერთოდ, ქართული დრამატურგიის ხვედრითი წილი თეატრების რეპერტუარში არა მგონია, მეათედს სცილდებოდეს. პიესა კი ბევრი იწერება, მაგრამ უმრავლესობა არ იდგმება. ძირითადი

სცენები სპექტაკლიდან „ხანუმა“

მიზეზი, ალბათ, მათი სისუსტეა. სულ რამდენიმე ავტორის პიესები იდგმება, უმეტესად — ლაშა ბუღაძის, დანარჩენი — XX საუკუნის 60-90-იან წლებში დაწერილი ირაკლი სამსონაძის, ლაშა თაბუკაშვილის და ა.შ. ის პიესები ძალიან პოპულარულიც იყო და ხშირად იდგმებოდა მაშინ, როდესაც დრამატურგებიც და რეჟისორებიც ერთი თაობისანი იყვნენ. დღეს წესით, ახალგაზრდა თაობის ბევრი პიესა უნდა იდგმებოდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ ხდება.

**— ეროვნული დრამატურგიის ფესტივალი კონკურსს არ ითვალისწინებდა, მაგრამ მაინც საინტერესოა თქვენი აზრი: აქ წარმოდგენილი პიესებიდან რომელს გამოარჩევთ?**

— ძნელია თქმა. აქ ძირითადად, ადაპტირებული ნაწარმოებები წარმოადგინეს.

**— ეგებ, დრამატურგებსაც ესაჭიროებათ სტიმული. იქნებ, საუკეთესო პიესებისთვის პრემიებიც დაწესდეს?..**

— შეიძლება, რაღაც მოვიფიქროთ. ვთქვათ, შეიძლება, მომავალში თანამედროვე დრამატურგიის ფესტივალიც ჩატარდეს და არა მხოლოდ — ეროვნული დრამატურგიის. ვერ გეტყვით, პრემიის დაწესება შეცვლის თუ არა რაიმეს... თუმცა შეიძლება შეცვალოს: კონფლიქტური ვითარებაც შეიქმნას (*იღიმის*)... ისე კი ამ ფესტივალზე აუცილებლად მინდა გითხრათ: რომ არა გიორგი შალუტაშვილი, თავისი ენერგიით, და მესხეთის თეატრის ხელმძღვანელი, ქალბატონი ლია სულუაშვილი, ეს ფესტივალი არ ჩატარდებოდა.

**ლია სულუაშვილი,** *მესხეთის თეატრის ხელმძღვანელი:*

— როდესაც სტუმარს ველოდებით, უფროს-უმცროსობას მნიშვნელობა არც აქვს — მსახიობიც, კარისკაციცა და ხელმძღვანელიც ერთნი ვართ. გჯერათ? — რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, მესხეთის თეატრი არ გამთბარა. ამჯერად ესეც მოხერხდა. ოპტიმისტი ვარ და სიტყვის შესრულებაც მიყვარს: რაკი ვიტვირთე ეს ფესტივალი, ღირსეულადაც უნდა ჩამეტარებინა. აქ მარტო საკუთარ თავს კი არ ვგულისხმობ: ჩემთან ერთად იყო ახალციხის ინტელიგენცია, მუნიციპალიტეტი და სამხარეო ადმინისტრაცია. თანადგომისა და მხარდაჭერის გარეშე არასდროს არაფერი გამოვა.

*ამ დროს ფესტივალის იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი, რეჟისორი გიორგი შალუტაშვილიც შემოგვიერთდა.*

**გიორგი შალუტაშვილი:**

— დრამატურგიაში შესაძლებელია პრემიების დაწესება. ვთქვათ, საუკეთესო ინსცენირებისთვის, ადაპტაციისთვის... ალბათ, სამომავლოდ ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება. დღეს მთავარია, რომ ბევრი სირთულის მიუხედავად, ფესტივალი მეორედ ჩატარდა. დიდ მადლობას ვუხდი ყველას, რასაკვირველია — ჩემს მეგობარს, მსახიობ გია როინიშვილს — განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, კომპანია „სენტას“ ხელმძღვანელობას (რომელმაც ნისიად მოგვცა საწვავი, თორემ ახალციხემდე ვერც ჩამოვიდოდით), ეროვნული დრამატურგიის პირველი ფესტივალის ინიციატორს, რეჟისორ ავთო ვარსიმაშვილს! მაგრამ ყველაზე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმ მსახიობებს (ბატონებით — გურამ საღარაძით, კახი კავსაძით და ქალბატონ ზინა კვერენჩხილაძით დაწყებული, ყველაზე ახალგაზრდებით — ჩემი სტუდენტებით დამთავრებული), ამხელა გზა რომ გამოიარეს და უანგაროდ ითამაშეს სცენაზე. 80 წლის მსახიობებისთვის მართლაც გმირობად მიმაჩნია — დილის 10 საათზე თბილისიდან წამოსვლა, საღამოს სცენაზე თამაში და ღამის 3 საათზე უკან დაბრუნება.

*არც მესხეთის თეატრის მაყურებელი დარჩენია ვალში მსახიობებს: თითოეულმა სპექტაკლმა სრული ანშლაგით ჩაიარა, ზოგიერთზე კი „ფეხზე დგომის“ ბილეთებიც გაყიდულა. თვითონ შევესწარი, მარჯანიშვილელთა სპექტაკლ „ხანუმაზე“ ნემსის ჩასაგდები ადგილი რომ აღარ იყო. დარბაზში ყველა ასაკის ადამიანს მოეყარა თავი, უფროსები პატარა ბავშვებითაც კი იყვნენ მოსული და, მიუხედავად მაყურებლის სიჭრელისა, სპექტაკლის მსვლელობისას ბუზის გაფრენის ხმასაც გაიგონებდი — მხოლოდ აპლოდისმენტები არღვევდა დარბაზის მყუდროებას. იქ მსხდომებს გაფრთხილებაც კი არ დასჭირვებიათ მობილურების გამოსართავად! 21 ნოემბერს, ბოლო წარმოდგენის შემდეგ, ბევრი ნაღვლიანი სახე შევნიშნე: წუხდნენ, — ახლა რაღა გვეშველება, ფესტივალი რომ დამთავრდაო.*

**გიორგი შალუტაშვილი:**

— მესხეთის მაყურებელი უკვე მოუთმენლად ელის მომდევნო ფესტივალს. ჯერჯერობით, ორ წელიწადში ერთხელ ვფიქრობთ ფესტივალის მოწყობას — მოსამზადებლად დრო გვჭირდება, რადგან გაცილებით მაღალი დონის გვინდა იყოს. თანაც გვსურს, საერთაშორისო გახდეს. თუნდაც, ფესტივალ „ჩვენებურებზე“ ხომ ჩამოჰყავთ საზღვარგარეთიდან ქართული სიმღერის შემსრულებელი კოლექტივები, რატომ არ შეიძლება, ანალოგიური პროექტი განვახორციელოთ უცხოურ თეატრალურ კოლექტივებთან?! მართალია, გაცილებით ძვირი დაჯდება, მაგრამ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის! თვითონ ვურთიერთობ ლონდონის თეატრებთან, ქართულ პიესებს რომ დგამენ; აგერ, რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ ავქსენტი ცაგარელის „ხანუმა“ დადგა ბაქოში; კიდევ ბევრი თეატრია, რომელიც სიამოვნებით წარმოადგენს ქართულ პიესას. ასე რომ, ვიმედოვნებ, 2012 წელს საქართველო ეროვნული დრამატურგიის უკვე საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს. დარწმუნებული ვარ, მესხეთის თეატრიც შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შექმნის და ერთ-ერთ თეატრალურ ცენტრად იქცევა. მინდა, გაცილებით სერიოზულად და მასშტაბურად მოვემზადოთ, რომ ეს ფესტივალი კვლავ არ დარჩეს ერთეულთა ინიციატივად. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ეს ფესტივალი წაადგება თეატრებსაც, ქვეყანასაც და, რასაკვირველია, ქართული დრამატურგიის პოპულარიზაციას. ■

# როგორ შექმნეს ძმებმა რაიტებმა რევოლუციური საფრენი აპარატი!

## საჰაერო ბრძოლები და ლეგენდარული ავიატორები!

## გაიგეთ უფრო მეტი !

## 29 ნოემბრიდან – 6 დეკემბრამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

სპეციალური ფასი 15 ლარი!

**სამგანზომილებიანი (3D) გამოსახულებები**

შეიძინეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდეთ „ელვა.ჯი“-ს

ტელ: 38-26-73\38 26 74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ!

ეს სამყარო

* – მალე

სერია „ეს სამყაროა“-ს წიგნები: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 და №9 იყიდება წიგნის მაღაზიებში!

# „ბავშვი დღეს „ფუფუნების საგანია“...

## საგანგაშო დემოგრაფიული სურათი და გულგრილი ხელისუფლება



**ქართველობა „მომაკვდავი ერების“ სიაშია. ბრიტანული გამოცემის — The Economist ინფორმაციით, მოსახლეობის კლების მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა. გამოცემამ, რომელიც მსგავს კვლევებს ყოველწლიურად აქვეყნებს, „მომაკვდავ ერთა“ სიაში „საპატიო“ ადგილი ჯერ კიდევ 2004 წელს მიაკუთვნა. როგორც პროფესიონალი დემოგრაფები ამბობენ, მას შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ვითარება არსებითად არ შეცვლილა, მდგომარეობა საგანგაშოა და თუ სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგა, 2050 წლისთვის ქვეყნის მოსახლეობა განახევრდება. რეალურია ისიც, რომ საქართველოში ქართველები ეროვნულ უმცირესობად იქცნენ. საგანგაშო სტატისტიკის მიუხედავად, ქართველი მშობლების დიდი ნაწილი 3 ან მეტი შვილის ყოლას არ აპირებს, მიზეზად კი მატერიალურ სიძნელეებს ასახელებს.**

ნათუნა ბახტურიძე

**მაკა ფრიდონაშვილი,** *ორი შვილის დედა:*

— ჩემი უფროსი გოგონა წლისა და ერთი თვისაა, მეორე — ერთი თვის. მიუხედავად იმისა, რომ მე და ჩემს მეუღლეს უმაღლესი განათლება გვაქვს და სამსახურის შოვნის პრობლემაც არასდროს გვქონია, დამოუკიდებლად, მშობლების დახმარების გარეშე ბავშვებს ვერ გავზრდიდით. სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მხოლოდ მშობიარობა ჯდება საკმაოდ დიდი თანხა. პირველი შვილი რომ გავაჩინე, სამშობიაროში 500 ლარი გადავიხადეთ, მეორეზე კი 512 ლარი.

**— ბავშვების კვებისთვის თვეში რამდენ ლარს ხარჯავთ?**

— სამწუხაროდ, ბავშვები ხელოვნურ კვებაზე მყავს. ორივეს „ნუტრილაკის“ ფაფას ვაჭმევ, რომელიც 15,5 ლარი ღირს და 3 დღე ჰყოფნით; ორი ბავშვისთვის 30 ლარი ხომ მჭირდება? ამის გარდა, პატარას „ჰიპის“ ჩაიც უნდა, რომელიც საშუალოდ, 7-8 ლარი ღირს. პამპერსის ერთი შეკვრა 24 ლარი ღირს (სხვათა შორის, შარშან 17 ლარი ღირდა) და ერთი კვირა ჰყოფნით. ე.ი. მხოლოდ კვებისა და პამპერსისთვის თვეში 800 ლარს ვხარჯავთ. ამას თუ მივუმატებთ მალამოების, წამლებისა და ექიმთან ვიზიტის ხარჯებს, ყოველთვიურად, 1.000 ლარი გამოვა. ჩემი მეუღლის ყოველთვიური შემოსავალი 500 ლარია; ინგლისური ენის სპეციალისტი ვარ, მაგრამ ორი ბავშვის პატრონი, მუშაობას ვერ ვახერხებ.

**— ეი. მესამე შვილის გაჩენას არ აპირებთ?**

— არა, რას ამბობთ, ორს ძლივს ავუდივართ! ბავშვი დღეს „ფუფუნების საგანია“...

**ნინო ოქიანი,** *ორი შვილის დედა:*

— მე ბავშვები ბუნებრივ კვებაზე მყავს, მაგრამ დამატებითი საკვები მაინც სჭირდებათ. ორი გოგონა — წლისა და 8 თვის მარიამი და 8 თვის ანა მყავს. მათთვის „მალიუტკასა“ და „ნესტლეს“ ფაფებს ვყიდულობ. ერთი კოლოფი 5 ლარი ღირს და ოთხი დღე ჰყოფნით.

**— ექიმთან ვიზიტი რა გიჯდებათ?**

— მხოლოდ პედიატრთან ვიზიტი თვეში 10 ლარი მიჯდება, მაგრამ ამას წინათ გოგონები გაცივდნენ და პედიატრის მითითებით, რამდენიმე ექიმს გავასინჯე, რაც საბოლოოდ, 50 ლარი დამიჯდა, წამლებისთვის კი 80 ლარი გადავიხადე.

**— ბავშვების ტანსაცმელში წელიწადში დაახლოებით რამდენს ხარჯავთ?**

— თავად განსაჯეთ, რამდენს დავხარჯავთ, როდესაც ბავშვის ერთი „ბათინკა“ საშუალოდ, 20-25 ლარი ღირს, ესეც — დაბალი ხარისხის, თორემ მაღაზიაში კარგ ფეხსაცმელს 70 ლარზე ნაკლებად ვერ ნახავთ. პრობლემა მხოლოდ ჩაცმა და ჭამა როდია — ბავშვების გამო ზამთარში გაზის ეკონომიას ვერ ვაკეთებთ და თვეში 200 ლარს მაინც ვიხდით. ჩემს მეუღლეს საკმაოდ დიდი ხელფასი — თვეში 800 ლარი აქვს; დედამთილი და მამაჩემი საზღვარგარეთ მუშაობენ და ფულს გვიგზავნიან; დედას ქალაქთან ახლოს კერძო სახლი აქვს, ბოსტანი ჰყავს და რძით ის გვამარაგებს; ამ ყველაფრის მიუხედავად, ვერ ვიტყვი, რომ არაფერი გვაკლია. უცხოეთიდან მშობლები რომ არ გვეხმარებოდნენ, ძალიან გაგვიჭირდებოდა.

**ნონა მაკასარაშვილი,** *სამი შვილის დედა:*

— ორი შვილის გაზრდა ისე გამიჭირდა, მესამეს გაჩენას ნამდვილად, არ ვაპირებდი, მაგრამ გვიან გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი... გაუსაძლის პირობებში გვიწევს ცხოვრება. ჩემი ქმარი მშენებლობაზე მუშაობს, არასტაბილური ხელფასი აქვს და გამუდმებით ვალში ვართ. უფროსი ბიჭი 7 წლის არის, მომდევნო გოგონა — 5-ის, ნაბოლარა კი — წლისა და 9 თვის. იმის გამო, რათა ჩვილს წამალი და აუცილებელი საკვები არ მოვაკლო, რაღაც-რაღაცებს უფროსებს ვუზღუდავ. ბავშვებს ვერ ვაშიმშილებ, მაგრამ ხშირად მათთვის ხილსა და ტკბილეულს ვერ ვყიდულობ. შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ ეკონომიის მიზნით, პატარისთვის პამპერსსაც არ ვყიდულობ. ბავშვს „სოსკა“ მხოლოდ იმის გამო არ მივეცი, რომ ფული დამეზოგა. რუსთავში ვცხოვრობ, ონკანის წყალი სასმლად არ ვარგა და ბავშვებისთვის წყლის ყიდვაც მიწევს. უბრალო წყლის ბოთლი, რომელიც სამ ბავშვს ერთი დღე ხან ჰყოფნის, ხან — არა, 3 ლარი ღირს.

*მშობლების ნათქვამის გადასამოწმებლად ერთ-ერთ აფთიაქში შევედი და ბავშვებისთვის პირველადი მოხმარების საგნებისა და პროდუქტის ფასები ვიკითხე. დედებს არაფერი შეშლიათ — აღმოჩნდა, რომ „ნესტლეს“ ფაფა — 5 ლარი, „ჰიპის“ ფაფა — 8, „ჰიპის“ რძე — 10, სასმელი წყალი „ვინი“ — 3, საწოვარა — 3, 4, 5, წინსაფარი — 6, რძის ან წყლისთვის განკუთვნილი ბოთლი — 7-დან 11 ლარამდე, ერთი შეკვრა პამპერსი — 15-დან 30 ლარამდე ღირს.*

*ალბათ მკითხველს ზოგადი წარმოდგენა უკვე შეექმნა იმაზე, თუ რა თანხა უჯდება ოჯახს საკვებით, წამლებითა და ტანსაცმლით ჩვილი ბავშვის უზრუნველყოფა. ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული სურათი უფრო თვალსაჩინო რომ ყოფილიყო, მოზარდების მშობლებსაც გავესაუბრე.*

**ხათუნა პაიჭაძე,** *ერთი შვილის დედა:*

— 10 წლის გოგონა მყავს, ჩემი მატერიალური მდგომარეობა მეტი შვილის ყოლის საშუალებას არ მაძლევს. ერთი ბავშვის უზრუნველყოფა თვეში 400 ლარი მიჯდება. ინგლისურსა და ხატვაზე დამყავს. გარდა იმისა, რომ სკოლაში წიგნების შესაძენად ყოველ სეზონზე უამრავ ფულს ვხარჯავ და არც ინგლისურის მასწავლებლის დაქირავებაა იაფი სიამოვნება, სამხატვრო სკოლისთვის საჭირო ნივთების ყიდვაც მიწევს. კიდევ კარგი, ჩემი გოგონა ჯანმრთელია და ექიმებში ხშირად სიარული არ მიწევს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვისთვის თვეში 400 ლარი მაქვს გადადებული, ვერ ვიტყვი, რომ არაფერი აკლია. რაღაცების შეზღუდვა მაინც მიწევს. ნამდვილად, არ მინდა, რამდენიმე შვილი გავაჩინო და შემდეგ მათი მომავალი ვერ უზრუნველვყო, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ვერ მოვუგვარო ან სწავლა-განათლება ვერ მივცე და უსაქმურები გამოვიდნენ. ერთი შვილის უზრუნველყოფა იცით, რის ფასად მიჯდება? რამდენიმე ადგილზე ერთდროულად ვმუშაობ, დღე და ღამე გასწორებული მაქვს. ამ ყველაფრის შედეგი კი ის არის, რომ შვილს კუთვნილ სითბოს ვეღარ ვაძლევ — შინ რომ მივდივარ, მისი მოფერების თავიც კი აღარ მაქვს. ბავშვი მეხვეწება, — მთელი დღე ვერ გხედავ და ღამით მაინც დაწექი ჩემთან, რომ ჩაგეხუტოო.

**— თუ შეგიძლია, კონკრეტულად თქვა — მეორე შვილის გაჩენის სტიმულს რა მოგცემს?**

— ჩემთვის სტიმული იქნება ის, თუ სახელმწიფო ორზე მეტი შვილის გაჩენისთვის შეღავათებს დააწესებს. ბავშვის მკურნალობა მაინც იყოს უფასო — ამ შემთხვევაში იმის მაინც არ შემეშინდება, რომ შვილს საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დახმარებას ვერ აღმოვუჩენ. ფინეთში 16 წლამდე ასაკის ბავშვის სწავლასა და ჯანდაცვაზე მთლიანად სახელმწიფო ზრუნავს. ჩვენთან კი მხოლოდ ბავშვის მკურნალობა და გამოკვება კი არა, მისი ამქვეყნად მოვლინებაც კი ძალიან ძვირი ჯდება.

**ლონდა ჯაღიაშვილი,** *ერთი შვილის დედა:*

— 8 წლის ბიჭი მყავს. მეორეზე ნამდვილად აღარ ვფიქრობ. მიუხედავად იმისა, რომ მეც და ჩემი მეუღლეც ორ-ორ ადგილზე ვმუშაობთ და წელებზე ფეხს ვიდგამთ, მხოლოდ იმას ვახერხებთ, რომ ბავშვის ჯანმრთელობა, სწავლა უზრუნველვყოთ და გადასახადები გადავიხადოთ. ბავშვი სამ თვეში ერთხელ ხომ მაინც უნდა მიიყვანო პედიატრთან და ანალიზები აუღო?! თითო ანალიზი 7-8 ლარი ჯდება. სულ ცოტა ხნის წინ თვალის ექიმთან მყავდა მიყვანილი და მხოლოდ კონსულტაციაში 30 ლარი გადავიხადე. გადასახადებმა ხომ წელში გაგვწყვიტა — არადა, თურმე კიდევ აპირებენ გაზრდას: წყალი, რომელიც აქამდე სულზე 2,5 ლარი ღირდა, 1-ელი დეკემბრიდან 3,15 ლარი ეღირება. ტრანსპორტიც ძვირდება. ისედაც გაუსაძლის პირობებში ვცხოვრობთ და კიდევ გადასახადების გაძვირება გვინდა?! ხელისუფლება ხშირად აღნიშნავს, რომ ევროპაში კიდევ უფრო დიდი გადასახადებია. კი, მაგრამ ევროპაში ხელფასებიც ჩვენზე გაცილებით მაღალი აქვთ და ჩვენსავით, ძაღლუმადურად არ ცხოვრობენ.

*როგორც ხედავთ, დემოგრაფიული პრობლემის უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ადამიანების დიდ ნაწილს მწირი შემოსავლის, გაზრდილი გადასახადებისა და შეღავათების არარსებობის გამო, ბავშვების კვების, ჯანმრთელობისა და სწავლის უზრუნველყოფა არ შეუძლია. დავინტერესდი — ჟურნალ „ეკონომისტის“ მიერ 2004 წელს გამოქვეყნებული საგანგაშო ინფორმაციის შემდეგ, ხელისუფლებამ რაიმე თუ იღონა დემოგრაფიული სურათის გამოსასწორებლად? როგორც გავარკვიე, ბრიტანული გამოცემის პუბლიკაციას ხელისუფლება — არა, მაგრამ „ახალი მემარჯვენეები“ გვარიანად შეუშფოთებია და პრობლემის მოგვარების მიზნით, პროფესიონალ დემოგრაფებთან მუშაობაც დაუწყიათ. 2007 წლისთვის კი მათ ერთ-ერთ ლიდერს, მანანა ნაჭყებიას პარლამენტისთვის წარუდგენია კანონპროექტი, რომელშიც ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების ძირითადი პრინციპები ამგვარად ყოფილა განსაზღვრული: ორსული ქალის უფასო სამედიცინო მეთვალყურეობა, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი უფასო სამედიცინო მომსახურება; ყოველ ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება — 500 ლარის ოდენობით; მრავალშვილიანი ოჯახისთვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება; ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობის გაზრდა; ბავშვთა მკურნალობის ხარჯების სრული ანაზღაურება და ბაგა-ბაღის ინსტიტუტის შენარჩუნება. „მემარჯვენეთა“ ერთ-ერთ ლიდერს კანონპროექტის ფინანსური გაანგარიშებაც წარმოუდგენია, რომლის მიხედვითაც, მისი ამოქმედების შემთხვევაში, საბიუჯეტო ხარჯი წელიწადში 367 მლნ 364 ათას ლარს მიაღწევდა. მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობას ეს კანონპროექტი პირველივე განხილვისას დაუწუნია...*

**მანანა ნაჭყებია:**

— 2007 წელს ჩვენ მიერ წარდგენილი კანონპროექტი — „საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების შესახებ“ — მეცნიერებსა და პროფესიონალ დემოგრაფებთან კონსულტაციის შედეგად შევიმუშავეთ. მასში აქცენტი მესამე, მეოთხე და მეხუთე შვილის გაჩენის წახალისებაზე იყო გაკეთებული. დემოგრაფიული პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით, 7, 8 ან თუნდაც 9-შვილიანი ოჯახები პრობლემას არ წყვეტს, იმიტომ, რომ ამდენ შვილს ის ადამიანებიც კი იშვიათად აჩენენ, რომლებსაც მატერიალური პრობლემები არ აწუხებთ. მაშინ გავითვალისწინეთ ის ფაქტორიც, რომ ქართული სოფელი თითქმის დაცლილია მოსახლეობისგან და წარმოვადგინეთ ინიციატივა, რომ-

ლის მიხედვითაც, სახელმწიფო, სხვადასხვა მასტიმულირებელი ღონისძიებით ხელს შეუწყობდა 5-შვილიანი ოჯახების სოფლად დამკვიდრებას. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა ერთხმად აღიარეს, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროგრამა ქვეყანას მართლაც სჭირდებოდა, მაგრამ გვითხრეს, — ამ ყველაფრის განხორციელებას უზარმაზარი თანხები სჭირდება და ქვეყნის ბიუჯეტს ახლა ამის საშუალება არა აქვსო. ვფიქრობ, ეს მხოლოდ საბაბი იყო და მეტი არაფერი. რეალურად, ხელისუფლება მხოლოდ ერთ კონცერტში ხარჯავს თანხას, რომელიც ჩვენს პროგრამას მთელი წელიწადი ეყოფოდა.

*ალბათ მოგეხსენებათ, რომ ფინანსთა მინისტრმა პარლამენტში უკვე წარადგინა 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელსაც უმრავლესობამ, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უპრეცედენტო უწოდეს და განაცხადეს, რომ ახალი ბიუჯეტი მთლიანად მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებაზე იქნებოდა ორიენტირებული. დავინტერესდი, ამ „უპრეცედენტოდ გაზრდილ ბიუჯეტში“ დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად თუ არის რაიმე თანხა გამოყოფილი? ამის გასარკვევად, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ წარმომადგენელს,* ***ზურაბ მელიქიშვილს*** *დავუკავშირდი.*

**— ბატონო ზურაბ, საგაისო ბიუჯეტში თუ არის განსაზღვრული რაიმე თანხა კონკრეტულად, დემოგრაფიული პრობლემების გადასაჭრელად?**

— 2011 წლის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები — სოციალური და ეკონომიკური მიმართულებებია. რაც შეეხება თქვენ მიერ დასმულ საკითხს — ამ პრობლემის მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან ხორციელდება, რომელთაც ტრანსფერს ჩვენ ვაწვდით.

**— პრობლემის მოსაგვარებლად, ეს საკმარისია?**

— ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ქვეყანაში დემოგრაფიული პრობლემა ნამდვილად არსებობს, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ იმის გაკეთება შეგვიძლია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დავაფინანსოთ ის პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს დასაქმებულთა რაოდენობის მატებას. ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში ყველა დასაქმებულია, მაგრამ წინა წლებთან შედარებით, გარკვეული წინსვლა მაინც არის.

**— თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წამლების, პროდუქტის ფასები და გადასახადები ყოველწლიურად იზრდება, შეიძლება გვქონდეს იმედი, რომ დასაქმებულთა რაოდენობის გარკვეულწილად მატება დასმულ პრობლემას მოაგვარებს?**

— სურსათისა და წამლის ფასების ზრდა ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიოში არსებულ ფასებზე ვართ დამოკიდებული. თუმცა არც იმას უარვყოფ, რომ ზოგ შემთხვევაში, ამა თუ იმ პროდუქტზე ფასების სპეკულაციური ზრდაც ხდება. ამას ჩვენ ვერ შევეწინააღმდეგებით, ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ განვახორციელოთ ინფრასტრუქტურული პროექტები, რათა სახელმწიფოში რაც შეიძლება მეტი ადამიანი დავასაქმოთ. აქვე შეგახსენებთ, რომ თბილისში უკვე მოქმედებს პროგრამა, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი თვითმმართველობა მრავალშვილიანი ოჯახებიდან თითო წევრის დასაქმებას მაინც უზრუნველყოფს. სხვათა შორის, შეგიძლიათ ნახოთ სტატისტიკური მონაცემები და დარწმუნდებით, რომ დემოგრაფიული მდგომარეობა არც ისეთი საგანგაშოა, როგორიც წინა წლებში იყო. ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით ნამდვილად შეინიშნება პოზიტიური ცვლილება.

*მართლაც, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საიტზე განთავსებულ ოფიციალურ ინფორმაციაში ასეთი დემოგრაფიული დინამიკაა დაფიქსირებული: მოსახლეობის რიცხოვნობა 2004 წლისთვის — 4 მლნ 325.2 ადამიანი, 2005-ში — 4 მლნ 321.5, 2006-ში — 4 მლნ 401.3, 2007-ში — 4 მლნ 394.7, 2008-ში — 4 მლნ 382.1, 2009-ში — 4 მლნ 385.4, 2010-ში — 4 მლნ 436.4. სამოქალაქო რეესტრის უახლესი სტატისტიკის მიხედვით კი წელს, ჯერ კიდევ ზაფხულის დადგომამდე, 25133 ჩვილი დაიბადა და ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად, ჩვენს ქვეყანაში შობადობამ იმ ზღვარს გადააჭარბა, რომელიც თაობათა განახლების საფუძველს იძლევა.*

*მეცნიერი დემოგრაფი* ***ანზორ თოთაძე*** *საჯარო რეესტრის მონაცემებს მცდარად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ამ სისტემაში ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი.*

**— ბატონო ანზორ, რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ საჯარო რეესტრის მონაცემები მცდარია?**

— ერთ მარტივ მაგალითს მოგიყვანთ. საჯარო რეესტრის მიხედვით, მოკვდავობის დონე სოფლად ორჯერ დაბალია, ვიდრე ქალაქად, ხოლო შობადობა ორჯერ მაღალია ქალაქად, ვიდრე სოფლად. შეუძლებელია, რომ ეს სიმართლე იყოს. ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში — რუსეთსა და აზერბაიჯანში მოკვდავობის დონე სოფლად უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქად და შობადობის დონეც სოფლად უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქად. ეს უფრო ლოგიკურია. საჯარო რეესტრის მონაცემები არც საერთაშორისო კვლევების მონაცემებს ემთხვევა, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ბოლო წლებში დემოგრაფიული სურათი ძველებურად, საგანგაშოა: შობადობა ისევ დაბალია, მოკვდავობის მაჩვენებელი კი — გაზრდილი. გარდა ამისა, შობადობის ზრდა და მოსახლეობის მატება ძირითადად, იმ რაიონებში შეინიშნება, სადაც არაქართველი მოსახლეობა ცხოვრობს; ქართველებით დასახლებულ რაიონებში თითქმის ყველგან — კლებაა. ამ მხრივ, გამონაკლისი მხოლოდ საჩხერეა. 2007 წელს ამ რაიონში მართლაც შეინიშნებოდა ქართველი მოსახლეობის ბუნებრივი მატება. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ იქ, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ხელშეწყობით, ექიმის მომსახურება და სკოლაში სწავლა უფასოა, გადასახადებზე კი შეღავათებია დაწესებული.

**— ეი. „მომაკვდავი ერების“ სიაში ისევ „საპატრო“ პოზიცია გვიკავია?**

— „მომაკვდავი ერების“ სიის შესახებ არ ვიცი, მაგრამ იმაში დარწმუნებული ვარ, ჩვენს ქვეყანაში კატასტროფული დემოგრაფიული მდგომარეობაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლების ახალი ინიციატივით, აზიისა და აფრიკის 40 სხვადასხვა ქვეყანას საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შეუძლია. ამის პარალელურად, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით, საქართველო იმ ქვეყნების ათეულშია შესული, რომლის მოქალაქეებიც ყველაზე ხშირად ითხოვენ საზღვარგარეთ თავშესაფარს: ბოლო 2 წლის მანძილზე 20 ათასამდე ქართველმა მიმართა სხვადასხვა ქვეყანას, ლტოლვილის ან პოლიტიკური დევნილის სტატუსის მისაღებად! აღარაფერს ვამბობ არალეგალურ ემიგრაციაზე. რა გამოდის? საქართველოში სხვა ერის ხალხი შემოდის და მკვიდრდება, ქართველები კი უკანმოუხედავად გარბიან. თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ქართველი ერი საერთოდ გაქრება. ■

# ჩვენ გაჩუქნით წიგნებს!

## მხოლოდ 31 დეკემბრამდე

**გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა“**
**+ „პალიტრა მედიის“ კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L“-ის წიგნი-ბესტსელერი:**

**„ვიზუალური ლექსიკონი”**

**ან**

**„ცხოველების ენციკლოპედია**

**ან**

**„დედამიწის ენციკლოპედია**

„პალიტრა მედიის” გამოცემები

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის განძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2.00 | 52 | 104.00 |
| ყველა სიახლე | 1.00 | 52 | 52.00 |
| გზა | 1.00 | 52 | 52.00 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.60 | 52 | 31.20 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.60 | 312 | 187.20 |
| ათიანში | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| **Georgian Journal** | 2.00 | 52 | 104.00 |

**2500 ფერადი ილუსტრაცია,**
**12 დეტალურად განხილული კატეგორია,**
**608 გვერდი**

**38-26-73; 38-26-74;**

**www.elva.ge**

**დაგვიკავშირდით პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი”**

**ეს წიგნები მაღაზიებში 33 ლარი ღირს**

# სახე

# რობერტ ბარძიმაშვილის „შვილობილის“ წარუმატებელი პაექრობა

## „რა მოხდა, ცხოვრებაში უარესი რაღაცებიც ხდება...“

**„ჯეოსტარის“ ყოფილ კონკურსანტს — ზურა მოსიავას სიმღერაში ბევრი გრან-პრი აქვს აღებული, მაგრამ შემდეგ სხვა მიმართულებით „გადაერთო“ — ბლუზით, ფანკით დაინტერესდა... ზურა ჯერ ედუარდ შევარდნაძის სტიპენდიანტი გახლდათ, შემდეგ — სანდრა რულოვსის. ერთი პერიოდი, ქუჩაშიც უკრავდა... დღეს თავისი საქმიანობით მსმენელის სიყვარულის გამართლებას ცდილობს.**

ეთო ყორღანაშვილი

— კონსერვატორიის დასრულების შემდეგ, მაგისტრატურაში ჩავაბარე, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, სწავლა აღარ გავაგრძელე. კონსერვატორიაში სწავლისას, სანდრა რულოვსის სტიპენდიანტი ვიყავი. პარალელურად, სხვადასხვა კლუბში ვუკრავდი და ასე ვცხოვრობდი... „ჩარჩოში“ მოქცეული არასოდეს ვყოფილვარ — იმპროვიზაციას ყოველთვის მივმართავდი. კონსერვატორიაში სწავლის პერიოდი ძალიან კარგი იყო: ერთხელ დიდ დარბაზში კონცერტი გვქონდა — კომპოზიტორმა ნათია დიასამიძემ კონკრეტული თემა შემოგვთავაზა და იპროვიზებული საღამო მოვაწყვეთ.

**— კონსერვატორიაში რა განსრით სწავლობდი?**

— ფლეიტის სპეციალობით. ჩემი პედაგოგი ვერიკო ჟვანია იყო (ნიჭიერთა ათწლედში ნუგზარ კიკნაძე მასწავლიდა).

**— ფლეიტით რატომ დაინტერესდი?**

— რობერტ ბარძიმაშვილმა დათო ოძელაშვილის მიერ შესრულებული კომპოზიცია მომასმენინა; მითხრა, — ეს კომპოზიცია შენებურად „გააკეთეო“. მისი დავალება შევასრულე და მას შემდეგ, ფლეიტაზე მუშაობა დავიწყე... რობერტს ძალიან უნდოდა, რომ კონსერვატორიაში ჩამებარებინა. მისაღებ გამოცდებს რომ ვაბარებდი, სწორედ იმ წელს გულის შეტევით გარდაიცვალა. რობერტ მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ, ჩემს ჯგუფს „ბარძიმი“ (ჯგუფი მანამდეც არსებობდა, მაგრამ სხვა სახელი ჰქონდა) დავარქვით. ძალიან კარგი კომპოზიცია შევქმენით, სახელწოდებით — „გვახსოვდეს“, რომელიც რობერტ ბარძიმაშვილისა და დათო ოძელაშვილის ხსოვნას მივუძღვენით. ჩვენ „არტ-გენზეც“ გამოვდიოდით. ზუმბასთან ერთად, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს მაგარი საჩუქარი გავუკეთეთ — კლიპი მივუძღვენით. კონსერვატორიაში ჩემი საქმე მქონდა — კლასიკა ცოტა სხვა თემაა... ჰოდა, ჯგუფისთვის საკმარის დროს ვეღარ ვპოულობდი, რაღაცებს ვეღარ ვაკეთებდი. მერე ჯგუფის წევრებიდან ზოგი სად წავიდა, ზოგი — სად... ამდენი ადამიანის ხვეწნით დავიღალე და შევეშვი: „სასტავში“ 16 კაცი რომ გყავს, ბუნებრივია, მათი „დაჭერა“ რთულია... შემდეგ სხვადასხვა კლუბში ვუკრავდი. „აგორა ლაივ-ბენდთანაც“ ვმუშაობდი — „კლავიშზე“, ტუჩის გარმონზე, ფლეიტაზე ვუკრავდი და ვმღეროდი. სამწუხაროდ, ბენდის ერთ-ერთი წევრი — სანდრო დოლიძე ზაფხულში გარდაიცვალა. ის ძალიან მაგარი ბასისტი იყო და პარალელურად, „ვანოს შოუში“ უკრავდა...

**— თავიდან რომელ მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავდი?**

— 8 წლის ასაკში ცაცია ვიყავი — გიტარაზე მარცხენა ხელით ვუკრავდი, მაგრამ მასწავლებელმა მარჯვენაზე „გადამიყვანა“.

**— რობერტ ბარძიმაშვილთან შენ ურთიერთობა როგორ დაიწყო?**

— რობერტმა სტუდია „ლახტი“ შექმნა და იქ მივედი. მაშინ რუსთავში ვცხოვრობდი. იქიდან რობერტმა წამომიყვანა, — მინდა, ჩემთან იცხოვროო, — მითხრა. მას შემდეგ ერთად ვცხოვრობდით, ვმეცადინეობდით, სტუდიაში მანქანით მივყავდი... ეს ყველაფერი ვანდა დეიდასაც (რობერტ ბარძიმაშვილის მეუღლეს) ძალიან ახარებდა.

**— ბატონმა რობერტმა ფაქტობრივად, „გიშვილა“, არა?**

— ჰო, ასე ვცხოვრობდით... მახსოვს, აღდგომის დღესასწაული იყო. ვანდა დეიდა კვერცხებს „საინტერესოდ“ ღებავდა — კარგი ფერი ჰქონდა! მე და რობერტმა აღდგომის კვერცხები „დავაჭიდეთ“. სწორედ მაშინ მითხრა, — ჩემი ჯილა ხარო! ვკითხე: რობერტ მასწ (ყოველთვის ასე მივმართავდი), „ჯილა“ რას ნიშნავს-მეთქი? ამიხსნა, — ჩემი ფავორიტი ხარო!.. პატარა

ვიყავი და „ფავორიტის“ მნიშვნელობაც არ ვიცოდი. მოკლედ, მე შენ ძალიან მიყვარხარო! — ბოლოს დააყოლა...

**— ბატონ რობერტთან რა ასაკამდე ცხოვრობდი?**

— კონსერვატორიაში რომ ვაბარებდი, ვანდა დეიდასთან ვცხოვრობდი (მაშინ რობერტი უკვე გარდაცვლილი იყო). მერეც, გარკვეული პერიოდი, მასთან ვიყავი. მასაც ნიჭიერთა ათწლედი აქვს დამთავრებული და ნოტები კარგად იცის. ბევრ რამეში მეხმარებოდა.

**— დღეს როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ძალიან კარგი. რობერტმა და ვანდამ შვილივით გამზარდეს. ვანდა დეიდას ძალიან დიდი ამაგი აქვს ჩემზე. ვგრძნობ, ძალიან ვუყვარვარ. ცოტა „დამჭერი“ ქალია: ბევრი რაღაცის გაკეთებისაკენ მიბიძგებდა... რობერტმა არაერთი ნიჭიერი ადამიანი აღმოაჩინა. მასთან დაკავშირებით, ბევრი რამ კარგად მახსენდება. რობერტთან ცხოვრებისას ძაღლი ჩაპა მყავდა, ვასეირნებდი... სულ ცხოველების გარემოცვაში გავიზარდე. ცხოველები რობერტსაც ძალიან უყვარდა. ვიმე, რა ხდებოდა, იცი?! კატები კნუტებს რომ „დაყრიდნენ“, რობერტ მასწავლებელი სტუდიაში ბავშვებს აჩუქებდა ხოლმე (*იცინის*).

**— ზურა, შენი ოჯახი — მშობლები, დედმამიშვილებიც გაგვაცანი. საინტერესოა — პატარა რომ იყავი, თბილისში შენს გადმოსვლას ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ?**

— ძალიან კეთილი ოჯახი მაქვს. ჩემი ოჯახის წევრები უბრალო ადამიანები არიან. ახლაც რუსთავში ცხოვრობენ... მყავს და, რომელიც კარგ ლექსებს წერს. სხვათა შორის, ჩემი რამდენიმე სიმღერის ტექსტის ავტორია. მომავალშიც რაღაცების ერთად გაკეთებას ვგეგმავთ... თბილისში ჩემს გადმოსვლას რაც შეეხება, ეს ჩემზე იყო დამოკიდებული. დედა ჩემთან ხშირად ჩამოდიოდა. ვანდა დეიდას ის ძალიან უყვარს. მე და დედას რობერტი „ბავშვებს“ გვეძახდა — ერთად „გაგვზარდა“ (*იცინის*)... სხვათა შორის, მამაჩემიც მღერის.

**— ზურა, პატარა ბიჭუნა გყავს. ოჯახი როგორ შექმენი?**

— ძალიან უბრალოდ — ყოველგვარი „გაპარვა-გაქცევა-მოტაცების“ გარეშე: ჩემს ოჯახთან ერთად, მომავალ მეუღლესთან მივედი და მის მშობლებს ქალიშვილის ხელი ვთხოვე... ახლა პატარა რობიკო გვყავს, რომელსაც სინამდვილეში, გიორგი ჰქვია. პასპორტში რობერტ ბარძიმაშვილსაც „გიორგი“ ეწერა, მაგრამ ყველა, რობერტს ეძახდა. ჩემი ბიჭი ჯერ პატარაა და რობის ვეძახით.

**— მუსიკალურ ნიჭს რობიც ხომ არ ამჟღავნებს?**

— ფლეიტაზე რომ ვუკრავ, სასწაულებს აკეთებს!.. საქსოფონზე როცა ვუკრავდი, ამყვებოდა ხოლმე — კიდევ დაუკარიო!.. 10 თვისაა. მაგარი ცუღლუტი ბავშვია — ყველანი მის ჭკუაზე დავდივართ.

**— მუსიკალური ნიჭი მეუღლესაც ხომ არა აქვს?**

— არა მგონია... უნივერსიტეტში ბიზნესის განხრით სწავლობს. მუსიკა უყვარს. კარგ მუსიკას უსმენს — ჩემთვის მნიშვნელოვანი ესაა.

**— სულ რამდენ მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავ?**

— არ დამითვლია. ფლეიტისტი ვარ. სხვა საკრავებზე სამოყვარულო დონეზე ვუკრავ. შეიძლება, ინსტრუმენტთან ძალიან მაგარი „სპორტსმენი“ იყო და მუსიკალურობით არ გამოირჩეოდე. მე როცა ვუკრავ, მსიამოვნებს — მუსიკა ჩემს „ჯიგარშია“, მომწონს და იმიტომ გამომდის! ამ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ კონცერტზე საქსოფონზე დავუკარი.

**— მანამდე ამ ინსტრუმენტთან შეხება არ გქონია?**

— არა, ძალიან ცოტა ხანს ვიმეცადინე. ფლეიტასა და საქსოფონს თითქმის ერთი და იგივე აპლიკატურა აქვს, განსხვავება მხოლოდ „ტუჩშია“: ბგერა თუ „დაიყენე“, შეგიძლია დაუკრა. სამწუხაროდ, მხოლოდ ფლეიტა და ტუჩის გარმონი მაქვს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ საჭირო ინსტრუმენტები მქონდეს.

**— „ჯეოსტარში“ სიმღერისას ხშირად ნერვიულობდი, განსაკუთრებით — შესარჩევ კონკურსზე...**

— ნერვიულობა აუცილებელია. შესარჩევ კონკურსზე, ჟიურის წევრებთან 20 წუთზე მეტი ხანი დავყავი, სხვა სიმღერებიც დავუკარი, რომლებიც ეთერში არ გასულა. თავიდან ვნერვიულობდი, მერე — აღარ... ძალიან კარგი ხალხი გავიცანი — ვისიამოვნე, ვიხალისე, ახალი რაღაცები ვნახე... ყველას დიდ მადლობას ვუხდი: ქალბატონ მარინას, ლანას, ჭოლას, მანანა მორჩილაძეს... პროექტში ყოფნისას, სულ მეჩხუბებოდნენ. ამიტომ, მეც მშვიდად, „ლამაზად“ ვიყავი (*იღიმის*). დიდი მადლობა ბენდის წევრებს: პაატა ანდრიაძეს, გია სალაღიშვილს, ირაკლი მენთეშაშვილს, ნოდარ ექვთიმიშვილს და „მასტერას“.

**— „ჯეოსტარში“ შენი მონაწილეობის მიზანი რა იყო?**

— პროექტში მონაწილეობა მეგობრებმა მირჩიეს, — მიდი, შენს ცხოვრებაში რაღაც შეცვალეო.

**— ახლა, როცა პროექტში აღარ ხარ, როგორი განწყობილება გაქვს, რას აპირებ?**

— მშვენიერი განწყობილება მაქვს — რა მოხდა, თუ პროექტი დავტოვე?! ცხოვრებაში უარესი რაღაცებიც ხდება. სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, დავუკრავ ხოლმე და მსმენელს სიამოვნებას მივანიჭებ. ვეცდები, ჩემ მიმართ სიყვარული ხალხს მაქსიმალურად გავუმართლო!..

# ეგოისტური პროფესია და კაიფი სცენაზე

## ანუ რა შემთხვევაში შეიღებავს თმას გიორგი ყიფშიძე?

**თავის პროფესიაზე ისეთი გატაცებით საუბრობს, შეუძლებელია, სულ ცოტა ხნით მაინც არ მოგინდეთ მსახიობობა. მიიჩნევს, რომ თამაში — მაგარი კაიფია და მის გარეშე ცხოვრება ვერც წარმოუდგენია — არადა, მსახიობობა თურმე ბავშვობიდანვე როდი ნდომებია... გიორგი ყიფშიძესთან ინტერვიუსთვის შესახვედრად მოლაპარაკებას 2 კვირა მოვანდომე და, ბოლოს და ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით მოვიხელთე...**

ელენე გასილიძე

— პატარა რომ ვიყავი, მამას თეატრში დავყვებოდი და მისი მსახიობობა ჩემთვის მიუღებელი იყო, — ამას რატომ აკეთებ, ისეთ რა „კომპენსაციას“ იღებ, რომ საჯაროდ გამოდიხარ და ლაპარაკობ-მეთქი?! — ვეკითხებოდი: თავად ისეთი მორცხვი ვიყავი, სკოლაში გაკვეთილსაც კი ვერ ვყვებოდი; დაფასთან გასვლა იმდენად მრცხვენოდა, მერჩივნა, ორიანი მიმეღო, ვიდრე გაკვეთილი ჩამებარებინა... სკოლა რომ დავამთავრე, სასწავლებლად უცხოეთში გამიშვეს, ბიზნესის ადმინისტრირებას ვეუფლებოდი, მაგრამ ქუჩური ინგლისური უფრო ვისწავლე, ვიდრე ჩემი პროფესია (*იღიმის*)... რომ ჩამოვედი, სტუდია „აუდიენციაში“ ოპერატორად დავიწყე მუშაობა. პარალელურად კი, თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩავაბარე, სადაც ავთო ვარსიმაშვილის ჯგუფში მოვხვდი. ერთ დღესაც, ჩემმა ჯგუფელმა გოგონამ სპექტაკლ „ყაჩაღებში“, კარლ მოორის როლში დამაკავა. მის ნამუშევარს ოთხი რეჟისორი აფასებდა და ჩემი თამაში რომ ნახეს, — მსახობობას ხომ არ ცდიო? — მკითხეს. ვაი შენს გიოს! ამ კითხვის გაგონებისას რა დამემართა, რომ იცოდე... იქვე გოგა მარგველაშვილი იყო და შემომთავაზა, — წელს ჯგუფი უნდა ავიყვანო, მოდი, სცადე და ჩააბარეო. რეჟისურის ფაკულტეტზე მეორე კურსიდან გავწყვიტე სწავლა და თავიდან ჩავაბარე, სამსახიობოზე.

**— მამას ამაზე რა რეაქცია ჰქონდა?**

— ზურამ როცა გაიგო, ფაკულტეტს ვიცვლიდი, ძალიან ინერვიულა: არ უნდოდა, საშუალო დონის მსახიობი ვყოფილიყავი. მახსოვს, მითხრა, — დარწმუნებული ხარ, რომ გინდა? თუ არ გინდა, ნუ გადახვალ, რაო... მისი მესმის: საშუალო დონის მსახიობს ნებისმიერი სხვა პროფესიის ადამიანი სჯობს. ნიჭიერი ჯგუფელები მყავდა, რომლებიც კარგი მსახიობები იქნებოდნენ, მაგრამ გალოთდნენ და საკუთარი პროფესია „დაიკიდეს“, — აქაო და, ნიჭიერები ვართ, მეტი არც არაფერი გვჭირდებაო. ბევრმა არც ისე ნიჭიერმა მსახიობმა საკუთარ თავზე იმუშავა და ის შინაგანი ნიჭი „ამოქაჩა“, რომელმაც საშუალება მისცა, მაგარი პროფესიონალები დამდგარიყვნენ.

**— რაკი სკოლაში სწავლისას ძალიან მორცხვი იყავი, მაშინ სამსახიობო მონაცემებსაც შენში ალბათ არ ხედავდნენ, ხომ?**

— კი, მაგრამ ხშირად უთქვამთ, რომ საკმაოდ „ნიჭიერად“ ვიტყუებოდი... თუმცა ეს ნიჭი სამსახიობო მონაცემებთან არანაირ კავშირში არ არის — მაგალითად, მამაჩემი საერთოდ ვერ იტყუება. მე ტყუილის თქმის ერთი ფორმულა მაქვს: თუ მინდა, ვინმეს რაიმე დავაჯერო, ჯერ იმ ტყუილს თავად ვიჯერებ და მერე უკვე ძალიან ბუნებრივად ვატყუებ სხვებს: რაც მთავარია, მე ხომ მჯერა, რომ იმ ადამიანს სიმართლეს ვეუბნები?!

**— მას მერე, რაც ფაკულტეტი შეიცვალე, ხომ არ გათავისუფლდი ეჭვისგან — თუ როგორი მსახიობი იქნებოდი?**

— მოტივირებული სტუდენტი არ ვყოფილვარ. ლექციას ხშირად ვაცდენდი, სარეპეტიციოში გიტარის თანხლებით, არაყსა და კიტრის მწნილზე, „ხანიგურ“ სუფრას ვშლიდით და მიდიოდა სმა... მესამე კურსზე სპექტაკლზე მუშაობა რომ დავიწყეთ, „რომეო და ჯულიეტას“ ვდგამდით და მიჭვდი, გაცდენა აღარ ივარგებდა — ამით თვითონვე ვზარალდებოდი. მაშინ დავმშვიდდი და „ჩამოვყალიბდი“. ამ სპექტაკლში მერკუციოს როლს ვთამაშობდი და ეს როლი დღემდე ძალიან მიყვარს. ჯულიეტა ია სუხიტაშვილი იყო. მერე ია რუსთაველის თეატრში წავიდა და მას შემდეგ ეს სპექტაკლი აღარც გვითამაშია. ამ როლისთვის დავბერდი, უკვე გავჭაღარავდი... მაგრამ ოღონდ ეს სპექტაკლი აღდგეს, თმასაც შევიღებავ (*იცინის*).

**— ეს იყო შენი პირველი როლი?**

— არა, პირველი როლი „სამეფო უბნის თეატრში“ ვითამაშე; მახსოვს, პანკის როლი მქონდა... სცენაზე გასვლის წინ პირველი ნერვიულობა და ღელვაც მაშინ განვიცადე. ეს გრძნობა გამოცდის ჩაბარების წინ ალბათ ყველას გამოუცდია: თითქოს მუცელში ისრები მერჭობოდა და გული მიფრიალებდა; ვფიქრობდი, აქ რა მინდოდა-მეთქი?! სცენაზე გასვლის წინ, დღემდე განცდებში ვარ, ყელში სპაზმი მიჭერს და გული მიფრიალებს, მაგრამ როგორც კი სცენაზე გავალ, ეს ნერვიულობა კულისებში რჩება, თითქოს კადრი ნელდება და ირეალურ სამყაროში გადავდივარ. დღემდე ვერ მივმხვდარვარ, ეს ნერვიულობა „გარეთ როგორ რჩება“?!

**— ალბათ, საზოგადოება დიდი ხნის განმავლობაში არა როგორც გიორგის, არამედ როგორც ბატონი ზურას შვილს, ისე აღგიქვამდა...**

— კი, შეიძლება, ეს დღემდეც ასეა. ზურა მამაჩემია და მის სახელს ვერსად გავექცევი. სტუდენტობის პერიოდში ძალიან მაღიზიანებდა ის, რომ ყველა, როგორც ზურას შვილს, ისე მიცნობდა: გაიცანით, ეს ზურას შვილია, გიორგი... — ვაა, რა მაგარია!.. ზურა როგორაა? — მეკითხებოდნენ და აქ მე რას ვგრძნობდი, არ იკითხოთ... დღეს უკვე თავად ვეცნობი ასე, — გამარჯობა, მე გიორგი ვარ, ზურას შვილი-მეთქი, — და ეს ძალიან მომწონს. ალბათ მამაჩემმაც გამოიარა ასეთი პერიოდი. ამ თემაზე არ გვისაუბრია, მაგრამ ბებიაჩემის — ლენა ყიფშიძის სახელი ალბათ მასაც თან სდევდა.

**— როდის იგრძენი, რომ როგორც მსახიობი, შემდგარი ხარ?**

— თეატრში რომ ამიყვანეს, გამიჩნდა შეგრძნება, რომ უკვე ზრდასრული მსახიობი ვიყავი... მერე კი საკუთარ თავში ეჭვი შემეპარა: თეატრში ბევრი მსახიობი თამაშობს, მაგრამ ყველა მაგარი ხომ ვერ იქნება-მეთქი?! დღეს ვფიქრობ, რომ არის რაღაცები, რასაც კარგად ვერ ვაკეთებ. მინდა, უკეთესი ვიყო. ეჭვი მაზალო რამეა, იზრდება თანდათან...

**— კინოში მუშაობაზე რას იტყვი?**

— კინო და თეატრი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ სფეროში სრულიად განსხვავებული

პროფესიის ადამიანები მოღვაწეობენ. როცა როლზე თეატრში მუშაობ, პირველივე სპექტაკლი შეიძლება არ მოგეწონოს, მაგრამ დროთა განმავლობაში ხარვეზებს ასწორებ და თამაშს ხვეწ; კინოში კი ჯერ ფინალს იღებენ, მერე — შუა ნაწილს, ბოლოს კი — დასაწყისს; საკუთარ თამაშს ვერ აანალიზებ და ვერც კინოპერსონაჟად აღიქვამ თავს — მთლიანად რეჟისორის ხელში ხარ, მას შეუძლია, ისე დაამონტაჟოს შენი თამაში, რომ კარგი ნათამაშები საშინლად გამოიყვანოს და — პირიქით.

**— რას ნიშნავს შენთვის როლში შესვლა?**

— ხშირად უკითხავთ, — როლში როგორ შედიხარ ან როგორ გამოდიხარ? სინამდვილეში, ეს „შესვლა-გამოსვლა“ ძალიან პირობითი ცნებაა — მე და პერსონაჟი „ერთმანეთთან დასაახლოებლად თანაბარ ნაბიჯებს ვდგამთ“ ანუ — თითოეულ როლში ნაწილობრივ მე ვარ, ნაწილობრივ — ის პერსონაჟი, რომელსაც ვთამაშობ და — ბრახ, ახალი „კლიენტიც“ იბადება!.. აუ, იცი, თამაში რა მაგარი კაიფია?!

**— დიდი სიამოვნებაა, ხომ?**

— მართალი ხარ! მსახიობობა ხომ დიდი ეგოიზმია: არავინ დაიჯეროს, რომ მსახიობი მხოლოდ მაყურებლის სიამოვნებაზე ფიქრობს; მე მინდა, მაყურებელს ვასიამოვნო, რომ მერე მან მასიამოვნოს თავისი ტაშით... ყველა მსახიობი ეგოისტია, ზოგი ამას აღიარებს, ზოგი — არა. აბა, როგორ — ჩვენს „ქველმოქმედებასაც“ თავისი მიზეზი აქვს (*იცინის*).

**— არაჩვეულებრივი მსახიობების გარემოცვაში გაიზარდე. ბებია, ელენე ყიფშიძე, როგორც მსახიობს, რჩევებს გაძლევდა?**

— ლენასთან ერთად „ცხელ ძაღლში“ ვითამაშე... საერთოდ, მას ფილმებში არ იღებდნენ, მოხდა ისე, რომ ძირითადად სცენაზე თამაშობდა. მახსოვს, სპექტაკლი „გედის სიმღერა“ რომ ნახა, პირადად არ მითხრა, მაგრამ ფურცელზე დამიწერა: მკვეთრად და მკაფიოდ ილაპარაკე, სასცენო მეტყველება განსხვავებულია ჩვეულებრივისგან, ყველას უნდა ესმოდეს შენი ხმაო... დამარიგა და ქვემოთ მიაწერა: „შენი მოსიყვარულე ლენა“. არ უყვარდა, „ბებიას“ რომ ვეძახდი, — ეს სახელი მაბერებს და „ლენა“ დამიძახეთო — გვთხოვდა. მისგან საკმაოდ ბევრი რამ ვისწავლე. დარიგებების მოცემა ზურასაც არ უყვარს, სასხვათაშორისოდ მეტყვის ხოლმე რამეს და ეს „რამე“ საკმაოდ მნიშვნელოვანია... როცა მეტყვის, — იცი, დღეს რომ გიყურე, არ შემრცხვაო, — ე.ი. მაგრად მითამაშია.

**— ქალბატონ ლენასთან პარტნიორობა როგორი იყო?**

— „ცხელ ძაღლში“ ჟანრი ლოლაშვილის საყვარელი ქალის დედას თამაშობდა. ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს, როცა მასთან ერთად ტექსტი მავიწყდებოდა და 5-6 დუბლის ჩაწერა ხდებოდა საჭირო. ნუ ღელავ, გიორგი, ყველაფერი რიგზე იქნება; გვიანია, ეტყობა, გადაიღალე, მიდი, გენაცვალე, მიდიო, — „კოჭს მიგორებდა“... შანსი არ იყო, შენიშვნა მოეცა!

**— ბებიისა და მამისგან თუ მიგიღია ისეთი რჩევა, რომელიც გაითვალისწინე და დღემდე გახსოვს?**

— ვა, კარგი კითხვაა, მაგრამ დიდი ხანია, მაგაზე არ მიფიქრია... ერთხელ, ზურამ მითხრა, — სცენაზე პარტნიორს მექანიკურ პასუხს ნურასოდეს გასცემო. ყველა სპექტაკლზე ჩემი პარტნიორი სულ სხვადასხვანაირად მეუბნება რამეს; მართალია, შინაარსი იგივეა, მაგრამ ინტონაცია და ხასიათი მუდამ იცვლება და მეც იმ პარტნიორის ხასიათს უნდა ავყვე: თუ მას გუშინდელივით ვუპასუხებ, ერთმანეთს „ავცდებით“... თეატრის მთელი კაიფიც იმაშია, რომ „ექშენია“. ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, მთავარი — დამაჯერებლობაა.

**— ბოლოს რომელ როლზე იმუშავე?**

— ბოლო როლი მე და მამაჩემმა ვითამაშეთ სპექტაკლში — „კაბილო რეა“ რომელიც ინგლისელმა რეჟისორმა ქალბატონმა დადგა. ამ სპექტაკლში ოთარ მეღვინეთუხუცესი და ნინელი ჭანკვეტაძეც თამაშობდნენ...

**— მსახიობები ხშირად აღნიშნავენ, რომ საოცნებო როლი არა აქვთ, თვით როლია საოცნებოო. შენს შემთხვევაში როგორაა?**

— ჩემთვისაც მასეა. ჰამლეტის თამაში არასოდეს მნდომებია. ძალიან მინდა, რუსეთში წავიდე და ჩემი პროფესიით ვიმუშაო. ვფიქრობ, ჩემი ნიჭის რეალიზების საშუალება მომეცემა. მაგრამ ჩვენს ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობა ისეა დაძაბული, არა მგონია, რუსეთში იქ ჩასულს სიხარულით ჩამეხუტონ. წასვლა კი მინდა, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოვა. ■

# „სექსუალური იმიჯის გამო, არავითარი შეფერხება არ მქონია“

**მომღერალ „მის თიკას“, რომელმაც საზოგადოებას „არენბის“ სტილის სიმღერების შესრულებითა და სექსუალური იმიჯით დაამახსოვრა თავი, ძალიან უყვარს პირსინგები. მის ამ და სხვა გატაცებებს თიკას „აზიატ-თანამედროვე“ მეუღლე დადებითად უყურებს და ახალგაზრდა მომღერალს, წონაში მომატების შემთხვევაში, გახდომის „ეფექტურ“ მეთოდსაც სთავაზობს...**

ეთო ყორღანაშვილი

**„მის თიკა“:**

— ჩემს იმიჯსა და რეალურ სახეს შორის დიდი სხვაობა არ არის: საზოგადოებაში ექსრავაგანტურად, ავანგარდულად ჩაცმა მიყვარს. გადავწყვიტე, „ჩვეულებრივი“ სამოსი კლიპშიც არ ჩამეცვა — ექსტრავაგანტურად და ამავე დროს, სექსუალურად შევმოსილიყავი.

**— ცხოვრებაშიც ასე „თამამად“ იცვამ?**

— ისე გამომწვევად — არა, როგორც კლიპში მაცვია, მაგრამ ვცდილობ, სამოსი ავანგარდული იყოს. გამორჩეული — მაგალითად, დახეული ან ჯაჭვიანი სამოსი მიყვარს. ცხოვრებაში ზუსტად ისეთი ვარ, როგორსაც საზოგადოება მიცნობს, მაგრამ კლიპს უფრო მეტი „ვიზაჟი“ სჭირდება.

**— როცა ტანსაცმელს ყიდულობ, მის დიზაინში კორექტივები შეგაქვს?**

— კი, ჩვეულებრივად შეკერილი სამოსი „გამიხსნია“, გადამიჭრია, დამიმოკლებია ან დამიგრძელებია. სამოდელო სტუდიის დიზაინერიც ვარ — ბავშვებს კაბებს ვურჩევ. „შესწორებებს“ მათ სამოსსაც ვუკეთებ.

**— სამოსს შენთვის თუ ქმნი?**

— მთლად მკერავს ვერ დავირქმევ, მაგრამ შემიძლია, უბრალო ქსოვილი ტანზე ისე შემოვიხვიო, რომ ძალიან ლამაზი სამოსივით გამოჩნდეს (*იცინის*).

**— დიზაინის სფეროში რაიმეს ხომ არ გეგმავ?**

— მე სიმღერა ავირჩიე. მომავალში — არ ვიცი, რა იქნება, ჯერჯერობით სხვა დიზაინერებს არ შევეცილები, მაგრამ თუ მოვედი და ტანსაცმელში ჩემი „მისტიკური განზომილებები“ გამოვაჩინე!..

**— როგორი ფერები მოგწონს?**

— შავი, თეთრი და ღია ვარდისფერი ძალიან მიყვარს. ჩემს ჩაცმულობაში, ძირითადად, ამ ფერის სამოსი ჭარბობს, თუმცა სხვა ფერის ლამაზ სამოსსაც სიამოვნებით ვიცვამ, თუკი მოვიხდენ.

**— რა არის მოდაში — ამას დიდ ყურადღებას აქცევ?**

— საკუთარი თავისთვის მოდას თავად ვქმნი. მაგრამ თანამედროვე ელემენტებიც შემაქვს. მოდის კვირეულსაც ვუყურებ ხოლმე, ბევრი რაღაც მომწონს, მაგრამ იმას ვიცვამ, რაც მიხდება.

**— ყველაზე კომფორტულად როგორი სტილის სამოსში გრძნობ თავს?**

— სახლიდან თითქმის სულ გასული ვარ. ამიტომ ყოველდღიურად სპორტული სტილის სამოსი მაცვია. მანქანის მართვისას, ასე ჩაცმა უფრო კომფორტულია.

**— ტანსაცმლის შეძენისას, მის მარკას ყურადღებას აქცევ?**

— არა, სხვათა შორის. მთავარია, კარგი, ექსტრავაგანტური სამოსი იყოს, მოვიხდინო და მასში კომფორტულად ვიგრძნო თავი.

**— შენს გარდერობში ყველაზე ძვირფასი სამოსი რომელია?**

— ჩემი ქმრის ოჯახს საგვარეულოში გოგონა არ ჰყავდა. პირველი შვილი გოგონა რომ შემეძინა, ჩემს მეუღლეს ლამის ძეგლი დაუდგეს, მე კი მან კურდღლის ბეწვის მოკლე ქურთუკი მაჩუქა...

**— თავად დიდ თანხას იხდი სამოსში?**

— ტანსაცმელი ძალიან კარგი უნდა იყოს, რომ დიდი თანხა გავიმეტო. ყოველდღიურად ფულს არ ვფლანგავ. საერთოდ, მირჩევნია, ერთი, მაგრამ ძალიან მაგარი სამოსი ვიყიდო, ვიდრე — რამდენიმე და უხარისხო.

**— როგორც ქალების უმრავლესობას, შოპინგი ალბათ შენც გიყვარს. ამ დროს მეუღლე თან გახლავს ხოლმე?**

— კი, შოპინგზე ყოველთვის ერთად დავდივართ. ბაკურს ძალიან კარგი გემოვნება აქვს და სამოსის შერჩევაში ყოველთვის მეხმარება.

**— თიკა, პირსინგი ჭიპსა და ცხვირზე მას შემდეგ გაიკეთე, რაც ფართო საზოგადოების წინაშე გამოჩენა გადაწყვიტე?**

— არა, მანამდე გავიკეთე, მაგრამ „მარიაჟობის“ გამო — არა. უბრალოდ, მომწონს! მეგობრები მეუბნებოდნენ, — ვაიმე, არ გეტკინოს, რა მაზოხისტი ხარო!.. საერთოდ არ მტკენია. ძლიერი ორგანიზმი მაქვს, ყველაფერი რიგზეა (*იცინის*)!

**— ჭიპზე პირსინგი ჯანმრთელობისთვის მაინცდამაინც კარგი არ არის. ვიდრე დედა გახდებოდი, მანამდე გაიკეთე?**

— ბავშვების გაჩენის შემდეგ გავიკეთე, მაგრამ ამის გაკეთება მანამდეც არაა პრობლემა — უბრალოდ, ორსულობის პერიოდში პერსინგი უნდა მოიხსნა... ყოველ შემთხვევაში, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა მე არ შემქმნია.

**— შენს პირსინგებს მეუღლე როგორ უყურებს?**

— ძალიან კარგად. ასეთი რაღაცები ძალიან მოსწონს და შესაბამისად, მისგან წინააღმდეგობა არ შემხ-

ვედრია. ბაკური „აზიატ-თანამედროვე“ მამაკაცია.

**— სექსუალური იმიჯის გამო, შენ მიმართ მამაკაცებისაგან წამოსული „თამამი“ კომპლიმენტების მოსმენისას, როგორი რეაქცია აქვს?**

— ჩვეულებრივი. თუ მაყურებელმა თავისი აზრი არ გამოხატა, ე.ი. ყურადღებას არ გაქცევს... მინდა, ჩემს ყველა მსმენელს, მაყურებელს დიდი მადლობა გადავუხადო!

**— თუ ყოფილა შემთხვევა, შენს სექსუალურ იმიჯს ყოველდღიურ ცხოვრებაში შენთვის დისკომფორტი შეექმნას?**

— არა. არავითარი „შეფერხება“ არ მქონია — თავს კომფორტულად ვგრძნობ.

**— კლიპებით თუ ვიმსჯელებთ, თამამი ხარ. თამამი ადამიანები ბავშვობაში ხშირად, მორიდებულები ყოფილან. შენ როგორი იყავი?**

— სტუდენტობის პერიოდში „ნაგლ“ გოგოს მეძახდნენ, რადგან ყველას საკადრის პასუხს ვცემდი — არაფერს „ვყლაპავდი“. ნორმის ფარგლებში უნდა იყო თამამი — სითამამე უზრდელობაში არ უნდა გადადიოდეს.

**— გარეგნობაზე ზრუნვას ბევრ დროს უთმობ?**

— თუ განსაკუთრებულ ადგილას მივდივარ, თავის მოსაწესრიგებლად ნახევარი საათი მჭირდება. ძალიან „გასწრაფებული“ მაქვს ხელი: სამოდელო სააგენტოში მცირე დროში ბევრ ბავშვს ვუკეთებ მაკიაჟს. ეს საქმე საკუთარ თავზეც „დამუღამებული“ მაქვს. საბერძნეთში ვიზაჟის სკოლა დავამთავრე.

**— ყოველდღიურად როგორ მაკიაჟს იკეთებ?**

— ტუშსა და ტუჩის კონტურს ვიყენებ. მიმაჩნია, რომ ქალური შარმი სწორედ თვალებიდან და ტუჩებიდან მოდის.

**— ვარცხნილობასთან დაკავშირებით, ექსპერიმენტების ჩატარება გიყვარს?**

— ბავშვობიდან გრძელი თმა მაქვს, თმის მოკლედ შეჭრა არასოდეს გამირისკავს. გრძელი, წელამდე სიგრძის თმა მომწონს. ყავისფრად შემიღებავს, მაგრამ წითლად, მწვანედ შელებვა არასოდეს მიცდია, მაგრამ თუ საჭირო იქნება (მაგალითად, კლიპისათვის), ამასაც აუცილებლად გავაკეთებ.

**— გრძელ თმასაც შეელევი?**

— არა, თმას არასოდეს შევიჭრი მოკლედ!

**— სილამაზის სალონის ხშირი სტუმარი ხარ?**

— სალონში ჩემი გრძელი თმის გასასწორებლად ან დასახვევად როცა მივდივარ, ჩემი სტილისტი — კრისტინა ისე იღლება, რომ ოფლი ღვარად სდის ხოლმე... სალონებს ხშირად არ ვსტუმრობ, ვარცხნილობის გაკეთებას დამოუკიდებლადაც ვახერხებ.

**— თმას როგორ უვლი?**

— თმისთვისაც და სახისთვისაც ნიღბებს ვიკეთებ. ხალხური მეთოდებით დამზადებული ნიღბებით არასოდეს მისარგებლია.

**— პირსინგების გაკეთების გარდა, პლასტიკური ქირურგიის ცენტრისთვის სხვა დროს თუ მიგიმართავს?**

— არა, მაგრამ თუ ადამიანს პლასტიკური ოპერაცია სჭირდება, უნდა გაიკეთოს.

**— საკუთარ გარეგნობაში რამის შეცვლის სურვილი არასოდეს გაგჩენია?**

— ჯერჯერობით ყველაფერი მომწონს, ასაკში რომ „შევალ“, მერე — ვნახოთ... გასუქების შემთხვევაში, კლინიკას ლიპოსაქციისთვის არ მივაკითხავ, რადგან ჩემი მეუღლე თავიდანვე შემპირდა: თუ გასუქდები, მანქანაზე „ბუქსირით“ გამოგაბამ და გარბენინებო (*იცინის*).

**— დიეტა არასოდეს დაგიცავს?**

— არასოდეს. მთელი დღის განმავლობაში, ძალიან ბევრ რამეს ვაკეთებ: საოჯახო საქმეები, ბავშვები, შოუბიზნესი... შეიძლება, ღამის 12 საათამდე საჭმელი არ ვჭამო, რადგან ამისათვის დრო არა მაქვს. საჭმელად დაწოლის წინ ვიცლი, მერე კი — ვიძინებ. წონასთან დაკავშირებული პრობლემა არა მაქვს.

**— სამკაულები გიყვარს?**

— კი. უპირატესობას საყურესა და სამაჯურს ვანიჭებ. თინეიჯერობის პერიოდში, ვერცხლის სამკაულები მიყვარდა, გათხოვების შემდეგ კი „ოქროს ხანაში“ გადავედი... ლამაზი ბიჟუტერიაც მომწონს. მარმარისში ყოფნისას, „შანელის“ სვაროვსკისთვლებიანი პირსინგი ვიყიდე, რომელიც ძალიან ლამაზია!

**— ფეხსაცმელებზე, ჩანთებზე რას გვეტყვი?**

— ძალიან ბევრი ფეხსაცმელი მაქვს! შეიძლება, ფეხსაცმელები ვიყიდო, მაგრამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შინ მედოს და არ ჩავიცვა. ყოველდღიურად ბოტასს ან კედებს ვიცვამ. ფეხსაცმელებს ათენიდან დედაც მიგზავნის, ზოგჯერ „საიტებიდან“ ვიწერ... საშუალო სიმაღლის ქუსლის მქონე ფეხსაცმელი არ მიყვარს — ან დაბალძირიანი უნდა იყოს, ან ძალიან მაღალი... ჩანთებიც ძალიან მიყვარს, მაგრამ მაქვს „ვერსაჩეს“ საფულე, რომელსაც ყოველდღიურად ვატარებ, ყველა საჭირო ნივთი იქ მიდევს. ჩანთებს ყოველდღიურად არ ვხმარობ. საერთოდ კი დიდი ზომის ჩანთები მომწონს.

**— შეგიძლია დამისახელო აქსესუარი, რომელიც განსაკუთრებულად გიყვარს?**

— პირსინგები სულ მიკეთია! სახლიდან გასვლისას, სათვალე, მანქანის გასაღები, მობილური ტელეფონი და საფულე ყოველთვის თან მიმაქვს!

**— დაბოლოს — შენს საქმიანობაში რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

— მე და ჯგუფი GOLDUST კლიპს ვიღებთ. კარგი გამოდის... კლიპის პრეზენტაცია ერთ-ერთ ტელეგადაცემაში შედგება, რუსულ ტელეარხზე — „მუზ-ტე-ვე-ზეც“ „იტრიალებს“.

**— ალბათ, ისევ სექსუალური იმიჯით გიხილავთ, ხომ?**

— კი. კლიპში ეროტიკული ელემენტების ჩართვა აუცილებელია. მაგალითად, ხალათიან ბიონსეს ან შაკირას ვერ ვუყურებ: ხომ გაგიგონიათ, — თვალი ჭამს და თვალი სვამსო (*იცინის*)!..

■

# გიორგი ახვლედიანის საქვეყნო მიზნები და „ოჯახური“ ოცნება

## „ორი ვაჟკაცის შემდეგ, გოგო მინდა“

**ამბობს, რომ ლანგარზე მირთმეული არაფერი მიულია — ყველაფერი დიდი შრომის ფასად მიუვიდა. ცოტა ხნის წინ ჟურნალისტიკა მიატოვა და პოლიტიკოსობას მიჰყო ხელი. ახლა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარეა.**

**მეორე ქორწინებაში იმყოფება. მისი მეუღლე, შოკა კობერიძე ტელეკომპანია „მზის“ გასართობი გადაცემების პროდიუსერი გახლავთ. წყვილს ერთი ვაჟი — პატარა ანდრია შეეძინა. პირველი ქორწინებიდან გიორგი ახვლედიანს 11 წლის სანდრო ჰყავს...**

ნინო მჭედლიშვილი

**— გიორგი, როგორ დაახასიათებ საკუთარ თავს რამდენიმე წინადადებით?**

— მიზანდასახული ვარ. ყველაფერში საკუთარი თავის იმედი მაქვს. ცხოვრებაში არ მქონია შემთხვევა, ვიღაცის დახმარებით, პროტექციით რამისთვის მიმეღწიოს. თუ რაიმეს მიღწევა შევძელი, ეს არანორმალური, ზეადამიანური ძალისხმევისა და შრომის ფასად მოხდა.

**— ეი. შრომისმოყვარეც ხარ?**

— რომ არ მოგატყუო, დასვენება მეტად მიყვარს, ვიდრე შრომა, მაგრამ ჰოროსკოპით ხარი ვარ, იაპონური ჰოროსკოპით — თხის რქა. ხარს კი, ლანგარზე დადებული არაფერი მიერთმევა... ამას შეგუებული ვარ, იქამდე მივედი, რომ დასვენებაც კი ნორმალურად არ შემიძლია — შაბათ-კვირასაც, როცა მნიშვნელოვანი საქმე არა მაქვს, ძალიან ცუდად ვარ: იმის შეგრძნება მაწუხებს, რომ რაღაც გასაკეთებელია და არ ვაკეთებ.

**— დილით თვალს რომ ახელ და იმაზე ფიქრობ, — ახლა სად მაგვიანდებაო? — ამის მსგავსი შეგრძნება გქონია.**

— დიახ, ყოველდღე ეს შეგრძნება მაქვს. თვალს რომ ვახელ, პირველი 5 წუთი იმის ჩამოთვლას ვანდომებ, დღის განმავლობაში რა მაქვს გასაკეთებელი. ზოგჯერ დაღლილიც ვიღვიძებ; ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს კი არ მეძინა, არამედ მთელი ღამე ვთოხნიდი, ვბარავდი...

**— ბარვასა და თოხნაზე გამახსენდა — რამდენადაც ვიცი, ფიზიკური შრომაც არ არის შენთვის უცხო.**

— ნამდვილად. ბარვაც შემიძლია, თოხნაც, თიბვაც, ყანის მოვლაც. 13 წლის ვიყავი, როცა ბაბუაჩემმა სათბური აიღო ოჯარით და მუშაობა დამაწყებინა. ამ სათბურში პომიდორი მოგვყავდა, ვარდები...

**— სათბურიდან ვარდები არ მოგიპარავს შეყვარებულისთვის მისართმევად?**

— მოპარვა არ ერქვა მაგას — ის ჩემი სათბურიც იყო, სრულუფლებიანი მეპატრონე ვიყავი, ბაბუასთან ერთად. ასე რომ, თუ დამჭირდებოდა ვარდი შეყვარებულისთვის, აბსოლუტურად დასაშვები იყო, ჩემი „ლიმიტიდან“ ამეღო, — რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ 300 კვადრატული მეტრის სათბურის ვარდები არ უნდა გამენადგურებინა (*იცინის*)... პომიდვრის ბიზნესი ჩაგვივარდა, დიდი აგრონომობა ვერ გამოვიჩინეთ. ჰოლანდიური ჯიში შემოგვატყუეს, სასწაულიაო, გვითხრეს, მაგრამ ტკბილი აღმოჩნდა; რამდენი მარილიც უნდა დაგეყარა, არ ეტყობოდა. ერთმა მადლიანმა კაცმა გვითხრა, — ეს ტკბილი კეტჩუპის პომიდორრიაო, — რომელსაც ჩვენთან გასავალი არ ჰქონდა. მერე საიუველირო ქარხანაში დავიწყე მუშაობა. მესამე თანრიგის დამხმარე მუშა ვიყავი, ყველაზე შავ საქმეს ვაკეთებდი — ცემენტს ვზელდი, მერე ურიკით მიმქონდა ხელოსნებთან. ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი პერიოდი იყო. მთელი ჩემი სამეგობრო ჩავაბი ამ საქმეში. დღეს ნაწილი, პარლამენტარები რომ არიან (მათ შორის, ლევან ვეფხვაძეც), ჩემთან ერთად მუშაობდნენ. დილით ლევანის მამა გამოგვივლიდა, დაგვტოვებდა ორივეს ქარხანაში, მთელი დღე ვირეებივით ვშრომობდით და საღამოს სამარშრუტო ტაქსით ვბრუნდებოდით შინ.

**— ზარმაცი რომ არა ხარ, ეს გავიგეთ. პუნქტუალური თუ ხარ?**

— ვერა. ნიკა ლალიაშვილი ამბობს ხოლმე, ქართველმა კაცმა ისეთივე პუნქტუალობა რომ გამოავლინოს, როგორიც გერმანელმა, ქართველი აღარ იქნებაო... დავუშვათ, წვეულებაზე გვეპატიჟებიან 5 საათისთვის; ყველა რას ფიქრობს? — ხუთზე ხომ არ მივალთ, მარტო ხომ არ ვიქნებით, სირცხვილია, დათქმულ დროზე რომ მიხვიდე, შეიძლება, მასპინძელიც არ დაგხვდეს იქო (*იცინის*).

**— პარლამენტშიც აგვიანებ ხოლმე?**

— იყო დრო, როცა პარლამენტი 10 საათზე იწყებდა მუშაობას. არ მოეწონათ ეს პარლამენტარებს, — რა ამბავია 10 საათი, გამოძინებას ვერ ვასწრებთო, — და 11 საათზე გადაიტანეს სხდომები. ახლა ვხედავთ, რომ 100-დან 99 შემთხვევაში, სხდომა 12 საათზე იწყება. ჰოდა, ვამბობთ, 12-ზე დაგავიტანოთ-თქო. არადა, მთელ მსოფლიოში პარლამენტები 9-ის ნახევარზე იწყებენ მუშაობას. პუნქტუალობას რაც შეეხება, ძალიან განვიცდი, როცა რაიმეს ვერ ვასწრებ. დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია — ბოლოს და ბოლოს, ფრაქციის თავმჯდომარე ვარ, ფრაქციის წევრები ჩემზე არიან დამოკიდებულნი: მე უნდა გავანაწილო სხდომაზე გამოსვლები, განცხადებები, თემები, რომლებიც დღის წესრიგშია შესატანი. ასე რომ, 15 წუთით ადრე მაინც მოვდივარ პარლამენტში.

**— რა არ მოგწონს შენს ხასიათში?**

— ბევრი რამ. არ მომწონს, რომ ვარ აგრესიული, ხანდახან — ზედმეტად აგრესიულიც. ზოგჯერ იმაში ვიჭერ თავს, რომ გარკვეულ საკითხებზე არაადეკვატურად ვრეაგირებ, ვგულისხმობ — მწვავედ. მერე რომ დავფიქრდები, ვხვდები, რომ სულაც არ იყო ის თემა, რომელიც ჩემი მხრიდან ასეთ სიმკაცრეს, შეუბრალებლობას და დაუნდობლობას მოითხოვდა.

**— როგორია შეუბრალებელი და დაუნდობელი გიორგი?**

— ადრე გაცილებით ცუდი იყო. ადრე დაუნდობელ და შეუბრალებელ გიორგის შეეძლო, ოჯახისთვის მატერიალური ზარალი მიეყენებინა — მაგალითად, კედლებზე ევლო, ნივთები დაემტვრია, დაელეწა, ირგვლივ ყველაფერი მიენგრ-მოენგრია.

**— ფხიზელს?**

— ფხიზელს, აბა, ნასვამი ჩემზე კარგი ადამიანი მეორე არ დადის დედამიწის ზურგზე... მერე დავდინჯდი, ასაკმა თავისი მოიტანა. ახლა მატერიალურ ზარალს ოჯახს აღარ ვაყენებ, მაგრამ საკუთარ აგრესიულობასა და ზედმეტ ემოციურობას დღემდე ვებრძვი.

**— ოჯახში როგორი ხარ — მეუღლესთან, შვილთან, სიდედრთან?**

— ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ არა მგონია, ცუდი ვიყო. უყურადღებო ხარო, კი მეუბნებიან. ამას წინათ, ქორწინების თარიღი დამავიწყდა. უფრო

სწორად, წინადღეს მახსოვდა, ვეუბნებოდი შოკას, — მითხარი, სანამ მახსოვს, რა საჩუქარი მოგიტანო-მეთქი. არ მითხრა. მეორე დღეს დამავიწყდა ეს ამბავი. საღამოს 8 საათზე დამირეკა და მითხრა, — დაგავიწყდაო?!. კინაღამ გული გამისკდა... თარიღებთან მწყრალად ვარ.

**— როგორც ვიცი, სიდედრსაც უკეთებ ხოლმე საჩუქარს.**

— კი, როგორც კი გამახსენდება, რაიმე მნიშვნელოვანი თარიღი მოდის, თავს არ ვირცხვენ. უცხოეთში რომ მივდივარ და ნახევარი დღე მაინც მაქვს მაღაზიებში გასავლელად, იქიდან ხელცარიელი ნამდვილად არ ვბრუნდები. გასულ ზაფხულს თურქეთიდან აზიური ჩუსტები ჩამოვუტანეთ მე და შოკამ.

**— არის რაიმე, რასაც განსაკუთრებით გსაყვედურობენ ოჯახში?**

— მე მაქვს ძალიან კონკრეტული ხედვა და გამოცდილებაც იმისა, თუ როგორ უნდა გავზარდოთ ბავშვი, როგორ მივცეთ განათლება, როგორ მოვთოკოთ მისი ემოციები, მივაჩვიოთ ნელ-ნელა იმას, რომ რაღაცა შეიძლება, რაღაცა — არა. შეიძლება, ვიღაცას მოეჩვენოს, რომ ეს მკაცრი მიდგომაა, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, ხმაში ოდნავ მკაცრი ტონის შეტანა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ჩემი უფროსი ვაჟი (იმედი მაქვს, მომავალში უმცროსზეც ამას ვიტყვი) მიხვდეს, როგორ უნდა მოიქცეს. ვერ ვიტან, როცა ბავშვებს ათამამებენ — ეს არ არის ქართული რეალობა. ეს არ მოსწონთ ქალბატონებს ჩემს ოჯახში და ამას მსაყვედურობენ. ჯიუტად ვამტკიცებ, რომ ბავშვმა დაბადებიდანვე უნდა იგრძნოს „განწყობები“, რა არის კარგი და რა — ცუდი. ბავშვები ძირითადად, ძალიან კარგები იბადებიან — წყნარები, მშვიდები... მერე ჩვენ, უფროსები, მშობლები ვაფუჭებთ მათ. არ გვესმის ის, რომ ბავშვს როცა ეძინება, მაშინ უნდა დაიძინოს და ხელში არ უნდა ვარწიოთ; როცა მოშივდება, მაშინ უნდა ვაჭამოთ და თეფშით ხელში არ უნდა ვდიოთ...

**— გავიგე, ანდრია თურმე „კურიერსა“ და „ქრონიკას“ უყურებს...**

— ძირითადად, მუსიკაზე რეაგირებს. რაც მთავარია, ხარისხიანი მუსიკა უყვარს, დინამიკური, ამიტომ რეაგირებს „კურიერის“ მუსიკაზე. ძალიან მოსწონს კლასიკა, გაოცებული ვარ ამით.

**— სამსახურშიც მკაცრი ხარ? მაგალითად, შეიძლება, უგემური ყავის გამო მდივანი სამსახურიდან დაითხოვო?**

— არა, გამორიცხულია! სხვათა შორის, ძალიან კარგ ყავას ადუღებს.

**— შოკაზე უკეთესად ადუღებს?**

— ჩემი თანაშემწის, ირმას მთავარი ღირსება ის არის, რომ დაუღალავია ფრაქციის საქმეებისთვის; ყავა მეათასეხარისხოვანია. ისე კი, ჩემზე კარგად ყავას ვერც შოკა ადუღებს და ვერც ვერავინ: მაქვს რამდენიმე საიდუმლო, რომელიც გაგრაში ყოფნისას ვისწავლე.

**— კულინარიაშიც ხომ არ ხარ გამოცდილი?**

— არა, ამ მხრივ დიდად ვერ დავიკვეხნი. კარტოფილს ვწვავ ძალიან კარგად, ბევრნაირად შემიძლია, ეს გავაკეთო; სხვათა შორის, უზეთოდაც ვახერხებ ამას — წყალზე. შოკას ვასწავლე კიდეც, როგორ უნდა დაჭრას კარტოფილი ისე, რომ იყოს მთლიანად და არა ნახევრად შემწვარი და ნახევრად მოხარშული. კვერცხის შეწვა ვიცი კიდევ 4-5-ნაირად. ერთი სიტყვით, რომ გამიჭირდეს, თავს გავიტან.

**— ეჭვიანი თუ ხარ?**

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ უსაფუძვლოდ არასდროს მიეჭვიანია. მაგრამ თუ რაიმე მიზეზი გამიჩნდა იმისათვის, რომ ვიეჭვიანო, აბსოლუტურად სხვა ადამიანი ვხდები და ძალიან ბევრი ცუდი რამის გაკეთება შემიძლია. მადლობა უფალს, ეს მძვინვარე ხარი ჩემში ჯერჯერობით არ გაღვიძებულა.

**— ცხელ გულზე ილებ გადაწყვეტილებას?**

— კი, ეს ჩემი ერთ-ერთი პრობლემაა — ცხელ გულზე გადაწყვეტილების მიღება შემიძლია. მაგრამ ძალიან უნდა მოინდომოს ადამიანმა, რომ წონასწორობა დამაკარგვინოს. თითზე ჩამოსათვლელია იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც ამისთვის მიუღწევია და ძალიან ცუდად დამთავრებულა ყველაფერი...

**— საინტერესოა, ჩაცმის სტილს თუ უკონტროლებ მეუღლეს?**

— ჩაცმის მხრივ, ჩემი მეუღლე ძალიან აკადემიურია, თვითონაც არ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ ვულგარულად ჩაიცვას. მოკლე კაბასა და დეკოლტეს თავისი ადგილი აქვს; ისეთი უნდა იყოს კაბის სიგრძეც და დეკოლტეს სიღრმეც, რომ ქალს უხდებოდეს. გემოვნების თვალსაზრისით, შეიძლება, ჩავრეულვარ, მაგრამ ეჭვიანობის გამო — არასდროს.

**— ვიცი, რომ არ გინდა, შოკას მანქანა ჰყავდეს. რატომ?**

— ძალიან მკაცრი ვარ იმ საკითხში, რასაც ჰქვია „მანქანა და ქალი“: ვფიქრობ, რომ ჩვენს რეალობაში, ქალი საჭესთან ძალიან საშიშია. ჩემი გამოცდილებიდან გეტყვით — ჩვენთან, წესი თუ არ დაარღვიე, საავარიო სიტუაციას ქმნი. ხშირად ვამბობ ხუმრობით, რომ ქალსა და ვირს ერთი და იგივე თვისება აქვს — როდესაც იბნევიან, ჩერდებიან. ქალები საჭესთან ძალიან ხშირად იბნევიან და ჩერდებიან. ერთი ასეთი შემთხვევის გამო ისეთ ავარიაში ვარ მოყოლილი!.. მოკლედ, არ მინდა, ჩემი ცოლი საჭესთან იჯდეს, მირჩევნია, გავიჭირვო და მძღოლი ვუქირაო, ვიდრე ვიჯდე და ვიფიქრო, როგორ „დაცანცარებს“ შოკა მანქანით ქალაქში.

**— ნოსტალგიური თუ ხარ?**

— ჩემს ცხოვრებაში იმდენი საინტერესო რამ ყოფილა, იმდენი ორიგინალური, უცნაური მომენტი, რომელსაც მე და ჩემი სამეგობრო ვიგონებდით... სტუდენტობა მენატრება ხოლმე. 90-იანი წლების დასაწყისი იყო. უმრავლესობა იმ პერიოდის სტუდენტობას სწყევლის. არაფერი იყო — არც ტრანსპორტი, არც ფული, არც კინო, არც კაფე, რითიც შეიძლებოდა, სტუდენტებს რაღაცით გაეხალისებინათ ცხოვრება. მე და ჩემმა ჯგუფელებმა ეს მაინც მოვახერხეთ. ჩემს კურსზე რამდენიმე ალპინისტი ბიჭი სწავლობდა, რუსთაველები იყვნენ. მათ მაჩუქეს კარავი, ზურგჩანთა, „პრიმუსი“, საძილე ტომარა და ამით დაიწყო ყველაფერი. ერთ მხარზე გიტარა გადავიკიდე, მეორე მხარზე — ზურგჩანთა და მთელი საქართველო შემოვიარეთ ფეხით.

**— ისევ მღერი?**

— ზოგჯერ კი. ჩემი და ჯგუფი „რონდოს“ კლიპი თავის დროზე პირველ პოზიციებს იკავებდა მუსიკალურ ჩარტებში. საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, რომ ვუყურებდი, მაგრამ მართლაც, საკმაოდ კარგი გამოვიდა... მოკლედ, სტუდენტობის პერიოდი მენატრება. 5 წლის განმავლობაში შენობაში სულ 2-3 თვე მეძინა — დანარჩენ დროს აღმა-დაღმა სიარულში ვატარებდი. მაშინ ვიყავი ყველაზე თავისუფალი, მეგონა, მთებს გადავაბრუნებდი.

**— დღეს რაზე ოცნებობ?**

— ძალიან პრაქტიკულ რაღაცებზე. ოცნებებით ნაკლებად ვარ დაკავებული, მაგრამ გეგმებსა და მიზნებზე მუდმივად ვფიქრობ. მიზანი ძალიან კონკრეტულია: იმ საქმემ, რომელსაც ვაკეთებთ, სარგებელი მოუტანოს ქვეყანას და კონკრეტულ ადამიანებს.

**— აპოლიტიკურ მიზნებზე რას მეტყვი?**

— ესეც არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩემთვის. მინიმუმ, კიდევ ერთი შვილი მინდა — გოგო. ორი ვაჟაცის შემდეგ, გოგო კარგი იქნება. ბიჭები რომ იზრდებიან, უხეშდებიან, აღარ გაფერებინებენ თავს. გასაგებიცაა, რომ 11 წლის სანდროს აღარ უნდოდეს, მუდამ ჩახუტებული ჰყავდეს მამამისს... მგონია, გოგო გაცილებით თბილი იქნება. დიდი ამბით ვემზადებით მე და შოკა მეორე შვილისთვის...

**— წარმატებებს გისურვებთ!**

*ვარსკვლავები*

# კეიტ უინსლეტი:

## საუკეთესო „დიეტა“ – ბედნიერებაა

**ბავშვობაში კეიტს რეკლამაში ხშირად იღებდნენ. რეჟისორები სიამოვნებით სთავაზობდნენ ფუმფულა გოგონების როლებს, რომლებიც გემრიელად ილუკმებოდნენ ტკბილეულით... ახლა მსახიობი ფოტოშოპზე უარს ამბობს, სილამაზის ახალ სტანდარტს თავად გვკარნახობს და აშკარად გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება, ქალური მომხიბვლელობის „თითოეული გრამით“ იამაყო!**

ძნელია ისეთ ოჯახში ცხოვრება, სადაც თითოეული წევრისთვის გარდასახვა — ჩვეული საქმეა: კეიტის ბაბუა და ბებია საკუთარ პატარა თეატრში პიესებს დგამდნენ; მშობლების, დეიდებისა და დის ცხოვრებაც კულისებში მიედინებოდა. მსახიობობა, საოჯახო წამლის რეცეპტის მსგავსად, მათი თანდაყოლილი ნიჭი გახლდათ. კეიტი სამსახიობო ოსტატობის სკოლაში სწორედ ამ განწყობილებით სწავლობდა, სარეკლამო რგოლების გადაღებებში მონაწილეობდა და იმედი არ ჰქონდა, რომ ბუნებამ მსახიობობის ნიჭით დააჯილდოვა. საშინელი კომპლექსით იტანჯებოდა, რადგან მეტისმეტად მაღალი და საკმაოდ მსუქანი იყო. ბავშვობიდან, დიასახლისობისთვის ემზადებოდა. მიაჩნდა, რომ კინო მხოლოდ მარლენ დიტრიხის მსგავსი დახვეწილი, ნატიფი ქალების საქმე იყო... სინამდვილეში კი ძალიან ლამაზი იყო — ქათქათა სახის კანი ისე ჰქონდა შეფაკლული, არანაირი კოსმეტიკა არ ესაჭიროებოდა. სიმსუქნე რომ არა, ყველაფერი საუცხოოდ იქნებოდა... ასეთი მონაცემებით კი კომიკური ფუმფულა ქალების ამპლუას თუ მოირგებდა. მაგრამ ერთხელ, მჭიდრო კორსეტში „ჩაჭედილი“, ჩვეული დიეტის გამო შიმშილით გატანჯული კეიტი მორიგ კასტინგზე მისი ოცნების პრინცს შეხვდა და... მშობლების სახლი დატოვა.

სტივი ნამდვილი ვარსკვლავი იყო, იმ მამაკაცთა რიგს მიეკუთვნებოდა, რომელიც მსახიობი გოგონების წინაშე წვერის საპარსი ქაფის რეკლამაში მონაწილეობით იწონებს თავს. გავა დრო და კეიტის მეგობრები იტყვიან, რომ 30 წლის პარტნიორი თავდავიწყებით შეყვარებული კეიტის ხარჯზე თვითდამკვიდრებას ცდილობდა, მაგრამ თავად კეიტი მას მუდამ მადლიერებით გაიხსენებს... შეყვარებულები ერთ ბედქვეშ — დამწყები მსახიობის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ — გარეუბანში ცხოვრობდნენ, საეჭვო ხარისხის იაფფასიან ბოსტნეულს მირთმევდნენ, კასტინგებზე დადიოდნენ და, რაც მთავარია, ვიწრო საწოლზე მწოლიარენი, ბრწყინვალე მომავალზე, დიდ ოჯახსა და სტივის „ოსკაროსან“ კარიერაზე ოცნებობდნენ. სტივს „ოსკარზე“ აბოდებდა, კეიტი კი ბავშვების გასაზრდელად ემზადებოდა... მაგრამ მორიგი კასტინგის შემდეგ, უეცრად, სწორედ ის აირჩია თვით პიტერ ჯექსონმა, ფსიქოლოგიურ ტრილერში — „ზეციური ქმნილებები“ როლზე გადასაღებად. ეს 1994 წელს მოხდა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ცოტა ხანში კეიტის სახელი მთელ მსოფლიოში გახდებოდა ცნობილი... ეს 3 წლის შემდეგ მოხდა, მაშინ კი ახალგაზრდა ოჯახში განხეთქილების დასაწყებად პირველი წარმატებაც საკმარისი აღმოჩნდა: სტივს თავმოყვარეობა შეელახა, კეიტს კი ვერაფერი გაეგო — ეს ხომ მხოლოდ თამაშია, კამერის წინ ტრიალი ყველას შეუძლია! მაგრამ — არა: სტივმა მშვენივრად იცოდა, რომ კეიტის მსგავსად გარდასახვა ბევრს არ შეეძლო. მასთან მუშაობა საოცრად იოლი იყო — რეჟისორის თითოეულ სიტყვას ჰაერში იჭერდა, უკვე შექმნილ როლს ძალზე იოლად ცვლიდა, ახალ შტრიხებს მატებდა...

პირველი ნაბიჯი ბრწყინვალე აღმოჩნდა, კეიტის ტრიუმფული დებიუტის შემდეგ სტივმა განაცხადა, რომ მისგან მიდიოდა... მაგრამ მალე ისევ დაურეკა, საყვარელ ქალს შეხვედრა სთხოვა, პაემანზე ნასვამი მივიდა და გაუმხილა, რომ სერიოზულად დაავადებული იყო და მალე მოკვდებოდა. კეიტმა ყველაფერი მშვიდად აწონ-დაწონა და დილით გადაწყვეტილება მიიღო — იგი ბოლომდე სტივთან დარჩებოდა. რა თქმა უნდა, ამის შემდგომ ყველაფერი ძველებურად ვეღარ დარჩებოდა — კინოდებიუტმა და პატარა ოჯახის დიდმა ტრაგედიამ კეიტი დააბრძენა. სამყარო შეიცვალა, უმთავრესი ცვლილება ის იყო, რომ საკუთარი თავისადმი დამოკიდებულება შეეცვალა და დიდ კინოში დამკვიდრების სურვილი გაუჩნდა. თან გადაწყვიტა, ყოველგვარ დიეტაზე ხელი აეღო და სხვაგვარად ეზრუნა გარეგნობაზე. და აი, ერთ მშვენიერ დღეს კეიტს მისმა აგენტმა დაურეკა და „ტიტანიკის“ კასტინგისთვის მომზადება შესთავაზა.

ჯეიმს კემერონმა გრანდიოზული პროექტი წამოიწყო და კეიტს სცენარი ბოლომდეც კი არ ჰქონდა წაკითხული, რომ თავისი მომავალი გმირის არსს ჩასწვდა და მისი ბედი გაითავისა... კემერონი გახდომას ურ-

ჩევდა, კეიტმა კი წონაში ზუსტად იმდენი დაიკლო, რამდენიც თავად მიიჩნია საჭიროდ და არც შემცდარა. კორსეტით „გამოკვართული“, წითური მზეთუნახავი ლეონარდო დი კაპრიოს ღირსეული თანამგზავრი გახდა. ისინი ათწლეულის ულამაზეს წყვილად აღიარეს. ამერიკის კინოაკადემიის წევრებმა ფილმი „ოსკარის“ 14 ნომინაციაზე წარადგინეს. მართალია, კეიტს არც ერთი ქანდაკება არ ერგო, მაგრამ „ოქრო“ წინ ელოდა...

მსახიობი „ტიტანიკის“ პრემიერას ვერ დაესწრო — იმ დღეს, ახლობლებთან ერთად, სტივს სამუდამოდ ემშვიდობებოდა... რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ სცენარებს კითხულობდა და ერთი სული ჰქონდა, მუშაობას როდის დაიწყებდა. ამ დროს, დი კაპრიო მოულოდნელად თავს დამტყდარი საყოველთაო სიყვარულის ტალღებში ნებივრობდა — მისი და კეიტის თაყვანისმცემლები ხომ იმ ეპოქის მოზარდები იყვნენ, რომლებმაც „ტიტანიკი“ პირველი პაემნის დროს იხილეს!..

კეიტი ქუჩის კაფეებში ძველებურად მიირთმევდა ყავას და პაპარაცებს არ ემალებოდა. მას „ვარსკვლავური მტვერი“ არც მაშინ და არც შემდგომ ეკარებოდა. წარმატებამ თავბრუ ვერ დაახვია, რადგან სახელის მოხვეჭა არ აინტერესებდა. მაყურებლის ყურადღებას ჯერ კიდევ ბებიის თეატრში მიეჩვია. მას უფრო, ახალი შესაძლებლობების გამოვლენა ხიბლავდა.

უინსლეტმა ახალი სცენარი შეარჩია და ერთი წლის შემდეგ გადაღებებზე მაროკოში გაემგზავრა. იქიდან დაბრუნებულს თითზე ნიშნობის ბეჭედი უბრწყინავდა. კეიტმა და რეჟისორის თანაშემწემ ჯიმ ტრიპლტონმა პატარა პროტესტანტული სოფლის ეკლესიაში იქორწინეს. გაზეთები წერდნენ, რომ ჯიმი კეიტს მიღებული ტრავმის გადატანაში დაეხმარა და მასზე ისე ზრუნავდა, ჰოლივუდის ნებისმიერი ზღაპრის პრინცესასაც კი შეშურდებოდა, მაგრამ ერთ რამეს მაინც ვერაფრით შეეგუა — კეიტ უინსლეტი მეტისმეტად ნიჭიერი და სახელმოხვეჭილი იყო და მას სამუდამოდ, ოდენ ვარსკვლავის ქმრის „წოდება“ უნდა ეტარებინა... რომ იტყვიან, ისტორია მეორდებოდა, ამიტომ კეიტმა თავს პირობა მისცა, რომ ამიერიდან აღარასოდეს დაუკავშირებდა ბედს მამაკაცს, რომელსაც მისი წარმატების შეშურდებოდა... ქალიშვილის, მიას დაბადებისთანავე, ჯიმ ტრიპლტონი სახლიდან წავიდა და კეიტის ქონების ნახევარიც თან გაიყოლა. ფილმ „ენიგმას“ პრემიერამაც კეიტ უინსლეტის გარეშე ჩაიარა...

ორსულობის დროს მსახიობი შესამჩნევად გასუქდა, მაგრამ შვილის გაჩენიდან ერთ წელიწადში კვლავ ჩვეული ფორმა დაიბრუნა. 60 კილოგრამს იწონიდა და გახდომაზე მეოცნებე ქალბატონებს ერთადერთ სწორ რჩევას აძლევდა: ბევრი იმოძრავეთ, ნაკლები მიირთვით და იცეკვეთო! „ჩემს ნაცნობ მამაკაცებს ის უკვირთ, ქალებს სექსუალურობა სიგამხდრე რომ ჰგონიათ. ამას მეც ვერასდროს გავიგებ! და საერთოდ, საუკეთესო „დიეტა“ — ბედნიერებაა. სწორედ ბედნიერების წყალობით, მსუქანი ან გამხდარი კი არა, იდეალური იქნებით!“ — განაცხადა მსახიობმა და სულ მალე — 2001 წელს მსახიობ ემი ტომპსონთან წვეულებაზე კიდევ უფრო დამშვენებულმა და სიცოცხლეზე თავდავიწყებით შეყვარებულმა, ფილმის — „ამერიკული სილამაზე“ (თუ „სილამაზე ამერიკულად“) რეჟისორი სემ მენდესი გაიცნო, რომელსაც კეიტამდე, კალისტა ფლოკხარდთან და რეიჩელ უაიზთან ხანგრძლივი ურთიერთობები აკავშირებდა, მაგრამ დაქორწინება არც ერთისთვის არ შეუთავაზებია. გაცნობიდან მცირე ხანში, კეიტმა ბავშვი მამას დააშორა და ქალიშვილთან ერთად, ნიუ-იორკში სემთან გადაბარგდა. კეიტ უინსლეტი ამბობს, რომ სემ მენდესი დანახვისთანავე შეუყვარდა. ამ ქორწინებამ მსახიობს კიდევ უფრო მეტი ქალურობა და თავდაჯერება შემატა. ქორწილიდან მცირე ხანში წყვილს ვაჟიშვილი შეეძინა.

კეიტი და სემი 7 წლის განმავლობაში იდეალური ოჯახის მაგალითს წარმოადგენდნენ, ამიტომ მათი განქორწინების შესახებ გავრცელებული ცნობა ყველასთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. ამბობენ, რომ სახელგანთქმული რეჟისორისა და მსახიობის დაშორების ერთ-ერთი მიზეზი — რებეკა ჰოლია, რომელმაც ფილმებში — „ვიკი კრისტინა ბარსელონა“ და „დორიან გრეი“ ითამაშა... წყვილი გაიყარა, მაგრამ კეიტმა ამჯერადაც სიბრძნე გამოიჩინა და განქორწინება შოუდ არ გადააქცია. ქონების გაყოფა უხმაუროდ მოხდა და არც სკანდალური ჭორები გავრცელებულა. წყვილის ურთიერთობას ეფექტური წერტილი დაუსვა მენდესის, კეიტისა და მათი მეგობრის, ლეონარდო დი კაპრიოს ერთობლივმა ნამუშევარმა — „ცვლილებათა გზა“. ახლა კეიტ უინსლეტს დიდი გეგმები აქვს დასახული. შარშან, სურათებისთვის — „მკითხველი“ და „ცვლილებათა გზა“ — 2 „ოქროს გლობუსით“ დაჯილდოვდა. ამჟამად სერიალში — „მილდრედ პირსი“ თამაშობს და სურათის — „პიტერ ფარელის უცნობი პროექტი“ პრემიერისთვის ემზადება. პაპარაცები დარწმუნებული არიან, რომ კეიტ უინსლეტი მარტო არ არის და ძალიან ბედნიერია. ■

სემთან ერთად

*რუბრიკა მოამზადა*
**ნატო მანჯავიძემ**

# ცხოვრება

# ჭორაობა — სენი თუ დროის მოკვლის ერთ-ერთი გზა

## ცნობისმოყვარე ადამიანების მსხვერპლები

**არ არსებობს ადამიანი, ვისაც ერთხელ მაინც არ უჭორავია, მაგრამ დამეთანხმებით, ჭორსაც გააჩნია. მაგალითად, ზოგიერთს ისეთ რამეს სწამებენ, რაზეც ის სიზმარშიც არ იფიქრებს, ზოგზე კი სიმართლეს ამბობენ, მაგრამ ცხადია, ეს სიმართლე ზედმეტად გაზვიადებულია. ჭორიკანების ზოგიერთი მსხვერპლი მის შესახებ გავრცელებულ ხმებს ყურადღებას არ აქცევს, ზოგი კი ამას მტკივნეულად განიცდის და არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ბოროტი ჭორის წყალობით, ადამიანებს ცხოვრება თავზე ენგრევათ.**

*ნათია ჟვიტიძე*

**მანანა,** *32 წლის:*

— პირადად მე, ბოროტი ადამიანის მიერ გავრცელებულმა ჭორმა ცხოვრება ამირია. 20 წლის ასაკში, მეგობრის დაბადების დღეზე ერთი საკმაოდ სიმპათიური ბიჭი გავიცანი. გიო ძალიან ყურადღებიანი, თბილი ადამიანი იყო და ურთიერთობა მალევე ავაწყვეთ. მოკლედ, ერთმანეთს ხან მეგობრების წრეში ვხვდებოდით და ხანაც — ცალკე. გაცნობიდან ორ თვეში შემომთავაზა, ცოლად გამომყევიო, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან ჩემს გრძნობებში დარწმუნებული არ ვიყავი. ერთი წლის შემდეგ გიომ მანქანაში ჩამსვა, მომიტაცა და ერთ-ერთ რაიონში, ნათესავებთან ჩამიყვანა. მთელი გზა ვტიროდი და ვეუბნებოდი, — შენი შეყვარება ვერ შევძელი, ცოლად ვერ გამოგყვები-მეთქი, მაგრამ ჩემს ცრემლებს და სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდა. როცა მის ნათესავებთან მივედით, მანქანიდან გადმოსულმა დიასახლისს შევჩივლე, — შინ დაბრუნება მინდა-მეთქი, მან კი მიპასუხა:

— თუ არ გიყვარდა, რატომღა ხვდებოდი, მისგან საჩუქრებს რატომ იღებდიო?.. ბოლოს ვიეშმაკე და გიოს ვუთხარი: შენთან დავრჩები, მაგრამ ტელეფონი მომეცი, რომ მშობლებს დავურეკო და ჩვენი გაბედნიერების ამბავი შევატყობინო-მეთქი. დამიჯერა და მობილური მომაწოდა. მშობლებს დავუკავშირდი, მათ ჩემი ადგილმდებარეობის შესახებ ვაცნობე და ვთხოვე, — მალე ჩამოდით, აქედან წამიყვანეთ-მეთქი. მამა ჩემმა ზარმა გააოგნა და ვიდრე ჩამომაკითხავდნენ, რამდენჯერმე დამირეკა, — სახლში დაბრუნება ნამდვილად გინდაო?! მას ეგონა, რომ გიო მიყვარდა, რადგანაც ის შინ არაერთხელ მიმიყვანია. სიმართლე გითხრათ, მეც ვფიქრობდი, მიყვარს-მეთქი, მაგრამ როცა ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი და ჩემი თავი მისი ცოლის ამპლუაში წარმოვიდგინე, მიეხვდი, რომ გიოსთან წრფელი გრძნობა არ მაკავშირებდა... ასე იყო თუ ისე, ჩემი მშობლები ჩამოვიდნენ და შინ წამომიყვანეს. ამ ამბის შემდეგ გიოს მეგობრები ხშირად მირეკავდნენ და მლანძღავდნენ: ეს რა უყავი, ასე რატომ მოექეცი? რამდენჯერმე თავად გიომაც დამირეკა და ცუდი სიტყვები მაკადრა, მაგრამ ხმა არ ამმიღია, რადგანაც ვიცოდი, გული ძალიან ვატკინე და თავს ვერაფრით გავიმართლებდი...

გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა ზაზა, რომელიც დანახვისთანავე მომეწონა. მასთანაც საკმაოდ მალე ავაწყვე ურთიერთობა და ორ წელიწადში დავქორწინდით კიდეც. დედამთილ-მამამთილთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა. მე და ზაზა ცალკე ვცხოვრობდით, მაგრამ მის მშობლებს ხშირად ვსტუმრობდი. ერთ დღესაც, დედამთილმა დამირეკა და მითხრა, — სასწრაფოდ, ჩემთან მოდიო. მაშინვე წავედი. ქალი ატირებული დამხვდა და სახლში შესვლისთანავე მიყვირა: როგორც საკუთარი შვილი, ისე მიგიღე, შენ კი ვინ ყოფილხარო... ვკითხე, — რატომ მლანძღავ, რა დავაშავე-მეთქი? თურმე, გიოს ერთ-ერთი ნათესავი ჩემი დედამთილის თანამშრომელი აღმოჩნდა და სწორედ მას უთქვამს, რომ მონატაცები ვიყავი. ისიც დაუძენია: შეყვარებულობის პერიოდში გიოსთან ფიზიკური სიახლოვე არაერთხელ ჰქონია და თანაც, მოტაცების შემდეგ, მასთან ორი დღე იცხოვრაო. ამ ჭორმა და დედამთილის სიტყვებმა გამაოგნა... ჩემმა ქმარმა იცოდა, მონატაცები რომ ვიყავი, მისთვის არც ჩემი და გიოს ურთიერთობის დეტალები დამიმალავს, მაგრამ საჭიროებას ვერ ვხედავდი, წარსულში თავს გადახდენილი ამბები დედამთილ-მამამთილისთვისაც მომეყოლა... მაშინვე მეუღლეს დავურეკე და ვთხოვე, — მოდი-მეთქი. ამასობაში შინ მამამთილიც დაბრუნდა და ზაზას მთელი ოჯახის წინაშე მოუხდა დაფიცება, რომ პირველ ღამეს ნამდვილად ქალიშვილი ვიყავი, რომ მას ჩემს პატიოსნებაში ეჭვი არ ეპარებოდა; მერე თავისივე მშობლების თანდასწრებით, გიოს დაურეკა და გავრცელებულ ჭორზე პასუხი მოსთხოვა. ცხადია, მან ყველაფერი უარყო და თქვა, რომ მსგავსი რამ არასდროს არავისთვის უთქვამს. მოკლედ, ჩემი სიმართლე კი დამტკიცდა, მაგრამ მას შემდეგ დედამთილთან ურთიერთობა დამეძაბა. მართალია, თავად ათასი ბოდიში მომიხადა, მაგრამ შეურაცხყოფა უსამართლოდ რომ მომაყენა, ვერ ვაპატიე...

**თეა,** *29 წლის:*

— 20 წლის ასაკში, სიყვარულით გავთხოვდი. მე და ჩემს მეუღლეს ერთმანეთი ისე

გვიყვარდა, რომ არც შეყვარებულობის პერიოდში და არც ცოლ-ქმრობისას, ერთხელაც არ გვიკამათია. ერთადერთი მაზლი მყავს, რომელიც ჩვენი ქორწინებიდან ორი წლისთავზე დაოჯახდა. მის ცოლს მანამდეც ვიცნობდი და ვცდილობდი, მასთან კარგი ურთიერთობა დამემყარებინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, ის ახლოსაც არ მიკარებდა... როცა დაქორწინდნენ, მათთან სტუმრად მივდიოდი, ნანას (ჩემს რძალს) საჩუქრებს ვუკეთებდი, ხშირად ვურეკავდი, ხოლო როცა მისი ორსულობის ამბავი გავიგე, ვუთხარი: არაფრის შეგეშინდეს, ყველანაირად მხარში ამოგიდგები, საოჯახო საქმეებშიც მოგეხმარები და ექიმთანაც წაგყვები-მეთქი. მადლობა გადამიხადა, მაგრამ დახმარებაზე უარი მითხრა... ბოლოს, როცა მისმა ქედმაღლობამ დამღალა, გადავწყვიტე, ნანასთან ურთიერთობა გამეწყვიტა, ათასში ერთხელ, მეუღლეების მშობლების სახლში თუ შევხვდებოდით ერთმანეთს... ბავშვობის მეგობარი მყავდა — ბაჩო, რომელიც ჩემი მეზობელიც იყო, ბაღის ჯგუფელიც, თანაკლასელიც და შესაბამისად, ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. მას ყველა ჩემს საიდუმლოს ვუმხელდი და ისიც ყველაფერს მიყვებოდა. ჩემი საქმროც პირველად ბაჩოს გავაცანი. ბიჭებმა ერთმანეთს კარგად გაუგეს და დამეგობრდნენ... უკვე გათხოვილი ვიყავი, როცა ბაჩო თავის პრობლემებზე სალაპარაკოდ, გულის გადასაშლელად რამდენჯერმე მესტუმრა. თურმე, ჩემი მეზობელი ქალბატონი ნანას ახლობელი იყო და არ ვიცი, რაში დასჭირდა იმის თქმა, რომ ვიღაც ბიჭი ძალიან ხშირად მსტუმრობდა, მაგრამ ფაქტია, ეს ამბავი ნათესავს ჩაუკაკლა, ნანამ კი ქორი „ხელზე დაიხვია“, ბაჩოს შესახებ ინფორმაცია მოაგროვა და ერთხელ, როცა ერთმანეთს დედამთილ-მამამთილის ოჯახში შევხვდით, გამომიცხადა: საყვარელი რომ გყავს, ხალხის მაინც არ გრცხვენია? ან შენს მეუღლეს როგორ უყურებ თვალებში, როცა შენს საყვარელთან ერთად ქეიფობსო?! გაოგნებულმა ვკითხე, — ვისზე მელაპარაკები, რას ამბობ-მეთქი? როცა გაირკვა, რომ ბაჩოზე მეუბნებოდა, ვკითხე, — მეგობრობის რაიმე გწამს-მეთქი? — ქალსა და კაცს შორის მეგობრობა არ გამიგია. მით უმეტეს, რომ ის კაცი შენთან სტუმრად მაშინ მოდის, როცა ქმარი შინ არ გყავს და სამი საათი მაინც რჩებაო. მერე ჯიბიდან მობილური ამოიღო და ვიდეოჩანაწერი გვიჩვენა: ერთხელ, როცა ბაჩოს ვაცილებდი, კიბეებთან მისული უკან მობრუნდა და მითხრა, — შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდაო, მერე კი გულში მაგრად ჩამიკრა. ჰოდა, ნანას სწორედ ეს ჰქონდა გადაღებული. მოკლედ, იმ დღეს მე და ჩემმა რძალმა მაგრად ვიჩხუბეთ, მერე კი დედამთილ-მამამთილმაც აღიარა, რომ თურმე, მსგავსი ეჭვი თავიდანვე ჰქონდათ: — აბა, არ გაგვიგია, გათხოვილ ქალს უცოლო ბიჭი ასე ხშირად სტუმრობდესო... იმ დღეს ჩემს ქმარს ხმა არ ამოუღია, მაგრამ როგორც ჩანს, მერე რძალმა და დედამ „დაამუშავეს“, ჰოდა, ერთ საღამოს კატეგორიულად მომთხოვა: ჩვენს ოჯახში ბაჩოს ფეხი აღარ ვნახო, მასთან ურთიერთობას გიკრძალავო. — ჩემში შენც ეჭვი გეპარება-მეთქი? — ვკითხე. — თქვენ შორის ახლა თუ არაფერი ხდება, ისეთი ურთიერთობა გაქვთ, ადრე თუ გვიან რაღაც მაინც მოხდებაო, — მიპასუხა. მისთვის სიტყვაც არ შემიბრუნებია, ბარგი ჩავალაგე და შვილთან ერთად მშობლების სახლში დავბრუნდი. მას შემდეგ ვცდილობ, ბაჩოსთან ურთიერთობისას დისტანცია დავიცვა, მაგრამ ქმარსაც აღარ ვურიგდები. ადამიანთან, რომელსაც ჩემში ეჭვი შეეპარა, როგორღა ვიცხოვრო?! ალბათ, ახლა ჩემი რძალი ბედნიერია, რადგან თავიდან მომიშორა, მე კი დღემდე ვერ გამირკვევია, რას მერჩოდა და რატომ არ ვუყვარდი...

**ხათუნა,** *28 წლის:*

— ქორი მეზობელმა გამივრცელა, თუმცა რაში დასჭირდა, ნამდვილად ვერ გეტყვით. ეთერი ჩემი კარის მეზობელია და ერთმანეთთან ყოველთვის არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა, მის გარეშე ყავას არ ვსვამდი, უიმისოდ სუფრას არ მივუჯდებოდი. მოკლედ, ძალიან ვახლობ-

ლობდით. ჩემ გარდა, ეთერი კიდევ უამრავ მეზობელთან კონტაქტობდა, შინ თითქმის არასდროს იყო — ხან ერთთან იჯდა, ხან — მეორესთან. ერთხელ ისე მოხდა, რომ რაღაც ფართის დასამტკიცებლად მეზობლების ხელმოწერები დამჭირდა. საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებულმა კორპუსის ხუთივე სადარბაზო შემოვიარე და განცხადებაზე ყველა მეზობელს მოვაწერინე ხელი. მე პირველ სადარბაზოში ვცხოვრობ და მეხუთეში, ფაქტობრივად, არავის ვიცნობდი. ერთ ოჯახში ჩემი ასაკის გოგონა დამხვდა, რომელმაც ყავაზე მიმიპატიჟა. ისეთი დაღლილი ვიყავი, მიპატიჟებაზე უარი არ მითქვამს. ნინომ ყავას ტკბილეულიც მოაყოლა და ცოტა ვიჭორავეთ. საკმაოდ სასიამოვნო ქალბატონი იყო და ერთმანეთს მალევე გავუგეთ; მისი სახლიდან წამოსულს მეგონა, რომ ნინოს მთელი ცხოვრება ვიცნობდი. რამდენიმე დღის მერე მეზობლების პირადობის მოწმობის ნომრებიც დამჭირდა და ისევ შემოვირბინე ხუთივე სადარბაზო. როცა ნინოსთან მივედი, საკმაოდ თბილად შემხვდა, კვლავ შინ შემიპატიჟა, მერე მეც დავპატიჟე და სულ მალე დამეგობრდით კიდეც. მან ერთ-ერთი სტუმრობისას მითხრა, — რაღაც უნდა გაგიმხილო და არ გამიბრაზდეო. გავვოცდი, — ასეთი რა უნდა მითხრა-

ის ბიზნესმენს, ვინმე სოსო ჩხაიძეს გაჰყვა ცოლად და სულ ცოტა ხნის წინ წყვილს ვაჟიც შეეძინა

მეთქი? — ეთერი ჩემთან ხშირად მოდის და სულ შენზე მეჭორავებაო. — კი, მაგრამ მისი გასაჭორი რა მჭირს-მეთქი? — ამბობდა, რომ ძალიან ბინძური ხარ, რომ სახლს საერთოდ არ ალაგებ, არც საჭმლის მომზადებით იკლავ თავს და თანაც — ქმარს სულ შენს ჭკუაზე ათამაშებ, რომ ძალიან ავი ადამიანი ხარო... შეიძლება, ბრწყინვალე დიასახლისი არ ვარ, მაგრამ უსუფთაობას ნამდვილად ვერავინ დამწამებს, თან — ქმართანაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს და მას ჩემს ჭკუაზე ნამდვილად არ ვათამაშებ. ის თვითონ ცდილობს, მასიამოვნოს ხოლმე და საოჯახო საქმეებში, ბავშვების აღზრდაში ამიტომაც მეხმარება. ნინოს ვკითხე, — ჩემს სახლში რამდენჯერმე იყავი, ახლაც აქ ხარ და როგორ ფიქრობ, უსუფთაო ვარ-მეთქი? — რომ ვხედავ, როგორი ადამიანიც

გიორგი ქორქიასთან რომანი რომ დამაბრალეს, ამან ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა

ხარ და ქმართან როგორი ურთიერთობაც გაქვს, ეს ყველაფერი ამიტომ გითხარი. ეთერი შენზე ყველასთან ასე ლაპარაკობს და ვინც არ გიცნობს, მას შენზე ცუდი შთაბეჭდილება რატომ უნდა ჰქონდესო? მაშინვე დავუძახე კარის მეზობელს და ნინოს თანდასწრებით ვკითხე, — ჩემზე რატომ ჭორაობ, რა ნახე ჩემს სახლში დაულაგებელი-მეთქი? ჯერ ენა ჩაუვარდა, მერე კი ყვირილი დაიწყო: რა პირზე მაყენებ ადამიანებს, პატარა ბავშვი კი არა ვარო და ზურგი შემაქცია, კარი გაიჯახუნა, მე კი აღარ გავკიდებივარ. არ ვიცი, რაში დასჭირდა ეთერს ჩემზე ჭორაობა, მაგრამ მიხარია, ნინომ თვალი რომ ამიხილა.

*ვერ ვიტყვი, რომ ჟურნალისტებს ჭორაობა არ გვიყვარს, მეტიც — გვინდა თუ არა, ხალხის ინტერესის დასაკმაყოფილებლად, სხვის პირად ცხოვრებაზე ინფორმაციას ვაგროვებთ და დადასტურების შემთხვევაში, მას ჟურნალშიც ვაქვეყნებთ. „გზის“ ერთგულმა მკითხველმა იცის, რომ ჩვენ გვაქვს რუბრიკა — „ჭორმართალი“, სადაც პიროვნების შესახებ გავრცელებულ ჭორს ვაქვეყნებთ, მაგრამ უსათუოდ, მის ადრესატსაც ვუკავშირდებით და კომენტარს ვთხოვთ. კარგა ხანია შევიტყვეთ, რომ ქალბატონი მარიკა ვერულაშვილი გათხოვდა. ის ბიზნესმენს, ვინმე სოსო ჩხაიძეს გაჰყვა ცოლად და სულ ცოტა ხნის წინ წყვილს ვაჟიც შეეძინა. ქალბატონ მარიკასთან დაკავშირებას რამდენიმე კვირის განმავლობაში ვცდილობდით, მაგრამ როგორც ჩანს, ის უცხო ნომრებს არ პასუხობს და მის შესახებ გავრცელებული ინფორმაციაც ამიტომ არ დავბეჭდეთ... ბოლო დროს ასევე გავრცელდა ჭორი ორ, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობ მამაკაცზე, რომელთაც არასწორ ორიენტაციაში ადანაშაულებენ, მაგრამ მათი დასახელებისგან თავს შევიკავებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ჭორი სიმართლეს არ შეესაბამება...*

*როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 29 ნოემბრიდან ახალი რეალური შოუ — „კოდი“ დაიწყო, სადაც ნუკი კოშკელიშვილი და გიორგი ქორქიაც მონაწილეობენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტი სულ ახლახან გავიდა ეთერში, უკვე გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ გიორგისა და ნუკის რომანი აქვთ...*

**ნუკი კოშკელიშვილი:**

— ჩემსა და გიორგი ქორქიას შესახებ გავრცელებულ ჭორთან დაკავშირებით უკვე იმდენმა ჟურნალისტმა დამირეკა, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაც აღარ მინდა. რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია ჭორია და სიმართლეს აბსოლუტურად არ შეესაბამება.

**— კიდევ რა სახის ჭორი გსმენია შენზე?**

— ძირითადად, ისეთ ადამიანებთან მაწყვილებენ, რომლებსაც არც კი ვიცნობ. ასეთ ჭორებზე მეცინება ხოლმე, მაგრამ ხალხმა ხომ უნდა იფიქროს, რომ მყავს ოჯახის წევრები, რომლებიც ამას ვერ ეგუებიან. გიორგი ქორქიასთან რომანი რომ დამაბრალეს, ამან ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა — ადამიანს ცოლი ჰყავს და ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ამ სისულელის გამო მეუღლესთან ურთიერთობა გაფუჭებოდა. საბედნიეროდ, გიორგის ცოლი შეგნებული ადამიანია...

**— თავად შენ თუ ჭორაობ ხოლმე?**

— როგორ არა, ხშირად ვჭორაობ, სხვის პირად ცხოვრებას განვიხილავ, მაგრამ ამას იმ ადამიანთან ერთად ვაკეთებ, რომლის ცხოვრებაზეც ვლაპარაკობ. მოკლედ, ძალიან ახლობელ ადამიანებთან და მათზევე ვჭორაობ. თავს დავდებ, რომ უცხოსთან სხვაზე არასოდეს არაფერი მითქვამს, არც კარგი და არც — ცუდი...

*ცოტა ხნის წინ ხალხი ლელა მებურიშვილის გათხოვებაზეც ალაპარაკდა, რადგან სერიალში — „დეტექტივები“ — მას მარჯვენა ხელზე ოქროს ბეჭედი უკეთია...*

**ლელა მებურიშვილი:**

— ჩემი გათხოვების შესახებ გავრცელებული ჭორი ნამდვილად არ მიკვირს, რადგან მსგავსი რამ არაერთხელ უთქვამთ. სერიალში ოქროს რგოლი იმიტომ მიკეთია, რომ იქ გათხოვილი ქალის როლს ვთამაშობ და ეს სცენარით არის გათვალისწინებული...

საბედნიეროდ, საზოგადოება მინდობს და ჩემ შესახებ ბოროგი ჭორი ჯერ არ გაუვრცელებიათ

— **ისე, ყველაზე მეტად რომელმა ჭორმა გატკინა გული?**

— საბედნიეროდ, საზოგადოება მინდობს და ჩემ შესახებ ბოროტი ჭორი ჯერ არ გაუვრცელებიათ. ძირითადად, ხან ერთი ადამიანის შეყვარებულობას მწამებენ, ხან მეორის — ცოლობას.

— **თავად თუ ჭორაობ ხოლმე?**

— არა. საშინლად არ მიყვარს ჭორაობა. მეგობრებთან ერთად ლაპარაკს ჭორაობას ვერ დავარქმევ, მით უფრო,

**რაგისთან რომანს გათხოვებამდე კი არა, ახლაც მაბრალებენ**

რომ სხვის პირად ცხოვრებას არასოდეს განვიხილავთ. ჩემ გარშემო იმდენი საინტერესო ამბავი ხდება და მეგობრებთან იმდენ რამეზე ვლაპარაკობ, რომ სხვისი პირადი ცხოვრების განსახილველად დროც არ გვრჩება...

*მაკა ზამბახიძის გათხოვებამდე მისი და რატი დურგლიშვილის სავარაუდო რომანიც საკმაოდ აქტუალური თემა იყო და როგორც მომღერალი ამბობს, ხალხს მსგავსი ეჭვი დღემდე აქვს.*

**მაკა ზამბახიძე:**

— რატისთან რომანს გათხოვებამდე კი არა, ახლაც მაბრალებენ. სიმართლე გითხრა, ასეთი ჭორები არ მაღიზიანებს. მეტიც — ხშირად ჭორიკანებს მხარს ვუბამ და მერე ამაზე ბევრს ვხალისობ.

— **რატისთან რომანის გარდა, სხვა რა დაგწამეს?**

— შენ წარმოიდგინე, არაფერი. ჩემ შესახებ გამაღიზიანებელი ჭორი ჯერ არ მსმენია. უბრალოდ, ხალხს დღემდე სჯერა, რომ მე და რატის ერთმანეთი გვიყვარდა და გვიყვარს. როგორც ჩანს, გული დასწყდათ, ერთად რომ არ ვართ.

— **თავად თუ ხარ ჭორიკანა?**

— რა ვიცი, გოგო ვარ და ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ დაქალებთან ერთად ხშირად ვჭორაობ, თუმცა სხვის პირად ცხოვრებას არასოდეს განვიხილავ, ინტრიგებს არ ვხლართავ და ვიღაცას რაღაცას არ ვაბრალებ. იმას, რაც თავად არ მომწონს, სხვას არ გავუკეთებ... ■

# მრავალშვილიანი კაცის ხიფათიანი ცხოვრება

## „ჩემს საქმიანობას შსს, ვიდეოთვალით აკონტროლებს...“

**ჩემი რესპონდენტი II ჯგუფის ინვალიდი და 7 შვილის მამა, გიორგი (ვოვა) გომარელია. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში დაინვალიდდა და მისი ცხოვრების გზა ხიფათით იყო სავსე, ხელი არასდროს ჩაუქნევია; მეტიც, მან არაერთი პროფესია წარმატებით აითვისა. სეიფისა და ავტომობილის საკეტების გაღება, აღდგენა, შეკეთება, ურთულესი გასაღებების დამზადება მისთვის სირთულეს არ წარმოადგენს. მას ხერხემლისა და მენჯ-ბარძაყის ძვლები აქვს დაზიანებული, დიდხანს ფეხზე დგომა და სიარული არ შეუძლია, მაგრამ გამოსავალი იპოვა: მოიწყო სპეციალური „საწოლი-სახელოსნო“, სადაც უკვე 30 წელია, მისთვის მოსახერხებელ პოზაში — დაწოლილი მუშაობს. ბატონი გიორგის საქმიანობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სპეციალურად დამონტაჟებული ვიდეოთვალით კონტროლდება.**

თამუნა კვინიკაძე

**გიორგი გომარელი:**

— ჩემი ცხოვრება ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ ამბავს. 25 წლამდე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვიყავი, რადგანაც ძალიან ცელქი და ხიფათიანი ბავშვი გახლდით. 10 წლიდან ინვალიდი ვარ. ჩემი ოჯახი გურჯაანში ცხოვრობდა, მერე უკრაინაში გადავედით და იქ გავიზარდე.

— **უკრაინაში რატომ გადახვედით?**

— დედა — რაისა გრიგორიევა უკრაინელი იყო. იგი 1930 წელს, 17 წლის ასაკში ქვეყნიდან შიმშილობას გამოექცა. როცა მისი ოჯახის წევრები შიმშილით კვდებოდნენ, ერთ უცნობ ქალბატონს შებრალებია და უთქვამს, — საქართველოში თუ გამომყვები, გადარჩები. ცოტაოდენი გამხმარი პური მაქვს და საკუთარ ლუკმას გიწილადებო. თბილისში მატარებლით ჩამოსულან (დედას საბარგო განყოფილებაში ჩაკეტილს უმგზავრია), აქედან კი კასპში წასულან. დედა ღიმილით გვიყვებოდა შვილებს: კასპამდეც მატარებლით ჩავედი და როცა ჩვენი ვაგონი ბაქანზე ჩამოდგა, იმდენად დაუძლურებული ვიყავი, ვაგონიდან მცირეოდენი ბარგის ჩატანაც კი ვერ შევძელი. ბაქანზე ერთი კაცი შევნიშნე, რატომღაც „ნასილჩიკი“ მეგონა, დავუძახე და დახმარება ვთხოვე. ვაგონიდან რომ ჩამოვყავდი, შემთხვევით, ხელი ჩემს მკერდზე მოუხვდა. ვიუხერხულე და საყვედურიც ვუთხარი, — მე პატიოსანი გოგო ვარ და ზედმეტი მოგივიდათ-მეთქი. ასე შეხვედრია მამაჩემს... მამა სიმპათიური კაცი იყო, მატერიალურადაც არ უჭირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დედა ცოლობაზე ვერ დაუთანხმებია და ამიტომაც მოიტაცა. მე მშობლების ნაბოლარა, მე-16 შვილი ვარ. სამწუხაროდ, 16 დედმამიშვილიდან მხოლოდ ოთხი გავიზარდეთ, დანარჩენები ნაადრევად გარდაიცვალნენ.

— **მითხარით, ცელქ ბავშვი ვიყავო...**

— ცელქიც და ხიფათიანიც. 4 წლის გახლდით, როცა ადუღებული ფელამუშით სავსე ქვაბი გაზქურიდან გადმოვაგდე და ეს ქვაბი თავზე ჩამომემხო. ისე დავიწვი, თუ გადავრჩებოდი, არავის ეგონა; ფელამუში ტანზე შემახმა, ვეღარ მაძრობდნენ და ექიმებმაც ხელი ჩაიქნიეს. როცა დედას გაუგია, რომ აღარ გადავრჩებოდი, გონება დაუკარგავს, გულწასული იატაკზე დავარდნილა. ამ მდგომარეობაში მყოფს ხილვა ჰქონია: თურმე, უფლის ანგელოზი მოევლინა და უთხრა, — ნუ გეშინია, შენი შვილი არ მოკვდება. მეტიც, ისე გადარჩება, რომ სხეულზე ნაიარევიც კი არ ექნება, მთავარია, ღმერთის რწმენა და იმედი არ დაკარგოო. ხილვის დროს ანგელოზს მისთვის წმლის დამზადებაც უსწავ-

ლებია. ჰოდა, დედას ჩემთვის ეკლესიიდან ნაკურთხი ზეთი და წყალი მოჰქონდა, სხეულზე ჩვილი ბავშვის შარდის საფენებს მიკეთებდა, ლოცულობდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მკურნალობის წყალობით, დღეს ერთი ნაიარევიც კი არ მაქვს... ამ ამბიდან ცოტა ხანში მე, დედა და ჩემი 2 ძმა საცხოვრებლად უკრაინაში გადავედით. ამ დროს მამა უკვე გარდაცვლილი იყო. დედამ მას მთელი ცხოვრება უერთგულა... იმ პერიოდში უკრაინაში მორწმუნეებს დევნიდნენ, მაგრამ დედა ეკლესიაში სიარულს მაინც ახერხებდა და რაც მთავარია, შვილებს ქართველებად გვზრდიდა. გვეუბნებოდა: თქვენი სამშობლო ულამაზესი საქართველოა და არა „სოვეტსკი სოიუზი“. აუცილებლად უნდა იცოდეთ მშობლიური ენა, მასში დიდი საიდუმლო იმალებაო. დედა ამ „საიდუმლოს“ ბოლო ჟამთან ანუ განკითხვის დღესთან აკავშირებდა, მაგრამ არ ვიცი, ეს ყველაფერი საიდან იცოდა.

**გიორგი გომარელის სახელოსნოს კედლებს არაერთი ფოტო ამშვენებს – დედის, მშობლების, დების, მოძღვრის და უკრაინაში მდებარე იმ სახლის, სადაც ბავშვობა გაატარა**

**— თქვენი დაინვალიდების მიზეზი რა გახდა?**

— უკრაინაში ქალაქ კუპიანსკის №1 საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. მეოთხე კლასში ვიყავი, როცა შესვენების დროს ბავშვები დამეჯახნენ, ჯართით ნახევრად სავსე ორმოში ჩავვარდი და თავში ჟანგიანი რკინა ჩამერჭო. შედეგად, ტვინი დამიზიანდა და ისევ ჩემი გადარჩენა-არგადარჩენის საკითხი დადგა. უფლის წყალობით და დედაჩემის ლოცვით, ცოცხალი გადავრჩი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, მშენებარე კორპუსიდან ჩამოვარდნის გამო, ორივე მენჯის და ხერხემლის დაზიანება მივიღე, ამან კი ჩემი დაინვალიდება გამოიწვია. ფეხზე დიდხანს დგომა, სიარული მიჭირდა და სკოლაშიც აღარ დავდიოდი. თუმცა, ჩემი ხიფათიანი თავგადასავლები ამით არ დასრულებულა: თირკმელთან დაკავშირებული პრობლემები მქონდა, გადავიტანე პერიტონიტი. უმეტეს შემთხვევაში, ჩემი ავადმყოფობის წინაშე ექიმები უძლურები იყვნენ, მაგრამ ღმერთი იჩენდა მოწყალებას. დედა ყოველთვის ნაკურთხ ზეთს მცხებდა, საჭმელშიც მიზავებდა; ჩემი ტანსაცმელი ლოცვებზე დაჰქონდა, ნაკურთხ წყალს მასმევდა.

**— ამდენ ტკივილს მიუხედავად, ფსიქოლოგიურად მაინც არ გატყდით...**

— (*მაწყვეტინებს*) ესეც დედის დამსახურებაა. პერიოდულად გავდიოდი ფსიქო და ფიზიკური რეაბილიტაციის კურსს. ბავშვობაში დედას ხშირად დავყავდი კინოში, სპექტაკლებზე, შემდეგ კი შინაარსს მეკითხებოდა, მაყოლებდა — ამ მეთოდით ის ჩემს დაზიანებულ ტვინს ავარჯიშებდა, რამაც შედეგი ნამდვილად გამოიღო, ჩემი გონება განვითარდა. მერე რა, რომ ინვალიდი ვარ, მადლობა უფალს, სიცოცხლე შემინარჩუნა და უნარშეზღუდული არ ვარ, შრომა შემიძლია.

**30 წელია, რაც ასეთი მოხერხებული, 2-იარუსიანი საწოლი დავამზადე**

**— დიდი ხანია, რაც ასე მწოლიარე მდგომარეობაში მუშაობთ?**

— უკვე 30 წელია, რაც ასეთი მოხერხებული, 2-იარუსიანი საწოლი დავამზადე. მე აქედან და ამ ფორმით ვებრძვი ცხოვრებისეულ სიძნელეებს.

**— თქვენ ამზადებთ გასაღებებს, ხსნით სეიფებს, ბანკომატებს და ა.შ. ეს ყველაფერი სად ისწავლეთ?**

— საერთოდ, ხელობა ყოველთვის მიზიდავდა, ყველაფერს ადვილად ვითვისებდი. კიევში გავიცანი პიროვნება, რომელიც ლითონის ჩამოსხმისა და დნობის ტექნოლოგი იყო. ის ქვეყნის მასშტაბით, წამყვან სპეციალისტად მიიჩნეოდა. სწორედ მისი დახმარებით ვისწავლე ოქრომჭედლობა, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჩამოსხმა, ბეჭდების (საბუთებისთვის) დამზადება, ზეინკლობა. იმავე პერიოდში ახლობელმა, რომელიც უშიშროების თანამშრომელი იყო, მითხრა, — ერთი საინტერესო პიროვნება უნდა გაგაცნო. ის ოდესღაც კანონიერი ქურდი იყო, ახლა პატიოსნად ცხოვრობს და ხელობას უფრო კარგად შეგასწავლისო. დავიბენი, — სად შენ და სად კანონიერი ქურდი-მეთქი? დამამშვიდა: ნუ ნერვიულობ, ბრეჟნევის მფარველობის ქვეშ იმყოფებაო. ის კაცი სახელმწიფოს დავალებით, სპეცშეკვეთებზე მუშაობდა, მოდელიერი იყო. მან ბევრი რამ მასწავლა, მაგრამ ინვალიდობის გამო, ექიმები მუშაობას მიკრძალავდნენ. ყოველ წელს შემოწმებას გავდიოდი და კომისიის წევრები მაფრთხილებდნენ, — თუ შენს საქმიანობას არ შეეშვები, პენსიას მოგიხსნითო. მირჩევდნენ, რაიმე უფრო მსუბუქი მეკეთებინა, მაგრამ დღეს სწორედ ის ხელობები გამომადგა, რასაც მაშინ მიკრძალავდნენ.

**— სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ცხოვრება როგორ აიწყვეთ?**

— თბილისში ჯერ ჩემი ძმა ჩამოვიდა, — ჩავალ, თქვენს გადასაყვანად პირობებს შევქმნი და მერე ჩამოდითო. სამწუხაროდ, ის ძმა დამეღუპა, დენის მაღალმა ძაბვამ იმსხვერპლა. მოგვიანებით, სამშობლოში მე, დედა და ჩემი ერთი ძმა დავბრუნდით. თავიდან, რა თქმა უნდა, ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა ავაწყვეთ ცხოვრება. მე თოიძის სახელობის სასწავლებელში ჩავაბარე, რომლის დასრულების შემდეგაც ხაშურში გამანაწილეს, ეს რაიონი თავად ავირჩიე.

**— რატომ?**

— საქართველოში დაბრუნებისთანვე ჩემი გვარის გენეალოგიის შესწავლა დავიწყე და დავადგინე, რომ წინაპრები დმანისის რაიონის სოფელ გომარეთში მცხოვრები თეთრაძეები ყოფილან. მერე, რატომღაც, სამი ძმა ხაშურის რაიონის სოფელ ტეზერში გადასახლებულა და ახალი გვარით — გომარელი — დაუწყიათ ცხოვრება... ხაშურში მუშაობა რესტავრატორად დავიწყე. შტამპებს, სხვადასხვა სირთულის ბეჭდებსაც ვამზადებდი. სხვათა შორის, მაშინაც უშიშროების სამსახური მაკონტროლებდა.

**— და დღესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობთ, არა?**

— რა თქმა უნდა, ისინი ვიდეოთვა-

**უამრავი ხელსაწყოსა თუ დანადგარისგან მოშორებით, სალოცავი კუთხე აქვს მოწყობილი**

ლით მაკონტროლებენ და ჩემთან მოსული თითოეული ადამიანი ფიქსირდება. მე 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობ — თუ ვინმეს ბინა, სეიფი, მანქანა და ა.შ. ჩაეკეტება, დახმარებას ვუწევ, ნებისმიერი სირთულის პრობლემას ვაგვარებ. ოღონდ, პირობა ასეთია: დამკვეთი აუცილებლად, ჩემთან უნდა მოვიდეს, მისი მონაცემები სპეციალურ ჟურნალში შემაქვს და მხოლოდ ამის შემდეგ მივყვები. ეს ყველაფერი საჭიროა იმისათვის, რომ ვინმემ ჩემით ბოროტად არ ისარგებლოს.

**— მარტო მუშაობთ? ფეხზე დგომა და სიარული რომ გიჭირთ, დამკვეთის მომსახურებას როგორ ახერხებთ?**

— ჩემთან ერთად ჩემი ძმაც მუშაობს; ისიც ინვალიდია, მხედველობასთან დაკავშირებით პრობლემები აქვს. ჰოდა, იმას, რისი გაკეთებაც ფიზიკურად მიჭირს, ის აკეთებს. საქმიანობის გასაფართოებლად სახსრები მჭირდება და დახმარებისთვის სხვადასხვა უწყებას არაერთხელ მივმართე, მაგრამ უშედეგოდ. სხვათა შორის, ვინაიდან ჩემი „საწოლ-სახელოსნო“ ცენტრალური ქუჩებიდან მოშორებულია, დამკვეთი ხშირად ვერ მპოულობს.

**— ეს პროფესია შემოსავლიანი არ არის?**

— ხშირად, პურის ფულიც არ მაქვს. ისეთი სპეციალობის კაცი ვარ, მუდმივად მიწევს ბრძოლა ჯერ საკუთარ თავთან და მერე — რეალობასთან, რადგან არ მინდა, ღმერთისგან ბოძებული ნიჭი ბოროტად გამოვიყენო... ბოლო დროს შეკვეთები ძალიან შემცირდა.

**— ამ საქმით საქართველოში ბევრი ადამიანია დაინტერესებული?**

— ვარ დამფუძნებელი და თავმჯდომარე „საქართველოს ლოქსმასტერთა ფედერაციის“. დაინტერესებული ბევრია, მაგრამ შსს-ს ნებართვის გარეშე ჩვენთან ვერ მოხვდები. რეკომენდაცია მინიმუმ, სამმა პირმა უნდა გაგიწიოს.

**— უცხოელ კოლეგებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

— მსოფლიოს ლოქსმასტერთა ჯგუფის წევრი ვარ. ისინი სემინარებს პერიოდულად ატარებენ და ამ შეკრებაზე დასწრება პროფესიული ზრდისთვის აუცილებელია. სამწუხაროდ, ბოლო 3 სემინარზე უსახსრობის გამო ვერ წავედი, არადა, იქიდან დიდი ცოდნით დავბრუნდებოდი.

**— მითხარით, 7 შვილის მამა ვარო...**

— დიახ. 4-ჯერ ვიყავი დაქორწინებული. ცოტა რთული ხასიათი მაქვს. მართალია, სულიერი სიმტკიცე არ დამიკარგავს, მაგრამ გადატანილმა ტრავმებმა ჩემში თავისებური კვალი მაინც დატოვა. როცა ცუდად ვარ, მონასტერში მივდივარ და 1-2 კვირით იქ ვრჩები. ჩემი უფროსი ვაჟი უკრაინაში ცხოვრობს, დანარჩენები აქ არიან. უმცროსი გოგონა 5 წლისაა. მართალია, შვილები ჩემთან არ ცხოვრობენ, მაგრამ იმას, რასაც ვშოულობ, მთლიანად მათ ვახმარ. ერთმანეთთან ძალიან მეგობრული, თბილი დამოკიდებულება გვაქვს და ეს მახარებს.

**— ბატონო გიორგი, ხერხემალზე ოპერაცია რომ გაგეკეთებინათ, შედეგი არ იქნებოდა?**

— ჯერ ერთი, ამის საშუალება არ მქონდა და თანაც, ვიცი, რომ ზოგიერთ პაციენტს ოპერაციის შემდეგ მდგომარეობა უმძიმდება. ღმერთს იმისთვისაც მადლობას ვწირავ, რომ უარესად არ ვარ. საერთოდ, პლასტიკური ადამიანი გახლავართ და უკრაინაში პანტომიმის თეატრშიც დავდიოდი, მაგრამ სამწუხაროდ, სპექტაკლებში მონაწილეობა არ შემიძლია...

*გიორგი გომარელის სახელოსნოს კედლებს არაერთი ფოტო ამშვენებს — დედის, მშობლების, დების, მოძღვრის და უკრაინაში მდებარე იმ სახლის, სადაც ბავშვობა გაატარა. უამრავი ხელსაწყოსა თუ დანადგარისგან მოშორებით, სალოცავი კუთხე აქვს მოწყობილი. ხატებთან კანდელი ჩაუქრობლად უნთია და ამბობს, — როცა რამე წამომტკივდება, ვლოცულობ, მერე კანდელიდან ნაკურთხ ზეთს ვიღებ, მტკივნეულ ადგილზე ჯვრებს გამოვისახავ ისე, როგორც ამას დედა მიკეთებდა, ბავშვობაში და ვიკურნებიო...* ■

ემიგრანტი

# „ოსლოს მშვიდობის“ პირველი სტიპენდიანტი

## „მინდა, საქართველო ვასახელო...“

**ნინო ქემოკლიძე ამერიკაში სასწავლებლად 11 წლის წინ წავიდა, შემდეგ კიდევ რამდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტში მიიღო განათლება, ბოლოს სპეციალობად კონფლიქტოლოგია აირჩია, მაგისტრის ხარისხი დაიცვა, ახლა კი ბირმინგემის უნივერსიტეტში, სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს, პარალელურად — ლექციებს კითხულობს. მიზანსწრაფულ, შრომისმოყვარე გოგონას სურს, საქართველოს კონფლიქტების მოგვარებაში მოკრძალებული წვლილი შეიტანოს. ახლახან ნინო სამთვიანი მივლინებით, სამშობლოში იმყოფებოდა და ინტერვიუც მის გამგზავრებამდე ჩავწერეთ.**

თეა ხურცილავა

— თბილისში დავიბადე და გავიზარდე. ბავშვობაში ყველა საგანი მაინტერესებდა, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ არჩევანი ჰუმანიტარულზე გავაკეთე. 17 წლის ვიყავი, პირველად აშშ-ში, გაცვლითი პროგრამით რომ წავედი და მეთორმეტე კლასი ამერიკის სამხრეთში, არკანზასის შტატის პატარა ქალაქ ქოუვში დავამთავრე. არკანზასში ამერიკელების ოჯახში ვცხოვრობდი. ჩემი ამერიკელი „მამა“ სკოლის დირექტორი იყო, „დედა“ — მასწავლებელი. სხვათა შორის, მასპინძელ ოჯახთან და კლასელებთან დღემდე მაქვს ურთიერთობა... თბილისში დაბრუნებულმა სწავლა სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე გავაგრძელე. სტუდენტობის პერიოდში ამერიკაში წასვლა კიდევ ერთხელ მომიხდა — ამჯერად, სტუდენტური პროგრამით, ამერიკის ჩრდილო აღმოსავლეთით, მენის შტატის ქალაქ პორტლენდში ამოვყავი თავი და იქაურ უნივერსიტეტში ამერიკანისტიკას ვსწავლობდი.

**— ყველაზე მეტად, ამერიკის რომელი ქალაქი მოგეწონათ?**

— ულამაზესი ქალაქია წყნარი ოკეანის სანაპიროზე გაშენებული პორტლენდი. სხვათა შორის, იქ სწავლის დროს ჟურნალისტობაც დავიწყე: უნივერსიტეტის გაზეთში სტატიებს ვაქვეყნებდი და საუკეთესო რეპორტიორის სტატუსიც მომანიჭეს. სტაჟირებას გავდიოდი მენის მსოფლიო ურთიერთობათა საბჭოში, სადაც გავიცანი თომას გოლცი — ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი, რომელსაც არაერთ კონფლიქტის ზონაში უმუშავია. ის მენში ლექციებს კითხულობდა და საზოგადოებას ჩეჩნეთის ომზე დაწერილ საკუთარ წიგნს აცნობდა. როცა გამოველაპარაკე, მითხრა, რომ წიგნს საქართველოზეც წერდა (ეს წიგნი 2006 წელს გამოქვეყნდა)... ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ სტაჟირება პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში გავიარე, შემდეგ კი საგარეო საქმეთა სამინისტროში ამოვყავი თავი — მაშინ პირველად გამოცხადდა ღია კონკურსი და ამ გზით დიპლომატიურ სამსახურში მოვხვდი, მაგრამ სულ ცოტა ხნით — იქ 6 თვე ვიმუშავე, 2005 წელს კი ბრიტანეთის ჩევინინგის სტიპენდიანტი გავხდი და სასწავლებლად ედინბურგის უნივერსიტეტში წავედი, სადაც მაგისტრატურაში ვსწავლობდი, ნაციონალიზმის სპეციალობით. შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში ცხოვრება მართლაც, საოცრება იყო. ამ უძველესი არქიტექტურის მქონე ნისლიან ქალაქში ყოფნისას თავი შუა საუკუნეებში გეგონებათ.



ავსტრალიაში კენგურუს ხორცს ისე მიირთმევენ, როგორც ჩვენ – ძროხისას

**— არჩევანი მაინცდამაინც კონფლიქტოლოგიაზე რატომ შეაჩერეთ?**

— პატარა ვიყავი, როცა ჩვენს ქვეყანაში კონფლიქტები დაიწყო. მამა სამხედრო პირი გახლდათ, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში იბრძოდა. იმ ასაკში ყველაფერს ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ რაღაცები მაინც მტკივნეულად გადავიტანე. მახსოვს, დეიდაშვილებიც ჩვენთან ცხოვრობდნენ და დედა გვაფრთხილებდა, — ფანჯარასთან არ მიხვიდეთო! როცა იმ პერიოდის შესახებ უცხოელ მეგობრებს ვუყვები, ამბობენ, — რა საინტერესო ბავშვობა გქონიაო!.. ალბათ, სწორედ იმ წლებმა მიბიძგა ამ პროფესიის არჩევისკენ. ომებზე წიგნები იწერება, მაგრამ მშვიდობის ფაქტორს ნაკლები ყურადღება ექცევა. ყოველთვის მაინტერესებდა იმის გარკვევა, თუ რატომ იწყება ომი? როგორ შეიძლება, ამდენწლიანი ერთად ცხოვრების შემდეგ, ადამიანები ერთმანეთს დაერიონ?!. ჩვენი ქვეყნის ეთნოკონფლიქტებზე მუშაობა ედინბურგში დავიწყე, იქ ჩაეყარა საფუძველი იმ თემას, რომელზეც დღემდე ვმუშაობ — ამჯერად, როგორც დოქტორანტურის სტუდენტი... რამდენიმე წლის წინ გავიმარჯვე ადამიანის უფლებათა დაცვისა და მმართველობის გრანტების პროგრამაში, რომელმაც საშუალება მომცა, ერთი წლით უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გადავსულიყავი. უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტში ლტოლვილთა დაცვის პროგრამაში ვმუშაობდი. ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუშაობამ უზარმაზარი გამოცდილება შემძინა და ვერ გადამეწყვიტა, ამ სფეროში დავრჩენილიყავი თუ დიპლო-

მატიურ კარიერას დავბრუნებოდი. ამასობაში „ოსლოს მშვიდობის“ პირველი სტიპენდიანტი გავხდი და სასწავლებლად ჯერ ნორვეგიაში, ოსლოს საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტში წავედი, შემდეგ კი ავსტრალიის ეროვნულ უნივერსიტეტში. ეს იყო ნორვეგიისა და ავსტრალიის მთავრობების ერთობლივი სტიპენდია სამაგისტრო პროგრამისთვის, რომელიც წელიწადში ერთხელ, მთელ მსოფლიოში მხოლოდ ერთ სტუდენტს გადაეცემა. ამ სტიპენდიამ ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა, საშუალება მომეცა მესწავლა ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კვლევით ინსტიტუტში და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში. ამ პროგრამის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობებში — მშვიდობისა და კონფლიქტების სპეციალობით — მეორე მაგისტრის ხარისხი მომანიჭეს. სხვათა შორის, ოსლოში ვიყავი,

სადოქტოროს დაცვის შემდეგ მინდა, საქართველოში დავბრუნდე...

როცა ამერიკის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ ალბერტ (ალ) გორს ნობელის პრემია გადასცეს. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ნობელის მშვიდობის ცენტრმა, სადაც ინახება ინფორმაცია თავად ალფრედ ნობელისა და ნობელის მშვიდობის პრემიის 120-მდე ლაურეატის შესახებ. ჰოდა, მაშინ დავიქადნე, — ერთ დღეს ნობელის პრემიას ქართველი ლაურეატიც ეყოლება-მეთქი!.. როგორც გითხარით, ოსლოს შემდეგ, ავსტრალიაში მომიხდა წასვლა. ამ ქვეყანამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

**— მაინც, რით აღგაფრთოვანათ ავსტრალიამ?**

— იქ არაჩვეულებრივი ბუნება და კლიმატია, ძალიან თბილი ხალხი ცხოვრობს. სხვათა შორის, ისინი გარემოს დაცვაზე საოცრად ორიენტირებულნი არიან. სტუდენტურ საცხოვრებელში სამ ავსტრალიელ გოგონასთან ერთად ვცხოვრობდი. ჭერზე ობობას ქსელი შევამჩნიე და იქაურობის გასუფთავება გადავწყვიტე, მაგრამ ამის საშუალება არ მომცეს: რა დაგიშავა ამ ობობამ, ესეც ხომ ცოცხალი არსებაა?! ავსტრალიაში კენგურუს ხორცს ისე მირთმევენ, როგორც ჩვენ — ძროხისას. ნიანგის ხორციც გამასინჯეს. მეგობრები მეუბნებოდნენ, — კენგურუები რომ მოგწონს, გველმა რა დაგიშავა, ისიც ხომ ცოცხალი არსებაა, ბუნების განუყოფელი ნაწილიო?! თავიდან ვფიქრობდი, ესენი მოცლილები არიან-მეთქი, ხმამაღლა კი ვამბობდი: თქვენ არა გაქვთ ის საყოფაცხოვრებო პრობლემები და კონფლიქტები, რაც ჩვენ, ქართველებს. რა დროს ცხოველების უფლებების დაცვაა, როცა ადამიანის უფლებებია დაუცველი-მეთქი?!. ჩემი აზრით, ადამიანის უფლებები ყველაზე მეტად ნორვეგიაშია დაცული. იქ ქალს და კაცს ყველა საქმე თანაბრად აქვს განაწილებული; ბავშვებს ძირითადად, მამები ასეირნებენ. ვფიქრობ, სკანდინავიის ქვეყნებში ცხოვრება ქალებისთვის სამოთხეში ყოფნის ტოლფასია.

**— ალბათ, საზღვარგარეთ ბევრ საინტერესო ადამიანს შეხვედრიხართ.**

— ფილიპინების ელჩი ავსტრალიაში ჩემი ჯგუფელი იყო. ავსტრალიის მაშინდელ პრემიერ-მინისტრს, ქევინ რუდსაც შევხვდი, რომელსაც ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. როგორც „ოსლოს მშვიდობის“ სტიპენდიანტს, ხშირად მიწევდა ავსტრალიაში ნორვეგიის ელჩთან სტუმრობა და ერთხელ, საკუთარ სახლში მოწყობილ სადილზეც მიმიწვია, რომელსაც ეროვნული უნივერსიტეტის რექტორიც ესწრებოდა. ავსტრალიაში შევხვდი ნორვეგიის საერთაშორისო დახმარების მინისტრსაც. ბატონ ერიკ სოლეიმს ნორვეგიიდან ვიცნობდი — მან საპატიო სტუმრის სტატუსით რამდენიმე ლექცია ჩაგვიტარა. ამჯერად იგი ხელმძღვანელობდა ნორვეგიის მთავრობის დელეგაციას ავსტრალიაში და მათ წინაშე მომიხდა სიტყვით გამოსვლა — აინტერესებდათ ჩემი შთაბეჭდილებები ნორვეგიისა და ავსტრალიის განათლების სისტემებზე. ბატონმა სოლეიმმა აღნიშნა, რომ იგი ნამყოფი იყო ჩვენს ქვეყანაში და საქართველოს პირველ ლედის, ქალბატონ სანდრა რულოვსსაც შეხვდა. ის დაინტერესებული იყო სამხრეთ ოსეთის კონფლიქტით. ბატონმა სოლეიმმა დიპლომატიური და აკადემიური საზოგადოების წინაშე აღნიშნა: ნორვეგია და ავსტრალია — ორივე არაჩვეულებრივი სილამაზის მქონე ქვეყანაა, მაგრამ საქართველოს ვერც ერთი ვერ შეედრებაო... სამაგისტრო თემა კოსოვოს, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხზე დავწერე. ასევე ვმუშაობდი ლექტორის თანაშემწედ და სემინარებს ვატარებდი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში. ჩემი სამაგისტრო თემის არჩევიდან რამდენიმე დღეში აგვისტოს ომი დაიწყო. დღემდე საშინლად მახსენდება ის წუთი, როდესაც ტელეეკრანიდან შევიტყვე, რომ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტი განახლდა, რომ რუსეთის თვითმფრინავები თბილისს ბომბავდნენ. სასწრაფოდ, მშობლებთან დაკავშირება ვცადე, მაგრამ — უშედეგოდ. ავსტრალიის ტელევიზიით თვალს ვადევნებდი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და მახსოვს, ყველა თანაკურსელი ჩემთან იკრიბებოდა, მგულშემატკივრობდნენ. როცა სიტუაცია ასე თუ ისე, დარეგულირდა, ჩემმა დეპარტამენტმა უნივერსიტეტში ლექციის ჩატარებაც კი მთხოვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებზე... ავსტრალიაში ლექტორის თანაშემწედ ვმუშაობდი. ჯერ კიდევ ნორვეგიასა და ავსტრალიაში წასვლამდე, ბრიტანეთის რამდენიმე უნივერსიტეტიდან მიწვევა მქონდა, რომ სწავლა დოქტორანტურაში გამეგრძელებინა, საბოლოოდ კი არჩევანი ბირმინგემის უნივერსიტეტზე გავაკეთე და უკვე მეორე წელია, სადოქტორო დისერტაციაზე ვმუშაობ, ამავე დროს ლექციებს ვატარებ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებთან...

**— საინტერესოა, რამდენ ენას ფლობთ?**

— ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ესპანურ ენებს... ყველა ქვეყანაში იმას ვცდილობ, ქართველები ვიპოვო. როცა უნივერსიტეტში კულტურის დღეები ტარდება, მინდა, ჩემი ქვეყანა წარმოვაჩინო. ხშირად ვამზადებ ხაჭაპურს — უცხოელებს ძალიან უყვართ. როცა ავსტრალიელი მეგობრები საქართველოში ჩამოვიყვანე, გაუკვირდათ: როგორ შეიძლება, ასეთ ქვეყანაში ომი იყოს და შენ ეთნოკონფლიქტებს სწავლობდეო?!.

**— თქვენს სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

— სადოქტოროს დაცვის შემდეგ მინდა, საქართველოში დავბრუნდე და საზღვარგარეთ შეძენილი ცოდნა საკუთარ ქვეყანას მოვახმარო. როგორც ყველა ქართველი, მეც ვოცნებობ იმ დღეზე, როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება და აფხაზეთის ნახვას შევძლებ. მჯერა, ეს დღე აუცილებლად დადგება! ■

„ოსლოს მშვიდობის“ პირველი სტიპენდიანტი გავხდი

# პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან

## წერილი მეხუთე

(დასაწყისი იხ. „გზა“, №44)

## „შვილიშვილმა სახლიდან წამოსვლა არ მაპატია“

თეა ხურცილავა

— ანა ბებო, შეიძლება? — *ამ სიტყვებით შეაღო პანსიონატის ბიბლიოთეკარმა, ნანა გოგიაშვილმა მოხუცის ოთახის კარი.*

— მობრძანდი. რომელი ხარ? — *შეგვიპატიჟა ქალბატონმა და ჩვენც პატარა, მყუდრო ოთახში მაშინ აღმოვჩნდით, როცა ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული მოხუცი კატლეტებს ამზადებდა.*

— ახლავე გადავდებ ამ საქმეს, თქვენ კი დაბრძანდით.

— ანა ბებო, მე დაგეხმარები, ხელს დავიბან, — *უთხრა ჩემმა მეგზურმა და კატლეტების ცხობას თავად შეუდგა.*

— თქვენ ალბათ, ჟურნალისტი ხართ, არა? — მკითხა ღიმილით და ისევ ბიბლიოთეკარს მიმართა: — „გზა“ მომიტანე?

— კი, ანა ბებო, აგერ დავდე.

— ახლა ჩემზე უნდა დაწეროთ? — *ისევ ცნობისმოყვარედ იკითხა და ახალი კითხვაც დასვა:* — ჯერ ის მითხარი, რამდენი წლის ვიქნები?

— **ალბათ, 75-ის,** — *ვუპასუხე.*

— არა, ბებო, 91 წლის ქალი ვარ. ბედნიერი ვიქნებოდი, შვილების გარდაცვალებას რომ არ მოვსწრებოდი. ღმერთმა ყველა დაიფაროს იმ ტკივილისგან, რაც მე გადავიტანე; სიმწრით გაზრდილი შვილები მიწას მივაბარე, — *მითხრა მოხუცმა და თვალები აუცრემლიანდა, მერე კი კედლისკენ მიმითითა, სადაც მისი შვილების ფოტოები ეკიდა.*

**ანა გორდაძე:**

— თბილისში, ხელოსნის ოჯახში დავიბადე. მამა ოქრომჭედელი იყო, დედა — დიასახლისი. სოლოლაკში ვცხოვრობდით. სკოლის დამთავრების შემდეგ სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე ჩავაბარე და სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, როცა კახეთში, სოფელ ხირსაში, შრომა-გასწორების კოლონიაში სტომატოლოგად დავიწყე მუშაობა. მიმაგრებაში მყოფი პატიმრები მევენახეობით იყვნენ დაკავებულნი. კოლონიას არაჩვეულებრივი დირექტორი ჰყავდა, დავით მხეიძე. სოფელი ჭაობიან ადგილას იყო გაშენებული და რა გასაკვირია, რომ მალარია გავრცელდა, ამ დაავადებისგან პატიმრები ყოველდღე იხოცებოდნენ — დღეში 2 გვამი მაინც მიჰქონდათ. ჩვენ თითოეული პატიმრის გარდაცვალება შრომა-გასწორების სამმართველოსთვის უნდა გვეცნობებინა. სიკვდილიანობის ფაქტმა იმდენად შემაშფოთა, რომ თბილისიდან 1 კილოგრამი ხინას ტაბლეტები წავიღე და გამთენიისას, როცა პატიმრები სამუშაოდ გადიოდნენ, ახალგაზრდა გოგო „ვახტაზე“ ვდგებოდი და სათითაოდ ყველა პატიმარს დაფშვნილ წამალს ვაყრიდი პირში. ამ მეთოდმა გაამართლა, პატიმრები აღარ იხოცებოდნენ. ჰოდა, ერთხელაც სამმართველოში გამიბრაზდნენ — სიკვდილიანობას რატომ მალავთ, ინფორმაციას რატომ არ აგზავნითო? ავუხსენი, რომ ამ დაავადებისგან აღარავინ კვდებოდა და ისიც დავამატე, თუ როგორ მივაღწიე ამას... გარკვეული პერიოდის შემდეგ თბილისში, ორთაჭალაში მდებარე შრომა-გასწორების კოლონიაში გადმომიყვანეს.

— **ახალგაზრდა ქალს პატიმრებთან ურთიერთობა არ გიჭირდათ?**

— არა. მახსოვს, იმ პერიოდში ჩემი კოლეგა, ბათუმელი სტომატოლოგი იხდიდა სასჯელს — მაშინ ოქროს კბილზე მუშაობა აკრძალული იყო და ამის გამო ამხილეს. ძალიან კარგი ადამიანი გახლდათ, მისთვის შინიდან მიმქონდა საჭმელი, ჟურნალ-გაზეთები. საერთოდ, ვცდილობდი, მდგომარეობა ყველა პატიმრისთვის შემემსუბუქებინა და ერთხელ მათ გამო დიდ რისკზეც წავედი — პატიმრებს დღესასწაულზე ღვინო შევუტანე... ციხეში ერთი ახალგაზრდა ქალი, როზა იჯდა, რომელსაც თურმე, ბიჭი შეუყვარდა და ცოლად ისე გაჰყვა, არც კი იცოდა, რომ ის „კანონიერი ქურდი“ იყო; მერე როზასაც შეეცვალა მენტალიტეტი. როცა ვკითხე, — ასეთი ცხოვრება რატომ დაიწყე-მეთქი? მიპასუხა: — აბა, რა მექნა, ექიმო, ისეთ გარემოცვაში მოვხვდი, სხვანაირად არც შეიძლებოდაო. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, როზას მეუღლეს უვადო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი და მისი საკნის ფანჯარა ჩვენი შრომა-გასწორების კოლონიის ეზოდან კარგად ჩანდა. ჰოდა, ყოველდღე, 12 საათზე, როგორც წესი, როზა თავისი ოთახის ფანჯარასთან დგებოდა, ქმარი კი ციხის გისოსებიან ფანჯარასთან და ცოლ-ქმარი ასე, ხელებით ელაპარაკებოდა ერთმანეთს... როცა როზას პატიმრობის ვადა დაუმთავრდა, ციხიდან გასვლის წინ ზედამხედველს უთხრა: — იცოდე, ჩემს „კოიკას“ ვინმეს თუ მისცემ, ცოცხალი ვერ გადამირჩები. 10 დღეში დავბრუნდებიო. როზამ პირობა შეასრულა — თავის „კოიკას“ მალევე დაუბრუნდა, რათა ქმარი შორიდან მაინც დაენახა ხოლმე.

— **ოფიციალურად, ცოლ-ქმარს პაემნის უფლება არ ჰქონდა?**

— ქმარი იმდენად მძიმე ბრალდებით იყო დაკავებული, რომ ცოლთან შეხვედრაც კი აკრძალული ჰქონდა. რა ბედი ეწია საბოლოოდ როზას, არ ვიცი, რადგან იმ სამსახურიდან წამოვედი... ცოტა ხანი ონკოლოგიურ საავადმყოფოშიც ვმუშაობდი, მაგრამ მერე, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, იქ სტომატოლოგის შტატი გაუქმდა, შემდეგ კი მალევე გავთხოვდი.

— **იქნებ გვიამბოთ, როგორ შეიქმნა თქვენი ოჯახი?**

— ერთ-ერთ სტომატოლოგიურ კლინიკაში ვმუშაობდი, როცა ჩემთან სამკურნალოდ ბავშვთა ტრავმატოლოგი, ცისანა ფაღავა მოვიდა. ჩვენ სამსახურიდან ერთად გამოვედით. ცისანას ვიღაც სიმპათიური მამაკაცი მიესალმა. გაირკვა, რომ ის მისი ჯგუფელის ძმა იყო. როცა ცისანას დავშორდი, ეს მამაკაცი უკან მობრუნდა და გამომელაპარაკა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვუთხარი, — ახლა ჩემი მეუღლე მოვა, მას უნდა დავხვდე-მეთქი. ჰოდა, ისიც წავიდა. მეორე დღეს პოლიკლინიკის ექთანმა მითხრა: — ანიკო ექიმო, ვიღაც მამაკაცმა თქვენზე მკითხა, გორდაძე მისი გვარია თუ ქმრისო? ვუპასუხე, რომ გათხოვილი არ ხართო. მაშინ ვერ მივხვდი, ექთანი ვისზე მელაპარაკებოდა... ერთ დღეს ცისანას ნაცნობი ტრამვაიში ამოვიდა, გვერდზე მომიჯდა და თავი შემახსენა. მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ ჩემი თაყვანისმცემელი ონკოლოგიურის დირექტორთან, პროფესორ შოთაძესთან მეგობრობდა და მასაც გამოჰკითხა ჩემი ამბები. ჰოდა, ერთ დღეს კაბინეტის კართან დამხვდა, გამომელაპარაკა და მითხრა, — სამტრედიაში, ქორწილში ვარ დაპატიჟებული და წამომყევიო. გავბრაზდი: — ვიღაცაში გეშლებით. არ გიცნობთ და თქვენთან ერთად რატომ წამოვალ-მეთქი? — მაშინ საჩუქარი ამარჩევინეთო, — მთხოვა. უფრო გავბრაზდი, — არც თქვენი გემოვნება ვიცი და არც საჩუქრის ადრესატისმეთქი და დავშორდი.

3 თებერვალს, ანაობას ოპერაში

წავედი, იქიდან შინ დაბრუნებულს კი სუფრა გაშლილი დამხვდა, მაგიდაზე დიდი ტორტი იდო. დედამ მისაყვედურა, — ადამიანს რომ დაპატიჟებ, სახლში უნდა დახვდეო. თურმე, ჩემი თაყვანისმცემელი ტორტით ხელში მესტუმრა და ვინაიდან შინ არ დავხვდი, დედას შენუხებისთვის ბოდიში მოუხადა და წავიდა. მართლა ვერ მივხვდი, ვის უნდა მოეტანა ჩემთვის ტორტი... მოკლედ, მომავალმა მეუღლემ ბევრი მდია, იმდენი ქნა, რომ თავი შემაყვარა და 28 წლის ვიყავი, როცა ცოლად გავყევი. მალე ქალ-ვაჟი შეგვეძინა და თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობდი, მაგრამ მერე ჩემი ცხოვრების ჩარხი უკუღმა დატრიალდა... ჩემი მეუღლე ელექტრიფიკაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. დედამთილს ორთაჭალაში ულამაზესი ეზო ჰქონდა და ჩემი მეუღლე მასთან ვარდების ნერგების წამოსაღებად მივიდა — ნერგები ინსტიტუტის ეზოს გასალამაზებლად უნდოდა. ჰოდა, ბარს ფეხი რომ დაჰკრა, ტრომბოემბოლია დაემართა და 42 წლის ასაკში დავქვრივდი. ჩემს შვილებს ობლობა არ უგრძნიათ, რადგან ჩემი ძმა — ვლადიმერი მხარში მედგა და ბავშვები ისე გამაზრდევინა, მატერიალური პრობლემა არ შემქმნია. ვაჟი იურისტი იყო, ქალიშვილი — ფიზიკოსი. მათ ოჯახები შექმნეს და ბედნიერად ცხოვრობდნენ... ჩემი ვაჟის ავადმყოფობა მეხივით დაგვატყდა თავს, ის ჰეპატიტით გარდაიცვალა. ბოლოს რომ ვნახე, მითხრა: — დედა, ჩემს დას უთხარი, ჭკუით იყოსო. ალბათ, გრძნობდა, რომ მის დედმამიშვილს დიდხანს სიცოცხლე არ ეწერა. ჩემი ვაჟი რომ გარდაიცვალა, ერთ თვეში ქალიშვილიც გამომეცალა ხელიდან — ინფარქტით დაიღუპა. ასეა, უმამოდ გაზრდილი შვილები მიწას მივაბარე (*მოხუცმა თავი ვერ შეიკავა და ატირდა, თან — შვილების ფოტოებს ეფერებოდა. — ავტ.*)

ანა გორდაძე

**— დიდი ხანია, რაც აქ ცხოვრობთ?**

— ალბათ გაინტერესებთ, აქ როგორ მოვხვდი. ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისმა გოგონამ, შვილიშვილმა თავის სახლში წამიყვანა. ის ფილოლოგია, 4 შვილის დედა. ბავშვები არაფერს მაკლებდნენ, თავს მევლებოდნენ, მაგრამ მაინც, აქ წამოსვლა გადავწყვიტე. შვილიშვილი ჩემს აქ ყოფნას ისე განიცდის, რომ აღარ მელაპარაკება — სამი წელია, აქ ვარ, მაგრამ ერთხელაც არ დაურეკავს...

**— თუ კარგად გექცეოდნენ, პანსიონატში წამოსვლა რატომ გადაწყვიტეთ?**

— ერთადერთი მიზეზი ის იყო, რომ განმარტოება მინდოდა. დიდი ოჯახია, ბავშვებთან მეგობრები მოდიოდნენ, მუდამ ჟრიამული იყო, მე კი მინდოდა, შვილები მეგლოვა, მათთვის სანთლები დამენთო და მყუდრო გარემოში ვყოფილიყავი. როცა აქ მოსვლის გადაწყვეტილება მივიღე, ოჯახის წევრებისთვის არაფერი მითქვამს, პირდაპირ სახალხო დამცველთან, სოზარ სუბართან მივედი და ვთხოვე, თავშესაფარში მიმიყვანეთ-მეთქი. აქ პირველად რომ მოვედი, მაშინ პანსიონატის უფროსი მერი გოგოლი იყო. მან კარგად მიმიღო და დამპირდა, — როგორც კი ოთახი გათავისუფლდება, დაგირეკავთო, მაგრამ სახლში მისულმა ტელეეკრანიდან გავიგე, რომ მერი გოგოლი თანამდებობიდან წავიდა და მივხვდი, ჩემი საქმე ჰაერში გამოეკიდა... პანსიონატში ერთი თვის მერე მოვედი. ახალმა დირექტორმა, თამთა დემურიშვილმა მითხრა, — 2 დღეში მოდით და ოთახი მზად დაგხვდებათო. პანსიონატში საცხოვრებლად რომ გადმოვდიოდი, ეს ამბავი შვილიშვილმა ტელეფონით გაიგო და გამიბრაზდა... მერწმუნეთ, მის ოჯახში ყველა თავს მევლებოდა; ოჯახის წევრებისთვის, სიძისთვის და დედამისისთვის მადლობის მეტი, არაფერი მეთქმის, მაგრამ მაინც, აქ ყოფნა მერჩივნა... რძალიც მთხოვდა, მასთან მეცხოვრა, მაგრამ ოჯახს, რომელსაც ქალები ინახავენ, ტვირთად ვერ დავაწვებოდი. სწორედ რძალს ვთხოვე, პანსიონატში წამიყვანე-მეთქი, მაგრამ იუარა, — ეს დიდი ცოდვაა, ამას ვერ ჩავიდენ, იქ ვერ მიგიყვანო. ვუპასუხე: მაშინ მოძღვარს ჰკითხე და როგორც ის გეტყვის, ისე მოიქეცი-მეთქი. ეტყობა, მოძღვრისგან თანხმობა მიიღო და წამომიყვანა. სხვათა შორის, რძალი და დედამისი ხშირად მაკითხავენ, ჩემთვის ყველაფერი მოაქვთ... უმადური ვიქნები, აქაურობით კმაყოფილი რომ არ ვიყო — ყველაფერი უფასოა, კარგად გვემსახურებიან, მაგრამ მთავრობაზე ვარ ნაწყენი, ბოლოს მიღებული გადაწყვეტილების გამო.

**— რას გულისხმობთ?**

— პანსიონატში ყველაფერი გემოვნებით იყო მოწყობილი, მაგრამ ახლა დერეფანს, სადაც ვისვენებდით, აუქმებენ და მის ნაცვლად ორ დიდ ოთახს მოაწყობენ, სადაც რამდენიმე მოხუცი უნდა შეასახლონ; ცხადია, მათ საერთო სველი წერტილი ექნებათ... რა უფლება მაქვს, ხმა ამოვიღო, მაგრამ ეს დერეფანი იყო ჩვენი აგარაკიც და ჩვენი რუსთაველის გამზირიც.

**— ქალბატონო ანა, ძალიან ლამაზი ეზო გაქვთ, მაგრამ ალბათ, იქ ჩასვლას ვერ ახერხებთ, რადგან ეტლს ხართ მიჯაჭვული...**

— როცა აქ მოვედი, შრომისუნარიანი ვიყავი, შვილების საფლავზეც ხშირად მივდიოდი და მეგობრებსაც ვსტუმრობდი. 2 წლის წინ, ქალაქიდან პანსიონატში ავტობუსით დავბრუნდი. როცა ტრანსპორტიდან ჩამოვდიოდი, მოულოდნელად, მძღოლმა ავტობუსი დაძრა და ჩამოვვარდი. მენჯის ძვლის მოტეხილობა მაქვს ანუ მძღოლის დაუდევრობის გამო, ინვალიდის ეტლს მივეჯაჭვე, მას კი ერთხელაც არ უცდია გაერკვია, ცოცხალი ვიყავი თუ მკვდარი... პანსიონატის თანამშრომლები ყველაფერში მეხმარებიან, მაგრამ საკუთარ თავს ვერ მივცემ უფლებას, ისინი ზედმეტად შევაწუხო. თქვენ არ იცით, აქ ლოგინად ჩავარდნილი რამდენი მოხუცია, რომლებსაც კოვზით უნდა აჭამონ, გამოუცვალონ, დაბანონ....

**— როგორც ვხედავ, ხელსაქმით ხართ დაკავებული. რას ქსოვთ?**

— ეს ფარდა და მაგიდის გადასაფარებელი ჩემი ხელით მოქსოვე, „ნაჩნიკიც“ ჩემი გაკეთებულია. ახლა შვილთაშვილისთვის მაგიდის სუფრას ვქსოვ... ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ შვილების საფლავზე ვერ მივდივარ, თორემ ახლობლებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს — აქ ცხოვრების გადაწყვეტილება ხომ დამოუკიდებლად მივიღე. ■



# სამყარო

## სპორტის ექსტრემალური საშუალება და თამაში დიდებისათვის ანუ „ნამდვილი ომი“ პლასტმასის ტყვიებით

**საქართველოში სპორტის არაერთი ექსტრემალური სახეობა არსებობს, მაგრამ ნამდვილ ომთან მიახლოებული — მხოლოდ ერთი. აირსოფტით, იმავე სტრაიკბოლით არაერთი ადამიანია გატაცებული. თამაში ნამდვილი ომისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოიყენება და არც მეომრებს უშავდებათ რამე. გიორგი წიკლაური და ასლან ცივაძე ექსტრემალური სპორტის ამ სახეობით არიან გატაცებულები და როგორც თავად აღნიშნეს, შეძლებისდაგვარად, არც ერთ თამაშს არ აკლდებიან...**

ელენე გასილიძე

**გიორგი:**

— აირსოფტი სამხედრო თამაშია, ომის სიმულაცია და გართობის ერთ-ერთი სახეობა... როგორც წესი, თამაშობენ მიტოვებულ სოფლებში, შენობებში, ტყეში, პნევმატური იარაღით, რომელიც 6-მილიმეტრიან ტყვიებს ისვრის და ნამდვილი იარაღის ასლია.

**— სტრაიკბოლს პეინტბოლთან რამე საერთო თუ აქვს?**

**გიორგი:**

— ორივე — თამაშია და მიზანიც ერთია — „გაანადგურო მტერი“, მაგრამ ამ ორი თამაშის სტილი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება. პეინტბოლში საღებავისტყვიებიანი თოფი გიჭირავს და წინასწარ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე თამაშობ, საზღვრის გადაკვეთის უფლებაც არა გაქვს. აირსოფტში კი უფრო რეალურად „ომობ“. არსებობს ასეთი გამოთქმა: airsoft like paintboll, but for mens ანუ აირსოფტი მამაკაცების პეინტბოლიაო...

**— დიდი ხანია, რაც საქართველოში აირსოფტს თამაშობენ?**

— ეს თამაში საქართველოში დაახლოებით 2006 წელს შემოვიდა. თავდაპირველად პატარა, 12-ლარიანი პისტოლეტებით თამაშობდნენ, დღეს უკვე საკუთარი შეიარაღების მაღაზია გვაქვს, სადაც დაინტერესებულ ადამიანს სპეციალურად ამ თამაშისთვის განკუთვნილი იარაღის შეძენა შეუძლია.

**ასლანი:**

— შარშან აირსოფტის ფედერაცია ჩამოვაყალიბეთ და სპორტის კომიტეტში დავრეგისტრირდით. გვყავს პრეზიდენტი, გვაქვს საკუთარი წესდება...

**— თამაშის ძირითადი წესების შესახებ მოგვიყევით.**

**გიორგი:**

— ტყვია მოგხვდება — „მკვდარი ხარ“ — ეს მთავარი წესია, რომლის გარეშეც თამაში აზრს კარგავს. აგრეთვე სავალდებულოა, თამაშის დროს სათვალე არ მოიხსნა. თუ ტყვია თვალში მოგხვდება, შესაძლებელია, ბადურა ისე დაგიზიანდეს, რომ დაბრმავდე. სათვალის მოხსნის შემთხვევაში, დაკარგულ თვალზე პასუხისმგებელი თავად ხარ. გვაქვს ასეთი წესიც — „მკვდრები“ აქეთ-იქით არ დაბორიალებენ და თამაშის მსვლელობას ხელს არ უშლიან...

**ასლანი:**

— აირსოფტის თამაში არასრულწლოვნებს არ შეუძლიათ — ეს ის წესია, რომელსაც ყველა ვასრულებთ. რაც შეეხება სათვალეს, ყველაზე ცუდი ისაა, რომ თამაშის დროს სათვალე იორთქლება და ამის გამო დიდი დისკომფორტი გვექმნება. მიუხედავად ამისა, მაინც არა გვაქვს უფლება, სათვალე მოვიხსნათ და გავწმინდოთ.

**— თუ არის შემთხვევები, როცა ტყვია გხვდებათ, მაგრამ ჯიუტად ამბობთ, — არ მომხვედრიაო?**

— არა! ასეთ მატყუარა ადამიანებს „ჩიტერებს“ ვუწოდებთ. თამაში ღირსებასა და პატივისცემაზეა დაფუძნებული და ადამიანს, რომელიც საკუთარ თავს პატივს არ სცემს, ჩვენთან არ გავაჭაჭანებთ.

**— თამაშებს შორის, აირსოფტი ყველაზე მეტად ჰგავს ნამდვილ ომს, არა?**

— კი, ომი ღმერთმა არ გვანახვოს, მაგრამ თუ ქვეყანას გაუჭირდება, ჩვენც ჯარისკაცებთან ერთად ვიქნებით. ამ თამაშმა ნათლად დაგვანახვა, თუ რა საშინელებაა ომი. თამაშის დროს ვიცით, რომ თუ „მოვკვდით“, რამდენიმე წუთში „გავცოცხლდებით“, ნამდვილ ომში კი, ფეხი თუ გადაგიბრუნდა, ვეღარავინ გიშველის. ფედერაციის ნებისმიერ წევრს რომ ჰკითხოთ, აირსოფტის უარყოფითი მხარე რა არისო? ვერ გიპასუხებთ, იმდენად უყვართ თავიანთი ცხოვრების წესი... ერთადერთი, შეიძლება, სათ-

ვალეზე დაიწუწუნონ (*იცინის*).

**— თამაშში „გაცოცხლება“ რა შემთხვევაში ხდება?**

— ეს თამაშის სცენარზეა დამოკიდებული. ზოგ სცენარში „სიკვდილის“ შემდეგ თამაშში ჩაბმა აღარ შეგიძლია, მაგრამ არის ისეთი სცენარიც, რომლის მიხედვითაც, „სიკვდილიდან“ 15 წუთში „ცოცხლდები“.

**ასლანი:**

— სიმართლე გითხრათ, ყველას „მოგხვდა-გავიდას“ პრინციპით თამაში ურჩევნია: ბევრად უფრო დაძაბული თამაშია, რადგან ვიცით, რომ თუ „მოვკვდებით“, მომდევნო თამაშს მთელი კვირა უნდა ველოდოთ. ხშირად ვირჩევთ ისეთ სტრატეგიას, როცა 3 ადამიანი 50 კაცს ებრძვის...

**— ეს რა სტრატეგიაა?**

— ამ სტრატეგიას „ხერხი სჯობია ღონესა“ ჰქვია...

**— რამდენი გუნდი ირიცხება თქვენს ფედერაციაში?**

— დაახლოებით 15 გუნდია. თითოეულში 10-დან 40 კაცამდე ირიცხება. თითოეულ გუნდს ჰყავს კაპიტანი და გენერალი, რომელსაც გუნდის წევრები ვემორჩილებით. ხშირად, რამდენიმე გუნდი კოალიციას ქმნის და ისე თამაშობს.

**— თქვენი ფოტოების დათვალიერებისას შევამჩნიე, რომ ყველას ერთნაირი ფორმები გაცვიათ...**

— სამხედრო ფორმა პირველ რიგში, შენიღბვაში გვეხმარება. ყველანაირად ვცდილობთ, თითოეულ გუნდს თავისი ფორმა ეცვას. სხვათა შორის, სანამ საქართველოს შეიარაღებული ძალები „მულტიგამის“ ღია ფერის ფორმაზე გადავიდოდა, ის ჩვენ გვეცვა. თამაშის დროს თუ ჩემნაირ ფორმაში ჩაცმულ ადამიანს ვხედავ, მას არ ვესვრი. თუ ხდება ისე, რომ ყველას ერთნაირი ფორმა გვაცვია, ხელზე სანიშნეს ვიკეთებთ, საკუთარი გუნდის წევრი რომ არ „შემოგვაკვდეს“.

**— თამაშის სცენარს თავად წერთ?**

— კი, სხვადასხვა სცენარს ვწერთ: არსებობს სახეობები — ორდროშობანა, მძევლების გათავისუფლება, ჩასაფრება, ტვირთის გადატანა და მისი დაცვის უზრუნველყოფა... შესაძლებელია, სცენარისთვის მეორე მსოფლიო ომის რომელიმე შეტაკება გამოვიყენოთ. მთავარია, შესაბამისი ადგილი და თამაშის შესაძლებლობა გვქონდეს.

**ასლანი:**

— სცენარის წერაში აქტიური მოთამაშეები ვართ ჩართულები. საიტზე ვდებთ სცენარს, რომელსაც მთელი კვირის განმავლობაში განვიხილავთ. მოვარგებთ შესაბამის პოლიგონს და მერე გადავწყვეტთ, თუ როგორ უნდა ვითამაშოთ. ძირითადად, თბილისის

შემოგარენს ვარჩევთ. ყველანაირ პირობებში შეგვიძლია თამაში — წვიმაში, თოვლში, თოვლჭყაპში. ამას წინათ, ჩვენი რამდენიმე მოთამაშე წელამდე ჭაობში იმალებოდა, მოწინააღმდეგეებს რომ ვერ ეპოვათ.

**— როგორც ვხედავ, თითოეულ თამაშში საკმაოდ ბევრი ადამიანი მონაწილეობს...**

— ჩვენს თამაშზე მაქსიმალური დასწრება, სეზონის გახსნისა და დახურვისას იყო. დაახლოებით 160 ადამიანი ვთამაშობდით. 160 კაცი ერთი სოფლის ასაღებად სრულიად საკმარისია (*იღიმის*).

**— რა კატეგორიის ადამიანები თამაშობენ აირსოფტს?**

— ნებისმიერი კატეგორიის... ბიზნესმენები, მასწავლებლები, სამხედრო მოსამსახურეები, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, სპორტსმენები, მომღერლები... სხვათა შორის, ჩვენი ერთ-ერთი მოთამაშე იმდენად გაიტაცა თამაშმა, გადაწყვიტა, ჯარში კონტრაქტით ემსახურა. ასლანი ბანკის თანამშრომელია... ჩვენთან ასაკობრივი ცენზი მხოლოდ 18 წლამდე მოზარდებს ეხებათ, 18 წლის ზემოთ ასაკი შეუზღუდავია. 55 წლის მოთამაშეც გვყავს.

**ასლანი:**

— უამრავ ადამიანს ერთი გატაცება გვაქვს, რომელიც ყველას გვაერთიანებს. საკმაოდ ჩამთრევი და აგრესიული თამაშია, მაგრამ ჩვენი აგრესია პოლიგონზევე მთავრდება. თამაშისას, ყველა გვეზიზღება, საკუთარი თანაგუნდელის გარდა, მაგრამ როგორც კი თამაში მთავრდება, ერთმანეთის მეგობრები ვართ, ბუნებაში ნადიმს ვმართავთ და არაჩვეულებრივად ვერთობით... ვცხოვრობთ ჯანსაღი ცხოვრების წესით, ვნახულობთ მეგობრებს, მთელი კვირის განმავლობაში ნეგატიური ენერგიით ვიმუხტებით, კვირის ბოლოს კი, თამაშის საშუალებით, არაჩვეულებრივ განტვირთვას ვიღებთ და იმდენად დადებითი ენერგიით ვივსებით, სახლში რომ მივდივარ, მთელი დედამიწა მიყვარს. ამ თამაშმა უამრავი ადამიანი დაგვაახლოვა ერთმანეთთან და ამაზე კარგი რა არის?!

**— სტრაიკბოლით ქალბატონებიც თუ ინტერესდებიან?**

— კი, ფედერაციაში დაახლოებით ათამდე ქალბატონი გვყავს. მათგან რამდენიმე ჟურნალისტია, არიან დიასახლისებიც... სხვათა შორის, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელ ჟურნალისტ ქალბატონებს ჩვენს ფედერაციაში ახალი გუნდის დარეგისტრირება სურთ და ალბათ სულ მალე შემოგვიერთდებიან.

**— სახალისო შემთხვევა ალბათ ხშირად გაქვთ...**

**გიორგი:**

— კი, რამდენიც გენებოთ. ერთ მოთამაშეს ჰქონდა იდეა, ნამდვილი ავტომატებით ვიომოთ, „ბრონეჟილეტები“ ჩავიცვათ, ოღონდ თავში სროლებს „არ ვიყოთო“ (*იცინიან*)... ერთხელ, მუხათწყაროში ვთამაშობდით ღამით; შენობას 2 კაცი ვამაგრებდით და ძალიან დიდი ძალა გვიტევდა. მესამე სართულზე ვიყავით გამაგრებულები. ვხედავ, კედელზე ვიღაც მობობღავს. უცრად ფეხი დაუცდა და მეორიდან

მალე!
PALITRA
TV-RADIO
ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!

პირველ სართულზე ჩავარდა. ისეთი ხმა გავიგონე, ვიფიქრე, მორჩა, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი, მაგრამ ძროხის გამხმარ ფუნაზე დაცემულა, რომელმაც მოტეხილობას გადაარჩინა... ერთ-ერთი წევრი გვყავს, რომელიც ფიზიკურად ძალიან დიდია; ბუჩქებში იყო ჩასაფრებული, როცა გვერდით მელიამ ჩაურბინა; დაყარა იარაღი და გამოვარდა ბუჩქებიდან. ვხედავთ, სახეზე ფერი არ ადევს. რა გჭირსო? — ხალხი ეკითხება. — მელა დავინახეო! — მერე, მელამ როგორ შეგაშინაო?! — გაეცინათ ბიჭებს. — რას ამბობ, ცოფიანი რომ ყოფილიყო და ეკბინა, რა უნდა მექნაო?! — უპასუხა (*იცინიან*). ცხოველებთან დაკავშირებული ბევრი სახალისო ამბავი გადაგვხდენია. ერთხელ, სათამაშოდ მივდიოდით და გზაზე კურდღელმა გადაგვირბინა; სასწრაფოდ გავაჩერეთ მანქანა, 5 კბილებამდე „შეიარაღებული“ კაცი გადმოვხტით და კურდღელს დავედევნეთ. უეცრად რკინიგზის მცველი დავინახეთ, გაკვირვებული სახით გვიცქერდა, ვერაფრით მიმხვდარიყო, ამდენი „მწარედ შეიარაღებული“ სამხედრო სად გარბოდა და გვკითხა, რას ვრბენთო?! ჩვენც გავჩერდით და, — კურდღელს მივდევთ-თქო, — ვუპასუხეთ... სამხედრომ ცოტა ხანს გვათვალიერა და გაფითრებული გვეუბნება, — ძალიან გთხოვთ, მაგ კურდღელს თავი დაანებოთ, ჩემიაო!

**ასლანი:**

— ფედერაციაში გვყავს გუნდი, რომელსაც „მგლები“ ჰქვია. ერთხელ, „მტრის“ შემოტევას ელოდებოდნენ, ჩასაფრებულები იყვნენ და მოულოდნელად, ბუჩქების წინ მოხტუნავე თეთრი ბაჭია შენიშნეს. სასწრაფოდ დაყარეს იარაღი. ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც ნადირობითაა გატაცებული, დანა იძრო და იმ საწყალ ბაჭიას გაეკიდნენ... მერე ხუმრობდნენ, — სახელს ვამართლებთ, რისი „მგლები“ ვიყავით, ჩვენ ცხვირწინ მოხტუნავე კურდღელი რომ გაგვეშვაო?! ამას წინათ, ტყეში ვთამაშობდით და მანქანა შევნიშნე. თურმე ბიჭს განსამარტოებლად გოგონა ტყეში წამოეყვანა... მოულოდნელად „მტრები“ დავლანდე და იძულებული გავხდი, მანქანას ამოვფარებოდი... ატყდა სროლა, მანქანა „ორმხრივ ცეცხლში“ მოჰყვა და უეცრად ვხედავ, მანქანის კარი გაიღო, ბიჭი გადმოხტა, გოგონა მიატოვა და შეშინებულმა მოკურცხლა. ისეთი „სიჩქარე განავითარა“, იმის თქმაც ვერ მოვასწარი, არაფრის შეგეშინდეს, ვთამაშობთ-მეთქი!

**— როგორც ვხედავ, მოსახლეობა ნამდვილი სამხედროებისაგან ვერ გარჩევთ, არა?**

— კვირაობით, სათამაშოდ წასვლამდე ჩვენს მაღაზიასთან ვიკრიბებით და ხალხს ნამდვილი სამხედროები ვგონივართ. ერთხელ, ერთი ჩინოვნიკი სახლიდან გამოვიდა და რომ დაინახა, ამდენი „სამხედრო“ მის სახლთან ვიდექით, სასწრაფოდ ტელეფონი ამოიღო და სახლში შებრუნდა. 3 წუთი არ იყო გასული, ჩვენს მაღაზიასთან იმდენი პატრულის მანქანა მოვიდა, გასაჩერებელი ადგილი აღარ დარჩა. დღეს უკვე ყველა პატრულმა იცის ჩვენ შესახებ და ნებართვაც გვაქვს, რომ „შეიარაღებულებმა“ ვიაროთ. გახსოვთ, ტელეკომპანია „იმედმა“ იმიტირებული „ქრონიკა“ რომ გაუშვა ეთერში? იმ გადაცემის მეორე დღე კვირა იყო და მაღაზიის წინ შევიკრიბეთ. ხალხი ლამის გადაირია, — ხომ მშვიდობაა, მართლა ომი ხომ არ დაიწყოო? — გვეკითხებოდნენ. მერე პატრულმა გამოიარა და, — აბა, ბიჭებო, ხომ არ მიდიხართ, ჩვენც წამოვალთ საომრადო... „იმედის“ ჟურნალისტებზე ყველა „აღრენილი“ იყო; გზის მეორე მხარეს ერთი ოპერატორი ჟურნალისტთან ერთად სიუჟეტს იღებდა. რამდენიმე ბიჭი, მათ გვერდით მდებარე მაღაზიისაკენ გავემართეთ. როგორც კი ოპერატორმა დაგვინახა, ხელები მაღლა ასწია და, — „რუსთავი 2“-დან ვარ, ბიჭებო, არაფერი დამიშავებიაო! — ყვირილი დაიწყო (*იცინიან*).

**— უახლოეს გეგმებზე რას მეტყვით?**

— სულ მალე ჩვენი ფედერაციის რამდენიმე წევრი ერევანში მიდის სათამაშოდ. სომხებს მაღაზიის გახსნასა და გუნდის ჩამოყალიბებაში დავეხმარეთ და ახლა სანახავად და სათამაშოდ წავლენ ბიჭები. ახალი წლის შემდეგ კი მათ ჩამოსვლას ველოდებით. ველოდებით აგრეთვე თურქეთის გუნდს, რომელიც ჩამოვა და ჩვენთან ერთად ითამაშებს. მალე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო რეზერვისტებსა და სამხედრო მოსამსახურეებს აირსოფტის იარაღით მოამზადებს.

**გიორგი:**

— რამდენიმე ბაქოელი მოთამაშე ყოველკვირა საქართველოში ჩამოდის სათამაშოდ. ვცდილობთ, ევროპელ მოთამაშეებსაც დავეკონტაქტოთ და მალე ალბათ მათთანაც „ვიომებთ“. ■

## შორენა მერკვილაძე

მაცხოვრის იგავი — „დაკარგული ძე“ — „უძღები შვილი“ — ლუკას სახარების მე-15 თავშია მოთხრობილი. იგავი შემდეგი შინაარსისაა: კაცს ორი ძე ჰყავდა. ერთხელაც მასთან უმცროსი ვაჟი მივიდა და უთხრა: მომეცი მე ჩემი კუთვნილი წილი, რათა წავიდე და ჩემთვის, დამოუკიდებლად ვიცხოვროო. მამამ მისცა თავისი წილი ქონება. ვაჟი შორეულ ქვეყანაში წავიდა. თავშეუკავებელ ცხოვრებასა და განცხრომას მიჰყო ხელი და მთელი ქონება გაფლანგა. მალე იმ ქვეყანაში შიმშილობა ჩამოვარდა. უძღებ შვილსაც გაუჭირდა. იძულებული გახდა, ერთ იქაურ მცხოვრებს მოჯამაგირედ დასდგომოდა. მან ღორების მწყემსად დააყენა. წარჩინებული მამის ძე ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ ღორების საკვებიც სანატრელი ჰქონდა, რადგან არავინ არაფერს აძლევდა. ბოლოს „მოეგო თავსა თვისსა“ და თავის გულში თქვა: „მამაჩემთან რამდენ მოჯამაგირეს პური თავსაყრელი აქვს, მე კი შიმშილით ვკვდები. ავდგები, წავალ მამაჩემთან და ვეტყვი: მამაო, ვცოდე ზეცისა და შენ წინაშე, ღირსი აღარ ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე, მიმიღე, როგორც ერთი შენი მოჯაგირეთაგანი!“

შინ მიმავალი შვილი მამამ შორიდანვე შენიშნა. თვითონ გამოვიდა ძის შესახვედრად და სიყვარულით ჩაიკრა გულში. ვაჟმა თავმდაბლად აღიარა მამის წინაშე თავისი შეცდომა. მამამ მსახურებს უხმო და უბრძანა, რომ მისი უკან დაბრუნებული ძისთვის მოეტანათ სამოსელი პირველი და შეემოსათ, ხელზე ბეჭედი გაეკეთებინათ, ფეხზე კი ხალმები — სანდლები ჩაეცმიათ, შემდეგ საუკეთესო ზვარაკი დაეკლათ: „ვჭამოთ და ვიმხიარულოთ, ვინაიდან ძე ესე ჩემი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა“.

უფროსი ძე მინდორში იმყოფებოდა სამუშაოდ. უკან დაბრუნებულს შინიდან ლხინისა და მხიარულების ხმა ესმა. მსახური იხმო და ლხინის მიზეზი ჰკითხა: შენი ძმა დაბრუნდა და მამაშენმა საუკეთესო ზვარაკი დაუკლა, ლხინი გამართა, რომ ცოცხალი იხილაო, მიუგო მსახურმა. უფროსი ძე განრისხდა და შინ შესვლა აღარ ისურვა. მამა გამოვიდა და ვედრება დაუწყო, მან კი მიუგო: უკვე რამდენი ხანია, გემსახურები. არასოდეს შენს ბრძანებას არ გადავსულვარ და ერთხელაც არ მოგიცია ციკანი, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად მემხიარულა, ხოლო შენს ვაჟს, რომელმაც მთელი ქონება უჯერო ცხოვრებით გაფლანგა, საუკეთესო ზვარაკი დაუკალი.

„შვილო, შენ მუდამ ჩემთან ხარ და რაც გამაჩნია, შენია, მაგრამ უნდა ვხარობდეთ და ვმხიარულებდეთ, ვინაიდან შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა“.

გაბრიელ ეპისკოპოსი განმარტავს:

# ᲘᲒᲐᲕᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚ ᲫᲔᲖᲔ

იგავში მამაში უფალი იგულისხმება, უფროს ძეში ისეთი ადამიანი, რომელიც ეკლესიის წიაღში იმყოფება და ღვთის მცნებებს აღასრულებს, უმცროსი ძე და მისი ქმედება ცოდვაში მყოფ ადამიანზე, მის ცხოვრებაზე მიგვანიშნებს, რომელიც შემდგომ სინანულად მოექცევა.

იგავის დასაწყისი გვაუწყებს, რომ უფალი უკლებლივ ყველა ადამიანს ანიჭებს სიკეთეებს, კეთილმსახური და ღვთივსათნო ცხოვრებისთვის; ამავდროულად, არ უზღუდავს თავისუფალ ნებას, რომელიც ადამიანისთვის ღვთისგან ბოძებული, მთავარი ღირსებაა. ადამიანი თავისუფალი ნების მქონე არსებაა, აქვს არჩევანის თავისუფლება — შეუძლია ღვთის ნების შესაბამისად იმოქმედოს, ან ბოროტის უკეთურ ნებას დაჰყვეს, არჩევანი მისი ნების შესაბამისად გააკეთოს. სწორედ ამგვარად იქცევა უმცროსი ძე, მამა — უფალი კი, როგორც ვთქვით, არ უზღუდავს თავისუფალ ნებას, უფლებას აძლევს, მისგან წავიდეს. წმინდა იოანე ოქროპირი იგავის ამ ადგილის განმარტებისას ბრძანებს: „მამა იმიტომ უშვებს და არ ეღობება შვილის უცხო ქვეყანაში წასვლას, რომ საკუთარი მაგალითით კარგად გაიგოს, როგორ მადლს ანიჭებდა მას შინ ყოფნა“, რათა გაერკვეს, თუ რას ნიშნავს მადლის ჩამორთმევა, როგორია ღვთის მადლისა და შეწევნის გარეშე დარჩენილი ადამიანის ყოფა. სამოთხეში ყოფნისას ვერც ადამი აფასებდა თავის ბედნიერებას, უფალთან მყოფობის ჟამს რომ განიცდიდა. მხოლოდ სამოთხიდან განდევნის შემდეგ გაიგო მისი ფასი. რას მიანიშნებს შორეულ ქვეყანაში წასვლა და უმცროსი ძის ცხოვრება იქ ყოფნის ჟამს? წმინდა იოანე ბოლნელის განმარტებით, შორეულ ქვეყანაში წასვლა წმინდა ეკლესიისა და ღვთისგან, უფლის მცნებათა აღსრულებისგან განდგომასა და ბოროტის ხელმწიფების ქვეშ ცხოვრებას მიანიშნებს. იგავის ეს ნაწილი გვაუწყებს, როგორ იწყებს ცხოვრებას და როგორ მდგომარეობაში ვარდება კაცი, როდესაც ღმერთს განეშორება, მის სჯულს არ ემორჩილება, ვნებებსა და ცოდვებს ემონება, მთლიანად მიწიერ სიამეებსაა გადაგებული.

წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელი იგავის ამ ადგილის განმარტებისას ბრძანებს: „როგორც უძღები შვილი, რომელმაც მამას თავისი წილი გამოართვა და შორეულ ქვეყანაში წავიდა, გარყვნილი და უწმინდური ცხოვრება დაიწყო, მთელი ქონება გაფლანგა და მერე ისე დაგლახაკდა, რომ ღორების მწყემსად დააყენეს, ისე კაცი, რომელიც უფალს განეშორება, საღმრთო სჯულის უღელს გადაიგდებს, დაგლახაკდება, დაეცემა და სულიერად დამახინჯდება, ყოველგვარ სულიერ ნიჭსა და მადლს ღვთისგან მონიჭებულს მოაკლდება და უწმინდურსა და პირუტყვს დაემსგავსება“.

წმინდა მამათა განმარტებით, იგავში ნახსენებ მოქალაქეში, რომელსაც გაღატაკებული, უფლის მადლისგან განძარცვული, უძღები შვილი მიადგა, ბოროტი სული იგულისხმება. მის მიერ დაკარგული ძის ღორების მწყემსად დადგინება და მისი მოჯამაგირეობის პერიოდში არსებული ყოფა მიგვანიშნებს, რა ელოდება ადამიანს, რომელიც ბოროტს მსახურებს და მის ნებას დაჰყვება. შიმშილობის ჩამოვარდნა კი მიანიშნებს, რომ ბოროტი და მისი მსახურნი სულიერ შიმშილს მარადიულად განიცდიან. იგავის მომდევნო ნაწილის თანახმად, ბოლოს დაკარგული ძე გონს მოეგო და მამასთან დაბრუნება გადაწყვიტა... გონს მოეგო ანუ თავისი დანაშაული, ცოდვილი მდგომარეობა შეიმეცნა. უფალი არასოდეს ტოვებს ბოლომდე ადამიანს, თუნდაც ისეთ უკიდურეს მდგომარეობაში მყოფს, როგორი ადამიანის სახესაც დაკარგული ძე წარმოადგენს, შორეულ ქვეყანაში ყოფნის ჟამს. სინდისის ხმის მხილებით, რომელსაც წმინდა მამები უფლის ხმას უწოდებენ, მის გამოფხიზლებას ცდილობს. წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელი იგავის ამ ნაწილზე საუბრისას ბრძანებს: „ცოდვა მხოლოდ იქამდე ეუფლება კაცის გულს, ვიდრე მას გონება აქვს დაფანტული, ვიდრე არ „მოეგება, თავსა თვისსა“. ამაოდ ცდილობს ცოდვილი ადამიანი, სრულად დაივიწყოს უფალი, საკუთარი თავი და მიაჩუმოს სინდისი, რომ ცოდვილი, ნეტარებითა და განცხრომით ცხოვრება დააკმაყოფილებს. მოვა დრო, როდესაც ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის სული მოწყინებასა და მწუხარებას იგრძნობს, სულიერ შიმშილს განიცდის. ცოდვა ვერ ასაზრდოებს და გააბედნიერებს, სიხარულს ვერ მიანიჭებს კაცის უკვდავად შექმნილ სულს. ცოდვისგან განცდილი სიამოვნება და მხიარულება მხოლოდ დროებითია“.

იგავის თანახმად, დაკარგული ძე „მოეგო რა თავსა თვისსა“ თქვა: მამაჩემთან რამდენ მოჯამაგირეს პური თავსაყრელი აქვს, მე კი შიმშილით ვკვდები. ავდგები, წავალ მამაჩემთან და ვეტყვი: „მამა, ვცოდე ზეცისა და შენ წინაშე, ღირსი აღარ ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე, მიმიღე როგორც ერთი შენი მოჯამაგირეთაგანი!“ — ეს ადგილი ცოდვით უკიდურესად დაცემული კაცის მდგომარეობას გამოხატავს, რომელიც იაზრებს რა თავის ცოდვილ მდგომარეობას, ხვდება, რა დამართა ბოროტი საქმეების გამრავლებამ და მისმა მსახურებამ; მზერას უფლისკენ მიაპყრობს და ღვთის მრავალმოწყალების იმედად, გულწრფელი სინანულით აღვსილი ცდილობს, ზეციური მამის წინაშე თავის შეცოდებათა აღიარებას.

იგავის ამ ადგილით უფალი გვაუწყებს, რომ სინანული უნდა იყოს გულწრფელი. ადამიანი უნდა წუხდეს მხოლოდ ერთადერთი მიზეზით — რომ ცოდვის ჩადენით დაშორდა უფალს და მისი მადლი და წყალობა დაკარგა.

იგავის ის ნაწილი, სადაც დაკარგული ძის მამასთან დაბრუნება და მამის სიხარულითა და ლხინით შეხვედრაა მოთხრობილი, მიგვანიშნებს, რომ როდესაც გულწრფელი სინანულისა და ცოდვათა აღიარების შემდეგ ადამიანი ღვთისკენ სწრაფვას საქმითაც დაამტკიცებს, ზეციური მამა იმაზე მეტ წყალობასა და მადლს მოგვფენს, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია.

იგავი ასევე შეგვახსენებს, რომ რაოდენ ცოდვილიც უნდა იყოს ადამიანი, თუ მას გულწრფელი სინანულის გრძნობა გაუჩნდება და ცოდვათა მონანიებას გადაწყვეტს, უფალი ყოველთვის სიხარულითა და სიყვარულით მიიღებს და შეცდომებს ისევე აპატიებს, როგორც შეცდომილი ძე მიიღო მისგან უარყოფილმა მშობელმა.

იგავის მომდევნო ნაწილში, დაკარგული ძის დაბრუნებით გახარებულმა მამამ მსახურებს უბრძანა, რომ იგი შეემოსათ კვართითა პირველითა, ხელზე ბეჭედი გაეკეთებინათ, ფეხზე სანდლები ჩაეცმიათ და მისთვის საუკეთესო ზვარაკი დაეკლათ. იგავის ამ ადგილზე საუბრისას წმინდა მამები ბრძანებენ: კვართითა პირველითა შემოსვა ნიშნავს ღვთისკენ მიბრუნებული მონანული ცოდვილისთვის ახალი მადლისა და სულიერ სათნოებათა მინიჭებას, ბეჭდის გაკეთება შერიგებისა და ღვთაებრივი ნიშით დაცვის ნიშანია, რათა ადამიანს ველარ ეუფლოს ეშმაკი. საუკეთესო ზვარაკის დაკვლა კი მიანიშნებს, რომ უფლისკენ მიბრუნებულ და გულწრფელად მონანულ ადამიანს უფალი სულიერი ნუგეშით ასაზრდოებს. იგულისხმება ზიარების საიდუმლო, უფლისგან სულისა და ხორცის საკურნებლად დაწესებული. უფროსი ძე არის სახე ამპარტავანი კაცისა, რომელიც ეკლესიის წიაღში იმყოფება, გარეგნულად თითქოსდა ჯეროვნად აღასრულებს ღვთის მცნებებს, უფალთან მყოფობს, მაგრამ შინაგანად დაშორებულია უფალს, ჯილდოს ითხოვს იმისთვის, რომ ღვთის მცნებებს აღასრულებს, უფალს მსახურებს. მოყვასის სულიერი წარმატება არ ახარებს. განსაცდელსა და გასაჭირში ჩავარდნისას კი უფალს ჰყვედრის. როგორც წმინდა მამები შეგვაგონებენ, უფროსი ძმის მაგალითის მოყვანით მაცხოვარი გმობს იმგვარ მსახურებას მამისა, რომელიც ამპარტავნებასა და თავმოწონებას ეფუძნება.

იგავის ამ ნაწილით უფალი ასევე გვაუწყებს, რომ თუ ჭეშმარიტად აღასრულებ ღვთის მცნებებს, ჭეშმარიტად მსახურებ უფალს, მაშინ ყოველივე სიკეთე, რაც უფალშია — სახიერება, სიყვარული, სიხარული, მოწყალება... შენც გეკუთვნის; ზეციური მამა მათი განცდის ნეტარებით დაგატკბობს. ამაზე დიდი ნუგეში კაცმა არ შეიძლება ეძიოს და მოიპოვოს. ■

# გზაში საკითხავი კოლაჟი

ძემღვენელი თემურ ივანიძე

1. უმიაკი ესკიმოსების ნავია.
2. ტიშკა გარტნი ბელორუსი საბჭოთა მწერალია.
3. ტაკამაცუ, ტაკაოკა და ტაკასაკი იაპონიის ქალაქებია.
4. ჰავანა 1515 წელს ესპანელმა კონკისტადორმა, ველასკესმა დააარსა.
5. თბილისში პირველი ტელეგადაცემა 1956 წლის 30 დეკემბერს გავიდა ეთერში.
6. 11 სექტემბრის ტერაქტის ხელმძღვანელი, მუჰამედ ატა, ეგვიპტელი არქიტექტორი იყო.
7. ალ კაპონე საკუთარი მტრების დაკრძალვაზე ვარდების უზარმაზარ თაიგულებს გზავნიდა.
8. პირველმა მსოფლიო ომმა სამი სამეფო დინასტია — ჰოენცოლერნები, ჰაბსბურგები და რომანოვები შეიწირა.
9. „დევუშკა სო შვეინოი მაშინკოი," — ასე ჰქვია რუსულად გიორგი შენგელაიას ფილმს — „სიყვარული ყველას უნდა".
10. პირველ სადღეგრძელოს ვასო გოძიაშვილი რატომღაც, ყოველთვის რუსულად ამბობდა: „ზა ედინუიუ, ნეზავისიმუიუ გრუზიუ!".
11. ტალავერი, იგივე მაღლარი, მევენახეობის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა საქართველოში. სატალავრე ვაზი ლაღად იზრდება, მსხვილი მტევნები აქვს, უხვმოსავლიანია და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა 200-300 წელს აღწევს.
12. კიი-უესტში, ექვსადგილიან სასტუმრო „ვირჯინიაში" მოსახვედრად მობინადრემ ყვინთვის სერტიფიკატი უნდა წარადგინოს, რადგან ეს სასტუმრო წყალქვეშ მდებარეობს. სასტუმროს ნომერში, სადაც მობინადრეები აკვალანგის დახმარებით ხვდებიან, ყველაფერია, რაც კი ადამიანს სჭირდება: საწოლი, სააბაზანო-ტუალეტი, ტელევიზორი, ტელეფონი და ა.შ. ასეთ ნომერში ღამის გათევა 395 დოლარი ღირს. ადგილების სიმცირის გამო ნომრის წინასწარ დაჯავშნაა საჭირო.
13. ფილმში — „დრაკონის გზა" — ბრიუს ლის სტატისტებისა და კასკადიორების ნაცვლად, პარტნიორობას აღმოსავლური ორთაბრძოლების მოქმედი ჩემპიონები უწევდნენ.

14. განთქმულ ქიმიკოსს, ანტუან ლავუაზიეს პარიზის საგადასახადო დეპარტამენტის ინსპექციის უფროსის თანამდებობა ეკავა. იმ დღეებს, როცა ცდების ჩატარებისა და მეცნიერული კვლევის საშუალება ეძლეოდა, ქიმიკოსი ცხოვრების უბედნიერეს დღეებს ეძახდა.



# სპორტავტო — „ოპელისგან"

კომპანია „ოპელი" წარმოებაში სპორტავტოს, — Opel Calibra, — ჩაშვებას არ გამორიცხავს, რადგან წარმოების 8 წლის განმავლობაში ეს მოდელი 240-ათასიანი ტირაჟით გაიყიდა. „მივიჩნევდით, რომ ასეთი მოდელი (ორკარა კუპე. — რედ.) უნდა გვქონოდა და გვექნება კიდეც", — განაცხადა General Motors-ის ევროპული ქვეგანყოფილების ხელმძღვანელმა, ნიკ რეილიმ, რომელიც Opel-ისა და Vauxhall-ის ბრენდებს კურირებს. მისი თქმით, ახალი კონცეპტ-ავტო GTC-ის მსგავსი იქნება. ეს მანქანა ჟენევის ავტოსალონზე 2007 წელს წარადგინეს. იგი Insignia-ს ახალი ოჯახის პროტოტიპად იქცა. სავარაუდოდ, მომავალ კუპეს Insignia OPC-ის პლატფორმაზე ააგებენ და ტურბინირებული, 2.8 V6 მოტორით აღჭურავენ, რომელიც 300-320 ცხძ-ს ავითარებს. ჯერჯერობით არაა ცნობილი, დაყენდება თუ არა Insignia OPC-ის ტრანსმისია სიახლეზე. ადრე „კუპირებულ" სეგმენტზე ინტერესი „ფორდმა" გამოხატა. როგორც ამბობენ, მომავალი თაობის „მონდეოს" 2 ან 4-კარიანი მსგავსი მოდიფიკაციები ექნება. გარდა ამისა, ფსევდოკუპე „ფორდ ფოკუსის" გამაშიც გამოჩნდება. 2011 წლის იანვარში სიახლეს დეტროიტის ავტოსალონზე წარადგენენ. ■

# „ფორდ ფოკუსის" ხაზი ფსევდოკუპეთი შეივსება

კომპანია „ფორდი" მოდელ „ფორდ ფოკუსის" ახალი თაობის პროდუქტიულ ხაზს კიდევ ერთი მოდიფიკაციით, ფსევდოკუპეთი შეავსებს, რომელიც კონკურენციას Volkswagen Scirocco-ს გაუწევს. ამასთან, პროტოტიპი უკვე იანვარში, დეტროიტის ავტოსალონზე იქნება ნაჩვენები. ადრე იუწყებოდნენ, რომ „ფორდ ფოკუსის" გამაში ტრადიციული, სამკარა ჰეჩბეკი აღარ იქნებოდა. „ფორდი" ამჯერად მხოლოდ ხუთკარა ჰეჩბეკის, სედანისა და უნივერსალის გამოშვებას გეგმავს. გარდა ამისა, ამერიკული კონცერნი ამ მოდელის კიდევ ერთ მოდიფიკაციას ამზადებს. „ჩვენი ამოცანა, უპირველეს ყოვლისა. „ფორდის" საბაზო პროდუქტიული ხაზის შევსებაა. ამჯერად, როცა ეს ეტაპი უკვე შესრულებულია, ჩვენ შეგვიძლია სხვა პროექტების შემუშავებას შევუდგეთ. თუ რომლები იქნება, ამას დეტროიტში გიჩვენებთ", — განაცხადა „ფორდის" შეფ-დიზაინერმა, მარტინ სმიტმა. კონცერნ „ფორდში" აცხადებენ, რომ მომავალი სიახლე მოდელ Capri-ს იდეოლოგიურ მემკვიდრედ იქცევა, ხოლო მისი დიზაინი „ფოკუსის" სტილში იქნება გადაწყვეტილი. ტრადიციული სამკარასაგან ავტომობილი ძარას საგრძნობლად დახრილი უკანა დგარითა და უფრო დაბალი სახურავით, ასევე, გაგანიერებული ბორბლების თაღებით განსხვავდება. ფსევდოკუპეს საფუძველში Focus ST-ის მომავალი „ჰოტ-ჰეტჩის" შასი იქნება ჩადებული, რომელიც ასევე 250 ცხძ-ის სიმძლავრის ტურბომოტორსაც მითვისებს. გარდა ამისა, ახალ მოდელს უფრო ხელმისაწვდომი, ბენზინისა და დიზელის (ევროპაში) მოტორებიც ექნება. სერიული მოდელი კი შესაძლოა, ბაზარზე უკვე 2012 წელს გამოჩნდეს. ■

# „პორშეს“ ჰიბრიდული სუპერავტო

კომპანია „პორშემ“ ჰიბრიდული სუპერავტოს, — 918 Spydr, — სერიული ვერსიის შესახებ პირველი ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. სურათზე წარმოდგენილია მანანის მაკეტი მასშტაბში — 1:3, რომელიც ამჟამად გერმანულ ვაისაჰეში მდებარე კვლევისა და შემუშავების ცენტრში იქმნება. „პორშეს“ წარმომადგენელთა თქმით, უახლოეს მომავალში ეს ცენტრი 150 მილიონი ევროთი იქნება ინვესტირებული. ეს სახსრები მაღალტექნოლოგიური აეროდინამიკური მილის, დიზაინ-სტუდიისა და თანამედროვე ელექტრონული სისტემების განყოფილების შექმნაზე დაიხარჯება. კონცეპტუალურ „პორშე 918 სპაიდერთან“ შედარებით, რომელიც ჟენევის მოტორშოუზე იყო წარდგენილი, სერიულმა ვერსიამ დიზაინში ცვლილება განიცადა. მაგალითად, სერიულ მანქანას მცირედ შეეცვლება ძარას წინა ნაწილი, გაქრება ჰაერშემაკავებლები უკანა ფრთებზე, ხოლო გამონაბოლქვის ორმაგი მილის ადგილზე მხოლოდ ერთი იქნება. ადრე იუწყებოდნენ, რომ ჰიბრიდული სუპერავტოს ინჟინერინგზე მუშაობა მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება. 2011 წლის დასაწყისში კომპანია „პორშე“ მანქანის ტექნიკური და დინამიკური მაჩვენებლების გამოაშკარავებას აპირებს და ფასსაც დაასახელებს. წინასწარი ინფორმაციით, სიახლე შეზღუდული ტირაჟით გამოვა, ხოლო თითოეული ეგზემპლარის ფასი დაახლოებით 500 ათას ევროს შეადგენს. კონცეპტუალური „პორშე 918 სპაიდერი“ ჰიბრიდული აგრეგატით იყო აღჭურვილი, რომლის შემადგენლობაშიც 3,4-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, 500 ცხძ-ის სიმძლავრის ატმოსფერული ძრავა, 218 ცხძ-ის სიმძლავრის, 2 ელექტრომოტორი, სპეციალური აკუმულატორების კომპლექტი და 7-საფეხურიანი რობოტიზებული სიჩქარის გადაცემათა კოლოფი შედიოდა. გერმანული კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს ასეთი ავტომობილი 3,2 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 320 კმ/სთ-ია. ელექტროგაწევით ავტომობილს 25 კმ-ის გავლა შეუძლია. ■

# „ჩრდილოეთის მარყუჟზე“ გასეირნება გაძვირდება

2011 წლიდან ნიურბურგრინგის ცნობილ სარბოლო ტრეკზე გავლის ფასი გაძვირდება და ამჟამინდელი 22 ევროს ნაცვლად, „ჩრდილოეთის მარყუჟზე“ ავტომობილით გარბენის მსურველებს 24 ევროს გადახდა მოუწევთ. ამასთან, 89 ევროდ შესაძლებელი გახდება მომსახურების პაკეტის შეძენა, რომელიც ნიურბურგრინგის ტრასაზე 4-ჯერ შემოვლას, ადგილობრივ რესტორან Eifoldorf grune Holle-ში უფასო სადილს, ასევე Ring Werk-ის მუზეუმში ერთ ბილეთს ითვალისწინებს. „მარყუჟის“ 15-ჯერ გასავლელად 311 ევროს გადახდა იქნება საჭირო, ხოლო 471 ევროდ მყიდველს 25 წრის გავლის შესაძლებლობა მიეცემა. ყველაზე ძვირად ღირებული, 1.350 ევროდ შეფასებული პაკეტი მფლობელს „ჩრდილოეთის მარყუჟზე“ მოხვედრის საშუალებას მთელი წლის განმავლობაში აძლევს, მხოლოდ იმ დღეებში, როდესაც იქ შეჯიბრება ან ავტომწარმოებლების მიერ ორგანიზებული ტესტირება არ იქნება გამართული. ამ ფასში სადილობისა და სასმელების ღირებულება (97 ევრო), აგრეთვე მუზეუმის 2 ბილეთი შედის. შეგახსენებთ, რომ ამჟამად ნიურბურგრინგის ძველი ნაწილი — 20-კილომეტრიანი „ჩრდილოეთის მარყუჟი“ — რიგითი მომხმარებლისთვის ფასიან გზად ფორმალურად მიიჩნევა. აქ მოძრაობის ტრადიციული წესები მოქმედებს, რასაც ჩვეულებრივი პოლიციელები აკონტროლებენ. ■

*რუბრიკა მოამზადა*
***ალექსი რეხვიაშვილმა***



ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაქი

*ქემდეენელი თქმულ იგანიძე*

15. ლეხ ვალენსას ნობელის პრემია 1983 წელს მიანიჭეს. იმის შიშით, რომ კომუნისტური მთავრობა სამშობლოში დაბრუნების უფლებას აღარ მისცემდა, პრემიის მისაღებად მან ოსლოში საკუთარი მეუღლე გაგზავნა.

16. პალერმოში არსებობს ლეგენდა, რომ ღმერთს, როცა დედამიწას ქმნიდა, სიხარულისგან ცრემლები სდიოდა. ერთი ცრემლი ზღვაში ჩავარდა და სიცილიად იქცა.

17. მოსე ჯანაშვილი 1855 წელს საინგილოში, სოფელ კახში დაიბადა. იმ დროს კახში უკვე მოქმედებდა მართლმადიდებლური ტაძარი და მომავალი ისტორიოგრაფი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ქრისტიანულად მოინათლა.

18. ტრაფალგარის ბრძოლაში ჰორაციო ნელსონის დაღუპვამ მის თანამებრძოლებს გამარჯვების სიხარული ჩაუშხამა. ერთ-ერთი მეზღვაური წერილში წერდა: „ჩვენი მამაცი ადმირალი დაიღუპა. მამაკაცები, რომლებიც ცოტა ხნის წინ ლომივით იბრძოდნენ, ახლა სხედან და ქალებივით მოთქვამენ“.

19. გლადიატორთა შორის ბევრი მოხალისე იყო. ისინი ხელშეკრულებას აფორმებდნენ და თავისუფლებას 5-წლიანი ვადით ყიდდნენ. ზოგიერთი სახელის მოსახვეჭად სჩადიოდა ამას, ზოგიერთი კი ვალების დასაფარავად.

20. არავინ იცის, თავის მოკვეთის შემდეგ რა ხნის მანძილზე ინარჩუნებს ადამიანი აზროვნებას. საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში ზოგიერთ სიკვდილმისჯილს მეცნიერები სთხოვდნენ, თავის მოკვეთის შემდეგ რაც შეიძლება დიდხანს ეხამხამებინათ თვალები. გადმოცემით ცნობილია, რომ რეკორდმა 30 წამი შეადგინა, თუმცა, ძნელი სათქმელია, ნერვული რეფლექსი იყო ეს თუ სიკვდილმისჯილის ნებასურვილი.

21. IV ჯვაროსნული ლაშქრობა „ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობის“ სახელით დარჩა ისტორიაში. რელიგიურმა ფანატიკოსებმა დასავლეთ ევროპაში ხმა გაავრცელეს, თითქოს მხოლოდ უცოდველ ბავშვებს შეეძლოთ იერუსალიმის გათავისუფლება „ურჯულოთაგან“. ათიათასობით ბავშვი წაიყვანეს საფრანგეთიდან და გერმანიიდან სალაშქროდ, რომელთა დიდი ნაწილიც ხმელთაშუა ზღვაში, ქარიშხლის დროს დაიღუპა, ნაწილი კი ხომალდების მეპატრონეებმა მონებად გაყიდეს.

# რუსული სამეფო ოჯახის საიდუმლოს ახალი დეტალები — ვინ იყო დეკანოზი გიორგი ტერ-ტერზიევი

მიხეილ ლაბაძე

*რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის, დედოფალ ალექსანდრას და მათი შვილების საქართველოში ინკოგნიტოდ ცხოვრებისა და გარდაცვალების თაობაზე ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებულ ინტერვიუს, სათაურით — „რუსეთის უკანასკნელი გვირგვინოსნები საქართველოში გარდაიცვალნენ?“, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოხმაურებაც მალე მოჰყვა — რედაქციაში მკითხველი, ბატონი მამუკა გოგიჩაიშვილი დაგვიკავშირდა, რომელმაც ინტერვიუში ნახსენები დეკანოზი გიორგი ამოიცნო.*

შეგახსენებთ, რომ ჩვენი რესპონდენტის, ქ-ნ ლეილა სონიშვილის ცნობით, რუსეთის უკანასკნელი დედოფალი, ალექსანდრა ჰესენელი სიცოცხლის ბოლო წლებში თავს სწორედ მამა გიორგისთან აფარებდა, იქვე გარდაიცვალა და წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიის ეზოშია დაკრძალული. მოძღვრის გვარი ქ-ნმა ლეილამ არ იცოდა. სმენოდა მხოლოდ ის, რომ იგი წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში მსახურობდა.

ბატონმა მამუკამ გვაცნობა, რომ დეკანოზის სახელი და გვარი გახლდათ გიორგი ტერ-ტერზიევი; იგი წარმოშობით სომეხი იყო, რწმენით — მართლმადიდებელი და მართლაც, ღვთისმსახურებას წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში აღავლენდა. მამა გიორგი მიტროსანი დეკანოზი ყოფილა — ეს კარგად ჩანს მისივე ფოტოდან, რომელიც ქ-ნმა ლეილა სონიშვილმა მოგვაწოდა და რომელიც მასთან ინტერვიუს თან დავურთეთ. ბატონ მამუკას აღმოაჩნდა მამა გიორგის სხვა ფოტოც, რომელზეც მასთან ერთად აღბეჭდილნი არიან ქართველი და უცხოელი მღვდელმთავრები (მათ შორის — ამჟამინდელი კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, ილია II), ასევე საერო პირებიც. გიორგი ტერ-ტერზიევი საკმაოდ ცნობილი და პატივსაცემი ღვთისმსახური ყოფილა და რაც ყველაზე მთავარია, სახლში უამრავი ადამიანი ჰყოლია შეკედლებული. ასე რომ, ის ვერსია, რაც ქ-ნ ლეილა სონიშვილის ინტერვიუში გაჟღერდა, თეორიულად სავსებით დასაშვები ჩანს; თუ, რა თქმა უნდა, მივიჩნევთ, რომ რომანოვები ეკატერინბურგში 1918 წელს არ დაუხვრეტიათ.

მამა გიორგი ტერ-ტერზიევისა და მასთან შეკედლებული, რუსეთის უკანასკნელი დედოფლის ისტორიის დეტალების შესატყობად, ბატონ მამუკას სახლში ვესტუმრე, სადაც მას და მის დედას, ქ-ნ ინეზა ფრანგიშვილს ვესაუბრე:

**ინეზა ფრანგიშვილი:**

— ჩემი მამამთილი, მამია (გენო) გოგიჩაიშვილი წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიის სასაფლაოს დირექტორი გახლდათ და დეკანოზ გიორგი ტერ-ტერზიევთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა. მამა გიორგის მეც კარგად ვიცნობდი; ეროვნებით სომეხი იყო, თანაც — წარჩინებულთა გვარიდან, მაგრამ მართლმადიდებელი. როგორც იცით, იმხანად კომუნისტები სასულიერო პირებსა და მორწმუნეებს დიდად ავიწროებდნენ, ხალხს ეკლესიაში შესვლას უკრძალავდნენ, თუმცა ჩემი მამამთილი ყოველთვის ღრმად მორწმუნე იყო და კომუნისტურ აკრძალვებს არ უშინდებოდა. ეკლესიაშიც თამამად შედიოდა და სასულიერო პირებთანაც დაუფარავად ურთიერთობდა. აი, ამ სურათზე (იხ. გვ. 43) ის და მამა გიორგი ტერ-ტერზიევი სვეტიცხოველში, ქართველ და უცხოელ მღვდელმთავრებთან ერთად არიან აღბეჭდილნი. ხედავთ, მისი უწმინდესობა, ილია II-ც აქ ბრძანდება. იგი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო კათოლიკოს-პატრიარქი, მიტროპოლიტი გახლდათ.

**— მართლაც საინტერესო სურათია... ხომ არ იცით, ვინ გადაიღო ან როდის?**

— ვინ გადაიღო, არ ვიცი. 1977 წელს, მიტროპოლიტი ილია უკვე კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხეს; შესაბამისად, სურათი მანამდეა გადაღებული. მაშინ რაღაც საეკლესიო დღესასწაული იყო; სვეტიცხოველში მღვდელმთავრები თითქმის ყველა მართლმადიდებლური ქვეყნიდან ჩამობრძანდნენ — სერბეთიდან, ბულგარეთიდან, რუსეთიდან... სურათზე აღბეჭდილ სასულიერო პირთა შორის მხოლოდ მამა გიორგია დეკანოზი, დანარჩენები კი მეუფეები ან პატრიარქები არიან. მამა გიორგის ყველა დიდ პატივს სცემდა — საერონიც და სასულიერონიც.

**— მამა გიორგისთან შეკედლებული, რუსეთის დედოფლის შესახებ რაიმე თუ გსმენიათ?**

— დაწვრილებით არა, მაგრამ როცა რომანოვების შესახებ თქვენს ჟურნალში გამოქვეყნებული ინტერვიუ წავიკითხე, რაღაც დეტალები გამახსენდა — მამა გიორგი ნაძალადევში, საკუთარ სახლში ცხოვრობდა; ეზოში აშენებული ჰქონდა კელიები და სატრაპეზო. 1974 წელს, როდესაც მე და ჩემმა მეუღლემ ჯვარი დავიწერეთ, მან თავის სახლში მიგვიწვია და სწორედ მაშინ ვნახე ის დამხმარე ქალიც, რომელზეც ინტერვიუში იყო საუბარი. კარგად მახსოვს, როგორ შედიოდა ის ერთ-ერთ კელიაში და მამა გიორგის მეუღლემ, დეიდა თამარმა, რუსულად დაუძახა: „□□□□□□ □□□□□□!“; თქვენი ინტერვიუდან ეს დეტალი ნამდვილად კი მეცნო, მაგრამ თუ ვინ იყო მამა გიორგისთან შეკედლებული პიროვნება, ვერ გეტყვით. შესაძლოა, ეს ჩემს მამამთილს სცოდნოდა, მაგრამ ჩვენთვის არაფერი უთქვამს. დროც არ იყო მაშინ ისეთი, რომ ასეთ რამეებზე თავისუფლად ელაპარაკა. სხვათა შორის, მამა გიორგი ერთხანს ციხეშიც იჯდა, მაგრამ რის გამო, არ მახსოვს; ციხიდან გამოსვლის შემდეგაც, მას უშიშროება სულ კვალში დაჰყვებოდა. ჩემი ქორწილის დროს ამას მე თვითონაც შევესწარი...



**— იქნებ მოკლედ გვიამბოთ, რას შეესწარით?**

— მე და ჩემი მეუღლე 1974 წელს დავქორწინდით. მამა გიორგის თანადგომით, ჯვარი სვეტიცხოველში დავიწერეთ. ხომ იცით, რომ იმხანად ეს წარმოუდგენელი რამ იყო, ეკლესიაშიც ასე მასობრივად არავინ დაიარებოდა; ისე მოხდა, რომ ჯვრისწერის ცერემონიას შემთხვევით უცხოელი ჟურნალისტები დაესწრნენ და ყველაფერი ვიდეოკამერით გადაიღეს. შემდეგ ისინი რესტორან „უშბაში“ დავპატიჟეთ, სადაც საქორწილო სუფრა გვქონდა გაშლილი. მაშინ არც მიმიქცევია ყურადღება, მაგრამ მერე მივხვდი, რომ უცხოელებს კა-გე-ბეს ხალხიც ახლდა. ქორწილშიც, ცხადია, ყველანი წამოვიდნენ.

როგორც წესი, ამჟამად ქორწილებს ვიდეოკამერით იღებენ, იმხანად კი ასეთი რამ მიღებული არ იყო. ჩვენს ქორწილზე ფოტოებს სწორედ მამა გიორგის შვილი, იური იღებდა. მის გარდა, მოძღვარს ორი ქალიშვილიც ჰყავდა; ისინიც, ცხადია, მაშინ ჩვენთან იყვნენ. თავად მამა გიორგი მოგვიანებით გვესტუმრა, დაგვლოცა და ღვთისმშობლის ხატიც გვაჩუქა. მახსოვს, როდესაც იგი დარბაზში შემოვიდა, სტუმრების დიდი ნაწილი სადღაც მიიმალა *(იცინის)*, რომ სასულიერო პირთან ერთად ქორწილში ყოფნის გამო, „ზემოდან“ პრობლემები არ შეჰქმნოდათ. იური, რომელიც ფოტოებს იღებდა, სულ რამდენიმე წუთით მივიდა მამამისთან და სწორედ ამ დროს, აპარატი, რომელიც იქვე ედო, სადღაც გაქრა, ისევე, როგორც უცხოელების ვიდეოკამერა...

**— ანუ, თქვენი**

**აზრით, ისინი კა-გე-ბემ ასწაპნა?**

— გეტყვით... ერთი სიტყვით, აპარატი და კამერა გაქრა. ბევრი ვეძებეთ, თუმცა ველარსად ვნახეთ. ქორწილის დასრულების შემდგომ ვიპოვეთ ეზოში. ორივე გაეხსნათ, ფირები ამოეღოთ და მიწაზე ისე დაეგდოთ. ცხადია, კა-გე-ბეს გარდა, ამას ვერავინ გაბედავდა; როგორც ჩანს, მათ ფირების განადგურება სურდათ.

**— ჯვარი მამა გიორგიმ დაგწერათ?**

— არა... ის არც ჯვრისწერას დასწრებია; უბრალოდ, მან გვირჩია და თანადგომა გაგვიწია, რომ ჯვარი დაგვეწერა. მგონი, კა-გე-ბემ ქორწილის ფოტოები იმიტომ გაგვინადგურა, რომ კომუნისტები ჯვრისწერას კრძალავდნენ. იმასაც გეტყვით, რომ მამა გიორგის წასვლის შემდეგ — ის ქორწილში დიდხანს არც გაჩერებულა, სულ ხუთი წუთით შემოგვიარა — კა-გე-ბეს ხალხმა ის უცხოელებიც წაიყვანა, სუფრაზე აღარ დატოვა.

**— როგორ გგონიათ, კა-გე-ბე მამა გიორგის, რუსეთის სამეფო ოჯახთან დაკავშირებით უთვალთვალებდა?**

— გადაჭრით ამის თქმა არ შემიძლია, იმას კი გეტყვით, რომ მამა გიორგი ტერ-ტერზიევი ცნობილი იყო იმით, რომ ოჯახში უამრავი ადამიანი ჰყავდა შეკედლებული და ბევრი რამ იცოდა; მაგალითად, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ტერენტი გრანელის საფლავი სწორედ მისი მითითებით ნახეს; ამბობდა იმასაც, რომ ფიროსმანიც იქვე იყო დაკრძალული. რამდენადაც ჩემი მამამთილი მისი ახლო მეგობარი იყო, მამა გიორგი ჩვენთან სტუმრად ხშირად დაიარებოდა და ძალიან კარგად მახსოვს ეს ყველაფერი. სხვათა შორის, ამას წინათ მართლაც სადღაც წავიკითხე, თითქოს ფიროსმანის საფლავი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე იპოვესო... ერთი სიტყვით, მამა გიორგიმ უამრავი საინტერესო რამ იცოდა, მაგრამ ცხადია, მაშინ ყველაფერს ვერ იტყოდა. სამწუხაროდ, ჩემი მამამთილიც ამჟამად გარდაცვლილია, თორემ მამა გიორგის თაობაზე ის უფრო მეტს მოგიყვებოდათ... თუ რუსეთის უკანასკნელი დედოფალი მართლაც მამა გიორგისთან აფარებდა თავს, შესაძლოა, ამის თაობაზე ჩემს მამამთილსაც სცოდნოდა რამე... ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან მსგავსი არაფერი უთქვამს.

**— ხომ ვერ გაიხსენებდით, სახელდობრ რა ბრალდებით ან როდის დაატუსაღეს მამა გიორგი?**

**მამუკა გოგიჩაიშვილი:**

— მამა გიორგი 1971 წელს დააპატიმრეს. სხვათა შორის, მაშინ ბაბუაჩემიც კი ჩასვეს; ასე რომ, ციხეში ორივენი ერთად იყვნენ. ბაბუაჩემი მაშინ მექრთამეობის ბრალდებით იყო დაჭერილი; მამა გიორგი რა ბრალდებით იჯდა, არავინ იცის. ეს იმთავითვე გასაიდუმლოებული იყო. როგორც მოგეხსენებათ, იმხანად სასულიერო პირების დაკავების შემთხვევაში ყველაფერს ასაიდუმლოებდნენ... ციხიდან გამოსვლის მერე, მამა გიორგიმ ისევ წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში განაგრძო ღვთისმსახურება.

**ინეზა ფრანგიშვილი:**

— დიახ, როგორც გითხარით, ჩვენ არ ვიცით, რატომ დაიჭირეს მამა გიორგი... ამაზე არც თვითონ საუბრობდა და არც ჩემი მამამთილისგან გაგვიგია რამე. უფრო მეტსაც გეტყვით — როცა გენო დაიჭირეს, ეს ფოტოც, რომელზეც ის მამა გიორგი ტერ-ტერზიევთან და სხვა მღვდელმსახურებთან ერთადაა აღბეჭდილი, საერთოდ გადავმალეთ. კომუნისტური რეჟიმის პირობებში, როგორც იცით, ეკლესიასთან ყოველგვარი სახის ურთიერთობა საერო პირს სასტიკად ეკრძალებოდა... მამა გიორგი ჩვენთან რომ მოდიოდა ხოლმე, კომუნისტების შიშით, ყველა ერიდებოდა.

**მღვდელმსახურთა შეკრება სვეტიცხოველში. ცენტრში — მამა გიორგი ტერ-ტერზიევი; მარცხნიდან მესამე მიტროპოლიტი ილია (ამჟამად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნიტარესი ილია II), მარჯვნიდან მესამე — მამია (გენო)**

**— ხომ არ გსმენიათ, როგორ გახდა მამა გიორგი სასულიერო პირი? დაჭერის დროს უკვე მღვდელი იყო?**

**მამუკა გოგიჩაიშვილი:**

— დიახ, როცა დაიჭირეს, მამა გიორგი უკვე მღვდელი იყო; რუსთავში იჯდა, კოლონიაში და ჩვეულებრივ, იქაც ანაფორა ეცვა.

**ინეზა ფრანგიშვილი:**

— სასულიერო პირად გახდომას რაც შეეხება, სამწუხაროდ, ეს დეტალები არ ვიცით... ისე კი, ძველი თაობის მღვდელმსახურებს მამა გიორგი ტერ-ტერზიევი ალბათ, კარგად ეხსომებათ.

**მამუკა გოგიჩაიშვილი:**

— სხვათა შორის, ჩვენ ადრე ქაშუეთიდან გვესტუმრა ერთ-ერთი მოძღვარი, მამა ელიზბარი და ეს ფოტოც ვაჩვენეთ... მან მამა გიორგი იცნო და თქვა, კარგად ვიცნობდიო. მამა ელიზბარი სწორედ ძველი თაობის მღვდელმსახურია და მამა გიორგის შესახებ შესაძლოა, მასაც რაიმე სმენოდეს.

**— წელან მამა გიორგის შვილები ახსენეთ... ხომ არ იცით, ახლა სად არიან ისინი?**

**ინეზა ფრანგიშვილი:**

— როგორც გითხარით, მამა გიორგის სამი შვილი ჰყავდა — ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი. უფროსი ქალიშვილი გათხოვილი იყო; სიძის სახელიც კარგად მახსოვს, მამული ერქვა. ნამდვილად ვიცი, რომ ისინი ახლაც თბილისში ცხოვრობენ, მაგრამ სად — ვერ გეტყვით. მგონი, სადღაც პლეხანოვზე, საბჭოს მოედანთან ახლოს უნდა ცხოვრობდნენ; ვაჟიშვილი, იური, ცოლ-შვილთან ერთად აქვე, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. მერე გაყიდეს ბინა და გადავიდნენ. მას ცოლი ერევნელი ჰყავდა და როგორც გავიგე, სომხეთში წასულან. დამავიწყდა მეთქვა, რომ მამა გიორგი ჩემი დედამთილის ნათლიაც იყო; ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიყავით, მაგრამ მერე და მერე, თავისთავად მოხდა ისე, რომ ურთიერთობები შესუსტდა... დღეს ჩემი მეუღლეც, დედამთილ-მამამთილიც გარდაცვლილები არიან, ისინიც დაიფანტნენ და დავკარგეთ ერთმანეთი.

**— ხომ არ გახსოვთ, მამა გიორგი ნაძალადევში რომელ ქუჩაზე ცხოვრობდა?**

— მიუხედავად იმისა, რომ მის სახლში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი, ამჟამად ვერ ვიხსენებ, სახელდობრ რომელ ქუჩაზე ცხოვრობდა. მახსოვს მხოლოდ ის, რომ მისი სახლისკენ მიმავალი გზა პატარა ქვაფენილ აღმართს მიუყვებოდა, შემდეგ კი მარჯვნივ უნდა შეგეხვიათ და პატარა, ცისფერ ჭიშკარს მიადგებოდით. სწორედ იქ ცხოვრობდა მამა გიორგი ტერ-ტერზიევი... საკუთარი თვალით მაქვს ნანახი კელიები, სადაც მას უამრავი ხალხი ჰყავდა შეფარებული. მახსოვს ის დამხმარე ქალიც, მაგრამ სამწუხაროდ, რუსეთის უკანასკნელი დედოფლის იქ ცხოვრების თაობაზე არაფერი მსმენია. თავად მამა გიორგი დაახლოებით 1977 თუ 1978 წელს, ციროზით გარდაიცვალა და თუ არ ვცდები, პეტრე-პავლეს სასაფლაოზეა დაკრძალული. როცა თქვენს ჟურნალში ის ინტერვიუ წავიკითხე, როგორც გითხარით, რაღაც დეტალები გამახსენდა, თუმცა გული მწყდება, რომ დანამდვილებით არ ვიცი, მართლა ჰყავდა თუ არა მამა გიორგის შეკედლებული რუსეთის უკანასკნელი დედოფალი...

**— არა უშავს, თქვენ მამა გიორგი ტერ-ტერზიევის თაობაზე მაინც ბევრი რამ გვიამბეთ. იმედია, მკითხველები ამ ინტერვიუსაც გამოეხმაურებიან და რომანოვთა ოჯახის შესახებ კიდევ რაიმეს შევიტყობთ.**

■

# ზღვის ბოშები

სამხრეთ-აღმოსავლეთში მცხოვრებ, ყველაზე ამოუცნობ და რომანტიკულ ტომს, ზღვის ბოშებს მიანმელები „სალონებს“, ტაილანდელები „ჩაო-ლეიებს“ (ზღვის ადამიანები) ეძახიან. თავად ზღვის ბოშები ტომს სამ ჯგუფად ჰყოფენ: მოკენები, მოკლენები და ურაკლავები. ისინი განსხვავებულ, მაგრამ მონათესავე ენებზე საუბრობენ. მათ ისტორია არ გააჩნიათ — მხოლოდ რამდენიმე მკვლევარი დაინტერესდა მათი წესჩვეულებებით და მათი ენა შეისწავლა. პირველი სრული ინფორმაცია ავსტრიელმა გეოგრაფმა და მკვლევარმა, ბერნატციკმა 1936 წელს მოიძია. ხალხში მათ მოკენებს — ზღვის ბოშებს ეძახიან. ისინი არც ერთ რელიგიას არ აღიარებენ. ქრისტიანელი მისიონერები რამდენჯერმე ცდილობდნენ მათ მორჯულებას, მაგრამ ვერ შეძლეს. არ მისდევენ მიწათმოქმედებას. ცივილიზაციასთან კონტაქტი მაქსიმალურად შეზღუდული აქვთ. მხოლოდ ნათესავებზე ქორწინდებიან.

დაახლოებით 4 ათასი მოკენი ტაილანდის კუნძულებზე (ძირითადად პი-პიზე, ლანტესა და პხუკეტზე) ცხოვრობს, მაგრამ არც ერთი ქვეყნის მოქალაქეები არ არიან, რის გამოც გადაადგილება შეზღუდული აქვთ. მოკენები მშვიდობიანი ხალხია. ძველად მეკობრეები ესხმოდნენ თავს, მაგრამ მათ სიმდიდრე არ გააჩნიათ. ქალებიც საკმაოდ შეუხედავები ჰყავთ და ამიტომ თავი დაანებეს.

ზღვის ბოშებს მუდმივი საცხოვრებელი არ გააჩნიათ. წელიწადის მშრალ დროს (ოქტომბრიდან მაისამდე) სამი თაობისგან შემდგარი ოჯახი ოკეანეში, 10-მეტრიან ნავში — კაბანგში ატარებს. მუსონების დროს კი კუნძულებზე პალმის ფოთლებისა და ბამბუკისგან ქოხებს აგებენ. ზოგიერთი ოჯახი კუნძულზე მთელი წელი ცხოვრობს და სახლში წყალგაყვანილობა და შუქიც აქვს. ძირითადად ზღვის პროდუქტით, ბრინჯითა და კვერცხით იკვებებიან. მამაკაცები თევზაობას 12 წლიდან იწყებენ. თევზს ხელით ან ჰარპუნით იჭერენ. ბავშვები სკოლაში იშვიათად დადიან. ყველაზე ნასწავლს 3-4 კლასის განათლება აქვს. ზღვის ბოშები წყალში 20 მეტრის სიღრმეში ლასტების გარეშე ყვინთავენ. აკვალანგს თავად ამზადებენ. ქოქოსის ნაჭუჭში შუშის ნამტვრევს ხის წებოთი ამაგრებენ. შვედი მკვლევარის, ანა გისლენის დაკვირვებით, მოკენი ბავშვები წყალში უკეთესად ხედავენ, ვიდრე მათი თანატოლი ევროპელები. სამკურნალოდ ბალახებს იყენებენ. ზღვის პროდუქტებს (ზოგიერთი მოკენი მარგალიტსაც მოიპოვებს) საწვავში, ბრინჯში, ალკოჰოლში, სიგარეტსა და ოპიუმში ცვლიან.

მოკენების ყველაზე მნიშვნელოვანი ცერემონია სპირიტული ფესტივალი, „ლოი რუა“. წელიწადში ერთხელ, მშრალი სეზონის დროს, ბოლო ახალმთვარეობაზე მინიატიურულ ნავებზე ყველა უბედურებასა და ბოროტებას „ტვირთავენ“ და შუა ზღვაში უშვებენ. დღესასწაულებზე უძველეს ცეკვას „რონგ-ნგენგს“ ასრულებენ. მუსიკალური ინსტრუმენტებიდან ევროპული ვიოლინო, არაბული დაირა და ჩინური გონგი აქვთ. ლეგენდის თანახმად, ერთერთი ბოშა ქალი კუდ გადაიქცა და ადამიანის მხოლოდ თავი დაიტოვა. მას შემდეგ მოკენები ზღვის კუს დად მიიჩნევენ. წელიწადში ერთხელ წმინდა კუებზე ნადირობენ და მის ხორცს მიირთმევენ.

ძველად ისლამი ქალებს უცხო მამაკაცების თანდასწრებით ცეკვას უკრძალავდა. წვეულებებზე სტუმრებს მამაკაცი მოცეკვავეები — „კეჩეკსები“ ართობდნენ. ისინი XV საუკუნიდან არსებობდნენ. მდიდარი თურქები წვეულებებზე (ქორწილი, წინადაცვეთა) მოცეკვავეებსა და მუსიკოსებს იწვევდნენ და დღეში ერთ ქისა ყურუშს (ფულის ერთეული) უხდიდნენ. დღესასწაული 2-დან 5 დღემდე გრძელდებოდა. ჯგუფში სხვადასხვა ეროვნების (ბერძნები, სომხები და თურქები) 300 მამაკაცი ცეკვავდა. ყველაზე პოპულარული განყოფილება იყო „ზუმრუტი“ (ზურმუხტი) და „ჩელები“ (ნატიფი). ეს უკანასკნელი იმდენად პოპულარული იყო, რომ სულთან მურატ IV-ის სასახლეში იწვევდნენ და გასამრჯელოს ოქროთი უხდიდნენ.

კეჩეკსები ქალის სამოსში ცეკვავდნენ. მათ ცეკვასა და მუსიკას ბავშვობიდან ასწავლიდნენ — 12-13 წლის ბიჭებს ჭერზე მიმაგრებულ კალათებში სვამდნენ და სწრაფად ატრიალებდნენ, რათა ბავშვები ყველაზე რთულ ილეთებს შეჩვეოდნენ. ზოგიერთი კეჩეკსი მაყურებლის წინაშე აღმოსავლური შარვლით, აბრეშუმის პერანგითა (ფოჩიანი ან ოქროს ძაფით მოქარგული) და კუშაკქამრით გამოდიოდა. მათ „ყმაწვილ-ბაჭიებს“ ეძახდნენ. სხვათა შორის, ჰარამხანაში მცხოვრები ქალები ცეკვის დროს აღმოსავლურ შარვლებს იცვამდნენ.

კეჩეკსებს გრძელი თმა ჰქონდათ და მაკიაჟს იკეთებდნენ. ქალებივით გამოწყობილი ყმაწვილები კეკლუცობითა და ცეკვებით მამაკაცებს თავბრუს ახვევდნენ. ყველაზე ცნობილი კეჩექსები მუსლიმანობის მიღების შემდეგ (ეროვნებით ბოშები, ებრაელები, სომხები, ბერძნები იყვნენ) ფსევდონიმებს იღებდნენ. ხშირად ისინი სტამბოლის ყავახანებშიც მუშაობდნენ.

კეჩეკსების პროფესია ოფიციალურად 1856 წელს აიკრძალა, რის გამოც, მათი დიდი ნაწილი ეგვიპტეში გადასახლდა, მაგრამ თურქეთის ზოგიერთ რეგიონში ისინი დღესაც ართობენ მამაკაცებს.

აღმოსავლეთის ყველაზე ცნობილი მოცეკვავეები „ჩენგისები“ იყვნენ. ერთერთი ვერსიით, მათი სახელი მუსიკალური ინსტრუმენტის, ჩანგისგან წარმოიშვა. მეორე ვერსიით მოცეკვავეები

# თურქული ცეკვები

თურქეთში მცხოვრები ბოშები იყვნენ, რომლებსაც ჩინგენებს ეძახდნენ. ბოშები სტამბოლში 1453 წლიდან დასახლდნენ, საკუთარ წეს-ჩვეულებებს მისდევდნენ, მუსლიმანურ კანონებს არ ცნობდნენ და ისლამს უარყოფდნენ.

ჩენგისის ჯგუფს „კოლი“ ერქვა. მოცეკვავეებიც და მუსიკოსებიც ქალები იყვნენ. დამკვრელებს „სირაჩები“ ერქვათ. მელოდიებს დაირაზე, ვიოლინოსა და დოლზე ასრულებდნენ. ლამაზი მოცეკვავეები მამაკაცების ყურადღებას ყოველთვის იპყრობდნენ, მაგრამ სექსუალური ურთიერთობა ძირითადად ქალებთან ჰქონდათ. მხოლოდ რამდენიმეს ჰყავდა ორივე სქესის საყვარელი. წარმოდგენებს ძირითადად აბანოებში მართავდნენ. მაყურებლები მოწონებულ მოცეკვავეს შუბლზე ოქროს მონეტას აკრავდნენ და ეს ტრადიცია დღემდე შემორჩა — წარმოდგენის შემდეგ მოცეკვავეები სტუმრებთან მიდიან და გასამრჯელოს იღებენ. მოცეკვავეებს ქუჩაში გადაადგილების წესიც ჰქონდათ. წინ ჯგუფის ხელმძღვანელი მიდიოდა, შემდეგ მისი დამხმარე, მოცეკვავე გოგონები, მუსიკოსები და ბოლოს მათი მსახურები. სეირნობის დროს მუსიკის თანხლებითა და ცეკვით გამვლელების ყურადღებას იქცევდნენ.

მოცეკვავეების ოთახში შესვლა ყველას აკრძალული ჰქონდა. რატომღაც ეგონათ, რომ წარმოდგენის წინ მოცეკვავეები ალკოჰოლურ სასმელებს სვამდნენ. მდიდარ მოცეკვავეებს ოქროთი ნაქარგი ან ფოჩიანი კოსტიუმები ეცვათ; ფეხებზე — თეთრი წინდები და სპეციალური ფეხსაცმელი — „ფილერი“.

წარმოდგენა სამი ნაწილისგან შედგებოდა. თავდაპირველად ჯგუფის ხელმძღვანელი „ნელ ცეკვას“ ასრულებდა და დარაბაზს ოთხჯერ შემოუვლიდა. შემდეგ გოგონები საგატებით ცეკვავდნენ (თითებზე დასამაგრებელი ჟღარუნები), მესამე ნაწილში ყმაწვილებივით გამოწყობილები ბაჭიების ცეკვას ასრულებდნენ. პირველად მამაკაცების წინაშე მხოლოდ XIX საუკუნეში გამოვიდნენ.

ზოგიერთი მოცეკვავე ქალი დიდ პატივში იყო — მდიდარი საყვარლებისგან სამკაულებსა და ოქროს მონეტებს იღებდა და სულთნის ჰარემშიც ცხოვრობდა. ზოგიერთი მისი ცოლიც გახდა.

XX საუკუნის დასაწყისში მოცეკვავეებზე მოთხოვნა შემცირდა. მათი ადგილი ევროპელმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა დაიკავეს. ანატოლიის ზოგიერთ რეგიონში პოპულარულია ცეკვის სახეობა, რომელიც ჩენგისსაც ჰგავს და კოჩეკსაც. მას „ოტურაკს“ ეძახიან (ორგია, ალკოჰოლითა და მოცეკვავე გოგონებით). ანკარაში — „კუმბუშს“.

თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ ყველაზე პოპულარული თურქი მოცეკვავე ქალი ემინ ადალეტ პი იყო. ის გათხოვების შემდეგ გერმანიაში დასახლდა. ამბობენ, რომ ხშირად ჰიტლერისთვისაც უცეკვია.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ამერიკაში პოპულარული მოცეკვავეები იყვნენ ნიკლა ატესი და ოზელ ტურკბასი. მათი გამოსვლების შემდეგ შეერქვა თურქულ ცეკვებს „მუცლის ცეკვა“. ერთ-ერთი ნაძლევის დროს ოზელმა შეუჩერებლად 6.5 საათი იცეკვა. მას კინოშიც იღებდნენ. ცეკვების შესასწავლი წიგნები და აღმოსავლური მელოდიების კასეტები გამოსცა. ნიკლა ბროდვეიზე მიუზიკლ „ფანიში“ გამოდიოდა. მას „თურქულ ტკბილეულს“ ეძახდნენ. ის პირველი მოცეკვავე იყო, რომელმაც ცეკვაში სტრიპტიზის ელემენტები შეიტანა. ■

# „გემრიელი“ ინტერვიუ რაჭველ შეფ-მზარეულთან ანუ ჭირვეული კლიენტის „ყიყლიყო“

**რესპონდენტს, რომელთან ინტერვიუსაც ახლა გთავაზობთ, შემთხვევით, ინტერნეტში გადავაწყდი. „ოდნოებში“ ისეთი მადისაღმძვრელი ფოტოები ედო, რომ სანამ მათ ვათვალიერებდი, ნერწყვის ყლაპვით მოვკვდი. მალხაზ მაისაშვილი ერთ-ერთი რესტორნის შეფ-მზარეული გახლავთ და თურმე ამ ზაფხულს ძალზე საინტერესო პროექტშიც მონაწილეობდა. ის მხოლოდ კარგი მზარეული კი არა, ენაწყლიანი მოსაუბრეც აღმოჩნდა და საკმაოდ „გემრიელი“ ინტერვიუ გამოგვივიდა. პროექტის, თავს გადახდენილი კურიოზებისა და ძველი კერძების ახალი რეცეპტების შესახებ ბატონი მალხაზისგან შეიტყობთ, ხოლო პუბლიკაციის ბოლოს იმასაც გაიგებთ, რატომ იყო ეს ინტერვიუ ჩემთვის ჭკუის სასწავლებელი და როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი, როდესაც კულინართან ინტერვიუზე მიდის.**




მარი ჯაფარიძე

— რესტორნებისა და სასტუმროების მართვის „M-ჯგუფმა“ შეიმუშავა პროექტი, რომელსაც „ქართული სუფრის საგანძური“ ჰქვია. მისი მიზანი მივიწყებული, ქართული კერძების აღორძინება გახლავთ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ვეწვიეთ და ძველი, ქართული კერძების რეცეპტები მოვიძიეთ. ჯერჯერობით ყველა კუთხე ვერ მოვიარეთ; სამუშაო კიდევ დაგვრჩა; რეცეპტებიც დასამუშავებელია და როდესაც საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, ამ კერძებს ჩვენს რესტორნებში დავნერგავთ. გასულ ზაფხულს მთელი საქართველო მოვიარეთ. პირველად აჭარაში ვიმოგზაურეთ. განსაკუთრებულად, მთიანი აჭარით ვიყავით დაინტერესებული.

**— აჭარული კერძების რეცეპტების ჩასაწერად იქაურ რესტორნებს აკითხავდით?**

— არა, რას ბრძანებთ, ჩვენ რესტორნების კერძები კი არა, მოსახლეობაში შემორჩენილი რეცეპტები გვაინტერესებდა. სოფელში შევდიოდით, ჩვენი სტუმრობის მიზანს ვუმხელდით და ყველა მზად იყო, თავისი ცოდნა ჩვენთვის გაეზიარებინა.

**— რომელი ახალი კერძის რეცეპტი აღმოაჩინეთ აჭარაში?**

— ბორანო თითქმის ყველამ იცის. გარდა ამისა, თურმე არსებობს მისი სახეცვლილება — ნაღმიბორა, რომელიც კიმაღითა (ნაღები) და ყველით კეთდება. ძალიან საინტერესო კერძია იახნი. ჩავიწერეთ კეჟერა ფხალისა და მალახტო ლობიოს — იგივე მწვანე ლობიოსგან მომზადებული კერძების რეცეპტები. მთიან აჭარაში კერძებს ძირითადად რძის ნაწარმით აკეთებენ. ჩავიწერეთ სინორის რამდენიმე რეცეპტი — მაწვნითა და ყველით, ასევე, ტკბილი... კიდევ არის კერძი, რომელიც ქლიავის ჩირით კეთდება. მას ყაისაღს ეძახიან — შაქრის სიროფში ქლიავის ჩირი იხარშება, რომელსაც ზემოდან ერბო ან იაღი (კარაქი) ესხმება. აჭარაში ყველა კერძში ერბოს ან კარაქს იყენებენ. როგორც იქაურებმა ამიხსნეს, თურმე წინათ, როცა ადამიანი დილით სამუშაოდ მიდიოდა, საუზმედ ტკბილს ჭამდა, ხორციანს თუ სხვა რამეს, დიდი რაოდენობით ერბოს აყოლებდა, რომ მთელი დღის განმავლობაში არ მოშივებოდა.

**— როგორ ფიქრობთ, როცა თითქმის ყველა ადამიანი დიეტაზეა და კალორიებს ითვლის, რესტორანში ასეთ მსუყე კერძებს კლიენტი ეყოლება?**

— საქმე ის გახლავთ, რომ ასეთი საკვები არ ასუქებს. არც მე ვარ „ტანწერწეტი“ და გამხდარი, მაგრამ რამდენიმე დღის განმავლობაში ამ მსუყე საჭმელებით ვიკვებებოდი და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ რამდენიმე კილოგრამი დავიკელი კიდეც. ის, რაც ნატურალურია, სასარგებლოცაა და არ ასუქებს.

**— მოსახლეობა როგორ ხვდებოდა თქვენს ინიციატივას?**

— სოფელში ხმა უცებ ვრცელდებოდა, თბილისიდან ხალხია ჩამოსული, კერძების ძველ რეცეპტებს იწერენო და თვითონ მოდიოდნენ, თუ რაიმე ბებიისგან ნასწავლი ჰქონდათ, არ იშურებდნენ. შემდეგ კერძებს ერთად ვამზადებდით და ვაგემოვნებდით. რა თქმა უნდა, ყველაფერს იქვე ვერ მოვამზადებდით, ზოგიერთი კერძის მხოლოდ რეცეპტს ვიწერდი, მაგრამ იყო ისეთი კერძებიც, რომლის მომზადების პროცესი აუცილებლად უნდა მენახა, რადგან ძალზე სპეციფიკური გასაკეთებელია და თუ არ უყურე, ვერ გააკეთებ.

**— მაგალითად?**

— მაგალითად, არის ასეთი კერძი — ნაღმიბორა, რომელიც ნაღებითა და ყველით კეთდება. ნაღები გარკვეულ ტემპერატურამდე უნდა გაცხელდეს და შემდეგ დაწნული ყველი დაემატოს. თუ ეს ტემპერატურა არ იცი და ვერ დაიცავი, კერძი ჭურჭელს მიეკვრება (რაშიც მზადდება, იმითვე უნდა მიართვა სტუმარს) ან ყველი ჩაიშლება, გაიქნება და კერძს აღარც ისეთი გემო ექნება და აღარც „გარეგნობა“. თუ ყველის ჩამატება ადრე მოგვიდა, სულ მთლად გაწყალდება. ასევე, ყაისაღის კეთების დროს, ქლიავის ჩირი წყალში დიდხანს არ უნდა დარჩეს, თორემ ბლანტი გახდება. ჩირი დროულად უნდა ამოიღო და ცხიმიც დროულად უნდა მოასხა.

**— აჭარის შემდეგ საით აიღეთ გეზი?**

— სამცხე-ჯავახეთს ვესტუმრეთ. მოგეხსენებათ, ესეც მთიანი რეგიონია და კერძები აქაც ძირითადად რძის ნაწარმით მზადდება.

**— განსაკუთრებული რეცეპტები აქაც მოიძიეთ?**

— აქ აპოხტის ხინკალი დავაგემოვნე, რომელიც ძალიან გემრიელია და საქონლის გამოყვანილი, მოზრდილ ნაჭრებად დაჭრილი ხორცით მზადდება. თითოეული ხორცის ნაჭერი პელმენივით იხვევა ცომში და იხარშება. სამცხე-ჯავახეთში ჩვეულებრივი ლოკოკინასგანაც ამზადებენ კერძებს, მაგრამ ის მხოლოდ წელიწადის გარკვეულ პერიოდში იჭმება და გამიმართლა, რომ სწორედ იმ დროს არ მოვხვდი იქ.

**— როგორც ჩანს, ეგზოტიკურ კერძებს არ სწყალობთ.**

— ნამდვილად ვერ შევჭამ ვერც ლოკოკინას, ვერც ბაყაყს და ვერც სხვა ისეთ კერძს, რომელიც „საეჭვო ინგრედიენტებისგან“ მზადდება.

**— თქვენ თვითონ რომელი კუთხის წარმომადგენელი ხართ?**

— რაჭველი გახლავართ.

**— იქაც აღმოაჩინეთ თქვენთვის აქამდე უცნობი კერძები?**

— დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ რაჭაში ბევრი ისეთი კერძი ვნახე და ვისწავლე, რომელიც აქამდე არ ვიცოდი. მაგალითად, გარეული კურდღლისგან მომზადებული კერძი, რომელსაც ტაბუცუნს ეძახიან. თონეში შემწვარ კურდღლის ხორცს საცივივით აკეთებენ, მაგრამ ცოტა სხვანაირი მეთოდით. ასევე ძალიან გემრიელია საქონლის ხორცით მომზადებული — სუკი მამისონი, რომელიც ხახვითა და ბროწეულით იკაზმება. ლორში შემწვარი კარტოფილი ყველამ იცის, მაგრამ ჩვენ ამ კერძის სხვა მეთოდით მომზადება

ვისწავლეთ. ასევე ჩავიწერეთ პარკი (მწვანე) ლობიოსგან დამზადებული კერძების, ჩაჭრილას, შეწურულას, ფხალეულის წვნიანების რეცეპტები. რაჭაში მჭადიხაჭაპურს ეძახიან მჭადში ჩადებულ ყველს — ძალიან გემრიელია.

**— კახეთმა თუ გაგაოცათ რამით?**

— კახეთში შინდის შეჭამანდის რეცეპტი ჩავიწერეთ. კახური სუფრა — ხაშლამა, დედალი და მწვადი დღეს ქართულ რესტორნებს კარგად აქვთ ათვისებული. კახეთში იმდენი „უცნობი“ კერძი არ არის, როგორც მაგალითად, აჭარაში ან სვანეთში. სვანეთში მართლა ბევრი ისეთი კერძია, რომელიც არც კი გამეგონა, მაგლითად, ზინჰორა. ეს გახლავთ ერთგვარი კუპატი, რომელიც სხვადასხვა სუნელით შეზავებული ხარის სისხლისგან მზადდება.

**— ვიცი, რომ ხარს საგანგებოდ, გულში უყრიან ხანჯალს და ისე კლავენ, შემდეგ სისხლს სპეციალურ ჭურჭელში აგროვებენ, კაზმავენ და გარეცხილ ნაწლავებში დებენ.**

— დიახ, სწორედ ასეა. წარმოსადგენად ცოტა „საშიშიც“ კია, მაგრამ ძალიან გემრიელია. ასევე, საქონლის ან ხარის ხორცისგან მზადდება კერძი, რომელსაც ნალძიჰორა ჰქვია. სვანეთში ვისწავლეთ ხახვიანი ხაჭაპური, ფეტვიანი ლუკმე (იგივე ფეტვნაარი — ხაჭაპურის ჩვეულებრივ გულსართში დაფქული ფეტვი ერევა). კუბდარის ახალი რეცეპტი არ მისწავლია, მაგრამ ვისწავლე, როგორ კეთდება ნამდვილი კუბდარი.

**— მისი აუცილებელი ინგრედიენტი წინათ კანაფის (ე.წ. „პლანი“) თესლი იყო. მას როგორც საკაზმს, ისე იყენებდნენ.**

— ჰო, ეგ მეც გაგონილი მქონდა და ვიკითხე, მართლა ასე იყო თუ არა და ახლაც იყენებთ-მეთქი? სვანებმა პირზე ხელი ამაფარეს — არავინ გაიგონოს, თორემ კუბდარის კი არა, „ბალანდის“ რეცეპტის ჩაწერა მოგიწევსო. სვანეთში გავსინჯე ნამდვილი ჭიშდვარი (ე.წ. ჭვიშტარი). საოცარი რამაა. სვანურ „ფეჩში“ გამომცხვარს, ყველაფერს სხვანაირი გემო აქვს. შემდეგ, სამეგრელოში ყოფნის დროს, მეგრელებს ვეუბნებოდი, თქვენ მჭადის ფქვილში ყველს ამატებთ, სვანეთში კი ყველში ამატებენ მჭადის ფქვილს-მეთქი.

**— როდიდან აპირებთ ახალი კერძების დანერგვას თქვენს რესტორნებში?**

— ვფიქრობ, ნოემბრის ბოლოდან ახალ კერძებს უკვე მენიუში შევიტანთ — ცალკე მენიუ გაკეთდება, რომელშიც მხოლოდ ეს კერძები იქნება და სტუმარს ისე შევთავაზებთ. შესაძლოა, კლიენტს ზოგიერთი კერძის სახელწოდება ეუცხოოს, მაგრამ მიმტანი გაარკვევს და სურვილისამებრ, შეუკვეთს. ყველა რესტორანში ძირითადად ერთი და იგივე კერძები აქვთ — წიწილი, მწვადი, ხაჭაპური. ძველი რეცეპტებით მომზადებული ახალი კერძები ალბათ საინტერესო იქნება ყველასთვის.

**— იმერეთმა თუ გაგაოცათ რამით?**

— იმერეთში ვისწავლეთ ხბოს ჩაშუშული და აღმოჩნდა, რომ თურმე ამ „ცნობილ“ კერძს იქაურები სულ სხვანაირად აკეთებენ. იქ ეძახიან ხბო — პომიდორში, ხბო — ჩახრაკული, ხბო — ჩაბუღული...

**— გარდა მომზადებისა, კერძების მირთმევის განსაკუთრებული მეთოდებიც ხომ არ აგითვისებიათ?**

— ყველა კერძი, რომელიც ჩვენ მოვიძიეთ, ძირითადად ხელით იჭმება, ხის ჯამებში მზადდება და სტუმარს აუცილებლად ხელით აწვდიან.

**— თქვენი საყვარელი კერძი რა არის?**

— დაიმახსოვრეთ, რომ თითქმის ყველა მზარეულის საყვარელი კერძი შემწვარი კვერცხია. იოლად კეთდება და გემრიელიცაა (*იცინის*).

**— „ქართული სუფრის საგანძურის“ რეცეპტების წიგნად გამოცემას ხომ არ აპირებთ?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ შესაძლოა, ქართველ დიასახლისებს მართლაც შევთავაზოთ ძველი ქართული კერძების რეცეპტები.

**— შინ თუ გიწევთ კერძების მომზადება?**

— კი, როგორ არა. თუ დრო მაქვს, აუცილებლად მე ვამზადებ კერძს. ბავშვებს უხარიათ ხოლმე, დღეს მამა შინაა და ხორციანი კერძი გვექნებაო.

**— არ გეზარებათ?**

— კომოდის გადასადგმელად რომ დამიძახოთ, ის უფრო დამეზარება და მეწყინება. თუ მეტყვით, რომ საქორწილო სუფრა უნდა გაგიმზადოთ, სიამოვნებით წამოვალ. კერძების მომზადება სიამოვნებას მგვრის და არასოდეს დამეზარება.

**— როდესაც რესტორანში თავად ხართ კლიენტი და რაიმე კერძი მოგეწონებათ, რეცეპტს თუ კითხულობთ?**

— რა თქმა უნდა, ვკითხულობ, მაგრამ არ ვამბობ, რომ მზარეული ვარ (*იცინის*).

**— თქვენ თუ გასცემთ საკუთარი კერძების რეცეპტებს?**

— რეცეპტის გაცემა არასოდეს მენანება, რადგან დარწმუნებული ვარ, რასაც ვაკეთებ, თქვენ ჩემნაირად ვერ გააკეთებთ და ვერც მე გავაკეთებ თქვენნაირად. 2 ადამიანს ერთნაირი ინგრედიენტები რომ დაულაგო და ერთნაირი კერძის მომზადება დაავალო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ სხვადასხვანაირი გემო ექნება. როგორც იტყვიან, „ხელზეა“ დამოკიდებული.

**— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ კლიენტს თქვენ მიერ მომზადებული კერძი მოსწონებია და მადლობის სათქმელად დაუძახია?**

— ძალიან ხშირად. ჩვენ, მზარეულებს „ნახევრად თერაპევტებს“ გვეძახიან, რადგან კარგმა მზარეულმა კერძი ისე უნდა მოამზადოს, ადამიანს არც ნაღველი გაუღიზიანოს, არც კუჭი. ესაა პროფესიონალიზმი, თორემ „ოსტრის“ გაკეთება და მწვადის შეწვა ყველა ქართველმა კაცმა იცის.

**— მოგზაურობისას საინტერესო თავგადასავლებიც გექნებოდათ.**

— რა თქმა უნდა, ხომ იცით, ასეთ დროს ბევრი კურიოზი ხდება. მაგალითად, ყაზბეგში ყოფნისას ერთ ქალბატონს სთხოვეს, ასე და ასეა საქმე, თბილისიდან ხალხია ჩამოსული, ძველი ქართული კერძების რეცეპტებს იწერენ და შენთან მოვიყვანთ, დააბინავე და უპატრონეო. რას ამბობთო, შეიცხადა ქალმა. წინააღმდეგი კი არ ვარ, სტუმარი ღვთისაა, მაგრამ რას იტყვის ხალხი? ციცო გასვეტებულაო, იტყვიან და ამიტომ ვერავითარ შემთხვევაში ჩემთან ვერ წავიყვან, ისე კი თუ რაიმეში დახმარება გჭირდებათ, მზად ვარო. მესტიაში ერთი ქალი მოგვამაგრეს და სთხოვეს, დაგვხმარებოდა. ამ ქალბატონმა ბევრი გვატარა თუ ცოტა, ერთ სახლში მიგვიყვანა. ისეთი გარემონტებული და „გაპრიალებული“ სახლი იყო, ფეხშიშველი გავლაც კი მოგერიდებოდა. ევროპულ დონეზე ჰქონდათ ყველაფერი მოწყობილი. აქ რა გვინდა, ქალბატონო, თქვენ ალბათ ვერ მიხვდით, რისთვის ვართ ჩამოსული, სოფლებში წაგვიყვანეთ, მოსახლეობას შეგვახვედრეთ-მეთქი, ვუთხარი. აბა, რას ამბობ ახლა, ჯაჭვლიანმა რომ სვანებზე ფილმი გადაიღო და თავი მოგვჭრა, შენც მაგისთანა საქმისთვის იქნები ჩამოსული და არავითარ შემთხვევაში სხვაგან არ წაგიყვანთ, აგერ, ნახეთ, სვანები როგორ ვცხოვრობთო. ძლივს დავარწმუნეთ, რომ ჯაჭვლიანივით „სამტროდ“ არ ვიყავით მისული.

**— ისე, მაინც მგონია, რომ ადგილზე, „სამშობლოში“ გაკეთებული კერძები გაცილებით გემრიელი გამოვა, ვიდრე იმავე რეცეპტით, თბილისში დამზადებული.**

— გეთანხმებით, ნამდვილად ასეა. ადგილზე გაკეთებული ყველაფერი კარგია, რადგან იქ სხვანაირი ჰაერი, წყალი, ბალახია (რომლისგანაც სუნელები მზადდება)... და ეს ფაქტორები კერძის გემოზე თავისებურად მოქმედებს. მაგალითად, რაჭაში რომ ლორი კეთდება, ასეთს ვერსად გააკეთებ. ბებიაჩემის ამოზელილ ლობიოზე ვგიჟდებოდი. ისე აკეთებდა, თითებს ჩაიკვნეტდი. ჩემგან სტუმრად რომ ჩამოდიოდა, ვთხოვდი ხოლმე, შენ რომ იცი, ისეთი გემრიელი ლობიო გამიკეთე-მეთქი, მაგრამ აქ ისეთ გემოს ვერ ვატანდი. არ გამოდიოდა ისეთი გემრიელი, როგორიც სოფელში.

**— თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც რესტორანში მოსულ კლიენტს ისეთი კერძი მოუთხოვია, რომელიც მენიუში არ გაქვთ?**

— ქართველების მარიაჟ ბუნებას თუ გავითვალისწინებთ, ეს არც კი უნდა გაგვიკვირდეს. ზოგიერთი კლიენტი გადახედავს მენიუს და თავისივე სტუმრებთან თავის მოსაწონებლად იტყვის, მენიუში რაც არ გაქვთ, ის მომიტანეთო. მაგალითად, შესაძლოა, კაი ნასვამ-ნაჭამზე, ყველა შემწვარი წიწილითა და მწვადით რომაა გამძღარი (მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის, მაგრამ სრული ამ სიტყვის ნიშნელობით) და ე.წ. „ჩიჟი-ბიჟი“ (მოხრაკული პომიდორი, კვერცხით) ან „ყიყლიყო“ შეგვიკვეთოს. ერთი კლიენტი გვყავდა, დათვრებოდა თუ არა, „ყიყლიყოს“ ითხოვდა. რესტორანში შემოსულს რომ დავინახავდით, უკვე „ყიყლიყოს“ ინგრედიენტებს ვამზადებდით. ერთხელ ისიც კი მითხრა, სახლში რომ მივალ, დაგირეკავ, ჩემს ცოლს დაგალაპარაკებ და ასწავლე, თუ ძმა ხარ, ასეთ გემრიელ „ყიყლიყოს“ როგორ აკეთებო.

**— დაბოლოს, ერთი კერძის რეცეპტი, ჩვენი მკითხველისთვის.**

— ხბოს ჩაშუშული გინდათ?

**— კი, გვინდა.**

— ხბოს ხორცი დავჭრათ, გავრეცხოთ და ნელ ცეცხლზე დავდგათ. წყალი არ უნდა ჩავამატოთ და ქვაბს თავი უნდა დავახუროთ. ხორცი რომ ჩაიშუშება, ალყაალყად დაჭრილი ხახვი (ცოტა მოიტოვეთ) და ბლომად კარაქი დავამატოთ. ხახვიც რომ ჩაიშუშება, კანგაცლილი, გახეხილი პომიდორი დავამატოთ და კარგა ხანს ვშუშოთ (სურვილისამებრ, პომიდვრის ნაცვლად შეგიძლიათ ტომატი გამოიყენოთ, ოღონდ წყალში არ გაეზავოთ). კერძი თითქმის მზად რომ იქნება, 1 ჭიქა თეთრი ღვინო, მწვანილი — ქინძი, კამა, რეჰანი (დაიმახსოვრეთ, რომ ოხრახუში კერძს ატკბობს და მისი ხორციან კერძებში გამოყენება არ არის სასურველი, თუმცა გემოვნებაზე არ დაობენ), მორჩენილი ხახვი და მარილი ჩავამატოთ, 2-3 წუთი ვადუღოთ და გადმოვდგათ.

*P.S. რესპონდენტთან, ინტერვიუზე მიმავალს შემთხვევით ჩემი კოლეგა, ნათია ჟივიძე გადამეყარა და ამ შემთხვევის წყალობით, ბატონ მალხაზთან ერთად მივედით. ნათია გულმოდგინედ უსმენდა ჩვენს საუბარს, ჩემს რესპონდენტს კითხვებს აყრიდა და თან ყავას წრუპავდა. როგორც კი ბატონი მალხაზი რაიმე „გემრიელს“ იტყოდა, ნერწყვს ძლივს გადაყლაპავდა ხოლმე (რამდენჯერმე ლამის დაიხრჩო). ვინაიდან შუადღე იყო და მშივრები ვიყავით, კარგი დღე არც მე დამდგომია, მაგრამ „გმირულად“ ვაგრძელებდი კითხვების დასმას. ბოლოს, როდესაც რესპონდენტმა რაჭულ ლობიანზე საკმაოდ ვრცლად ილაპარაკა, ნათიამ ყავასთან ერთად მორთმეული „პეჩენია“ ისე ჩაახრამუნა და ჩემს ხელუხლებელ „პეჩენიას“ ისეთი თვალით გადმოხედა, მივხვდი, რომ მისი საქმე ცუდად იყო და თუ ინტერვიუს არ დავასრულებდი, შესაძლოა, გული წასვლოდა. რესპონდენტს დავემშვიდობეთ და როგორც კი „სამშვიდობოს“ გამოვედით, ნათიამ ძლივს ამოიკვნესა: მარი, მანქანა სადმე საცხობთან გამიჩერე, თორემ ხელში ჩაგაკვდებიო. დასკვნა (ან მორალი): მზარეულთან ინტერვიუზე მშიერი არ წახვიდეთ!* ■

# შიში თუ არასრულფასოვნების კომპლექსი?

**ჩვენ — ყველანი ერთმანეთისგან განვსხვავდებით; განვსხვავდებით გარეგნულად, შინაგანად, ფიზიოლოგიურად, ცხოვრების სტილით, გემოვნებით... მაგრამ არა — შიშებით. მაინც რისი გვეშინია? და რისი ეშინიათ ჩვენს საყვარელ მამაკაცებს? ვინც ირწმუნება, რომ შიში არაფრისა აქვს, უბრალოდ თავს იტყუებს. ქალებს მეუღლეების დაკარგვა, სხვადასხვა დაავადება და მანიაკებთან ღამით შემთხვევითი შეხვედრა აშინებს; მამაკაცების შიშის საფუძველი სრულიად სხვაგვარია...**

**შიშისგან სავსებით გათავისუფლება ფსიქოლოგებთან მუშაობის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. თუმცა ზოგიერთი პრობლემის მოხსნა თავადაც შეგიძლიათ.**

## რისი ეშინიათ ქალებს

ქალები საკმაოდ მრავალი მიზეზის გამო ფორიაქობენ.

მაგალითად, ნებისმიერი ქალს სურს, ოჯახში მყუდრო გარემო შექმნას. ბევრი მათგანი მოდური ჟურნალების მიხედვით ცდილობს სახლის მოწყობას. ზოგჯერ ლამაზი ინტერიერის ნახვა მათზე დამთრგუნველად მოქმედებს, რადგან საყვარელი ხალიჩა, რომელიც ცოტა ხნის წინ, მისაღები ოთახის „მშვენებად“ მიიჩნეოდა, ახლა მხოლოდ ძაღლის საფენს თუ მოაგონებს; ქალები ხშირად წუხან იმის გამო, რომ მათი სახლი საკმარისად ლამაზად არ გამოიყურება.

თუმცა სულ ტყუილუბრალოდ ნერვიულობთ. უბრალოდ, წარმოიდგინეთ, როგორ იცხოვრებდა თქვენი ოჯახი ჟურნალში ნანახის მსგავს ინტერიერში: ბავშვები აბრეშუმის ფერად ფარდებს პლასტილინით დასვრიდნენ, ძაღლი კი თქვენს ბროლის მაგიდას ბრჭყალებით დაჩხაპნიდა. ჟურნალში დაბეჭდილი სახლის ინტერიერი მოდურ კაბას წააგავს, რომელიც პოდიუმზე გამოაქვთ — ლამაზია, მაგრამ არა ყოველდღიური.

გასაკვირი არ არის, რომ დიასახლისს ხშირად აქვს იმის შიში, — ვაითუ, სტუმრებს სათანადოდ ვერ გავუმასპინძლდეო. ერთნი სადილის მოსწრებაზე ნერვიულობენ, მეორენი კი იმაზე, ნამცხვარი არ მიეწვათ.

გაათავისუფლეთ საკუთარი თავი ზედმეტი პასუხისმგებლობისგან. ჯერ ერთი, ადამიანები სტუმრად მხოლოდ კერძების დასაგემოვნებლად არ დადიან. მეორეც — ჩვენს დროში მაღაზიები სავსეა უამრავი სახის ნახევარფაბრიკატით, რომლის მეშვეობითაც საქმეს საგრძნობლად გაიიოლებთ.

ცნობილია, რომ ზოგიერთ ქალს მაღაზიებში სიარულის ეუხერხულება. მაგალითად, თავს არიდებს ბუტიკებს იმის შიშით, რომ ხელფასი იქაური მოდური კოლექციის ცხვირსახოცის შესაძენადაც არ ეყოფა. ეს გასაგებიც არის, რადგან ზოგიერთი გამყიდველი ისე იქცევა, თითქოს საკუთარ კოლექციას ყიდდეს.

გახსოვდეთ, უფლება გაქვთ, მოიზომოთ, რაც მოგესურვებათ და მაღაზიიდან შენაძენის გარეშე გამოხვიდეთ.

## რისი ეშინიათ მამაკაცებს

ვიდრე ქალები ლამაზ ინტერიერზე, მიმწვარ ნამცხვრებსა და ძვირად ღირებულ კაბებზე ნერვიულობენ, კაცობრიობის ძლიერ სქესს სრულიად სხვაგვარი შიში იპყრობს. აი, რამდენიმე მათგანი:

- მამაკაცებს ძალზე ეშინიათ სამსახურის დაკარგვის;
- გულისკანკალით ფიქრობენ მოსალოდნელ გამელოტებაზე;
- მათ აკომპლექსებს თანამედროვე ტექნიკის არქონა — უფრო სწორად ის გარემოება, რომ მისი შეძენა ვერ შეძლეს;

ასევე მათ უხერხულობას იწვევს იმის შიში, რომ საყვარელი ქალი საჩუქარს დაუწუნებს, რადგან:

√ საჩუქარი ძალზე უფერულია;
√ მისი რჩეულის გემოვნებას არ დააკმაყოფილებს;
√ არ მოუხდება ფერი, სტილი და ა.შ;
√ უბრალოდ არ არის, ის, რაზეც მისი გულის სწორი ოცნებობდა.

## როგორ უნდა მოიქცეთ ასეთ შემთხვევებში?

თუ თქვენ გულწრფელად გიხარიათ ყურადღების ნებისმიერი გამოვლენა თქვენი რჩეულის მხრიდან, აგრძნობინეთ მას ამის შესახებ; ხოლო თუ მისი გემოვნებით შერჩეული საჩუქარი მართლაც არ გაკმაყოფილებთ, დაფარვას ნურც ეცდებით — სულერთია, თქვენი უკმაყოფილო სახე შეუმჩნეველი მაინც არ დარჩება. უმჯობესია, საჩუქართან დაკავშირებით, მამაკაცს კონკრეტული რჩევა მისცეთ ან სულაც, ერთად წახვიდეთ საჩუქრის საყიდლად.

## რისი ეშინია ყველას

კიდევ არსებობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ზოგადსაკაცობრიო შიში“, რომელიც ორივე სქესისთვის დამახასიათებელია. თუმცა ქალებსა და მამაკაცებში ის სხვადასხვაგვარად ვლინდება.

გაქურდვის შიში კაცებს სიგნალიზაციებისა და საკეტების მუდმივი ცვლისკენ უბიძგებს; ქალები კი ძვირფასეულობას სამზარეულოს კედლის თაროებსა და ლეიბებში ინახავენ. საკუთარი ქონების დაზღვევით, თქვენ ამ შიშს ადვილად მოიხსნით, მით უმეტეს, თუ ხალხურ სიბრძნესაც გაიხსენებთ: მთავარია ჯანმრთელობა, დანარჩენის მოპოვება კი ყოველთვის შეიძლება.

რაც შეეხება ჯანმრთელობას: შიში ხშირად თვითშენარჩუნების ინსტინქტს უკავშირდება. საინტერესოა, რომ მა-

მაკაცებს ყველაზე ხშირად ისეთი დაავადებები აშინებს, რომლებიც შრომისუნარიანობას აქვეითებს; ქალებს კი — ძირითადად ისეთი, რომლებიც გარეგნობას აჩნევს კვალს. აღსანიშნავია, რომ ქალები უფრო ხშირად ნერვიულობენ ბავშვებისა და ახლობლების ჯანმრთელობაზე, ვიდრე მამაკაცები.

### გასათვალისწინებელი რჩევა

გაიხსენეთ ორი სამედიცინო კანონი: პირველი — პროფილაქტიკა საუკეთესო წამალია. მეორე — ჯანმრთელი ადამიანი ცუდად გამოკვლეული ავადმყოფია. ასე რომ, თუ უბრალოდ გაცივდით, გიხაროდეთ, რომ გრიპი არ შეგეყარათ; თუ გრიპით გახდით ავად, კარგია, რომ ფილტვების ანთება არ გაქვთ და ა. შ.

ადამიანს წლების მომატებასთან ერთად, სულ უფრო ხშირად ეშინია სიბერის ან სიკვდილის. თუმცა ფსიქოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ეს შიში მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო ნაკლებსაინტერესო მოვლენები ხდება ადამიანის ცხოვრებაში.

ისწავლეთ ნებისმიერ ასაკში დადებითი მხარეების პოვნა, რადგან სასიამოვნოა არა მხოლოდ დედობა, არამედ — ბებიობაც. გაიხსენეთ, თვრამეტი წლის ასაკში ოცდაათი წლის ადამიანები ხანდაზმულებად რომ გეჩვენებოდათ, თქვენ კი ამ ასაკს ისე გადააბიჯეთ, სიბერის მოახლოება ფიქრადაც არ გაგივლიათ. ასე რომ, რამდენად შეინარჩუნებთ ამგვარ შეგრძნებას ათწლეულების განმავლობაში — ეს მხოლოდ და მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. ■

## საკითხავი ქალებისათვის

# როგორ შეგიღებოთ ტუჩები

**რა თქმა უნდა, ტუჩების შეღებვა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა ყველაფერი არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ტუჩებმა ყურადღება რომ მიიქციოს, აუცილებელია განსაკუთრებული წესების დაცვა.**

პირველ ყოვლისა, ტუჩები სპეციალური ტონიკით გაიწმინდეთ და მასზე თხელ ფენად კრემი ან ჰიგიენური პომადა წაისვით. პომადამ ტუჩებზე დიდხანს რომ გაძლოს და თავისი პირველადი სახე შეინარჩუნოს, გადაისვით სამ ეტაპად. 1. კონტურის ფანქარი ტუჩების მთელ ზედაპირზე წაისვით. არ დაგავიწყდეთ, ფანქრის ფერი პომადისას უნდა ემთხვეოდეს ან ერთი ტონით მუქი იყოს. თუ კონტური მკვეთრად გამოყოფილია, ფუნჯით თანაბრად გაინაწილეთ და წაისვით (უმჯობესია, ფუნჯით) პომადის პირველი ფენა; 2. ტუჩებიდან ხელსახოცით ზედმეტი პომადა მოიშორეთ და მსუბუქად მიიფრქვიეთ პუდრი; 3. განსაკუთრებით ხაზგასმით რომ წარმოაჩინოთ ტუჩების ფორმა, პომადის კიდევ ერთი ფენა წაისვით. უფრო ღია პომადით ქვედა ტუჩის შუა ნაწილი გამოკვეთეთ.

### პომადის ფუნჯი

როცა ფუნჯით მუშაობთ, ყველაზე მცირე ნაოჭიც იღებება; ხოლო როცა ჩვეულებრივ პომადას ისვამთ, პირს ჭიმავთ და ამ დროს ტუჩების კონტურის დეფორმაცია ხდება. გარდა ამისა, ფუნჯით სხვადასხვა ფერის შერჩევა შეიძლება (პროფესიონალები ტუჩებს ერთი ფერით არასოდეს ღებავენ). ერთი ფერის მაკიაჟი სახეს უფერულს ხდის. სახეს რელიეფურობა რომ მიეცეს, საჭიროა შუქ-ჩრდილების თამაში. გაიკეთეთ მუქი კონტური, ტუჩებზე კი ღია ფერის პომადა ან პრილა ტუჩსაცხი წაისვით.

### კონტურის ფანქარი

კონტურის ფანქრით ტუჩებს ხაზი შემოავლეთ. დაიწყეთ ზედა ტუჩის ცენტრიდან — კუთხეებისაკენ.

ქვედა ტუჩის ხაზი მარცხენა კუთხიდან მარჯვენა კუთხემდე გაატარეთ. ხაზი თანაბარი და ზუსტი რომ იყოს, მოკლე შტრიხები შემოავლეთ.

ზედა და ქვედა ტუჩის ხაზები კუთხეებში უნდა შეერთდეს. თუ ხაზი არ გამოდის, შეგიძლიათ ერთმანეთზე მჭიდროდ გადაბმული წერტილებით გააგრძელოთ.

ტუჩები დიდი რომ გამოჩნდეს, კონტური ტუჩების ბუნებრივი ხაზის ზევით გაატარეთ. ■

# სამარხვო კერძები

## საფუვრიანი ცომის მომზადება

**1 კგ მზა ცომის მოსამზადებლად საჭირო პროდუქტები:**

600 გ ხორბლის ფქვილი;
200 მლ წყალი;
50 გ სამარხვო კარაქი ან მარგარინი;
100 გ შაქარი;
20 გ საფუარი;
1 ჩაის კოვზი მარილი.

**მომზადების წესი:**

ჯამში ჩაყარეთ ფქვილი. დაუმატეთ თბილ წყალში გახსნილი საფუარი, შაქარი, მარილი, კარაქი, მოზილეთ ცომი. გადააფარეთ ტილო, დადგით თბილ ადგილას 1,5-2 საათით. როცა ცომი აფუვდება, დაამუშავეთ. ■

## მაკარონი ბოსტნეულით

**მასალად საჭიროა:**

400 გ სამარხვო მაკარონი;
2,5 ლ წყალი;
50 გ მარგარინი ან სამარხვო კარაქი;
მარილი — გემოვნებით;
100 გ დაჭრილი სტაფილო;
100 გ დაჭრილი თავი ხახვი;
50 გ ტომატ-პიურე;
50 გ მწვანე ბარდა;
50 გ მარგარინი;
ოხრახუში, მარილი — გემოვნებით.

**მომზადების წესი:**

მაკარონი მოხარშეთ ჩვეულებრივად. სტაფილო დაჭერით, მოშუშეთ მარგარინში წვრილად დაჭრილ ხახვთან და ოხრახუშთან ერთად; დაუმატეთ ტომატ-პიურე, მწვანე ბარდა. ყველაფერი კარგად აურიეთ ერთმანეთში და გააცხელეთ.

მზა მასა გადაურიეთ მოხარშულ მაკარონს. კერძი გადაიტანეთ თეფშზე, მოართეთ დაჭრილი ოხრახუშით. ■

*რუბრიკა მოამზადა* **ეკა გუნთაიშვილმა**

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# ქრონიკული, არაკალკულოზური (უკენჭო) ქოლეცისტიტი

ქრონიკული, არაკალკულოზური ანუ უკენჭო ქოლეცისტიტი ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთებაა, რომელსაც გამწვავებებისა (დაავადება მკვეთრადაა გამოვლენილი) და რემისიის (დაავადება არ ვლინდება) პერიოდების მონაცვლეობა ახასიათებს. ეს დაავადება საქართველოში მეტად გავრცელებულია და ალბათ, კვების თავისებურებებს უკავშირდება. მართლაც, ქრონიკული ქოლეცისტიტის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრების წესს ენიჭება:

კვების რაციონში ცხოველური ცხიმის, ნახშირწყლების სიჭარბე; დადგენილია ფიზიკური და ფსიქოემოციური გადაძაბვის როლი დაავადების გამწვავებაში; ნაღვლის ბუშტიდან და სანაღვლე გზებიდან ნაღვლის ევაკუაციაზე უარყოფითად მოქმედებს ჰიპოკინეზია (ქვემოთ განვმარტავთ); ქრონიკული ქოლეცისტიტის მიმდინარეობაზე ასევე უარყოფით გავლენას თამბაქო, სპირტიანი სასმელები და ლუდი ახდენს. ნიკოტინი და ალკოჰოლი ნაღვლის ბუშტის მოტორულ ფუნქციას არღვევს, რასაც ნაღვლის შეგუბება მოჰყვება; დაავადებას ხელს უწყობს გარკვეული გენეტიკური ფონიც. კერძოდ, მემკვიდრეობაში არსებული ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების სხვადასხვა პათოლოგია; დადგენილია კავშირი ორგანიზმის სხვა სისტემებში არსებულ, ქრონიკული ანთების კერებთან.

## ქალები უფრო ხშირად ავადდებიან

ის ფაქტი, რომ ქალებში ქოლეცისტიტი 6-8 ჯერ უფრო ხშირია, ნაწილობრივ შეიძლება იმ მიზეზით აიხსნას, რომ მამაკაცებს „მუცლის ტიპის“ სუნთქვა ახასიათებთ, რაც დიაფრაგმისა და მუცლის კუნთების შეკუმშვით არის განპირობებული. იქმნება ნაღვლის გადადენის ხელის შემწყობი, ბუნებრივი მასაჟის პირობები. ქალებს ძირითადად „მკერდის ტიპის“ სუნთქვა ახასიათებთ, რის გამოც მათთვის დღეში რამდენჯერმე სუნთქვითი ვარჯიშია მიზანშეწონილი: ღრმად ჩასუნთქვისას მუცლის ძლიერი გამოდრეკა გარეთ, ხოლო ამოსუნთქვისას — მუცლის ძლიერი შეზნექა შიგნით.

## რა აწუხებს დაავადებულს

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ხშირად, ქოლეცისტიტის დროს, თანდართული დაავადების სახით დისკინეზია ანუ ნაღვლის ბუშტის მოტორიკის (შეკუმშვის უნარის გაძლიერება ან შესუსტება) მოშლა გვხვდება. მეორე მხრივ კი, დიდი ხნის განმავლობაში ძირითადი დაავადების სახით არსებულ დისკინეზიას, ადრე თუ გვიან, ანთებითი პროცესი ერთვის და შერეული ხასიათის კლინიკური სურათი ყალიბდება.

ქრონიკულ ქოლეცისტიტზე ჰიპოტონიური ტიპის დისკინეზიების (ნაღვლის ბუშტის მოტორიკის შესუსტება) თანდართვისას „შეგუბებითი ნაღვლის ბუშტის“ სიმპტომები აღინიშნება:

პირში მწარე გემო, ბოყინი, გულისრევა (შესაძლოა პირღებინება ნაღვლის მინარევით), ყრუ ხასიათის მუდმივი ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშ, რომელიც პირღებინების ან საკვების მიღების შემდეგ (ნაღვლის ბუშტის დაცლის გამო) რამდენადმე მცირდება. ჰიპერტონიული ფუნქციური დარღვევის (ნაღვლის ბუშტის მოტორიკის გაძლიერება) შემთხვევაში კლინიკური სურათი განსხვავებულია. მარჯვენა ფერდის ქვეშ ტკივილის ხანმოკლე შეტევა ვითარდება, რომელიც წამლების გარეშეც სწრაფად ქრება. ავადმყოფი ხშირად ამ შეტევას დიეტის დარღვევას ან ემოციურ გადატვირთვას უკავშირებს. ამ დროს ნაღვლის ბუშტის საპროექციო არეზე ხელით ზეწოლისას მკვეთრი ტკივილი აღინიშნება.

## როგორ ხდება დიაგნოზის დაზუსტება

ქრონიკულ ქოლეცისტიტზე ეჭვის მიტანა ავადმყოფის ჩივილებით ხდება. ექიმი სპეციფიკური სიმპტომების გამოვლინებას გასინჯვით ახდენს. დაავადების ადრეულ სტადიაზე გამოვლინება ულტრაბგერითი, რენტგენოლოგიური, რადიოლოგიური და ლაბორატორიული კვლევით ხდება.

## თავიდან ავიცილოთ გამწვავებები ანუ დიეტა რემისიის პერიოდში

მიზანშეწონილია საკვების ხშირი მიღება. დღეში 4-5-ჯერ, მცირე ულუფებით, მკაცრად ფიქსირებულ საათებში.

მშრალი საკვები და სწრაფად მირთმეული კერძი საჭმლის მონელების პროცესს არღვევს. კერძოდ, თორმეტგოჯა ნაწლავში კუჭიდან ჩამოსული საჭმლის ულუფები არასაკმარისადაა კუჭის წვენით გაჟღენთილი, რომელიც ნაღვლის წვენის გამოყოფის ერთ-ერთი ძირითადი სტიმულატორია. ამიტომ, ნაღველი არასაკმარისი რაოდენობით გამოიყოფა, რასაც საკვების არასრული შეთვისება მოსდევს. ნაღვლის ბუშტის ნორმალური ფუნქციონირებისთვის საკვებში ცხოველური და მცენარეული ცილების ზომიერი რაოდენობა აუცილებელია. რაციონში უნდა ჩაირთოს კარტოფილი, სტაფილო, კიტრი, ჭარხალი, ყაბაყი, კომბოსტო, ბადრიჯანი, პომიდორი, ტკბილი ხილი, კენკროვანი. ჩამოთვლილ მცენარეთა უჯრედისი ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოყოფას ხელს უწყობს. ბოსტნეულის ნაღვლმდენ ეფექტს მცენარეული ზეთი აძლიერებს, რომელიც უმჯობესია, მზა საჭმელს დაემატოს და არ შეცხელდეს, რომ ცხიმმა სამკურნალო თვისებები არ დაკარგოს. მიზანშეწონილია, ყოველდღიურ რაციონში 30-50 გრამი მცენარეული ცხიმი შედიოდეს. მისი რაოდენობა კალკულოზური (კენჭოვანი) ქოლეცისტიტის შემთხვევაში 20-30 გრამამდე იკლებს. ცხარე და მწარე საკვები იკრძალება. ცხოველური ცხიმებიდან შეიძლება მხოლოდ კარაქი, დღეში 15-20 გრამის ოდენობით. რეკომენდებულია დღეურად 50-70 გრამი შაქარი; 10 გრამი მარილი. კვერცხი სასურველია კვირაში 3-4-ჯერ, ომლეტის სახით ან მაგრად მოხარშული მიირთვათ, ხოლო გამწვავების პერიოდში ან ნაღვლკენჭოვანი დაავადებების დროს მხოლოდ ორთქლზე მომზადებული, ცილის ომლეტია დასაშვები. უმჯობესია გამომშრალი, თეთრი პური. რემისიის პერი-

გაგრძელება იხ. გვ. 53

# ვის მივმართოთ ჭარბთმიანობის დროს — ექიმს თუ კოსმეტოლოგს?!

**ვის მივმართოთ ჭარბთმიანობის დროს — ექიმს თუ კოსმეტოლოგს?! ეს შეკითხვა ხშირად უჩნდებათ სხვადასხვა ასაკის ქალბატონებს, მოზარდ გოგონებსა და მათ მშობლებს.**

**ჭარბთმიანობა და გამონაყარი სახესა და სხეულზე, მხოლოდ გარეგნული ნაკლი როდია, ხშირად იგი შვილოსნობის უნარის სერიოზული დარღვევის სიმპტომია და საკვერცხეების ფუნქციის მოშლაზე მეტყველებს.**

### მოკლედ საკვერცხეების შესახებ:

ქალის ორგანიზმში ორი საკვერცხეა. თითოეულის სიგრძე დაახლოებით 2,5 სმ-ია, სიგანე — 1,5 სმ, წონა — 5-8 გ. ასეთი მცირე ზომების მიუხედავად, საკვერცხეები მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. სწორედ საკვერცხეში წარმოიქმნება ის სასქესო ჰორმონი (ესტროგენი), რომელიც ქალურ გარეგნობას განსაზღვრავს და ქალის ორგანიზმის სრულფასოვან ფუნქციონირებას განაპირობებს. ესტროგენის გავლენით საკვერცხეში კვერცხუჯრედები მწიფდება, რომელთა განაყოფიერება ახალ სიცოცხლეს აძლევს დასაბამს.

ესტროგენთან ერთად საკვერცხე მცირე რაოდენობით მამაკაცის ჰორმონებს, ანდროგენებსაც გამოიმუშავებს.

### მრავალი პროგლემის ერთი მიზეზი

ანდროგენების სიჭარბე (ჰიპერანდროგენია) ან მათი აქტივობის მომატება ქალის გარეგნობაზე არასახარბიელოდ აისახება. ჭარბთმიანობა, გამონაყარი სახესა და ტანზე (აკნე), კანის ცხიმიანობისა და ფორიანობის მომატება (სებორეა), თავზე თმის ცვენა ქალებისა და განსაკუთრებით, მოზარდი გოგონების განცდის, მათში არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბების ხშირი მიზეზია. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ყოველ მეორე ქალს ჰიპერანდროგენია აღენიშნება.

კანისმიერ გამოვლინებებთან ერთად, მამაკაცის ჰორმონების სიჭარბე მენსტრუაციული ციკლის დარღვევით, უშვილობითა და თვითნებური აბორტებითაც გამოიხატება. ამიტომ, ჰიპერანდროგენია არა მარტო კოსმეტიკური, არამედ მნიშვნელოვანი სამედიცინო-სოციალური პრობლემაც გახლავთ.

### თხელი თმა და ხშირი ულვაში

ხშირად იბადება შეკითხვა — რატომ სცვივათ თმა თავზე, როცა სახესა და სხეულზე ამოსული თმის ღერები უფრო ხშირი, გრძელი, უხეში და მუქი ხდება? ამის მიზეზი თავსა და სახეზე თმის ძირების განსხვავებული აგებულება და შესაბამისად, თმის ამოსვლის სხვადასხვა მექანიზმია.

თავზე თმა თხელდება, ფერსა და ბზინვარებას კარგავს და საბოლოოდ, ცვენას იწყებს.

### გინეკოლოგს + კოსმეტოლოგი = ლამაზ და ჯანმრთელ ქალს

საკვერცხეების პათოლოგიის სხვადასხვა ფორმა არსებობს. მრავალფეროვანია მათი გამომწვევი მიზეზიც. ამიტომ, დაავადების ზუსტი დიაგნოზის დასმა საკმაოდ რთულია და მხოლოდ კოსმეტოლოგთან ვიზიტი შესაძლოა, არასწორი მკურნალობის საფუძველი გახდეს.

სუსტი სქესის წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ეპილაცია ნემსით ან ლაზერით, სადეპილაციო კრემების გამოყენება და სხვა კოსმეტიკური პროცედურები ამაოა. ჭარბთმიანობა და გამონაყარი მხოლოდ შედეგია; მიზეზის დადგენა კი გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგის კომპეტენციას წარმოადგენს.

ზუსტად დასმული დიაგნოზი სწორად წარმართული მკურნალობისთვის აუცილებელი წინა პირობაა. ჰორმონული მაჩვენებლები მოწესრიგდება, მიზეზი აღმოიფხვრება და მასთან ერთად ჭარბთმიანობაც აილაგმება. კოსმეტოლოგიურ კაბინეტში პარალელური ვიზიტები კი სასურველი შედეგის მიღწევას დააჩქარებს.

### SOS!

საყურადღებოა, რომ ჭარბთმიანობის, აკნესა და კანის მომატებული ცხიმიანობის მქონე პაციენტების გამოკითხვისას, ხშირად მენსტრუაციული ციკლის დარღვევებიც ვლინდება. სამწუხაროდ, საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ არარეგულარული მენსტრუაციული ციკლი (გადაცდენები, გახანგრძლივებული თვიური და სხვ.) თავისთავად მოწესრიგდება. ეს შეხედულება მცდარია. თავისთავად არაფერი მოგვარდება; დაგვიანებული მკურნალობა კი შეიძლება დაავადების პროგრესირებისა და მდგომარეობის გართულების მიზეზი გახდეს.

### სამკურნალო აგენი სილამაზისთვის

ჰიპერანდროგენული მდგომარეობის სამკურნალოდ ანტიანდროგენული თვისებების მქონე ფარმაკოლოგიური პრეპარატები ფართოდ გამოიყენება. მათ შემადგენლობაში შემავალი კომპონენტები სისხლში მამაკაცის ჰორმონების მომატებულ დონეს აქვეითებს და პარალელურად, კანის მგრძნობიარე უჯრედების (რეცეპტორების) მიერ ამ ჰორმონების აღქმას თრგუნავს. ანტიანდროგენებით მკურნალობის ფონზე პათოლოგიური თმიანობა სახესა და ტანზე მცირდება ან ქრება; გამონაყარი აილაგმება; კანის ბუნებრივი სტრუქტურა და სილამაზე აღდგება.

ანტიანდროგენული თვისებების მქონე პრეპარატებით მკურნალობის საჭიროება ექიმმა უნდა გადაწყვიტოს. მანვე უნდა შეარჩიოს პრეპარატის დანიშვნის სქემა და სათანადო გამოკვლევების საფუძველზე მკურნალობის ხანგრძლივობა განსაზღვროს.

### მოჩქარეს მოუგვიანდესო

კანისა და თმის პათოლოგიური ცვლილებები თანდათანობით ყალიბდება და უკუგანვითარებასაც ასევე ნელა განიცდის. ყველაზე სწრაფად (2-4 თვე) მკურნალობას აკნე და სებორეა ემორჩილება. რაც შეეხება სახეზე ამოსულ თმას, ის რბილდება და უფერულდება, მაგრამ სახიდან თმის ცვენა მოგვიანებით იწყება. თმის ძირებზე პრეპარატების სრულყოფილი ზემოქმედებისათვის, სულ მცირე, 6 თვეა საჭირო.

ჰიპერანდროგენიის მკურნალობის პროცესი პაციენტისგან მონდომებას, მოთმინებასა და სწორ ფსიქოლოგიურ განწყობილებას მოითხოვს. მკურნალობის ნაადრევი შეწყვეტა შეიძლება მკურნალობის არადამაკმაყოფილებელი შედეგისა და პაციენტის უსაფუძვლო იმედგაცრუების მიზეზი გახდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექიმისადმი ნდობის ფაქტორი. ქალი თავს უფრო მშვიდად გრძნობს, როცა დარწმუნებულია, რომ მის ჯანმრთელობაზე გამოცდილი სპეციალისტი ზრუნავს.

**მაია პარკაული**
*გინეკოლოგი, მედიცინის დოქტორი*
*ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის კლინიკა*
*საკონტაქტო ტელეფონი:*
*(893) 35-50-50*

დასაწყისი იხ. გვ. 51

ოდში შეიძლება გამომშრალი, შავი პურის მიღებაც. ასევე შეიძლება წინასწარ მოხარშული და შემდგომ ოდნავ შემწვარი ხორცი.

### დიეტა გამწვავების პერიოდში

დაავადების გამწვავების პერიოდში დიეტა ცხიმებისა და ცილის შეზღუდვას ითვალისწინებს. ამ დროს რეკომენდებულია ჩაი, წყალზე დამზადებული ბრინჯისა და მანანის ბურღულის ფაფები, თეთრი, გამომშრალი ორცხობილა. 3-4 დღის შემდეგ დიეტა ფართოვდება. რაციონს შეიძლება მოხარშული ხილი (კომპოტი, ვაშლის პიურე), გახეხილი ბოსტნეული, მაწონი, ბოსტნეულის წვნიანი, მცირე რაოდენობის რძიანი ჩაი დაემატოს. ამ დროს მიზანშეწონილია ცივი საჭმელი, ნაყინი, ცივი სასმელები.

კატეგორიულად აკრძალულია: შებოლილი საკვები, ცხიმიანი საქონლის ხორცი, ტვინი, თირკმლები, ღვიძლი, ღორისა და ცხვრის ხორცი, იხვი, ბატი, ცხოველური ცხიმები (გამონაკლისია კარაქი), კონსერვები, ლობიო და პარკოსნები, სანელებლები, მჟაუნა, მჟავეული, მხალეული, ხახვი, ნიორი, ნაზუქი, ტორტი, კრემიანი ღვეზელი, „ბლინი“, შოკოლადი, კაკაო.

### ნაღვლმდენი მცენარეული საშუალებები

ქრონიკული არაკალკულოზური (უკენჭო) ქოლეცისტიტის გამწვავების პერიოდში ნაღვლმდენი თვისებების გამო, დღეში 2-3 ჯერ, 1-2 სუფრის კოვზი ზეითუნის ან მზესუმზირის ზეთის დალევა სასარგებლოა. ასევე კარგია უკვდავას, ცირცველის, ასკილის, სიმინდის ულვაშის ნაყენის მიღება. ნაყენის დასამზადებლად მცენარის ნაყოფს 2 ჩაის ჭიქა ქაფქაფა, მდუღარე წყალი ემატება, ადუღებთ 5-7 წუთი, შემდეგ თავდახურულ ჭურჭელში 10-12 საათის განმავლობაში ტოვებთ. ნაყენი უნდა გაიწუროს და დღეში 2-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, ნახევარი ჩაის ჭიქის ოდენობით მიიღოთ.

### ყრუ გამორეცხვა

ნაღვლის ბუშტის დაცლა უზონდო გამორეცხვითაც (გამორეცხვები კატეგორიულად იკრძალება ნაღვლკენჭოვანი დაავადებების დროს) შეიძლება, რასაც ხალხი ნაღვლის ბუშტის ყრუ გამორეცხვას უწოდებს. ამისათვის მინერალური წყალი გამოიყენება, რომლის ზემოქმედებითაც ნაღველი თხელდება, ნაკლებად წებოვანი ხდება, რაც ბუშტის მოტორული ფუნქციის გაუმჯობესებას ხელს უწყობს.

ნაღვლის ბუშტის ყრუ გამორეცხვის პროცედურა შემდეგნაირად უნდა ჩატარდეს: გაზგასული, წინასწარ, 45-55 გრადუსამდე შემთბარი, 0,5 ლიტრის ოდენობის მინერალური წყალი 10-15 წუთის განმავლობაში ყლუპებად უნდა დალიოთ. შემდეგ ავადმყოფი 30-40 წუთის განმავლობაში მარჯვენა გვერდზე წვება, ხოლო ბუშტის საპროექციო ადგილზე სათბურას ათავსებს. პროცედურა 7-10 დღეში ერთხელ ინიშნება. ნაღვლისდენის გაძლიერების მიზნით, ერთ ჩ/ჭ მინერალურ წყალს შეიძლება დაემატოს 0,5 ჩ/კ გოგირდმჟავა მაგნეზია ან რომელიმე მარილი, ექიმის რეკომენდაციით.

### მედიკამენტები

მედიკამენტური მკურნალობა მხოლოდ ექიმის დანიშნულებით უნდა წარმოებდეს. ■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



# ადამიანი

## უსინათლო ქართველი პიანისტის ცხოვრების გზა

**ქართველი პიანისტი, უსინათლო თამუნა შალვაშვილი ამჟამად ამერიკაში, სასწავლებლად იმყოფება. „ამერიკაში წასვლა ჩემი ოცნება არ იყო, ბავშვობაში პარიზის ნახვა უფრო მინდოდა. სხვათა შორის, რეალისტი უფრო ვარ, ვიდრე მეოცნებე; მაქვს მიზნები და მათ მისაღწევად ვიბრძვი“, — ამბობს პიანისტი, რომელმაც წარმატებას უკვე მიაღწია, მასზე ფილმიც კი გადაიღეს.**

### „5 წლის ასაკში სხვადასხვა კომპოზიციას სმენით ვაწყობდი“

*მანანა გაბრიჭიძე*

**თამუნა შალვაშვილი:**

— ბედნიერი ბავშვობა მქონდა: ოჯახის წევრები მანებივრებდნენ, მყავდა ბევრი მეგობარი, ვიყავი ძალიან ცნობისმოყვარე და ბებიასთან ერთად სამზარეულოში ტრიალი, სადილების მომზადება მიყვარდა. პატარამ ვისწავლე ქსოვა და თოჯინებს ტანსაცმელს ვუქსოვდი. 4 წლის ასაკში შემეძლო კითხვა, დამოუკიდებლად ვსწავლობდი ლექსებს, ვიყავი მოწესრიგებული, არ ვაფუჭებდი სათამაშოს.

**— როიალზე პირველი ნოტები როდის აიღეთ?**

— სიმღერა ლაპარაკთან ერთად დავიწყე. ბავშვობიდან სხვადასხვა ანსამბლში ვმღეროდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც პიანისტობა გადავწყვიტე, სიმღერას თანდათან შევეშვი. ფორტეპიანოზე, როგორც მახსოვს, 5 წლისამ დავუკარი, სმენით ვაწყობდი სხვადასხვა კომპოზიციას. რაც შეეხება კლასიკურ მუსიკას, მისი სერიოზულად შესწავლა საკმაოდ გვიან დავიწყე.

**— ვინ იყვნენ თქვენი პედაგოგები?**

— სხვათა შორის, პედაგოგებში ძალიან გამიმართლა: მუსიკალურ სკოლაში ჩემი პირველი პედაგოგი ქალბატონი მარინა თათენაშვილი გახლდათ; დამთავრებული მაქვს მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის თბილისის მესამე მუსიკალური სასწავლებელი, რომლის დირექტორი ბატონი გურამ ბზვანელი იყო. ბატონ გურამს ჩემს წარმატებებში უდიდესი წვლილი მიუძღვის. თბილისის კონსერვატორიაში, პირველივე კურსიდან, ჩემი პედაგოგი პროფესორი ედიშერ რუსიშვილი — არაჩვეულებრივი მუსიკოსი და უსაყვარლესი პიროვნება იყო. პროფესიონალად რომ ჩამოვყალიბდი, ეს სწორედ მისი დამსახურებაა. ამჟამად ქალაქ ბოსტონში ე.წ. England Conservatory-ში, ალექსანდრე კორსანტიას კლასში ვსწავლობ.

**— პირველად როდის იწვნიეთ წარმატება?**

— ჩემი პირველი წარმატება იყო, როცა კონსერვატორიის დიდ დარბაზში, პრეზიდენტის სტიპენდიანტების კონცერტზე გამოვედი.

**— თქვენ მსოფლიოს ურთულეს კონკურსებში მონაწილეობდით...**

— ვარ ბახის სახელობის მეთოთხმეტე (პარიზი), პრაღის მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე, ასევე, პანდერევსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი. ვმონაწილეობდი არაერთ საერთაშორისო ფესტივალშიც: ცნობილი პიანისტის, ლექსო თორაძის მიწვევით რურის (გერმანია) 2005 წლის საფორტეპიანო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე დავუკარი; 2006 წლის ნოემბერში შოსტაკოვიჩის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ფესტივალში ვმონაწილეობდი, რომელიც რომსა და ვენეციაში ჩატარდა...

**— როგორც ვიცი, თქვენზე ფილმიც შეიქმნა.**

— ახალგაზრდა რეჟისორი, ალექსანდრე ქორიძე ჩემს სოლო კონცერტს დაესწრო და გადაწყვიტა, დოკუმენტური ფილმი გადაეღო. ფილმში ასახულია ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპი — კონსერვატორიაში მისაღები გამოცდები და პირველი გაკვეთილი, მეგობრებთან ერთად გატარებული ზაფხული. ეს ფილმი ნაჩვენები იყო ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე (კონკურს გარეშე).

**— ამერიკაში თქვენთან ერთად, სხვა ქართველებიც თუ სწავლობენ?**

— როგორც უკვე აღვნიშნე, ამჟამად ქალაქ ბოსტონში ვსწავლობ. აქაური სწავლების სისტემა განსხვავებულია: გავიარე ისეთი სალექციო კურსები, რომლებიც თბილისის კონსერვატორიაში არ ისწავლება; შარშან მქონდა საკმაოდ წარმატებული სოლო კონცერტი; ცნობილ პიანისტ რასელ შერმანთან, რომელიც 80 წელსაა გადაცილებული და ჯერ კიდევ აქტიურად მოღვაწეობს, მასტერკლასი გავიარე; ასევე წარდგენილი ვიყავი სახელოვნებო გრანტზე, რომელიც კონკურსის შედეგად მოვიპოვე და პარალელურად ვსწავლობ მუსიკალურ ბრაილს, ვმუშაობ წიგნზე. ჩემი დიდი სურვილია, სწავლის დამთავრების შემდეგ ეს მეთოდი საქართველოშიც ჩამოვიტანო. რაც შეეხება ბოსტონში მყოფ ქართველებს — ბატონი საშას კლასში სწავლობს კიდევ ერთი ქართველი პიანისტი, ცოტნე ცოცხალაშვილი. გარდა ამისა, ვიცნობ რამდენიმე ახალგაზრდას, რომლებიც ბოსტონის სხვადასხვა ცნობილ სასწავლებელში იძენენ განათლებას. სხვათა შორის, ბატონი საშას კონცერტზე იქ მცხოვრები ბევრი ქართული ოჯახი გავიცანი.

**— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

— გეგმებზე წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ უახლოეს მომავალში England Conservatory-ში სოლო კონცერტი მექნება...

**— წარმატებებს გისურვებთ!** ■

# ეტლს მიჯაჭვული გოგონა თქვენს დახმარებას ელის

**ნინო მაისურაძე 6 წლის წინ, ავტოავარიაში მოყვა, ხერხემალი დაუზიანდა და ეტლს მიეჯაჭვა. 23 წლის გოგონამ იცის, რომ მისი გამოჯანმრთელება შესაძლებელია, მაგრამ ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ნინოს ოჯახმა შვილის სამკურნალოდ თანხის მოძიება ვერ შეძლო, რასაც გოგონა ძალიან განიცდის.**

## „მეუღლე ავტოავარიას ემსხვერპლა, მე ჯი გადავრჩი...“

ელენე გასილიძე

— ხაშურის რაიონის სოფელ ნაბახტევში ვცხოვრობდი. სკოლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე, სწავლა დიზაინის ფაკულტეტზე გამეგრძელებინა და საბუთები შევიტანე კიდეც. იმ ზაფხულს ჩემი მომავალი მეუღლე — თბილისელი ლაშა გავიცანი. ჩვენი ურთიერთობა იოლად აეწყო, ერთმანეთი შეგვიყვარდა და გადავწყვიტეთ, ოჯახი შეგვექმნა. დაქორწინებიდან 1 თვის შემდეგ ხაშურში, ჩემს მშობლებთან ჩასვლა გადავწყვიტეთ, უკან დაბრუნებისას კი ავარიაში მოვყევით. მანქანაში მე, ჩემი მეუღლე, მაზლი, მისი ცოლი და ბავშვები ვისხედით. ავარიას ლაშა და ჩემი რძალი ემსხვერპლნენ, დანარჩენები კი გადავრჩით... რესპუბლიკურ საავადმყოფოში უგონოდ მიმიყვანეს, იქ თვენახევარზე მეტი გავატარე.

*გოგონას 5 გადაუდებელი, მათ შორის — მარჯვენა ფეხის წვივისა და ყბა-სახის უმძიმესი ოპერაცია ჩაუტარდა... ავტოავარიის შედეგად ნინოს ხერხემალიც დაუზიანდა და წელს ქვემოთ შეგრძნება დაკარგა... ახლობლები გოგონას მეუღლის გარდაცვალების ამბავს უმალავდნენ; ეუბნებოდნენ, რომ ლაშა ძალიან მძიმედ იყო და ხაშურის საავადმყოფოში იწვა. ნინო ყველას ეხვეწებოდა, — მე არაფერი მიჭირს, ხაშურში წადით, ლაშას მიხედეთო...*

— მართალია, ფეხებს ვერ ვგრძნობდი, მაგრამ მაშინ ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ სიარულს ვეღარ შევძლებდი; მომავლის იმედი მქონდა და ოპტიმისტურადაც ვიყავი განწყობილი, მაგრამ ცხოვრებამ სიურპრიზი მომიწყო... როცა სასტიკი რეალობის წინაშე დავდექი, ყველაფრის ხალისი დავკარგე. ექიმები მეუბნებოდნენ, რომ შესაძლებელი იყო ოპერაციის გაკეთება, რომლის შედეგადაც ფეხებში მგრძნობელობა დამიბრუნდებოდა და სიარულს შევძლებდი, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა — პირადმა ტრაგედიამ მომავლის რწმენა დამიკარგა, სიცოცხლე აღარ მინდოდა... მას შემდეგ უკვე 6 წელი გავიდა, მაგრამ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ავარია ორიოდე დღის წინ მოხდა. გარშემო მყოფები მსაყვედურობენ, — მდგომარეობის დამძიმებას ნუ ცდილობ, ახალი ცხოვრება დაიწყეო, მაგრამ არ შემიძლია...

*მას შემდეგ, რაც საავადმყოფოდან გამოწერეს, ნინომ სახლიდან გასვლაზე უარი თქვა, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გარშემო მყოფებსაც აღარ ეკონტაქტებოდა. ინვალიდის სავარძელი და ის ფაქტი, რომ სხვების დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია — აკომპლექსებს, გოგონა თავის მდგომარეობას ვერ ეგუება.*

— ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ იმაზე, რომ მაქვს შანსი, კვლავ გავიარო. იყო დრო, როცა ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ახლა ძალიან მინდა, თავის მოვლა დამოუკიდებლად შევძლო. თითქმის 3 წლის მანძილზე სულ ვიწექი, ოჯახის წევრებსაც არ ველაპარაკებოდი. ხშირად, როცა მეგობრები და ნათესავები ჩემს მოსანახულებლად მოდიოდნენ, არც კი ვიცოდი, მათთვის რა უნდა მეთქვა. არ მინდოდა, სიმართლისთვის თვალი გამესწორებინა და საკუთარ თავს ვაჯერებდი, — ეს ყველაფერი სიზმარია-მეთქი... გადიოდა დღეები, წლებიც გავიდა, მაგრამ ჩემი კოშმარი არა და არ დასრულდა. დროთა განმავლობაში რეალობას თვალი გავუსწორე, მაგრამ მასთან შეგუება ვერ მოვახერხე... ბოლო ერთი წელია, რაც საკუთარ თავზე, ცხოვრებაზე დავფიქრდი და მივხვდი, რომ ასე არ შეიძლება. ოჯახის წევრებმა აღარ იციან, რით მასიამოვნონ, გუნება-განწყობილება როგორ გამომიკეთონ, ტკივილი გადამატანინონ და თავი კარგად მაგრძნობინონ, მაგრამ არ მინდა, მათ ტვირთად დავაწვე. ვინაიდან დამოუკიდებლად არაფრის გაკეთება არ შემიძლია, იძულებულნი არიან, მუდამ ჩემ გვერდით იყვნენ. მინდა, საკუთარი თავის მოვლა შევძლო, სხვები აღარ შევაწუხო. მეგობრები ხშირად მსაყვედურობენ, — ჩვენთან რატომ არ მოდიხარ? შენნაირი ადამიანები ეტლს კი არა, მანქანებსაც მართავენო. რა ვქნა, ეს ყველაფერი ჩემს ძალებს აღემატება. ყოველთვის დამოუკიდებელი ადამიანი ვიყავი, მაგრამ ეტლმა დამთრგუნა, ყველაფრის სურვილი დამიკარგა. თურმე, არც ისეთი ძლიერი ვყოფილვარ, როგორიც მეგონა...

ერთმანეთი შეგვიყვარდა და გადავწყვიტეთ, ოჯახი შეგვექმნა

*ნინოს ხერხემალზე პირველი ოპერაცია საქართველოში ჩაუტარდა, ახლა კი მისი გერმანიაში წაყვანაა საჭირო. გოგონას მშობლებმა, გერმანიაში მცხოვრები ნათესავების დახმარებით, ნინოს ავადმყოფობის ისტორია ბრემენის კლინიკაში გაგზავნეს. პასუხი 1 თვის შემდეგ მოვიდა. ექიმები იტყობინებოდნენ, რომ გოგონას გამოჯანმრთელების*

*დიდი შანსი აქვს. ოპერაციას და სამთვიან სარეაბილიტაციო კურსის გავლას დაახლოებით, 20.000 ევრო სჭირდება, ამ თანხის მოძიება კი ოჯახმა ვერ შეძლო.*

**— ნინო, მთელი დღის განმავლობაში თავს რით ირთობ?**

— ვკითხულობ, ძირითადად — რელიგიურ თემაზე დაწერილ წიგნებს, ვქარგავ ბისერებით და სამკაულებსაც ვაკეთებ. ხელსაქმე ბევრ რამეში დამეხმარა, ცხოვრების სტიმული მომცა... მივხვდი, რომ თურმე, რაღაც კარგის კეთება ეტლს მიჯაჭვულ ადამიანსაც შეუძლია.

**— როცა ფეხზე წამოდგომას შეძლებ, პირველ რიგში, რას გააკეთებ?**

— ფეხზე გავლა მინდა, მაგრამ ამის შემდეგ ყველაფერს თავიდან დავიწყებ და ცხოვრებისგან რაღაც სასწაულს ველი-მეთქი, ვერ ვიტყვი... მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ჩემს ექიმს, ირაკლი თოიძეს დიდი მადლობა გადავუხადო. დღეს რომ ცოცხალი ვარ, ეს მისი დამსახურებაა.

*გოგონას ოჯახის წევრებს რაც გასაყიდი ჰქონდათ, ყველაფერი გაყიდეს. სახლი, სადაც ლაშა და ნინო ცხოვრობდნენ, ოპერაციისთვის აღებულ ვალებს შეეწირა და დღეს ოჯახი თბილისში, ნაგირავებ ბინაში ცხოვრობს.*

**მაია მაისურაძე**, *ნინოს დედა:*

— როცა გვითხრეს, რომ ნინოს გამოჯანმრთელების შანსი ჰქონდა, ძალიან გავიხარეთ, მაგრამ ამდენი ხნის მანძილზე ოპერაციისთვის საჭირო თანხა ვერ მოვაგროვეთ. დიდი მცდელობის მიუხედავად, ჩემი გოგონას მდგომარეობით არც ჯანდაცვის სამინისტრო და არც ბიზნესმენები არ დაინტერესებულან... ნინოს გამუდმებით ვეხვეწები, — სადმე გაგასეირნებ, სადაც გინდა, იქ წაგიყვან-მეთქი, მაგრამ უარობს... ამას წინათ და გაუთხოვდა და მასთან სტუმრობა დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გადაწყვიტა. მერე აღიარა, — საკუთარი თავის შემრცხვა, და გამითხოვდა და მის სანახავად ერთხელ მაინც როგორ არ უნდა მივსულიყავიო?! იმედი მაქვს, რომ კეთილი ადამიანების დახმარებით ჩემი გოგონას მდგომარეობა გაუმჯობესდება, რომ ოდესმე ნინო ეტლიდან წამოდგომას შეძლებს...

*P.S. თუ ნინოს დახმარების სურვილი გაგიჩნდებათ, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე: 8(58) 26.04.23 ან გადარიცხოთ თანხა „პროკრედიტ ბანკში“, მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე:* ge84Ppc04 9360 0100 0020 57 *ბანკის კოდი: 220101922.* ■

*მეომარი*

# ცხინვალში ტყვეობის 10-დღიანი კოშმარი და რუსი ჯარისკაცის სულგრძელობა

**რუსეთ-საქართველოს ომმა ქვეყნის უახლესი ისტორია შეცვალა, უამრავი ცოცხალი გმირი დაგვიტოვა, ასობით მეომრისა და მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა... ჩვენი რესპონდენტი ცხინვალის ომის დროს სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა: ის მოწინააღმდეგის ალყაში მოხვდა, დაიჭრა და სეპარატისტებს ტყვედ ჩაუვარდა. მათთან გატარებული რამდენიმე კოშმარული დღის შემდეგ, დაჭრილი ქართველი მეომარი რუსი სამშვიდობოების ინიციატივით, ვლადიკავკაზში გადაიყვანეს. მის ოჯახს ზაზა გარდაცვლილი ეგონა, მაგრამ ერთ დღეს მათ მოსკოვიდან დაურეკეს და ქართველი სამხედროს გადარჩენის შესახებ აცნობეს...**

## „თავის აფეთქება ვცადე, მაგრამ მაჯა გადამიმტვრიეს...“

*ლალი პაპასკირი*

**ზაზა კავთიაშვილი:**

— მეოთხე ქვეითი ბრიგადის 43-ე ბატალიონში ვმსახურობდი, მაგრამ ომამდე ერთი თვით ადრე 41-ე ბატალიონში გადავედი, რადგანაც ამ ბატალიონის ბიჭები 2008 წლის სექტემბერში ერაყში აპირებდნენ გამგზავრებას და მათთან ერთად წასვლა მინდოდა... როცა საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა, სახლში ვიყავი და ვინაიდან არ დამიკავშირდნენ, თავად გამოვცხადდი ვაზიანის სამხედრო ბაზაში. სამხედრო ნაწილიდან 7 აგვისტოს, ნაშუადღევს გავედით. იმავე დღეს ქარელის რაიონიდან ზნაურში შევედით. გზადაგზა ხალხი გვხვდებოდა, გზას გვილოცავდა და გვამხნევებდა, — ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ჩვენ გავიმარჯვებთო!.. მოწინააღმდეგეს უკვე ცეცხლი ჰქონდა გახსნილი. ერთ-ერთ ადგილას, სადაც ღამით ჩვენმა კოლონამ გაიარა, ორივე მხარეს ვაშლის ბაღები იყო, შუაში კი ვიწრო გზა გადიოდა. როგორც მერე გავიგეთ, ორივე მხარეს ოსები ყოფილან ჩასაფრებული, ჩვენ კი იქაურობა უბრძოლველად გავიარეთ... 8 აგვისტოს ჩვენი ბატალიონი სოფელ ხეთაგუროვოში შევიდა. ამ სოფლიდან ცხინვალი ხელისგულივით მოჩანს. იმავე დღეს რუსეთის ავიაციამ 42-ე ქართული ბატალიონის პოზიციები დაბომბა და ბრძოლის ველიდან პირველი დაჭრილები გაიყვანეს. ორი „ჰაელუქსი“ და რვანიმობილი გორში უსაფრთხოდ რომ ჩასულიყო, ტყეების გავლით მიდიოდნენ, ჩვენ კი სამხედრო მანქანით, უკან მივყვებოდით... იმ ღამეს სოფლის ნაძვნარს შევაფარეთ თავი. მთელი ღამე სროლის ხმა ისმოდა, რამდენიმე ქართული ქვედანაყოფი ბრძოლას გაგრძობდა... 8 აგვისტოს, დილით იქიდან გამოვედით, მაგრამ 9-ში ისევ დავბრუნდით, პოზიცია ზემო ნიქოზში დავიკავეთ — ეს არის ბოლო ქართული სოფელი, შემდეგ ცხინვალი იწყება. დაახლოებით ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ ცხინვალში შევედით და გზაჯვარედინზე გავჩერდით, მეთაურმა რუკა გაშალა. ზუსტად ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან რუსების ჯავშანკოლონა წამოვიდა. ისეთ ადგილას ვიდექით, სანამ ახლოს არ მოვიდნენ, ვერც დავინახეთ და ბოლოს, მათთან სულ რაღაც 200 მეტრის სხვაობით, პირისპირ აღმოვჩნდით. იმანაც დაგვაბნია, რომ რუსების ჯავშანტრანსპორტიორებზე თეთრი დროშები იყო დამაგრებული.

**— ვერ მიხვდით, რომ რუსები იყვნენ?**

— წინ მომავალ ჯავშანტექნიკას □□ ეწერა, მაგრამ თეთრი დროშები რისთვის ჰქონდათ, ვერ გავიგეთ... რუსების კოლონა ჩვენი დანახვისთანავე გაჩერდა. ეტყობა, არც ისინი გველოდნენ. დაახლოებით ხუთი წუთი ასე ვიდექით — ჩვენ ისინი გვყავდა მიზანში ამოღებული, იმათ კი ჩვენ. მერე ხუთი თუ ექვსი ერთეული რუსული □□□ გავატარეთ და ისინი ზემო ნიქოზის მიმართულებით,

ჩვენი პოზიციებისკენ წავიდნენ, მაგრამ 10-15 წუთის შემდეგ უკან მობრუნდნენ და ცეცხლი გაგვიხსნეს, ალყაში მოგვაქციეს... არადა, მათთვის ცეცხლი ჩვენ რომ გაგვეხსნა, შესაძლოა, მთლიანი კოლონა ვერ გაგვენადგურებინა, მაგრამ დიდ ზარალს მივაყენებდით. 58-ე არმიის ძირითადი კოლონა იყო, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენი მეთაური სამშვიდობოების ინიციალების დანახვამ დააბნია. ნაბრძანები გვქონდა, მათთვის არ გვესროლა, მაგრამ როცა ცეცხლი გახსნეს და ალყაში მოგვაქციეს, მართვა, ორგანიზება და კავშირი მოიშალა, ყველა დამოუკიდებლად მოქმედებდა. ჩვენ რამდენიმეკაციან ჯგუფებად დავიშალეთ და ისე ვუწევდით წინააღმდეგობას.



**არაფერს ვნანობ — ომში ვიღაც დაიჭრება, ვიღაც დაიღუპება, სხვაგვარად წარმოუდგენელია**

**— ბრძოლაში ოსებიც იყვნენ ჩართული თუ მხოლოდ რუსებს ებრძოდით?**

— ოსებიც იყვნენ... ბრძოლა დაახლოებით, ერთ საათს გაგრძელდა, მოწინააღმდეგე ჩვენგან სულ რაღაც, 50-100 მეტრში იყო. მახსოვს, მესამე სართულის ფანჯრიდან ტყვიამფრქვევს გვესროდნენ და როცა იმ შენობისკენ დავიძარით, სწორედ მაშინ დამჭრეს ფეხში... ტყვიამ კუნთში გაიარა და ჩავიჩოქე. ვიფიქრე, როგორმე ალყას გავარღვევთ და მერე ლაბტს გადავიჭერ-მეთქი, მაგრამ წამოდგომა რომ მოვინდომე, ფეხი ვერ გადავდგი, მუხლს ქვემოთ მოწყვეტილი მქონდა. ბიჭებმა რაღაც შენობაში შემიყვანეს. ჩვენ უკან დაახლოებით, რუსების 20-კაციანი ჯგუფი იდგა და ფეხდაფეხ მოგვდევდა. ტყვიების წვიმაში ერთი შენობიდან მეორეში გადავდიოდით. მოკლედ, მოწინააღმდეგეს დიდი წვალებით დავაღწიეთ თავი და ის-ის იყო, შენობის ერთ-ერთ ოთახში შევედით, ჭრილობა ბინტით გადავიხვიე, რომ რუსებიც შემოცვივდნენ. როცა ცეცხლი გავუხსენით, იყვირეს, — აქ ქართველები არიანო და გაიქცნენ. ჩემმა თანამებრძოლებმა გადაწყვიტეს, გზა ტყის მასივისკენ გაეკვლიათ და დაეზუსტებინათ, საით უნდა წასულიყვნენ, მერე კი მობრუნდებოდნენ და მეც წამიყვანდნენ... ოთახში დარჩენილი ვფიქრობდი, — შესაძლოა, რუსები ისევ შემობრუნდნენ-მეთქი და ავტომატი გადავტენე.

**— თქვენი ბატალიონის ბიჭები აღარ გამოჩნდნენ?**

— არა... ვიფიქრე, სარდაფამდე ხოხვით ჩავალ და როცა დაღამდება, იქნებ როგორმე ამოვიდე, ტყისკენ შევძლო გაქცევა-მეთქი. გაჭირვებით ჩავხოხდი და თავი სამშვიდობოს დავიგულე, მაგრამ მალევე ვიგრძენი, როგორ დამადო ვიღაცამ ზურგზე ავტომატის ცივი ლულა. თურმე, სარდაფში ოსები იმალებოდნენ. ჩემ გარდა, მათ ათამდე ქართველი ჯარისკაცი ჰყავდათ დატყვევებული. ბიჭებმა მითხრეს, — როცა თქვენ ისროდით, ამათ ეგონათ, ქართული სპეცრაზმი შემოვიდა და პანიკაში იყვნენო... იარაღის წართმევისას თავის აფეთქება ვცადე, მაგრამ ხელყუმბარის გახსნა ვერ მოვასწარი — მკლავზე ავტომატის კონდახი დამარტყეს და გამაგდებინეს (მაჯა გადამტვრეული მქონდა). ის ღამე სარდაფში დავრჩით, მეორე დღეს კი სხვა შენობაში გადაგვიყვანეს — თუ არ ვცდები, ცხინვალის მეხუთე საშუალო სკოლა იყო.

**— ოსები როგორ გექცეოდნენ?**

— კარგად-მეთქი, — ვერ ვიტყვი, მაგრამ სხვა ტყვეებისგან განსხვავებით, მინდობდნენ, იმდენს არ მცემდნენ, რადგან ძალიან ვიყავი დაშავებული, ხელფეხი გამისივდა და ზოგჯერ, გონებასაც ვკარგავდი... თუ ვინმე გიჟი, მთვრალი და გაბოროტებული შემოვარდებოდა, დაჭრილს და მთელს არ დაეძებდა, ყველას ერთნაირად გვისწორდებოდა. სიკვდილს ვნატრობდი და არ ვკვდებოდი, სისხლისგან თითქმის დაცლილი ვიყავი... ერთმა ოსმა მითხრა: სხვა დროს და სხვა ვითარებაში რომ მოსულიყავი, კარგ სუფრას გაგიშლიდი, კარგად გაქეიფებდიო. ვუპასუხე, — იქნება ეს დროც მოვიდეს-მეთქი, — არა, ეს დრო აღარასოდეს დადგებაო... ორი-სამი დღის შემდეგ ოსებმა ჩვენი თავი რუსებს გადასცეს და ამოვისუნთქეთ. მედიცინის მუშაკებმა ცხინვალის საავადმყოფოში ჭრილობები დამიმუშავეს, იქ ორი დღე დამტოვეს, შემდეგ კი ვლადიკავკაზში გადამაფრინეს.

**— ალბათ, დაგკითხეს კიდეც, არა?**

— რა თქმა უნდა, როგორც კი გონს მოვიდოდი, მაშინვე დამადგებოდნენ თავს და ძირითადად, ერთსა და იმავეს მეკითხებოდნენ, — რომელი ქვედანაყოფის წევრი ვიყავი და რა დავალება გვქონდა. აინტერესებდათ, საბრძოლო მოქმედებებში ამერიკელები თუ მონაწილეობდნენ... სხვადასხვა რუსული ტელეარხის ჟურნალისტებიც მოდიოდნენ და ისინიც მსგავს კითხვებს გვისვამდნენ. ვლადიკავკაზის საავადმყოფოში, სადაც შედარებით ნორმალური ვითარება იყო და ოპერაციაც გამიკეთეს, რამდენიმე დღე გავატარე. გამიმართლა და ქართველი ექიმი შემხვდა, თბილისელი ბიჭი.

**— ვლადიკავკაზში საავადმყოფოში ბევრი ქართველი სამხედრო იწვა?**

— ორი ქართველი იყო და ისინიც ჩემთან ერთად გადაცვალეს.

**— ოჯახში ალბათ, დაკარგულად მიგიჩნევდნენ...**

— 10 დღის განმავლობაში ჩემ შესახებ არაფერი იცოდნენ... ვიდრე ვლადიკავკაზში გადამიყვანდნენ, რამდენიმე საათით ჯავაში გაგვაჩერეს, სადაც რუსების სამედიცინო ბატალიონი იყო განლაგებული. მათ ჭრილობებზე ფოტოები გადაგვიღეს. ერთ-ერთმა რუსმა სამხედრომ მკითხა, — შენებმა თუ იციან, ცოცხალი რომ ხარო? — არა, ოჯახში არც კი იცოდნენ, ომში რომ მოვდიოდი. დავიბარე, სწავლება გვაქვს, ტელეფონები ჩამოგვართვეს, ვერ დაგირეკავთ და არ შეშინდეთ-მეთქი... მითხრა, — შენი სახლის ნომერი მიკარნახე, შენებს შევატყობინებ, რომ ცოცხალი ხარო. მან ჩემებთან დაკავშირება მართლაც სცადა, მაგრამ ვერ დარეკა, მერე კი შემპირდა, — მოგვიანებით კიდევ ვცდიო. როგორც მოგვიანებით გავიგე, იმ სამხედროს მოსკოვში, ცოლთან დაურეკავს, მისთვის ჩემი ნომერი მიუცია და უთხოვია: ამ ნომერზე დარეკე და სამხედროს ოჯახს შეატყობინე, რომ ზაზა კავთიაშვილი ცოცხალიაო...

**— საოცარია!..**

— დიახ, არადა, ის ბიჭიც იბრძოდა, ცხადია — პოზიციის მეორე მხარეს...

**— იმ ბიჭებზე, ვინც შენობაში თქვენთან ერთად იყვნენ, არაფერი გსმენიათ?**

— როგორც ვიცი, იქ მყოფთაგან ერთ-ერთი — ჩვენი ბატალიონის შტაბის უფროსი გარდაიცვალა, სხვები კი გადარჩნენ... არაფერს ვნანობ — ომში ვიღაც დაიჭრება, ვიღაც დაიღუპება, სხვაგვარად წარმოუდგენელია.

**— იგოეთიდან გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაგიყვანეს?**

— არა, ჯერ ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში ვიყავი, შემდეგ კი თავდაცვის სამინისტროს დახმარებით, მკურნალობისა და რეაბილიტაციის კურსი ჯერ თურქეთის სამხედრო კლინიკა „გათაში“ გავიარე, მოგვიანებით კი ლატვიაში გავემგზავრე. ტერფის ძვალიც დაზიანებული მაქვს. მიუხედავად ამისა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ისევ ვირიცხები.

■

# „გაქცევა-2“ და ჩემი სასკოლო მოგონება

მარი ჯაფარიძე

ერთ დილით, 8-ის ნახევარზე დედამ გამაღვიძა, — საბა გეძახისო. საბა მეზობლის 9 წლის ბიჭუნაა, რომელიც ჩემ თვალწინ გაიზარდა, „დავაჟკაცდა“ და მიუხედავად იმისა, რომ ასაკით დეიდად ვეკუთვნი, მარის მეძახის. ძალიან კი მეზარებოდა თვალების გახელა, რადგან გვიან ღამით დავიძინე, მაგრამ ჩვენი „ძმაკაცობის“ ხათრით, უარი ვერ ვუთხარი — ხალათი შემოვიცვი და თვალების ფშვნეტით „ზალაში“ გავედი. საბა სავარძელში გამოჭიმულიყო და მოზრდილ კარაქიან პურს მიირთმევდა, თან — თვალები, როგორც ყოველთვის, ეშმაკურად უციმციმებდა.

— მარი, თემა დავწერე და უნდა შემიმოწმო.

— დილაუთენია რა თემა აგიტყდა? — „ირიბად“ ვუსაყვედურე.

— სანამ სკოლაში წავალ, უნდა მოვასწრო. მასწავლებელმა დავალება მოგვცა, — ბუნებაზე დაწერეთ რამე და რა ნიშანსაც მიიღებთ, წლის ბოლოს იმ ნიშანს გამოგაყოლებთო.

— მერე, შენ რა დაწერე?

— ტყეზე და კურდღლებზე დავწერე.

— მოიტა, — ხელი გავუწოდე, რვეული გამოვართვი და კითხვა დავიწყე, მაგრამ ვაი, თქვენს მარის... ჯობდა, ძილი გამეგრძელებინა (სტილი დაცულია):

„ერთ ტყეში მგლებმა დიდი ქარხანა ააშენეს, სადაც კურდღლის ბეწვისგან შუბებს კერავდნენ. ერთხელ, ქარხანაში კურდღლების მორიგი პარტია მოიყვანეს და მათთვის განკუთვნილ ოთახში დაამწყვდიეს. კურდღლებმა გაქცევა გადაწყვიტეს (თვალწინ ოსვენციმის საშინელი კადრები წარმომიდგა). რამდენიმე კურდღელი ოთახის ერთ კუთხეში შეიკრიბა და გაქცევის გეგმის შედგენა დაიწყო. გადაწყვიტეს, გვირაბი გაეთხარათ და ტყეში გაქცეულიყვნენ. როდესაც გვირაბი მზად იყო, რამდენიმე კურდღელი სვაბოდაზე გავიდა და ტყეში გაიქცა. მათ მგლებმა სროლა აუტეხეს, მაგრამ კურდღლები მოხერხებული მოძრაობებით ტყვიას იცდენდნენ. ცოტა ხანში მგლებმა მეძებარი ძაღლები აუშვეს და კურდღლებს გამოუდგნენ. ერთი კურდღელი მდევრებს დაუძვრა და დიდი ხნის განმავლობაში ტყეში მარტო იმალებოდა (დანარჩენი კურდღლების ბედი გაურკვეველია). მარტოხელა კურდღელი როგორც იქნა, სამშვიდობოს გავიდა და თავი ერთ პატარა მინდორზე ამოყო, ბალახზე გულაღმა დაეცა. საწყალი კურდღელი დაღლილი იყო და ძლივს სუნთქავდა (მადლობა „კურდღლების ღმერთს“, რომ ის მაინც გადაარჩინა და ქურქისთვის არ გაწირა). ამ დროს ხიდან შემოდგომის, გაყვითლებული ფოთოლი მოწყდა და კურდღელს ცხვირზე დაეცა. კურდღელმა ფოთოლს შეხედა და თქვა: რა სილამაზეა!“

— მოგეწონა? — გახარებულმა მკითხა ბავშვმა.

— ფანტაზიისთვის ხუთიანი (თანამედროვე შეფასების სისტემით — ათიანი), თემაში — დიდი ორიანი, — გამოვუტანე „განაჩენი“.

საბას დიდი პროტესტის მიუხედავად (ძალიან მოსწონდა ის, რაც დაწერა), თემა „ჩამოვართვი“ და ახალი დავაწერინე, საღამოს კი მის ოჯახს ვესტუმრე, რათა საბას ნაწერის შესახებ დედამისისთვის საკუთარი აზრი მომეხსენებინა.

— რა ვქნა, ასეთი დაუჯერებელი ბავშვია. ეს უკვე მესამე თემაა, რომელსაც თავად წერს, არ მაკითხებს და ამის გამო, მასწავლებელი საყვედურებსაც კი მითვლის, — მითხრა საბას დედამ და ბიჭუნას დღიური მომაწოდა, სადაც მასწავლებელსა და მშობლებს შორის ასეთი დიალოგი იყო გამართული:

„საბა გაკვეთილებზე ცელქობს, არ მიჯერებს. 20 ოქტომბერს გაიმართება მშობელთა კრება და გთხოვთ, აუცილებლად დაესწროთ. კლასის დამრიგებელი“.

„კლასის დამრიგებელს: თქვენს ჩანაწერს გავეცანი. ზომები მიღებულია. საბა გაილახა. მამა“.

„მიუხედავად ამისა, მაინც მსურს თქვენთან გასაუბრება. იქნებ დრო გამონახოთ“.

„სამწუხაროდ, თავისუფალი დრო არ გვაქვს. დედა“.

„ბავშვის მიერ დაწერილ თემებს მაინც გადახედეთ“.

„გთხოვთ, შეცვალოთ აღზრდის ტაქტიკა, ბავშვს სხვაგვარად მიუდექით. მამა“.

„გასაგებია, ვისაც ჰგავს ბავშვი“.

„გთხოვთ იყოთ კორექტული და მშობლებს ნუ დაგვადანაშაულებთ. პედაგოგის მოვალეობაა, ბავშვს სწორად მიუდგეს. დედა“.

„თქვენთან საუბარს, უფრო სწორად, მიმოწერას აზრი არა აქვს. კარგად ბრძანდებოდეთ“.

ამ „დიალოგის“ წაკითხვის შემდეგ ჩემთვისაც ნათელი გახდა, თუ რატომ წერდა საბა ასეთ თემებს და თუ პედაგოგიც ისეთი ჰყავს, როგორზეც ქვემოთ მოყვანილ ეპიზოდში გიამბობთ, მაშინ მართლაც არაფერია გასაკვირი: როცა „ბოლო ზარისთვის“ ვემზადებოდით, მასწავლებლებს „საშინაო დავალება“ მივეცი; ყველას ვთხოვე, დაეწერა საკუთარი შეხედულება ბავშვებზე, სკოლაზე და საერთოდ, აღზრდის პროცესზე. სხვათა შორის, პედაგოგების ჩანაწერები დღემდე შენახული მაქვს და ახლა ერთ-ერთ მათგანს გაგაცნობთ (სტილი დაცულია):

„უკვე დიდი ხანია, სკოლაში, მთესველად ვმუშაობ. საკლასო ოთახი მინდორია... მოუხვნელი, ყამირი მინდორი, მაგრამ მისი დამუშავება და დათესვა აუცილებელია. ბავშვები სხედან, თვალებში მიყურებენ. ზოგი ჯერ არ გამოფხიზლებულა და ისევ სძინავს, ზოგს ალბათ რცხვენია, საშინაო დავალება რომ არ გაუკეთებია. ერთ გოგონას დაფასთან ვიძახებ. ისე მოდის, როგორც მოდელი — პოდიუმზე. მეტყველების უნარს კარგავს, მე კი სკამზე ვეკრობი. თვალებში მიყურებს. მათში ან ნოსტალგია ჩანს, ან სევდა, ან დანაშაულის გრძნობა იმის გამო, რომ გაკვეთილი არ იცის. ვდგავარ ამ მინდვრის შუაში და დანანებით ვფიქრობ: მე მეომარი არ ვარ, არა! ღმერთო, ზოგიერთი როგორი სლენგით ლაპარაკობს?! თუ რამე მითხრეს, პასუხსაც ვერ გავცემ, რადგან ვერ ვუარგონავ!

ეჰ, მინდორო, მინდორო... ჩემი ახალგაზრდობა მახსენდება — „შლაქსები“, ჩუმად წასმული პომადა და „ტუში“... ფილტვებში ჰაერს ვიგროვებ და ლაპარაკს ვიწყებ. დრო ნელა გადის... ბავშვები გამოცოცხლდნენ... მათ ნათელ თვალებს ვხედავ... როგორც ჩანს, აზროვნება შეუძლიათ... თესლი ნელ-ნელა იყრება დახნულ მიწაში, ბელტებს შორის... რა კარგად გამომდის... ჩემი კარგი ბავშვები... ჩვენ დაგთესავთ, მოგრწყავთ, სასუქს დაგიყრით, გაგზრდით და აგაყვავებთ.

P.S. მარი, შენი დავალება შევასრულე. იმედია, „უმაღლეს შეფასებას“ მივიღებ. აქვე ერთი რამ გამახსენდა: გახსოვს, გკითხე, 8 რომ შუაზე გავყოთ, რას მივიღებთ-მეთქი? შენ მიპასუხე: თუ სიგრძეზე გავყოფთ, ორ სამიანს მივიღებთ, თუ სიგანეზე — ორ ნულსო. როგორი პატარა იყავი მაშინ... მაგრამ ჩემს მინდორში გაიზარდე და დაჭკვიანდი“.

ალბათ, კომენტარი საჭირო არაა და მეც ასე, უსიტყვოდ დაგემშვიდობებით, მომავალ „სიტუაციამდე“.

■

# გართობა — თინეიჯერულად და ფულის შოვნის იოლი გზა

## 10-ლარიანი კოცნა, გაძარცული ნათესავი და უცნაური შეყვარებულები

**არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს გართობის შესახებ, მაგრამ სტუდენტების ნაწილმა რომ კარგი გასართობი იპოვა, ამაში ორი აზრი არ არსებობს — ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ფიქრობენ და სხვების აზრი სულაც არ აინტერესებთ. მას შემდეგ, რაც მიწისქვეშა გასასვლელები გასუფთავდა, თინეიჯერები იქაურობას აღარ ეკარებიან, „ბუდე" პირდაპირ ქუჩაში ან სულაც, პარკებში მოიწყვეს და გართობის პარალელურად, ფულის შოვნის იოლ გზასაც მიაგნეს — ყველა იმის გამომზეურებას ცდილობს, რისი ნჭიც აქვს. მოკლედ, ზოგი ცეკვავს, ზოგი მღერის, ზოგიც უკრავს... მართალია, მათ „მაიმუნობას" გამვლელებიდან მხოლოდ ერთეულები თუ აქცევენ ყურადღებას, მაგრამ იმდენ თანხას მაინც აგროვებენ, რომ საღამოს ყავა დალიონ და კაფე-ბარში მსხდომები გაართონ...**

ლიკა ქაჯაია

*ალბათ გაიფიქრეთ, — კი, მაგრამ სწავლას როდისღა ასწრებენო? როგორ დაუჯერებლადაც უნდა მოგეჩვენოთ, მათ შორის ბევრი ბეჯითი სტუდენტია და მეცადინეობას გვიან ღამით ან დილაუთენია ასწრებს.*

**შაკო:**

— სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ. სხვათა შორის, პედაგოგები ჩემით უკმაყოფილოები ნამდვილად არ არიან, მაგრამ უკვირთ, — ისეთი ცელქი და თავნება ხარ, სწავლას როდისღა ასწრებო? რა იციან, რომ შუაღამით ვმეცადინეობ და ამის გამო მშობლებისგან უამრავ საყვედურს ვიღებ.

**— იმედია, გსაყვედურობენ იმიტომ, რომ ამ საქმისთვის გვიან ღამემდე ვერ იცლი და არა იმიტომ, რომ მეცადინეობ...**

— მათ ჰგონიათ, რომ მთელი დღეები უნივერსიტეტში ვარ, მეცადინეობით თავს ვიკლავ და შინ დაბრუნებულიც წიგნებს ჩავკირკიტებ, ჰოდა, ამიტომაც მსაყვედურობენ, — ბევრი კითხვა გამოგაშტერებს, ყველაფერს თავისი დრო აქვს, ცოტა გართობა და დასვენებაც არ გაწყენდაო... ის არ იციან, რომ უნივერსიტეტიდან შუადღის მერე მოვდივარ, მეგობრებს ვხვდები და მათთან ერთად ვერთობი.

**— მაინც, როგორ ერთობით შენ და შენი მეგობრები? ვხედავ, რომ მუსიკალური ნიჭი გაქვს, სალამურზე დაკვრაც შეგიძლია...**

— კი, ნიჭი ნამდვილად მაქვს, მაგრამ დიდ სცენაზე დგომა რომ შემომთავაზონ, უარს ვიტყვი...

**— რა მიზეზით?**

— არ მომწონს ის თანამედროვე მომღერლები, რომლებიც დღეს დგანან ქართულ სცენაზე და არ მინდა, მათ რიგებში ჩამწერონ. ამას მირჩევნია, კარგ ჟურნალისტად ჩამოვყალიბდე და მერე ვითომ თავისი საქმის პროფესიონალებს ნიღაბი ჩამოვხსნა. იმედია, ამას შევძლებ... რაც შეეხება გართობას, მართალია, მე ან ჩემს რომელიმე მეგობარს ჯიბეში იმდენი ფული ყოველთვის გვაქვს, რომ ერთმანეთი ყავაზე დავპატიჟოთ, მაგრამ როცა რაღაც თანხას საკუთარი შრომით ვუყრით თავს, ამას სულ სხვა გემო აქვს... მოკლედ, გამვლელების ნაწილი უხვად გვაჯილდოებს, ზოგი კი პირიქით, ჩვენთვის „კაპიკსაც" არ იმეტებს, მეტიც — ჩვენი დანახვისას ზოგიერთი ისე აუჩქარებს ხოლმე ფეხს, თითქოს კეთროვნები ვიყოთ.

**ნინუკი:**

— სასაცილო იცი, რა არის: ასეთ ადამიანებს ჩვენი სიმღერები ვითომ არ აიტერესებთ და გვერდით ისე იყურებიან, თითქოს კედლებს კი არა, რაღაც საინტერესო სანახაობას ვერ მოსწყვიტეს თვალი. ამ დროს სურვილი მიჩნდება, მათ წინ გადავუდგე და სიმღერა მივუძღვნა.

**შაკო:**

— და ეს თავქარიანი გოგო ზოგჯერ ასეც იქცევა — ბევრი ქალბატონი არ გაუშვა მანამ, სანამ თავისი რეპერტუარიდან ერთ სიმღერა მაინც არ მოასმენინა... აი, მერე კი შემოგვხედავენ ხოლმე და ბოდიშს გვიხდიან იმის გამო, რომ ხურდა ფული არ აქვთ.

**მასკა:**

— ისე, ცნობისათვის, ქაღალდის ფულსაც არ დავიწუნებთ... აქ მხოლოდ იმიტომ კი არ ვდგავართ, რომ ფულის შეგროვება და მერე ქეიფი გვინდა, არამედ იმიტომ, რომ გავერთოთ და ცხოვრებისგან დაზაფრული გამვლელებიც გავამხიარულოთ; თუმცა ისინი ყველაფერს სხვანაირად იგებენ.

**ნინუკი:**

— მესმის მათი. თავად უფასოდ არაფერს გააკეთებენ და უკვირთ, — როგორ შეიძლება, მსგავსი სურვილი მოზარდს გაუჩნდესო? ქართველები უცნაური ადამიანები ვართ — ან ზედმეტად ხელგაშლილად ვცხოვრობთ, ან ძალიან ძუნწები ვხდებით.

**— ყველანი მომავალი ჟურნალისტები ხართ?**

— არა, მე სამედიცინოზე ვსწავლობ, მასკა — თეატრალურ უნივერსიტეტში, მარი — კონსერვატორიაში, ბოლმა — უდიპლომო სასიძოა...

**ბოლმა:**

— დამეთანხმეთ, უდიპლომო, მაგრამ ძალიან ნიჭიერი ადამიანი ვარ.

**— რისი ნიჭი გაქვს?**

— ღადაობის (*იცინის*). გინდა, კარგი ანეკდოტი მოგიყვე?

**— მინდა...**

— ღამის 3 საათზე პოლიციელი გამვლელს აჩერებს და ეკითხება: — სად მიბრძანდებით? — ლექციაზე, ბატონო! — მოქალაქე, ნუ ლაზღანდარობთ. ასეთ დროს ვინ კითხულობს ლექციებს?! — ჩემი ცოლი!..

— არ ვიცი, თქვენ როგორ, მაგრამ მე ეს ანეკდოტი ძალიან მომწონს.

**— მშვენიერი ანეკდოტია, მაგრამ უკვე მოძველებული...**

— აბა, ახლებს აღარავინ წერს და მე საიდან მეცოდინება? მოყოლის ნიჭი კი მაქვს, მაგრამ წერის — ნაკლებად და ამიტომაც დავრჩი უდიპლომო სასიძოდ...

**მარი:**

— არა მგონია, ჩვენი „საქმიანობით“ ხალხს ვაწუხებდეთ. ასე რომ იყოს, მერწმუნეთ, პირველ რიგში მე გავაპროტესტებდი გართობის ასეთ მეთოდს.

**— როგორც შენმა მეგობარმა აღნიშნა, კონსერვატორიაში სწავლობ...**

— დიახ, ფორტეპიანოზე ვუკრავ და როგორც ამბობენ, ეს საქმე კარგად გამომდის. ცუდია, ამ ინსტრუმენტის ტარება რომ არ შემიძლია, თორემ ხალხს სიამოვნებას ბახის სიმფონიის მოსმენითაც მივანიჭებდი (*იღიმის*).

**მასპა:**

— სხვათა შორის, როცა გარკვეულ თანხას შევაგროვებთ, მერე ხან სახინკლეში მივდივართ, ხან პიცერიაში ან სულაც, კაფეში და ჩვენი რეპერტუარით ხალხს იქაც ვართობთ, სხვათა შორის — უფასოდ.

**ბოლმა:**

— და ამის გამო ბევრი მადლობას გვეუბნება, ვიღაც სასმელს გვიგზავნის, ვიღაც კი გვლოცავს — თქვენ გაიხარეთო. ჰოდა, აბა, ამაზე კარგი რა უნდა აკეთოს დაუსაქმებელმა მოზარდმა?!.

*იცით, რით ერთობიან სოფლიდან ჩამოსული ის სტუდენტები, რომლებიც ნათესავებთან ცხოვრობენ (ცხადია, ყველას არ ვგულისხმობ)? ქუჩაში „ტასაობით“, ბარში ჯდომით (ოღონდ საკითხავი ისაა, ფულს სად და როგორ შოულობენ) ან სულაც, პარკში მსხდომი მოხუცების დაცინვით.*

**ლილე:**

— რით უნდა გავერთო? სოფლიდან მშობლები რაღაც თეთრებს მიგზავნიან და ის თანხა სამგზავროდ არ მყოფნის. ნათესავების ბინაში, მათ ხარჯზე ვცხოვრობ. მართალია, სასმელ-საჭმელი არ მაკლია, მაგრამ ახალგაზრდებს სხვა რაღაცებიც გვჭირდება, ჰოდა, ამიტომაც ვცდილობთ, ფული სხვადასხვა გზით ვიშოვოთ, გავერთოთ.

**— მაინც, როგორ შოულობთ ფულს?**

— ხან ხალხს ვთხოვთ დახმარებას, ხან ვიღაცებს ვატყუებთ და ფულს ვცინცლავთ (*იცინის*)...

**— და ამ ყველაფერზე გეცინებათ?**

— სასაცილოა, აბა, რა არის, როცა ადამიანმა იცის, რომ ატყუებენ, მაგრამ რაღაცის გამო თავს იტყუებს?!. მაგალითად, ამას წინათ ერთმა ჩემმა მეგობარმა პარკში ვიღაც კაცი გაიცნო. იმ კაცს დიდხანს „ვახვევდით“, ბოლოს მახეში გაება და ერთ კოცნაში გოგონას 10 ლარს უხდიდა ხოლმე. მოკლედ, ის საცოდავი სანამ მაგრად არ „გატყავდა“, ვერ მიხვდა, რომ სისულელეს აკეთებდა...

**ანი:**

— ჰმ, ლილე ჩემზე ლაპარაკობს. ხომ მაგარ „ვიდზე“ ვარ? ჰოდა, ჩემი ერთი კოცნა 10 ლარიც აღარ ღირს?..

**— ვინმემ მეტი რომ შემოგთავაზოს, სხვა რამეებსაც გააკეთებ ანუ ფულის გამო ყველაფერზე წამსვლელი ხარ?**

— ნუ, კაცს ვერ მოვკლავ და ქალიშვილობას ვერ დავთმობ, სხვა ყველაფერი „მოჟნა“.

**ლილე:**

— ქართველი ბიჭების უმეტესობა ვითომ „სვეტსკია“, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, არაქალიშვილების მოყვანისგან თავს იკავებენ — მე რა ვიცი, შენ ჩემ გარდა სხვასთანაც რომ არ ყოფილხარო? ვფიქრობ, ეს მათ დაუნიზმზე მიგვითითებს.

**— არა მგონია, ბიჭები, რომლებიც ტრადიციებს სცემენ პატივს, დაუნები იყვნენ. თანაც, ფულზე გაყიდული ქალიშვილობა...**

— (*მაწყვეტინებს*) ფულზე, რა, ადამიანი რომ შეგიყვარდეს და შეცდე, ამის გამო ხელი უნდა გკრან? ტრადიციები არა, ისა. სხვა რამეში თუ არ არიან ტრადიციულები, რაღა ამ საქმეში მოიკოჭლებენ? მოკლედ, არ გვინდა, რა, ბანძ ბიჭებზე ლაპარაკი.

**— ვფიქრობ, შეყვარებული არც ერთს არ გყავთ...**

**ანი:**

— მე მყავს და სხვათა შორის, ძალიან კარგი ბიჭია. მანაც იცოდა, იმ კაცს კოცნის საფასურად ფულს რომ ვართმევდი და ამაზე მაგრად „პრიკოლობდა“.

**— არ ეჭვიანობდა?**

— რატომ უნდა ეეჭვიანა? ბოლოს და ბოლოს, მე ხომ ის კაცი არ მიყვარდა და თანაც, ეს ფულის შოვნის ერთ-ერთი გზა იყო, მერე იმ თანხით გასართობად მივდიოდით...

**— შენი აზრით, იმ ბიჭს ნამდვილად უყვარხარ?**

— ამაში ეჭვიც არ მეპარება და შენც გირჩევ, ადამიანებს ასეთი ეჭვის თვალით არ უყურო, თორემ ცხოვრება რთული მოგეჩვენება...

**ლილე:**

— მეც მყავს თაყვანისმცემელი, რომელთან ერთადაც დროებით ვერთობი. ნუ, თუ მომავალში შემიყვარდება, შესაძლოა, ცოლადაც გავყვე. მან იცის, მე რისი გამკეთებელიც ვარ და რისი — არა, ჩემი ძალიან კარგად ესმის.

**— ფულის გამო შენ რა გაგიკეთებია ისეთი, რაც შეიძლება საზოგადოებისთვის მიუღებელი იყოს?**

— ჯგუფელებთან სხვადასხვა რამეზე ნაძლევს ვდებ. მაგალითად, ამას წინათ ვთქვი: იმ მოხუცს, ყავარჯნით რომ დაეხეტება, აქ, მეოთხე სართულზე ფეხით ამოვიყვან-მეთქი. მითხრეს, — მოცლილი ხარ. შანსი არაა, რომ ის ბაბუ ამოგყვესო. 20 ლარზე დავნაძლევდით. მე ჩავედი, ბაბუს ათასი სისულელე ვუთხარი და ბოლოს დავითანხმე, რომ თავისი „კოჭლი“ ფეხებით კიბეებზე ამოსულიყო. როცა აქ ამოვიდა და მაგრად დასცინეს, მიხვდა, რომ ახალგაზრდების მახეში გაება და გაწითლდა, მაგრამ ამაზე არ მიდარდია — მთავარი იყო, ჩემი კუთვნილი თანხა მიმეღო.

**— ასეთ დროს ადამიანები მართლა არ გეცოდება?**

— რა სჭირთ შესაცოდი? აბა, იმ ბაბუს ცალი ფეხი სამარეში ჰქონდა და მე რატომ ამეტორღიალა? ვფიქრობ, მისნაირები ყველაფრის ღირსები არიან.

**ნანპა:**

— ჩვენ „სოფლიდან ჩამოთრეულებს“ გვეძახიან, მაგრამ მერწმუნეთ, ბევრი თბილისელი ჩვენზე უარესს სჩადის. ჩვენ სხვას ისეთ ზიანს მაინც არ ვაყენებთ, რომ ვიღაც ჭკუიდან შევშალოთ... მეც მომწონს პარკებში ხეტიალი, სხვებზე კაიფი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკუთარ თავს არასდროს ვაკრიტიკებ.

**ციცო:**

— მერწმუნე, ძალიან ძნელია, როცა აქ ნათესავთან ცხოვრობ, მასზე ხარ

დამოკიდებული და ჯიბის ფული არა გაქვს. გოგო ვარ და იმდენი რამე მჭირდება, რასაც ჩემი მშობლების „თხელი“ ჯიბე ვერაფრით გასწვდება, ჰოდა, საკუთარ თავს თავადვე ვშველი.

**— პირადად შენ, ფულის შოვნის როგორი მეთოდი გაქვს?**

— ანისგან განსხვავებით, ვიღაცების კოცნა არ შემიძლია, მაგრამ გამვლელებისთვის თანხა ბევრჯერ მითხოვია. თანაც, შეყვარებული მყავს — მე და ვალერი ხალხს ფულს ერთად ვთხოვთ და როგორც წესი, შეყვარებულ წყვილს უარს ვერ გვეუბნებიან.

**ვალერი:**

— მართალია, ბევრი გვეჩხუბება კიდეც — სინდისი სად დაკარგეთო, მაგრამ უმეტესობა ხელგაშლილია. ვიცი, ახალგაზრდა კაცისთვის მათხოვრობა დამამცირებელია, მაგრამ სამუშაოც ვერსად ვიშოვე და აბა, თავი რით ვირჩინო? შეყვარებულთან ერთად მთელი დღე, პარკში მშიერი ხომ არ ვეგდები?..

**ნინი:**

— „მამიკოს შვილებისთვის“ ჩვენი გაკრიტიკება იოლი იქნება, მაგრამ მერწმუნეთ, ასე ცხოვრება არც ჩვენ მოგვწონს. მამაჩემს ჰგონია, თვეში 100 ლარს თუ გამომიგზავნის, ეს თანხა საკმარისი იქნება საიმისოდ, რომ თავი გავიტანო, არადა, მხოლოდ მგზავრობაში თვეში 40 ლარი მაინც მეხარჯება და როგორ ფიქრობთ, სხვა არაფერი მინდა? ახლა არ მითხრათ, ფეხით იარე და ნაკლები თანხა დაგეხარჯებაო...

**გიო:**

— მე ანის შეყვარებული ვარ და იმაში, რასაც ის აკეთებს, ცუდს ვერაფერს ვხედავ.

**— როგორ შეიძლება, შეყვარებულს მოუწონო სხვისი კოცნა, თანაც — ფულის გამო?**

— კოცნა არაფერს ნიშნავს. აბა, დაფიქრდი, დღეში რამდენ ნაცნობ კაცს ხვდები და რამდენს კოცნი, ესალმები?

**— მაგრამ ეს სულ სხვა კოცნაა...**

**დათო:**

— ვერ დაგეთანხმები, კოცნა კოცნაა...

**— მაშინ, კითხვას ასე დაგისვამთ: თქვენს დას თუ გაუშვებთ ვილაც კაცთან „საზასაოდ“ მხოლოდ იმიტომ, რომ მან ფული იშოვოს?**

**გიო:**

— რა პრობლემაა, მთავარია, სხვა არაფერი მიქაროს და კოცნას ავიტანთ.

*არსებობს უფულო სტუდენტების მესამე კატეგორიაც — ისინი თბილისელები არიან და სოფლიდან ჩამოსულებთან ურთიერთობას არ კადრულობენ, მხოლოდ ქალაქელებს ეკონტაქტებიან, მაგრამ თურმე, ისევე ერთობიან, როგორც ლილე, ანი, ნანკა, გიო, დათო, ნინი, ციცო და ვალერი.*

**ანუშკი:**

— თბილისელი რომ ვარ, ამით ვამაყობ. აბა, საამაყო არაა, „ხოხბის შთამომავალი“ რომ ხარ (*იღიმის*)?..

**— და ალბათ, სოფლიდან ჩამოსულ თანატოლებთან ურთიერთობას გაურბიხარ, არა?**

— პრინციპში, ისინი გამირბიან. ვერ ხვდებიან, რომ ის, რასაც მე ვაკეთებ, ბანძობა არაა. მათ არ დავცინი, მაგრამ არც ჩემი დონისები არიან, თავი რომ გავუყადრო.

**— არავის უთქვამს, რომ ძალიან ცუდად მსჯელობ?**

— კი, ამის გამო მშობლებიც მსაყვედურობენ, მაგრამ ეს არ მანაღვლებს. ძალიან მომწონს ჩემი „სასტავი“, სადაც მხოლოდ ქალაქელები ვართ. ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ერთმანეთს არ ვუღალატებთ.

**— შენი აზრით, რაიონებიდან ჩამოსულები მოღალატეები არიან?**

— იცი, სხვები არ ვიცი, მაგრამ საკუთარმა ბიძაშვილმა, რომელიც 2 წელი ჩვენთან ცხოვრობდა და რომელსაც სულსაც ვანდობდი, ვედაქალებოდი, გაგვძარცვა — სახლიდან ოქრო გაიტანა და მისი მოპარვა მე გადმომაბრალა. მადლობა ღმერთს, სიმართლე მალევე გაირკვა და მშობლების რისხვას გადავურჩი.

**— ხომ შეიძლება, ქურდი ქალაქელიც იყოს?**

— ცხადია, ბევრი თბილისელიც იპარავს, მაგრამ ასეთებთან არ ვურთიერთობ... ჩემი მეგობრები, იმის გამო, რომ კაფეში შევიდნენ და ყავა დალიონ, ფულს არ მომპარავენ. სოფლიდან ჩამოსულ სტუდენტებს კი ხშირად ჯიბეში თეთრიც არ უგდიათ და ყველაფერზე წამსვლელები არიან. ისე, მათიც მესმის — მშობლები აქ რომ არ მყავდეს და მიჭირდეს, შეიძლება, ფულის მოპარვა თავადაც გავრისკო, მაგრამ მერწმუნე, ახლობელს ნამდვილად არ გავძარცვავ.

**— შენ და შენი თბილისელი მეგობრები როგორ ერთობით?**

— ისევე, როგორც ბევრი ჩვენი თანატოლი... მაგრამ ზოგჯერ თავს მოვიგიჟიანებთ ხოლმე და ქუჩაში პანკებად გადაცმულები გამოვდივართ, გამვლელებს, განსაკუთრებით — მოხუცებს ვაგიჟებთ.

**— პანკებს განსხვავებული ჩაცმის სტილის გარდა, ვარცხნილობაც უცნაური აქვთ...**

— არც ეგაა პრობლემა — ვარცხნილობისა და თმის ფერის ერთჯერადად შესაცვლელად უამრავი საშუალება არსებობს; ზოგჯერ ნაძლევსაც ვდებთ ხოლმე და ფულის მოსაგებად ყველაფერს ვაკეთებთ. იშვიათად, მაგრამ მაინც, „მასკარადსაც“ ვაწყობთ, სადაც თავს ბევრი ისეთი რაღაცის უფლებას ვაძლევთ, რასაც სხვა დროს ვერ გავაკეთებდით.

**— მაგალითად?**

— ხომ იცი, ნასვამი ადამიანი ძალიან თამამია, ჰოდა, ბიჭებთან ერთად, „თამამად“ ვერთობით. ერთხელ, მთვრალი საკუთარ ძმაკაცსაც კი „ვეზასავე“, მაგრამ მეორე დღეს ისევ ისე ვძმაკაცობდით, როგორც იმ „მასკარადამდე“. სხვათა შორის, ეს ამბავი ჩემმა „ლოვემაც“ იცის, მაგრამ ვერ მისაყვედურებს, რადგან თავად ჩემს დაქალთან ერთად გაერთო...

**— გართობის ამ მეთოდს ვერ მოგიწონებ...**

— ეგ არც მადარდებს. შენი, უცხო ადამიანის აზრი კი არა, მშობლების, და-ძმების მოსაზრებაც არ მაინტერესებს. ვიდრე ახალგაზრდა ვარ, გავერთობი, სერიოზული ქალის იმიჯის მორგებას კი „დაღვინების“ შემდეგაც მოვასწრებ!..

*დაბოლოს, არსებობენ „ფულიანი მამიკოს“ შვილები, რომლებიც მსგავს გასართობებს ახლოსაც არ ეკარებიან (ერთეულების გარდა). მათ ურჩევნიათ, იარონ წვეულებებზე, დისკოთეკებზე, ღამის კლუბებში ან სულაც, საბილიარდოში, სადაც არც შესცივდებათ, არც მოშივდებათ, არც მოსწყურდებათ და რიგიანად თავის მოგიჟიანებასაც შეძლებენ. საინტერესოა, თქვენ, ჩვენი რუბრიკის ერთგული მკითხველები, გართობის როგორ მეთოდს მიანიჭებდით უპირატესობას და რატომ? თავად როგორ ერთობით? თუ ამ თემაზე რაიმეს მოწერის სურვილი გაგიჩნდებათ, ჩემი ნომერი: 8(58) 25.60.81 თქვენს განკარგულებაშია. ასევე, თქვენი სტუდენტური თავგადასავლები შეგიძლიათ მოგვწეროთ მეილზე:* lika.qajaia@gmail.com.

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია

ვარლამ სიმონიშვილის გუნდი

* * *

რამდენჯერ მითქვამს, ბალღებო –
ნუ ღრეცავთ სიმღერებსაო;
სიმღერას სწორე თქმა უნდა,
შეხმატკბილება ხმებსაო!..

მამა-პაპისა ჰანგები
სუფრასა ამშვენებსაო;
თქვენ ჯი უხეშათ გაჰკივით,
აქა იქ ჩაჰურავთ ხმებსაო;
უფროსებს ყური დაუგდეთ –
გასწავლით სიმღერებსაო!..

„ჰოპუნა" „ყურშავს" არა ჰგავს,
„გვიბრძანე" – „მაყრულს", „ჭონასა",
ყველა ეს დიდი განძია,
გავს მარგალიტის ჯონასა!..

*ხალხური*

## ქართულ სიტყვათა კონა

**შედგენილია**
**არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით**
**1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის**
**ერთტომეულის მიხედვით**

შემდგენელი თემურ ივანიძე

## თ

**დასაწყისი იხ. „გზა", №2-47**

**თრია** — მოზრდილი მღრღნელი ცხოველი ციყვების ოჯახისა.
**თრიაქი** სპ. — იგივეა, რაც ოპიუმი.
**თრიმლი** — ხე ან ბუჩქი; იკეთებს პატარა მოყვითალო-მომწვანო ყვავილებს; ფოთლებს და ქერქს ტყავის გამოსაყვანად ხმარობენ, მერქანს — საღებავად (რაც თხამ თრიმლს უყო, ორი იმდენი თრიმლმა თხის ტყავს უყოო).
**თუთქი** — წყალში არეული ნაცარი, რომელსაც აყრიან თონის ნაკვერჩხალს გასანელებლად.
**თული** (ძვ.) — იგივეა, რაც ყაჩაღი.
**თულუხი** თურქ. (ძვ.) — 1. წყლის საზიდავი რუმბი ან კასრი; 2. დიდი თუნგი (იციან მთაში).
**თულუხჩი** — იგივეა, რაც მეთულუხე.
**თულფი** — იგივეა, რაც კოზირი.
**თუნი** — ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა.
**თურინჯი** — ციტრუსოვანი მცენარე ერთგვარი.
**თურთუმელა** — ძალიან მსუქანი ხორცი; ლურთი.
**თულუნი** — ცხენის ჯიში ერთგვარი.
**თუშფალანგი** — ჯამივით ჩაღრმავებული ნახვრეტებიანი მოზრდილი ჭურჭელი ფლავისა და წყალში მოხარშული ზოგი სხვა რამის გასაწურად, — ფლავის საწურავი.
**თფუჩი! თფუჩი!** — ხბოს მოსახმობი ძახილი.
**თქორი** — წვრილი წვიმა.
**თხემლა** — იგივეა, რაც მურყანი (ხის ჯიში).
**თხისური** — თხის მატყლი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ივანე მაჩაბელი

მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ივანე მაჩაბელი ქართველ „სამოციანელთა“ წარმომადგენელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო.

იგი 1854 წლის 28 იანვარს სოფელ თამარაშენში ძველი ფეოდალის, იმ დროისათვის უკვე გაღარიბებულ ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება ოჯახშივე მიიღო; საფუძვლიანად გაეცნო ქართულ ფოლკლორსა და კლასიკურ მწერლობას. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში ასევე პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ქართულ პრესაში იბეჭდებოდა მისი ლექსები, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები და თარგმანები. მაჩაბელი აქტიური მონაწილე იყო ყველა იმ საზოგადოებრივი წამოწყებისა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა („ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, თეატრალური საზოგადოებები, სასკოლო კომიტეტი, სათავადაზნაურო ბანკი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია)... იყო შოთა რუსთაველის პოემის გამოცემის (1888 წელს) რედაქტორი; დახმარება გაუწია პოემის ილუსტრატორს, უნგრელ მხატვარს — მიხაი ზიჩის, აგრეთვე მარჯორი უორდროპსა და პოემის სხვა უცხოელ მთარგმნელებს. მანვე რუსი კომპოზიტორის იპოლიტოვ-ივანოვის თხოვნით, დაწერა ლიბრეტო ოპერისათვის „ვეფხისტყაოსანი“.

**„საკვირველია, რომ პროფესორების ენა და ლექციები უფრო კარგად მესმის, სანამ სტუდენტების ერთმანეთში ლაპარაკი. ეს იმისგან წარმოსდგება, რომ წინდაწინ ცოტათი თეორეტიკულად შესწავლილი მქონდა ნემენცური ენა. მხოლოდ ერთი გარემოება მიშლის ნემენცური ენის სწავლას: სტუდენტებთან ლაპარაკი თითქმის მხოლოდ სადილის დროს შემხვდება ხოლმე; ლექციების დროს სადილზედ ჩემს სტოლზე სხედან — ორი იტალიელი, ერთი ფრანცუზი და მარტო ერთი ნემენცი. ასე რომ, ჩვენი ლაპარაკი სადილად ნემენცურით, ფრანციულით და იტალიანურით აჭრელებულია“.**

*მაჩაბლის მიერ გერმანიიდან,*
*ძმისთვის მოწერილი წერილის ნაწყვეტი*
*25 დეკემბერი, 1876 წელი*

მაჩაბელი 1879 წლიდან გაზეთ „ივერიის“ აქტიური თანამშრომელი გახლდათ, ხოლო მოგვიანებით კი — რედაქტორი. მისი პუბლიცისტური წერილები თეატრის, ლიტერატურისა და ხელოვნების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, სოფლის მეურნეობის, ბუნების დაცვისა და სხვა საკითხების შესახებ გამოირჩეოდა... მაჩაბელი რედაქტორობდა გაზეთ „დროებასაც“. შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალე თარგმანებმა ივანე მაჩაბელს ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ის იყო ახალი სიტყვა ქართულ მხატვრულ მთარგმნელობით ლიტერატურაში. მაჩაბლის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მაკბეტი“, „რიჩარდ “, „იულიუს კეისარი“, „ანტონიო და კლეოპატრა“ და „კორიოლანოსი“ გამოირჩევა ორიგინალთან სიახლოვით, შექსპირის მხატვრული ენისა და დიალოგის ვირტუოზული გადმოცემით, აზრის სინათლითა და დინამიკურობით, დედნის პროზის ლაკონიურობის შენარჩუნებითა და შექსპირული თეთრი ლექსის ოსტატური გადმოღებით. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, დასნეულებული ივანე მაჩაბელი 1898 წლის 26 ივნისს, გამთენიისას, შინიდან გავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა...

■

დაუახლოვდა პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობას, რამაც დიდი როლი ითამაშა მაჩაბლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში; მან საფუძვლიანად შეისწავლა უცხო ენები. 1873 წელს ივანე მაჩაბელი დაუახლოვდა ქართული სათავადაზნაურო ბანკის საქმეებზე პეტერბურგში ჩასულ ილია ჭავჭავაძეს, მასთან ერთად თარგმნა შექსპირის — „მეფე ლირი“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. 1874-1877 წლებში მაჩაბელი სწავლობდა ჯერ გერმანიაში, ჰოპენჰაიმის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, მერე — პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში. შემდგომ ის დაბრუნდა საქართველოში და ნაყოფიერ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეუდგა.

ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი ჭადრაკის თამაშის დროს (პეტერბურგი, 1873 წელი)

# ერთი ვინმე ყაფლანიშვილი

ვაჟა გიგაშვილი (ნაწყვეტი)

სოფელში შემოსულმა იორამმა თვალი მოჰკრა ჩაქროლებულ ჯოტოიან ჯიპს.

— ჩამოსულან! — გაიფიქრა და გოდერძის სახლიდან მომავალ მოთქმას მიაყურა, — ალბათ, ჩამოასვენეს! — და იქითკენ გაემართა.

აივანზე ასულმა, ქაღალდებით გატენილი აბგა ერთ-ერთ მეზობელს მიაჩეჩა და ისე შევიდა მისასამძიმრებლად.

ერთხანს ეზოში იდგა, ლაპარაკობდა სოფლელებთან და ეწეოდა. მერე სახლისაკენ წავიდა. ეზოში „მერსედესი“ დაინახა, „აქ ყოფილა!..“ — გაიფიქრა, მაგრამ ოთახში შესულს არავინ დახვდა. მიყრილი ტანსაცმელი არც შეუმჩნევია, ქაღალდები სამუშაო მაგიდაზე დადო და ეზოში გაბრუნებას აპირებდა, რომ საძილეს დახურული კარის მიღმიდან ზეინაბის ხმა მოესმა...

— რა იყო, ჩაგიკაკლა იმ შენმა ფარნაოზმა?! მივქარე! მაგასთან არ უნდა მივსულიყავი...

— რა, დამალვას აპირებდი? — მოისმა ნოდარის ხმა.

— ჰო, უნდა მოვიშორო!..

— გაგიჟდი?! — ნოდარმა ხმას აუწია. — ჯერ ერთი, უკვე სამი თვისაა და მერე... შენ თვითონ არ ამბობდი, მთელი ცხოვრება ბავშვზე ვოცნებობდიო? ათი წელი იორამთან ქაქუნით არაფერი გამოგივიდა... მე ხო ხელად გაგიკეთე! მაშ, აბა როგორ! ახლა ერთი ჯანიანი ბიჭი აჩუქე ჩემგან იორამს! ვა-ხა-ხა-ხა!..

ადგილზე გაშეშებულ იორამს თვალებში რაღაც ჩამოექცა. საიდანღაც მოვარდნილი ენერგიით გლიჯა წიხლი კარს და შეანგრია. გიჟივით წამოვარდა შიშველი ნოდარი და იორამის დანახვაზე წამით გაშტერებულს ესღა აღმოხდა:

— ეეე! — და მიიღო კიდევაც გამხეცებული დარტყმა მუცლის ძირში. ჩაიკეცა, მაგრამ მომდევნო წამს ისევ გამართული, ტარანივით მიასკდა იორამს და სახეში საშინელი დარტყმით ოთახიდან გაისროლა. იორამი სავარძელს შეეფერთხა და ასევე დარჩა, სავარძლის ზურგს მიყრდნობილი, ნახევრად იატაკზე გაშხლართული. გახეთქილი ტუჩ-ნიკაპიდან სისხლმა იფეთქა. ნოდარმა სწრაფად ამოიცვა შარვალი, იორამს მივარდა, ჩაცუქცდა, სახეზე ხელი მოუტყაპუნა გამოსაფხიზლებლად.

— იორამ, იორამ! არ მინდოდა! ეგეთი რეაქცია მაქვს! მამაჩემმა რო დამარტყას, იმასაც ვუპასუხებ და მერე დავფიქრდები! ეგეთი მურტალი ჩვევა მაქვს! არ მინდოდა, ძმობას გეფიცები!

იორამმა თვალები გაახილა. მზერაში ბრაზის მაგიერ დაცინვა და ზიზღი მოჩანდა.

— ვინაა შენი ძმა?! სიძედ დამიდექი და ძმობას მეფიცები?! შენი ძმობაც! შე ღორის შვილო!..

— ნუ ილანძღები! ვერ ვიტან! მაგაზედაც ცუდი რეაქცია მაქვს! მოდი, მაგიდასთან დაგსვამ, კაცურად ვილაპარაკოთ!

იორამმა გვერდზე მიაწყვეტებინა მის წამოსაყენებლად გამოწვდილი ხელი. სიმწრით, დაღრეჯილად გაიცინა დახეთქილი ტუჩებით:

— კაცურად ლაპარაკი მოგინდა, შე ღორის შვილო?!

— გითხარი, ნუ ილანძღები-მეთქი!

— არ ვილანძღები! ფაქტს გეუბნები! აი! — ხელი გააქნია სამუშაო მაგიდისაკენ. — ბოლო-ბოლო, აღმოჩნდა ეგ საბუთიც, რამაც ყველაფერი გაარკვია... ერთი თვე ვეძებდი... იცი, რა წერია მაგ საბუთში? რომ ჯაყო ჯივაშვილმა თავისი უმცროსი ვაჟი 1921-ში ყაფლანიშვილად გადაწერა... ხევისთავად უნდოდა გადაწერა და არ დაანებეს... მერე — ყაფლანიშვილად...

— ჯაყო ჯივაშვილი ვიღა ჯანდაბაა?! — ბრაზიანად იკითხა ნოდარმა.

— ჯაყო ჯივაშვილი პაპაშენის მამა იყო და ჯანდაბა იყო თუ დოზანა, დასკვნა შენ გააკეთე! უამრავი ფაქტია...

— მიდი, ერთი-ორი მითხარი! — აგდებულად უთხრა ნოდარმა.

— მთავარს გეტყვი! ერთი — ჯვრისწერის საბუთი 1910 წლისა, კნიაჟნა მარგარიტა ყაფლანიშვილისა და კნიაზ თეიმურაზ ხევისთავისა... თავადმა ცოლი თავის საგვარეულო სასახლეში მოიყვანა... მეორე საბუთი 1921 წლისა, ქორწინება მარგარიტა ყაფლანიშვილსა და ჯაყო ჯივაშვილს შორის... მაშინაც უცდია ჯივაშვილს ხევისთავად დაწერა, მაგრამ არ გამოუვიდა... ამ მესამე საბუთმა კი წრე შეკრა და დააგვირგვინა, — როგორ დაწერეს ყაფლანიშვილად პაპაშენი... ყველაფერი გაირკვა...

— შენ რა, ამეების გამოქვეყნებას აპირებ?! — გაავებული ჩაეკითხა ნოდარი.

— მე რას ვაპირებ? შენ შემიკვეთე გამოკვლევა და მეც გამოვიკვლიე... გამონაკვლევიც ეგ გამოვიდა! შედეგი ერთია: ნაშინდრის სასახლე და მამულები ხევისთავის საგვარეულოა! როგორ გაბობოლდა აქ საიდანღაც მოთრეული, ხევისთავის ნამოჯამაგირალი ჯივაშვილი, როგორ წაართვა ცოლი და სახლი ნათავადარს, როგორ გახდა ამ სოფლის წურბელა და მტარვალი, როგორ გააპანღურა და ამოძირკვა სოფელმა მაგისი ჯილაგი, ეგ ცალკე ისტორიაა და ვისაც ეხალისება, შეუძლია, ამ დაგროვილი მასალით ზედმიწევნით აღადგინოს... ფაქტი კი ეგაა, რომ ეს ადგილ-მამული ხევისთავების საგვარეულოა და არავითარი ყაფლანიშვილებისა და მეორე, რომ შენ არავითარი ყაფლანიშვილი არა ხარ! ჯივაშვილი ხარ!..

ნოდარი იდგა გაშავებული, ბოღმისაგან კრიჭაშეკრული და მერე სისინით გამოცრა კბილებში:

— უუუხ, შე ჩათლახო ვაშალომიძე! ისევ ამიხდა შენი დანაჩხავლი!

იდგა და ისე დაჰყურებდა იორამს, თითქოს ეს-ესაა გასრესსო და სისინითვე გააგრძელა:

— ახლა მომისმინე! შენცა და ამ შენს ცოლსაც დღესვე აქედანვე გაგაქრობთ, ისე, რო „ცეერუც“ ვერ მოგნახავთ, გინდაც, ჩეჩნებსა თუ „ალქაიდას“ გაუტაციხართ! იქ გააკეთებ და დაწერ ისე, როგორც მე მინდა! მანამ მე აქ პროცესს მოვიგებ და კანონიერი მფლობელიც გავხდები! მაშინ შენსასაც მიიღებ და საითაც მოგინდება, გადაშენდები! ამას კეთილი გულით, ძველი ამხანაგობის ხათრით გთავაზობ, თორე ჩემთვის უფრო ადვილია და ურისკო, ახლავე ორივე გაგაქროთ! მაგ გამოკვლევის შემთხზველი კიდე, ბარე ათიც მოინახება!

იორამმა სცადა წამოდგომა, თან მკვახე, უტეხი ხმით, მკაფიოდ მიახალა:

— ჩემგან მაგას ვერ ეღირსები! არ-რასოდეს მაგას არ გავაკეთებ! რაც გინდა... — გულ-ბოყვში ჩარტყმულმა წიხლმა გააწყვეტინა და ისევ ძირს დააგდო.

— აქვე ჩაგსრეს, შე გველის წიწილო! — ნოდარმა მეორე ფეხი გამოაქანა, მაგრამ ზურგს უკან კივილმა მიახედა:

— არ გაბედო! — ზეინაბს ორივე ხელით ჩაბღუჯული, ჩახმახზე შეყენებული კოლტი ჰქონდა მისთვის მიშვერილი. ნოდარს უსიამოვნოდ გაჰკენწლა ერთმა დეტალმა: ზეინაბს იარაღი ისე არ ეჭირა, როგორც ქალებისა და ფრაერი მამაკაცების უმეტესობას — წინ, რაც შეიძლება შორს გამოწვდილი მკლავებით. ასე ხომ გაცილებით ადვილია იარაღის წაგლეჯა ან გაგდებინება... არა! ზეინაბს იარაღი მკერდთან ახლოს ეკავა და არც ღულა უკანკალებდა. „ეს ხო მე არ მისწავლებია?!“ — წამის ნახევარში გაირბინა ყველაფერმა ამან თავში და ამ ქალის გადათელვის აზარტი გაუორკეცა. ■

# მორიგანი
# აჩრდილთა დედოფალი

მარი ჯაფარიძე

**„გამარჯობა, „გზის“ რედაქცია, ამ წერილს 41 წლის ქალი გწერთ. ძალზე საინტერესო ცხოვრება გავიარე. დღესდღეობით სარეცელს ვარ მიჯაჭვული და სიკვდილს ველი. მუდმივად ვკითხულობ მარი ჯაფარიძის მიერ დაწერილ რეალურ ამბებს. მამაკაცს, რომლის შესახებაც „ეშმაკის მოციქულში“ გვიამბობდა, პირადად ვიცნობდი. მარის ვთხოვ, ჩემს „აღსარებას“ მოუსმინოს და მის საფუძველზე „რეალური“ დაწეროს. არ მინდა, ისე მოკვდე, რომ ჩემი თავგადასავალი არავინ იცოდეს. გპირდებით, გულახდილი ვიქნები და შეულამაზებლად მოვყვები ყველა წვრილმანს. უკვე მესამედ გწერთ წერილს და თქვენგან პასუხს ვერ ვიღებ. პატივისცემით, მარგო“.**

*ეს წერილი რედაქციაში შემოდგომის დასაწყისში მოვიდა. რესპონდენტის მიერ, ბარათის ბოლოში მიწერილ ნომერზე დავრეკე და შეხვედრაზე შევთანხმდით. 3 კვირის განმავლობაში, კვირაში 4-ჯერ, თბილისის გარეუბანში, პატარა, მყუდრო, კერძო სახლში მივდიოდი და ამ ქალბატონის საოცარ თავგადასავალს ვისმენდი. „მინდა, ყველამ იცოდეს, რა ხდება ამ უსამართლო სამყაროში. ადამიანი მიმნდობი არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ შედეგს მოიმკის, როგორსაც მე: არეული და დანგრეული ცხოვრება; მობეზრებული სიცოცხლე; გამუდმებით საფრთხის ქვეშ ყოფნა; უსამართლობასთან უშედეგო ბრძოლა... ჩემ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო კანონით პასუხი ვერავის ვაგებინე, მაგრამ სამაგიეროს გადახდა მოვახერხე. მინდა, ჩემი ამბავი თქვენს სამსჯავროზე გამოვიტანო... ყველას მივმართავ, ვინც ამ რეალურ ამბავს წაიკითხავს, რომელიც ზღაპარივით დაიწყო და კრიმინალური დრამასავით დასრულდა: სურვილი მაქვს, გზადაგზა მასზე თქვენი აზრიც მოვისმინო... ეს ჩემი განვლილი ცხოვრებაა, რომელიც მე არ ამირჩევია. „მორიგანი“ ჩემი ფსევდონიმია, რომელიც „დავერბოვკების“ შემდეგ შემარქვეს და ამ სახელით დამარეგისტრირეს, როგორც გადაბირებული. მორიგანი ირლანდიურ მითოლოგიაში ომისა და სიკვდილის ქალღმერთია. მისი თარგმანი „დიად დედოფალს“ ან „აჩრდილთა დედოფალს“ ნიშნავს და სრულიად შეესაბამება მის ბუნებას. გადმოცემის თანახმად, ქალღმერთი ომში თვითონ არ მონაწილეობდა, მაგრამ ყოველთვის ბრძოლის ველზე იმყოფებოდა და რომელიმე მხარეს გამარჯვებაში ეხმარებოდა. გარდა ამისა, ლეგენდაში ნათქვამია, რომ მორიგანს ჯადოქრის თვისებებიც ჰქონდა და ჯადოს მოხსნაც შეეძლო. მორიგანი ასევე სექსუალურ საწყისთან და ნაყოფიერებასთანაც ასოცირდება“. — ასე დაიწყო საუბარი ჩემმა რესპონდენტმა.*

* * *

წვიმის წვეთების წკაპუნმა გამომაღვიძა. თვალები გავახილე და მოპირდაპირე კედელზე ამოჭრილ, მომცრო, უფარდო ფანჯარას გავხედე. ჯერ ისევ ბნელოდა. „ნეტავ, რომელი საათია?“ — გავიფიქრე, მაგრამ არ გავნძრეულვარ, რომ თავთან დაკიდებული საათისთვის შემეხედა. „რა მნიშვნელობა აქვს, რომელი საათია?“ — ისევე გავივლე გუნებაში, როგორც ყოველ დილით, ბოლო 7 წლის მანძილზე ვფიქრობდი ხოლმე. კარგა ხანს ვიწექი გაუნძრევლად და ფანჯრის ჭუჭყიან მინაზე ჩამოდენილ წვეთებს თვალმოუშორებლივ ვუყურებდი. ეზოში მდგარი ლამპიონის შუქი ფანჯარას ისე ანათებდა, რომ წვიმის წვეთები ვარსკვლავებივით ბრწყინავდნენ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს მინაზე პატარა ვარსკვლავები ეწებებოდნენ და ნელ-ნელა ქვევით ცურდებოდნენ. ამ სანახაობამ ისე გამიტაცა, რომ მხოლოდ „ახალი ვარსკვლავების“ გამოჩენას ველოდი და არც იმ დღეზე ვფიქრობდი, რომელიც თენდებოდა, არც მის მომდევნო დღეებზე და არც — წარსულზე.

— მარგო, ბარგი შეკარი და გამოდი! — დილის 10 საათზე საკნის „კარმუშკიდან“ შემომძახა ლიდამ.

ლიდა მაღალი, საკმაოდ ჯანიანი ქალი იყო, რომელიც ციხის დანარჩენ თანამშრომლებს შორის განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. მუდამ თან „ახლდა“ განუყრელი „დუბინკა“, რომელსაც ზედ დიდი ასოებით „ანალგინი“ ეწერა. ჩემ მიმართ რატომღაც კარგად იყო განწყო[redacted]ღაც შინაურულად მიღიმოდა.

მეგონა, მომესმა, რაც მითხრა და გაოცებულმა შევხედე.

— მიდი, მიდი, ნუ ზარმაცობ, ჩიტივით თავისუფალი ხარ და რაც მალე მოაგროვებ ბარგს, მით მალე წახვალ ამ ჯოჯოხეთიდან. მზად რომ იქნები, შემატყობინე.

გაოგნებული ვიყავი, რადგან გათავისუფლებას ასე მალე არ ველოდი. 4 წელი კიდევ მქონდა დარჩენილი — სასჯელი ბოლომდე არ მქონდა მოხდილი. არც პატიება მითხოვია ვინმესთვის, არც შეწყალება და არც ვადამდე გათავისუფლება, რადგან ვიცოდი, რომ მაინც უარს მივიღებდი.

საკანში მყოფი ქალები შემომეხვივნენ, მილოცავდნენ, ტიროდნენ. მე კი თითქოს არაფერი მომხდარაო, მშვიდად ვიყავი. რატომღაც, არც სიხარული მიგრძნია და არც აღფრთოვანება. აპათია დამეუფლა. საგარეო ტანისამოსი თვალის დახამხამებაში გადავიცვი. საგარეო რა, რაც ჩემს ძონძებში საუკეთესო მომეძებებოდა, ის შევარჩიე, კედელზე ჩამოკიდებულ სარკის ნატეხში ჩავიხედე, თმაზე ხელი გადავისვი, ქალებს სათითაოდ გადავეხვიე, გამოვემშვიდობე, შევპირდი, გარედან მოგხედავთ, არ დაგივიწყებთ-მეთქი და კარზე დავაბრახუნე.

— ეს თქვენი ჩანთა, ეს ქამარი, პასპორტი, მართვის მოწმობა, გასაღები, ესეც 15 დოლარი და 1.200 რუბლი, — ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც პირველად ვხედავდი, ის ნივთები და ფული მომითვალა, რომელიც 7 წლის წინ, დაკავებისას თან მქონდა. თუმცა, მაშინ ჩანთაში 500 დოლარი მედო, მაგრამ ვიცოდი, იმ თანხას არავინ დამიბრუნებდა და ხმა არ ამომიღია. ბადრაგმა ზონიდან გასასვლელ ალაყაფის კართან მიმიყვანა. როგორც კი ზღურბლს გადავაბიჯე, ჩემ ზურგს უკან ჭიშკარი მაშინვე ჩაკეტეს.

პირველ რიგში ცას ავხედე. ასე მთლიანი ცა დიდი ხანია, არ მენახა. მხოლოდ ნაგლეჯ-ნაგლეჯ ვუყურებდი, გისოსებს მიღმა. წვიმდა. მსხვილი წვეთები თავსა და ზურგზე მეცემოდა. როცა ამ დღეზე ვფიქრობდი, რატომღაც ყოველთვის წარმომედგინა, რომ აუცილებლად მზიანი და თბილი იქნებოდა. ჩანთა მხარზე მოვიგდე, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩავიწყვე და გზას ფეხით გავუყევი. ნელა, ტაატით მივდიოდი და თავისუფლებით ვტკბებოდი. სად მეჩქარებოდა? მაინც არავინ მელოდა. ქალაქამდე ორიოდე კილომეტრი იყო და უცებ დავფარე. მოსკოვი შეცვლილი მომეჩვენა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სრულიად უცხო ქალაქსა და ქვეყანაში მოვხვდი. ტაქსი გავაჩერე და 1 საათში უკვე საკუთარი სახლის სადარბაზოსთან

ვიდექი. მძღოლმა გაცილებით მეტი თანხა მომთხოვა, ვიდრე თან მქონდა. ჯიბეები ამოვიბრუნე, დაკუჭული კუპიურები წინა სავარძელზე დავუყარე და მეტი არ მაქვს-მეთქი, ვუთხარი. მის პასუხს არც დავლოდებივარ, კარი მივხურე და კიბეს ფეხით ავუყევი. აქ ყველაფერი ძალიან ნაცნობი იყო. თითოეული საფეხური და კედლებზე შერჩენილი წარწერებიც კი. გასაღები გადავატრიალე თუ არა, კლიტემ გაიჩხაკუნა და კარი უმალ გაიღო. გაუბედავად შევდგი ფეხი და მტვრიან, ცარიელ ოთახს თვალი მოვავლე. შინ დაბრუნებამ ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი გამახსენა, რომელმაც ჩემი შემდგომი ცხოვრება განსაზღვრა.

* * *

— შეგიძლია, შინიდან წაეთრიო, რადგან არ მოგწონვართ! აქ შენი არაფერია! ახლავე ადექი და წადი! ვერაფერს წაიღებ გარდა იმისა, რაც ახლა ზედ გაცვია! — ასე დაიწყო დილა.

სხვა დროს შესაძლოა, ამეტანა კიდეც, მაგრამ იმ დილით არ ვიყავი ლანძღვის მოსასმენად განწყობილი.

— როგორც გენებოთ, — ვცდილობდი, აუღელვებლად მელაპარაკა.

გასაღები შემოსასვლელში, ტუმბოზე უხმაუროდ დავდე, ქურთუკი შევიკარი და სახლი უკანმოუხედავად დავტოვე. სადარბაზოში ცოტა ხანს გავჩერდი იმ იმედით, რომ დამიძახებდნენ. რადგან არავინ გამომხედა, ლიფტი გამოვიძახე და გარეთ გავედი. გადაწყვეტილია! შინ არ დავბრუნდები! მაგრამ სად წავიდე უფულოდ? მეგობრებთან? ისინი ვერაფრით დამეხმარებიან — შინ დამაბრუნებენ.

ფეხებმა ავტობუსის გაჩერებასთან თავისით მიმიყვანა. პირველივე ავტობუსში ავედი, ფანჯარასთან მოვკალათდი და ფიქრი დავიწყე. რამდენიმე გაჩერება რომ გავიარე, ჩემი მასწავლებლის სახლი შევნიშნე. კვირადღე იყო, სახლში იქნებოდა. ბევრი არ მიფიქრია, მასთან მისვლა გადავწყვიტე.

— მარგო, შენ?! — გაუკვირდა, როდესაც კართან ატუზული დამინახა.

— დიახ, — მის გაოცებულ მზერას თვალი ავარიდე.

— შემოდი, შემოდი, — კარი ფართოდ გააღო და გზა დამითმო.

უხერხულად შევაბიჯე ოთახში და შეთავაზებულ სკამს ცერად გავხედე.

— ვერ დავჯდები, ვერა ოლეგოვნა, მეჩქარება... ფული მჭირდება...

— რაღაც ხდება შენს თავს; აბა, დაწვრილებით მომიყევი! — დოინჯი შემოირტყა და გამომცდელად შემომხედა.

— შინიდან წამოვედი, საქართველოში მივდივარ, მამა უნდა მოვძებნო, — ძლივს ამოვილუღლუღე და თავი მხრებში ჩავრგე. მეგონა, ვერა მასწავლებელი აყვირდებოდა, შინიდან გამაგდებდა და მეორე დღეს მთელ სკოლაში გამომაჭენებდა, სკოლაში დამტუქსავდნენ, დედას გამოიძახებდნენ და უარესი პრობლემები დაიწყებოდა, მაგრამ მის თვალებში თანაგრძნობა შევნიშნე.

— მაშასადამე, რასაც თქვენს ოჯახზე ამბობენ, მართალია?

— კი, — თავი დავუქნიე, მაგრამ არ ვიცოდი, რაზე დავეთანხმე; წარმოდგენა არ მქონდა, რას ამბობდნენ ჩვენს ოჯახზე, მაგრამ ახლა ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო. მთავარი ის გახლდათ, რომ ვერას ფული მოეცა და იქაურობას რაც შეიძლება მალე გავცლოდი.

— ხომ იცი, შენი გაუჩინარების გამო ერთი ამბავი ატყდება. ამისთვის მზად ხარ?

— არავინ მომძებნის, ვერა ოლეგოვნა, დარწმუნებული ვარ, დედას აზრადაც არ მოუვა ჩემი მოძებნა. ფულს კი, მამას ვიპოვი თუ არა, მაშინვე დაგიბრუნებთ, გეფიცები...

ვერა მეორე ოთახში გავიდა, იქიდან დაბრუნებულმა ხელში რამდენიმე ქაღალდის კუპიურა ჩამიკუჭა და თავზე ხელი გადამისვა.

თავი გვერდზე გავწიე. არ მიყვარდა, როცა ვინმეს ვეცოდებოდი და თანაგრძნობას გამოხატავდა.

— გამოგყვები, დაგეხმარები, შესაძლოა, 17 წლის გოგონა მარტო არ აგიშვან თვითმფრინავში. ბილეთის შოვნაშიც დაგეხმარები.

— არ მინდა, — უკან-უკან დავიხიე და მხოლოდ მაშინ შევბრუნდი, როცა ზურგით გასასვლელ კარს მივეყრდენი.

— ნახვამდის, ვერა ოლეგოვნა, ფულს აუცილებლად დაგიბრუნებთ, — მივაძახე სადარბაზოში გამოსულმა და კიბეზე დავეშვი.

გაჩერებამდე სირბილით მივედი. მეგონა, ვერა გადაიფიქრებდა, გამომეკიდებოდა, ფულს წამართმევდა და უკან დამაბრუნებდა. როდესაც თავი სამშვიდობოს ვიგრძენი, ფულს მაშინ დავხედე. 100 მანეთი იყო. არ ვიცოდი, რაში მეყოფოდა ეს თანხა, მაგრამ იმ 20 კაპიკს ნამდვილად სჯობდა, რომელიც ჯიბეში მანამდე მედო.

ტაქსი გავაჩერე და აეროპორტში მივედი. თვალებით ტაბლოზე თბილისის რეისი მოვძებნე. საღამოს 6 საათი იყო, გაფრენამდე 3 საათი მქონდა. სალაროს მივადექი, მაგრამ ბილეთი ვერ ვიყიდე.

გული არ გავიტეხე, ბოლთის ცემას მოვყევი და გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, თვითმფრინავში ამეღწია. რაც მთავარი იყო, მიზანი უკვე დასახული მქონდა და ახლა მის მიღწევაში ხელს ვეღარაფერი შემიშლიდა. თუმცა, წარმოდგენა არ მქონდა, ამას როგორ მოვახერხებდი.

ცოტა ხანში დაბალი, გამხდარი მამაკაცი მომიახლოვდა.

— გოგონა, აქ რას აკეთებ? — გამიღიმა და ჩაწიკწიკებული კბილები გამოაჩინა.

— თბილისში მივფრინავ, მაგრამ ბილეთი ვერ ვიშოვე, — გულახდილად ვუთხარი.

— გინდა, გიშოვო? — აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა.

თავი უსიტყვოდ დავუქნიე.

— 60 მანეთი დაგიჯდება, პასპორტი მომეცი, — ხელი გამომიწოდა.

— პასპორტი არ მაქვს, ჯერ 17 წლის ვარ, — ტუჩი ავიბზუე.

— უფროსი არ გახლავს?

— არა.

— შენ რა, შინიდან ხომ არ გამოიქეცი?

— კი.

— მერე, რაღა საქართველოში გადაგიწყვეტია წასვლა?

— იქ მამა მყავს და მასთან მივდივარ, — ამაყად ვუთხარი.

— გასაგებია, დამელოდე, — მითხრა და ისე უეცრად გაუჩინარდა, თითქოს აორთქლდაო.

ლოდინით დავიღალე და ის იყო, გავიფიქრე, აღარ გამოჩნდება-მეთქი, რომ ჩემ წინ დაერჭო — თითქოს მიწიდან ამოძვრაო. გამიღიმა, თვალი ჩამიკრა და ბილეთი გამომიწოდა.

— ბილეთი გიშოვე, მაგრამ თვითმფრინავში როგორ მოხვდები, ეს უკვე შენს მოხერხებულობაზეა დამოკიდებული.

მამაკაცს 60 მანეთი ჩავუთვალე, მადლობა გადავუხადე და შენობის მეორე ბოლოსკენ გავწიე. თავისუფალი სკამი მოვძებნე, მოხერხებულად დავჯექი და ლოდინი დავიწყე.

„ჯერ კიდევ არ არის გვიან, იქნებ შინ დავბრუნდე? ბოდიშს მოვიხდი და მაპატიებენ“, — გავიფიქრე, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარვყავი, როგორც კი თვალწინ დედაჩემის სასმლისგან დასივებული თვალები, მამინაცვლის ხრინწიანი ხმა, თამბაქოსგან გაყვითლებული კბილები და ყოველდღიური ჩხუბი და აყალმაყალი გამახსენდა.

„არა, ჩემი ადგილი იქ არ არის... თანაც

მამინაცვალი ამ ბოლო დროს უცნაურად მექცევა... დედაჩემს რომ დაათრობს და დააძინებს, ჩემს საძინებელში შემოდის, საწოლზე ჩამომიჯდება და რაღაცნაირად მიყურებს. არა, არა, უკან არავითარ შემთხვევაში აღარ დავბრუნდები“, — მტკიცედ გადავწყვიტე და გონებას ამ საკითხზე ფიქრიც კი ავუკრძალე.

ჩემ გვერდით ძალიან სიმპათიური, ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა და ქართულ გაზეთს კითხულობდა.

— თბილისში მიფრინავთ? — ვცადე, მისი ყურადღება მიმეპყრო.

— დიახ, — თბილად გამიღიმა.

— მეც.

— მარტო? — სათვალის ზემოდან გამომხედა.

— დიახ, მაგრამ იქ მამა დამხვდება. პირველად მივფრინავ და ცოტა მეშინია, — გამოვუტყდი და მის მაჯაზე, პერანგის გატკიცინებული სახელოს ქვეშიდან გამოცურებულ საათს დავაკვირდი.

„ნამდვილად ოქროს საათი უკეთია, რა სიმპათიური და მოხდენილია... ნეტავ, ეს იყოს მამაჩემი“, გავიფიქრე უნებურად.

— ნუ ინერვიულებ, ყველაფერი კარგად იქნება. ერთად გავიაროთ რეგისტრაცია, შემდეგ სტიუარდესას ვთხოვ და თვითმფრინავშიც ჩემ გვერდით დაგსვამს, თბილისში კი მამაშენს ჩაგაბარებ.

— გმადლობ, — მართლა მთელი გულით გადავუხადე მადლობა, რადგან ახლა სწორედ ვიღაცის დახმარება მჭირდებოდა, რომ თვითმფრინავში ამეღწია.

მალე რეგისტრაციაც გამოაცხადეს.

— წამოდი, — ხელით მანიშნა, გამომყევიო, — ბარგი სად გაქვს?

— არ მაქვს, — თავი დავხარე.

— ბილეთი?

— ბილეთი მაქვს, — ქურთუკის ჯიბიდან ბილეთი ამოვაძვრინე და გავუწოდე.

არ გამოურთმევია. დახედა და წინ გამიძღვა.

რეგისტრაციის ადგილზე რიგში მის უკან დავდექი, წარამარა რაღაცას ვეკითხებოდი და იმ ქალს ვუღიმოდი, ვინც ბილეთებს ამოწმებდა. ვცდილობდი, შეენიშნა, რომ იმ სიმპათიურ კაცს ვახლდი. „ახლა თუ არ გამიშვეს, ყველაფერი დამთავრებულია“, ვფიქრობდი და თან ნერვიულობისგან გამშრალ ტუჩებს ვილოკავდი.

ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. სულ მალე თვითმფრინავისკენ მიმავალ ავტობუსში ვიჯექი და აეროდრომზე მდგარ, უზარმაზარ „ბოინგებს“, „ილ“-ებსა და „ტუ“-ებს გაოცებული ვუყურებდი და დანამდვილებით ვიცოდი, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ ერთ-ერთ მათგანში აუცილებლად მოვხვდებოდი.

ჩემი მშველელი მამაკაცი, რომლის სახელიც კი არ ვიცოდი, თვალს არ მაშორებდა. თვითმფრინავში ასვლისას სტიუარდესამ ბილეთი გამომართვა და ჩემი ადგილისკენ მიმითითა. გამიხარდა, ილუმინატორთან რომ აღმოვჩნდი. ცოტა ხანში კი ჩემ გვერდით, თავისუფალ ადგილზე სწორედ ის მამაკაცი მოკალათდა, რომლის დახმარებითაც თვითმფრინავში მოვხვდი.

როდესაც ავფრინდით და მოსკოვს ზემოდან დავხედე, გავოცდი. ასეთი სილამაზე არასოდეს მენახა. თვალს ვერ ვწყვეტდი განათებულ ქალაქს, რომელიც თანდათან პატარავდებოდა და ბოლოს, სულ გაქრა. ყურები დამიგუბდა, რის გამოც უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა, მაგრამ აღარც ნერწყვის ყლაპვა მშველოდა, აღარც ჯიბეში ნაპოვნი კანფეტის წუწნა და თვალები დავხუჭე.

— რა გქვია? — გავიგონე „ოქროსსაათიანი“ მამაკაცის ხმა და თვალები გავახილე.

— მარგარიტა. ახლობლები მარგოს მეძახიან.

— იშვიათი სახელია. მე დათო ვარ.

— სახელი ბებიას პატივსაცემად დამარქვეს, მე არ მომწონს.

— სიმართლე მითხარი, შინიდან გამოიპარე? — სასაუბრო თემა შეცვალა.

— კი, — თავი დავაქნიე.

— ვის გემოექეცი?

— დედას და მამინაცვალს.

— გასაგებია...

— რა არის გასაგები?

— გასაგებია, რომ დედას და მამინაცვალს გამოექეცი და თბილისში, მამასთან მიდიხარ. ბევრ ქართველ კაცს ჰყავს შვილი რუსეთში. შენი დაბადების ამბავი როგორია?

— მამაჩემს მოსკოვთან ახლოს, ჯარში უმსახურია და სადღაც დედაჩემი გაუცნია. ვიდრე მამა ჯარში იყო, ერთმანეთს ხვდებოდნენ, შემდეგ მამა ისე წასულა საქართველოში, რომ არ სცოდნია, დედა ფეხმძიმედ რომ იყო. როცა გავჩნდი, დედას მხოლოდ ამის შემდეგ მიუწერია, გოგონა შემეძინა და დედაშენის პატივსაცემად მარგარიტა დავარქვიო. ბებიაჩემს მარგალიტა ერქვა თურმე, ჩემს სახელში კი ერთი ასო შეცვალეს. მამაჩემი შეჰპირებია, რომ აუცილებლად ჩააკითხავდა და საქართველოში წაიყვანდა, მაგრამ მაშინვე ვერ მოუხერხებია და 3 თვის ვყოფილვარ, როცა ჩემს მოსახელე ბებიასთან ერთად მოსკოვში ჩამოსულა. მართლაც, გადაწყვეტილი ჰქონიათ, დედაჩემიც და მეც თან წავეყვანეთ. სიურპრიზის მოწყობა სურდათ თურმე და დედა წინასწარ არ გაუფრთხილებიათ. ჰოდა, მაშინ დასდგომიან თავზე, როცა შინ საყვარელი ჰყავდა. მამამ ღალატი არ აპატია და მისი ცოლად მოყვანა გადაიფიქრა, მე კი საქართველოში წამომიყვანა. დედასთვის რომ შეუთავაზებია, ბავშვი გამატანეო, უყოყმანოდ დასთანხმებია, — ბავშვის გამო მუშაობას ვერ ვახერხებ, მომჭირნედ ვცხოვრობ, მშობლები რომ არ მეხმარებოდნენ, შიმშილისგან სული ამოგვძვრებოდა და ამიტომ, მირჩევნია, ბავშვი თქვენთან გაიზარდოსო. 5 წლამდე საქართველოში ვცხოვრობდი. შემდეგ კი დედაჩემი ჩამოსულა და ჩემი თავი დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ გამოატანეს. მამა უფრო იმიტომ შეგელია, რომ დედინაცვალი ვერ გიტანდა და გჩაგრავდაო, დედამ მითხრა. ამის შემდეგ მამას ორჯერ ვუნახავვარ...

— შინიდან რატომ გამოიქეცი?

— 13 წლის ვიყავი, როცა დედაჩემი გათხოვდა. მასთან ურთიერთობას ვერც მანამდე ვაწყობდი, ამის შემდეგ კი ერთმანეთს სულ დავშორდით. ვერც მას და ვერც მამინაცვალს ვერ ვუგებდი. გამუდმებით მეჩხუბებოდნენ. დედამ სმა დაიწყო — მამინაცვალმა მიაჩვია. საღამოობით ჩვენს სახლში საშინელი სიტუაცია იყო. სტუმრების თავშეყრა, ხმაური, ღრეობა, მთვრალები ცეკვავდნენ, ერთმანეთს გულისამრევად „ლოშნიდნენ“, მეც არ მერიდებოდნენ. მე კი მეცადინეობის საშუალებაც არ მქონდა. ყურებს ბამბით ვიცობდი, რომ მათი ხმაური არ გამეგონა, მაგრამ წაკითხული თავში არ შემდიოდა. რამდენჯერმე ისტერიკა დამემართა, სტუმრებს ოთახში შევუვარდი, მუსიკა გამოვრთე და გარეთ გავყარე, რის გამოც დედამ მცემა. შემდეგ სკოლაში ველარ დავდიოდი, სანამ დალურჯებული ადგილები არ მომიშუშდებოდა. რაღა თქმა უნდა, უკვე ორიანების მიღებას მოვუმატე. დედა სკოლაში დაიბარეს და როდესაც გაიგო, რომ აქამდე საუკეთესო მოსწავლეს დამაადლებულ სამიანებს ძლივს მიწერდნენ, ძალიან გაბრაზდა და ისევ მცემა. მოკლედ, უამრავი მიზეზი მქონდა საიმისოდ, რომ შინიდან წამოვსულიყავი. თანაც, ამ ბოლო დროს მამინაცვალმა ჩემს საძინებელში შემოსვლას მოუხშირა და რაღაცნაირი თვალებით მიყურებდა ხოლმე. მისი მეშინოდა; როცა სახლში იყო, ვცდილობდი, ოთახიდან არ გამოვსულიყავი და თვალში არ შევჩხერეროდი. დედას ვუთხარი, არ მომწონს მისი საქციელი-მეთქი და ისევ მე მომხვდა, პატარა ბოზო, ჩემთვის კაცის წართმევა გინდაო, მიყვიროდა და დამაგრძელებლის ორად გაკეცილ „შნურს“ ზურგზე, მათრახივით გადამაწნავდა ხოლმე, — შევჩერდი, ცოტა ამოვისუნთქე, თითქოს დავიცალე. ამ თემაზე არასოდეს მილაპარაკია სხვასთან — საუკეთესო დაქალთანაც კი. ახლა კი ამ უცხო მამაკაცთან მოვაღე პირი და ყველაფერი დავფქვი. იქნებ, თანაგრძნობა მსურდა?

დათომ დაკვირვებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა. ვიგრძენი, რომ პირველად შემომხედა, როგორც ქალს.

— ლამაზი ხარ, — მითხრა და გამიცინა.

კომპლიმენტი უპასუხოდ დავტოვე და ილუმინატორში გავიხედე. უკუნი სიბნელე იყო გარეთ. ამის შემდეგ ხმა არც ერთს არ ამოგვიღია.

ცოტა ხანში თვითმფრინავში ამინდის პროგნოზი და ჰაერის ტემპერატურა გამოაცხადეს. თბილისში წვიმდა. ღვედი შევიხსენი და გასასვლელთან ჩემს რიგს დაველოდე.

— გილოცავ საქართველოში დაბრუნებას, — ჩემს თავს ვუთხარი და ტრაპზე დავეშვი, — მაწანწალათა რიგი ერთით გაიზარდა, — სახეზე სიმწრის ღიმილი მეფინა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

*ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge*

**დასაწყისი იხ. „გზა“ №24-47**

*რუსუდან ბერიძე*

გოგონას თვალები სიხარულით ანთებოდა და სახე სასიამოვნოდ ავარდისფრებოდა, გაშლილ თმაში კი მარგალიტებივით მბზინავი წყლის წვეთები გაჰბნეოდა.

— იცი, გარეთ რა დილაა?!. — შესძახა მან. — პირდაპირ ფანტასტიკური!.. მაგრამ შენ რა მოგსვლია? — უცბადვე ჩაქრა იგი, როცა მის საწოლზე მჯდარი აკანკალებული ლაშა დაინახა.

ნათიას დანახვაზე ლაფაურიც შეცბა, რადგან მის გამოჩენას ნამდვილად აღარ ელოდა.

— რა მოხდა? — გაუმეორა მას კითხვა გოგონამ.

— რა არის ეს? — კითხვაზე კითხვით უპასუხა მას ლაშამ და პასპორტები გაუწოდა.

— ეს... მე... ახლავე ყველაფერს აგიხსნი, — სათქმელს ძლივს მოუყარა თავი ნათიამ.

— ტყუილად გაირჯები. უკვე ისედაც ვხვდები, სინამდვილეში ვინც ხარ და რა მიზანიც გამოძრავებს.

— მიზანი?.. — კიდევ უფრო დაიბნა ნათია. — რა მიზანი?.. თუ მომისმენ...

— არ არის-მეთქი, საჭირო! — გააწყვეტინა მას ლაფაურმა. — მორიგი ზღაპრის მოსმენას ნამდვილად აღარ ვაპირებ!

— იქნებ, მაინც მომცე ახსნის საშუალება.

— ჯანდაბას ყველა ახსნა-განმარტება! — ხმა აუწია ლაშამ. — ჯობს, ის აღიარო, საჯაშუშოდ ვინ მოგაგზავნა?

— საჯაშუშოდ? — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა ნათიას.

— დიახ, საჯაშუშოდ. რა გაკვირვებული მიყურებ? ისე, ყოჩაღ, ამ საქმეს მართლაც მშვენივრად გაართვი თავი და ახლა არეშიძე ალბათ, უკვე შენი თანამზრახველების თუ შეფების ხელშია, ხომ?

ლაშას სიტყვებით საბოლოოდ გაოგნებული ნათია იქვე მდგარ სკამზე მოცელილივით დაეშვა.

— მარტო იმის გაგება მიჭირს, რატომ დახოცეთ ყველა ის უდანაშაულო ადამიანი, ვისთან შეხვედრა და ლაპარაკიც მე მომიხდა, — ხმას სულ უფრო მეტად უწევდა ლაფაური, — უბრალოდ მოწმეებს იცილებდით თუ ამის უკან რაღაც სხვა ვერაგობა იყო?

— ახლავე გაჩუმდი, გესმის, გაჩუმდი! — იკივლა ნათიამ და ყურებზე ხელები მთელი ძალით მიიჭირა.

— რამდენი გადაგიხადეს?.. კონკრეტულად ჩემი გაბრიყვებისთვის რამდენი მოგცეს? — მაინც ტყვიამფრქვევივით აყრიდა მას კითხვებს ლაშა. — ან ახლა რისთვის მობრუნდი, ჩემს მოსაკლავად ხომ არა? რა თქმა უნდა, ასე იქნება! შენ ხომ უკვე ნამდვილი პროფესიონალი გგონია თავი და ამიტომ საქმეც უთუოდ ბოლომდე უნდა მიიყვანო!

ლაფაური მდგომარეობიდან საბოლოოდ იყო გამოსული: ის ხომ კიდევ ერთხელ და, თან, ისე ოსტატურად დაიხვიეს ხელზე, რომ საერთოდ ვერაფერს მიხვდა. ამასობაში ნათიამ ერთი ამოისლუკუნა, შემდეგ კი ცრემლები ნიაღვარივით წასკდა, ოთახიდან უკანმოუხედავად გავარდა და კარი გამეტებით გაიჯახუნა. კარის ხმამ ლაშა უცბად გამოაფხიზლა. „მაინც სად გაიქცა? — გაუელვა მას თავში. — მორიგ ვერაგობას ხომ არ მიწყობს? ან იქნებ, მართლა შეაწუხა სინდისმა? ასეა თუ ისე, სასწრაფოდ უნდა დავეწიო და გავიგო, რის ახსნას ცდილობდა. იქნებ, ამ გზით არეშიძის გადარჩენა კიდევ შევძლო“.

ლაშა სწრაფად წამოდგა და დარბაზში გავიდა, მაგრამ ნათია იქ არ დახვდა. შემდეგ სხვა ოთახებიც მოიარა და როცა გოგონა ვერც იქ აღმოაჩინა, გარეთ გავარდა. იქ ტბის პირას, ყველაზე ციცაბო ადგილზე, მისგან ზურგით მდგარი ნათია დაინახა. გოგონა წყალს ჩაშტერებოდა და ისე გადახრილიყო, თითქოს წუთი-წუთზე გადახტომას აპირებსო. ლაფაურს გულმა რეჩხი უყო.

— ნათია!.. ანა!.. — მაშინვე გოგონასკენ გაქანდა იგი. — უკვე ისიც კი აღარ ვიცი, სინამდვილეში რა გქვია, მოიცა!

გოგონა ნელ-ნელა შემობრუნდა, ლაფაურს ცრემლითა და ტკივილით სავსე თვალები შეანათა და მკაცრად გამოცრა:

— არ მომიახლოვდე!

— ნუ სულელობ!

— კიდევ ერთ ნაბიჯს გადმოდგამ და იცოდე, გადავხტები!

ლაფაური ადგილზე გაშეშდა. ის უკვე ველარაფერს მიმხვდარიყო. თუ ეს გოგონა მართლა მოგზავნილი იყო და ვიღაცის დავალებას ასრულებდა, მაშინ თავის მოკვლა რაში უნდა დასჭირვებოდა?

— მგონი, მართლა უნდა დავილაპარაკოთ.

— დავილაპარაკოთ? — სევდიანად ჩაეღიმა გოგონას. — განა უკვე ყველაფერი არ მითხარი, რასაც ფიქრობდი? თან ისე, რომ ჩემი მოსმენა საერთოდ არ ისურვე. თუმცა მე ხომ მეძავი ვარ. ჰოდა, აბა, რაზე უნდა ელაპარაკო ქუჩის გოგოს? მახსოვს, ერთხელ მითხარი, მეგობრებს როგორ აწყენინე, საერთოდ როგორ დაგავიწყდა მათი არსებობა. მაგრამ მათ ზურგი არ გაქციეს და დღემდე ძველებურად სჯერათ შენი. თუმცა ეტყობა, თავად მაინც ვერაფერს მიხვდი და ისევ ადვილად შეგიძლია იმათი წყენინება და გულის ტკენა, ვისთვისაც ძვირფასი ხარ.

ლაფაური ნათიას ღაღადს გაოგნებული უსმენდა და ნელ-ნელა ხვდებოდა, რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანი გაამწარა, ისე გამოუტანა განაჩენი, რომ წესიერად არც კი მოუსმინა. და ამიტომაც კიდევ ერთხელ იგრძნო თავი იდიოტად. თუმცა ახლა ამაზე ფიქრის დრო აღარ იყო, რადგან ცოტაც და ნათია წყალში აღმოჩნდებოდა.

— კარგი, — კიდევ ერთი ნაბიჯი წადგა წინ ლაშამ, — მოდი, ორივე დავმშვიდდეთ და დავილაპარაკოთ.

ნათიამ პასუხად ინსტინქტურად უკან დაიხია და ის იყო კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, რომ უცბად შეტორტმანდა და წყალში სასოწარკვეთილი კივილით გადაეშვა...

ტყის პირას, ნაძვების ტევრში მდგარი უცნობი ირგვლივ ყველაფერს გულმოდგინედ აკვირდებოდა. შემდეგ მხრიდან იარაღი მოიხსნა და ახლა მისი ოპტიკური სამიზნით გააგრძელა თვალიერება. მის წინაშე მაშინვე საკმაოდ მოზრდილი ტბა გადაიშალა, რომელიც ზედმიწევნით ახლოსაც მოეჩვენა. თუმცა მაინც კარგად ესმოდა, რომ ეს მხოლოდ ოპტიკური ეფექტი იყო და ტბამდე საკმაო მანძილი აშორებდა. უცბად ტბის სიახლოვეს ჯერ ვიღაცის სილუეტი გაკრთა, შემდეგ კი სრულიად მკაფიოდ გამოჩნდა მისგან ზურგით მდგარი მამაკაცი. მამაკაცის დანახვაზე უცნობი სამიზნეს დაძაბული ჩააშტერდა. ამასობაში

მამაკაცი შემობრუნდა, ზურგზე უცნაურად მბზინავი ზურგჩანთა მოიგდო და სწრაფი ნაბიჯით პირდაპირ მისკენ წამოვიდა. უცნობი უკვე მის სახესაც მკაფიოდ ხედავდა. მამაკაცი ზუსტად მის მხარეს იხედებოდა.

— ერთი ამას დამიხედეთ! — აღფრთოვანებული შეძახილი აღმოხდა უცბად უცნობს. — ეს ხომ ჩვენი მრავალტანჯული ჟურნალისტია! სწორედ ამაზეა ნათქვამი, ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო. თუმცა მე ხელში ბევრად უფრო საჭირო ნივთი მიჭირავს.

ამ სიტყვების შემდეგ უცნობმა იარაღი მამაკაცს დაუმიზნა და სასხლეტს საჩვენებელი თითი ისე ნაზად დაადო, თითქოს ეფერებაო. „ძალიან კი ჩქარობს, — გაიფიქრა მან და მისკენ სულ უფრო და უფრო სწრაფი ნაბიჯით მომავალ მამაკაცს კიდევ ერთხელ დააკვირდა, — კი, ის არის. თან, რა მონდომებული მიახლოვდება. ეტყობა, ძალიან ეჩქარება სიკვდილი.“ მამაკაცმა მისკენ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა, შემდეგ შედგა და ზურგჩანთის ღვედები მოქაჩა. უცნობმა ამით ისარგებლა და მამაკაცი მიზანში ამოიღო, მაგრამ იმან, რაც ამის შემდეგ მოხდა, სასხლეტზე ხელი კარგა ხნით გაუშეშა: მამაკაცმა ერთ-ერთ ღვედს საგანგებოდ მონიშნულ ადგილზე ხელი დააჭირა, რის შემდეგაც მიწას მოსწყდა, მაღლა აიწია და ჰაერში ლივლივი ისე დაიწყო, როგორც ეს მედიტაციის დროს ხდება ხოლმე.

— შეუძლებელია... — ოპტიკურ სამიზნეს თვალით კინაღამ შეეზარდა უცნობი, მაგრამ უცნაური სურათი ამით ოდნავადაც კი არ შეცვლილა.

გაოგნებული უცნობი სამიზნეს კიდევ კარგა ხანს ჩაშტერებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც შეძლო თავის ხელში აყვანა და ჰაერში მოლივლივე მამაკაცს იარაღი პირდაპირ მკერდში დაუმიზნა. „სახეში რომ ვესროლო, — ფიქრობდა, — ტყვია სახეს დაუმახინჯებს და მაშინ ზუსტად ვერასდროს დავადგენ, სწორედ ის მოვკალი, ვინც უნდა მომეკლა თუ ვინმე სხვა. ამიტომაც გულში უნდა ვესროლო“. უცნობმა სამიზნეს კიდევ ერთხელ ჩახედა, შემდეგ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და სასხლეტს ხელი გამოჰკრა. მამაკაცმა ჰაერში ხელები ერთი მოუხერხებლად აიქნია და ძირს მოწყვეტით დაეცა...

უცნობი მიწაზე პირქვე დამხობილ მამაკაცს მიუახლოვდა და ნელ-ნელა გადმოაბრუნა. ის ჯერ კიდევ სუნთქავდა და მომაკვდავი რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ ვეღარ ახერხებდა. მისი ტანჯვის შემხედვარე უცნობმა შუბლი უკმაყოფილოდ შეიკრა, თუმცა ამის მიზეზი ადამიანის ბოლო წუთების ყურება როდი იყო. „ეს როგორ დამემართა? — წუხდა იგი. — პირდაპირ გულში როგორ ვერ მოვახვედრე. ეტყობა, მართლა ვბერდები... თუმცა არა უშავს, ტყვიამ ცოტა გვერდზე კი გაიარა, მაგრამ, საბედნიეროდ, მაინც სასიკვდილო აღმოჩნდა“. — მან თავი დაიმშვიდა და მომაკვდავს გულის ჯიბე მოუსინჯა. ჯიბეში პასპორტი აღმოჩნდა, რომლის გადაშლის შემდეგ უცნობს სახე გაებადრა, რადგან საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის წინ, მიწაზე სწორედ ჟურნალისტი — ლაშა ლაფაური ითვლიდა სიცოცხლის ბოლო წუთებს. უცნობმა ჟურნალისტის პასპორტი ჯიბეში ჩაიდო და კმაყოფილმა ხელებიც კი მოიფშვნიტა. „ესეც ასე, — გაიფიქრა მან. — როგორც იქნა, ორივეს გვეშველა, თორემ გავწყდი წელში ამის დევნით“.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, უცნობმა საკონტროლო გასროლის გაკეთება მაინც გადაიფიქრა, რადგან თვალნათლივ ხედავდა, ჟურნალისტი უამისოდაც მალე მოკვდებოდა. „რამდენიმე დღეში კი მის გვამს მხეცებიც დაგლეჯენ და მისგან ტანსაცმლის, ნაფლეთებისა და ძვლების გარდა აღარაფერი დარჩება ანუ ჩემი მოქმედების კვალი წაიშლება. რეალური კვალის გაქრობა კი ჩემს საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანია“, — საბოლოოდ დაასკვნა მან და ტბისკენ არხეინი სტვენით გასწია...

ნათია წყალში სწრაფად გაუჩინარდა. ამის შემხედვარე ლაშას ბევრი აღარ უფიქრია, ქურთუკი სწრაფად გაიძრო და გოგონას უკან მიჰყვა. ტბის წყალი ყინულივით ცივი აღმოჩნდა, თუმცა ლაფაურს ეს ახლა ყველაზე ნაკლებად აფიქრებდა. მისთვის მთავარი ნათიას გადარჩენა იყო და როგორც კი წყალქვეშ თვალი გაახილა და დაინახა, გოგონას უღონო სხეული ფსკერზე ნელ-ნელა როგორ ეშვებოდა, მაშინვე თმაში ჩააფრინდა და წყლის ზედაპირზე მასთან ერთად სცადა ამოსვლა. მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. ყინულივით ცივმა წყალმა თავისი საქმე გააკეთა და ლაშა ძლივს ახერხებდა ლოდებად ქცეული კიდურების ამოძრავებას. ბოლოს წყლიდან ამოყვინთვა მაინც მოახერხა და ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა, თუმცა ნაპირამდე კიდევ რამდენიმე მეტრი რჩებოდა. სხვა დროს ლაფაური ამ მანძილს ალბათ, თვალის დახამხამებაში დაფარავდა, მაგრამ ახლა, უცნაურად დამძიმებული ნათიას უღონო სხეული ისევ ფსკერისკენ ექაჩებოდა. ლაშა გრძნობდა, რომ საშინლად დაიღალა და სულის მოთქმა ჰაერივით სჭირდებოდა. სულის მოთქმა კი არა, ბოლომდეც სიამოვნებით მოეშვებოდა და მხოლოდ ტბის შავ ტალღებს მიენდობოდა, მაგრამ მისი ტვინის რომელიღაც კუნჭულში ჯერ კიდევ ცოცხლობდა ერთადერთი საღი აზრიც: „არ უნდა დავნებდე. დაღლა აუცილებლად უნდა დავძლიო. ახლა წამით მოდუნებაც კი სიკვდილის ტოლფასია“. ლაფაურმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და ცოტა ხანში ფეხქვეშ ტბის ქვიანი ნაპირიც იგრძნო.

ლაშა მოგვიანებით ვერაფრით იხსენებდა, თუ როგორ აღმოჩნდა გამოქვაბულში ან ელექტრობუხარი როგორ ჩართო. იმ მძიმე წუთებში მისი ერთადერთი საფიქრალ-საზრუნავი მხოლოდ ნათიასთვის სიცოცხლის შენარჩუნება იყო.

— ისუნთქე, ისუნთქე-მეთქი! — გაოფებული ანჯღრევდა ის გოგონას და, თან, ხელოვნურ სუნთქვას თითქმის შეუჩერებლად უტარებდა.

ნათია კარგა ხანს გაუნძრევლად იწვა და სიცოცხლის არანაირი ნიშანწყალი არ ეტყობოდა. და ის იყო, ლაფაურმა იმედი დაკარგა, რომ გოგონა უცბად ჯერ დაიკრუნჩხა, შემდეგ წამოახველა და პირიდან ლამის წყლის მთელი შადრევანი ამოუშვა.

— მადლობა ღმერთს, გადარჩა! — იატაკზე მოცელილივით გაიშოტა ლაშა და მხოლოდ ახლა იგრძნო, როგორ მომაკვდინებლად იყო დაღლილი და ძალაგამოცლილი.

ნახევარი საათის შემდეგ ნათია უკვე თბილ ლოგინში იწვა. და სანამ მისი სველი ტანსაცმელი ბუხართან შრებოდა, ლაფაურმა არეშიძის გარდერობი გადა-



ქექა და ორივესთვის რაღაც ჩასაცმელი შეარჩია.

ლოგინში ჩაწვენამდე ლაშამ თავად გახადა გოგონას სველი ტანსაცმელი, შემდეგ სამზარეულოს კარადაში ნაპოვნი არყით გულმოდგინედ დაზილა და რამდენიმე ყლუპი არყის მოსმა თავად

მასაც აიძულა. რაოდენ უცნაურიც უნდა ყოფილიყო, ნათია ლაშას ყველა ბრძანებას უსიტყვოდ დაემორჩილა და როცა ლაფაური ყველაფერს მორჩა და საწოლის კიდეზე ფრთხილად ჩამოუჯდა, გოგონამ მისუსტებული ხმით ჰკითხა:

— ალბათ, ძალიან გინდა, ჩემ შესახებ ყველაფერი შეიტყო, ხომ?..

— მერე იყოს. ჯერ ძალიან სუსტად ხარ და ჯობს, დაისვენო. დაიძინე და ძალები მოიკრიბე.

— მე ანა მქვია, — ლაშას ნათქვამი თითქოს საერთოდ არ გაუგონიაო, ისე განაგრძნო გოგონამ.

— ძალიან კარგი, ანა, ახლა კი დაისვენე, — საწოლიდან წამოდგა ლაფაური და ოთახიდან გასვლა დააპირა.

— მოიცა, — შეაჩერა ის ანამ, — არ წახვიდე.

— კიდევ თუ რამე გინდა, მითხარი, არ მოგერიდოს.

— მცივა, გამათბე.

ლაშამ გოგონას გაოცებულმა დახედა:

— კარგი. ახლავე მოვიტან პლედს და...

— პლედი არ მინდა. ჩემთან დაწექი და შენ თვითონ გამათბე.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ლაფაური გოგონას გვერდით მაინც მიუწვა, — ხელი მომხვიე... უფრო მაგრად... ასე უფრო თბილად ვიქნები...

ლაშა გრძნობდა, ანას მთელი სხეული ციებიანივით როგორ უთრთოდა, თუმცა იმას კი ვერ მიმხვდარიყო, ეს ჯერ კიდევ გამოყოლილი სიცივის ბრალი იყო თუ მისი სიახლოვის შედეგი.

— მაკოცე, — შემდეგ გოგონამ ყურში ძლივს გასაგონად ჩასჩურჩულა მას.

— მაგრამ მე... — ახლა კი საბოლოოდ დაიბნა ლაფაური.

— გემუდარები... — ანას გრძელ ხშირ წამწამებზე პაწია ცრემლები დაეკიდა.

უცბად ლაფაურმა მის ტუჩებზე დაკონების, მის ხშირ თმაში ჩაკარგვისა და ამქვეყნად სხვა ყველაფრის დავიწყების დაუოკებელი სურვილი იგრძნო. ამის გაკეთება აქამდეც არაერთხელ მონდომებია, მაგრამ ამ სურვილს ყოველთვის ჯიუტად იშორებდა თავიდან, რადგან მიაჩნდა, რომ ამის გაკეთების უფლება არ ჰქონდა. თუმცა რომ გეკითხათ, ვინ აგიკრძალა ან რატომ არ გაქვს ამის უფლებაო, გარკვევით ვერაფერს გიპასუხებდათ.

და აი, ახლა თითქოს რაღაც ბარიერი დაიმსხვრა და ყველა სურვილი და ემოცია, გარეთ გადმოიღვარა. ლაშა მიხვდა, რომ ეს გოგონა დანახვის პირველი წუთებიდანვე მხურვალედ სურდა, მაგრამ ამაში თვით საკუთარ თავსაც კი მხოლოდ ახლა გამოუტყდა.

— მაკოცე, — კიდევ ერთხელ ჩასჩურჩულა ანამ.

ლაშამ გოგონას ტუჩები მოძებნა და ხარბად დაეწაფა. ანამაც ასევე უპასუხა და მალე მათი სხეულებიც ერთმანეთს შეერწყა. ამის შემდეგ მათ გარშემო თითქოს ყველაფერი გაქრა და ერთმანეთის პირისპირ სრულიად მარტოდ დარჩენილები ვნების მორევში უკანმოუხედავად გადაეშვნენ.

— მიყვარხარ... — ჩურჩულებდა ერთი.

— მეც მიყვარხარ... — პასუხობდა მეორე...

ვნების ჩაცხრომის შემდეგაც ლაშას ანა გულში გამეტებით ჰყავდა ჩაკრული, თან ჭერს მიშტერებოდა და მწარედ ეღიმებოდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ოცდათორმეტი წლის იყო და თითქოს საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილებაც ჰქონდა დაგროვილი საიმისოდ, რომ ადამიანებში ასე თუ ისე გარკვეულიყო, მაინც ზედმეტად გულუბრყვილო აღმოჩნდა და ახლა საკუთარი გადამეტებული თავდაჯერებულობის გამო ცოტა კიდევ რცხვენოდა. ლაფაურმა უკვე იცოდა, რომ ანა მეძავი ვერაფრით იქნებოდა, რადგან ის ქალწული აღმოჩნდა.

— მაინც რატომ დამიმალე ეს ყველაფერი? აქამდე რატომ არაფერი მომიყევი შენ შესახებ? — ვინ იცის, უკვე მერამდენედ ეკითხებოდა ის ანას.

— მომისმინე და ყველაფერს მოგიყვები.

— ყურადღებით გისმენ.

— ცოტა შორიდან უნდა დავიწყო.

— მე არსად მეჩქარება, — ლოგინში მოხერხებულად მოეწყო ლაშა.

— დედაჩემი უკვე სამი თვის ფეხმძიმე იყო, როცა მამაჩემმა ცოლად შეირთო.

— კაცური საქციელია.

— ნაადრევ დასკვნებს ნუ გამოიტან.

— კარგი, გააგრძელე.

— ძნელი სათქმელია, რამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი ისეთ გამობრძმედილ ბერბიჭას, როგორიც მამაჩემი იყო. შეიძლება, დედაჩემის ბუნებრივმა სილამაზემ და გულუბრყვილობამდე დასულმა უშუალობამ, შეიძლება, სულ სხვა რამემ, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: მე ამ ქვეყანას მის კანონიერ შვილად მოვევლინე. ჩვენი ოჯახი თბილისის ცენტრში, ერთ პატარა ბინაში დასახლდა და მალე მეც გავჩნდი.

— მშვენიერი დასაწყისია, — ენას მაინც ვერაფრით აჩერებდა ლაშა.

— დედაჩემსაც ასე ეგონა, — ამოიოხრა ანამ, — მაგრამ ძალიან შეცდა. მამა თანამდებობის პირი იყო და, როგორც დედას არწმუნებდა, ამის გამო გამუდმებით მივლინებებში უწევდა სიარული და ამიტომაც ოჯახში ძალიან იშვიათად ჩნდებოდა. მე მისი იშვიათი სტუმრობები მხოლოდ იმიტომ დამამახსოვრდა, რომ მათთვის დედა ყოველთვის საგანგებოდ ემზადებოდა: სახლს საგულდაგულოდ ალაგებდა, თავსაც ასეთივე გულმოდგინებით იწესრიგებდა და მეც თოჯინასავით გამომაწყობდა ხოლმე. თუმცა დღემდე ვერ ვხვდები, ამას რატომ აკეთებდა, რადგან მამა შინ ყოველთვის მთვრალი ბრუნდებოდა, არც დედაჩემს და არც, მით უმეტეს, მე წესიერად არც კი შემოგვხედავდა, ივახშმებდა და მაშინვე დასაძინებლად წვებოდა. გათენდებოდა თუ არა, ისევ მივლინებაში მიდიოდა.

ასეთ მუდმივ ლოდინში გადიოდა თვეები და წლები. მეც ნელ-ნელა ვიზრდებოდი და მამის ყოველი ჩამოსვლის წინ მხოლოდ იმაზე ვოცნებობდი, რომ ერთხელაც ის შინ ფხიზელი დაბრუნებულიყო, მუხლებზე დავესვი და დედისთვის ეთქვა: ნატა, აბა, ერთი შემოიტანე საჩუქრები, ჩემს საყვარელ გოგონას რომ ჩამოვუტანეო. და დედაც ძლივს შემოათრევდა ოთახში ვარდისფერი ლენტით ლამაზად შეკრულ მუყაოს უზარმაზარ ყუთს, რომელიც ნაირ-ნაირი თოჯინითა და შოკოლადით იქნებოდა სავსე.

— და ერთხელაც შენი ოცნება ახდა, ხომ?

— მსგავსიც არაფერი მომხდარა. მეტსაც გეტყვი: რაც უფრო ვიზრდებოდი, მამა მით მეტად ვეღარ მიტანდა. არ მახსოვს, ოდესმე ხელში ავეყვანე და უბრალოდ მომფერებოდა. ხოლო როცა თავად ვცდილობდი მასთან მიახლოებას, იქაურობას ყვირილით იკლებდა: სად ხარ, ქალო? ახლავე მომაცილე ეს სულელი გოგო, თორემ ტანსაცმელს დამიდორბლავსო.

— ნამდვილი გიჟი ყოფილა, თორემ საკუთარი შვილის და განსაკუთრებით ასეთი ანგელოზის — ანას, თავზე ხელი მზრუნველად გადაუსვა ლაშამ, — შეძულება, ვინ გაიგონა?

— გარკვეული დროის შემდეგ მეც ასევე ვუპასუხე. მამასაც კი აღარ ვეძახდი და თავს იმაშიც ჯიუტად ვირწმუნებდი, რომ ეს მამაჩემი კი არა, ვიღაც სრულიად უცხო ადამიანი იყო, რომელიც ჩვენთან ღამის გასათევად შემოივლიდა ხოლმე. ამის შემდეგ ყოველთვის, როცა მამის მორიგი ჩამოსვლისთვის სამზადისში გართული დედაჩემი ჩემი ოთახის დალაგებას მთხოვდა, მე პირიქით ვიქცეოდი და ყველაფერს თავდაყირა ვაყენებდი. ჩემი საქციელით თავგზარდაცემული დედა კი ქადაგად დავარდნილივით იმეორებდა: „ანა, დედიკო, ყველაფერი სუფთად უნდა იყოს, თორემ მამაშენი ჩამოვა და... ანა, საშინლად გამოიყურები. წადი ახლავე და თმა დაივარცხნე, თორემ მამაშენი ჩამოვა და... შვილო, ახლავე გამოიცვალე ეს ჭუჭყიანი კაბა, თორემ ჩამოვა მამაშენი და“...

გამოთქმა „მამაშენი ჩამოვა“ უკვე აღარაფერს მეუბნებოდა და მხოლოდ კიდევ უფრო თუ მაღიზიანებდა. მამაჩემად წოდებული მამაკაცი კი სახლში ისევ ისე მთვრალი ბრუნდებოდა და ისიც ძველებურად ფეხზე ეკიდა, როგორი კაბა მეცვა ან მქონდა თუ არა თმა დავარცხნილი.

რაც დრო გადიოდა, მამის მივლინებები სულ უფრო ხანგრძლივი ხდებოდა და ასეთივე პროპორციით მოკლდებოდა ოჯახში მისი ვიზიტიებიც. დედა არ მუშაობდა და მხოლოდ მამაჩემის მიერ სამადლოდ მოგდებული გროშებით ვცხოვრობდით. მაგრამ ყოველ მორიგ ჩამოსვლაზე მამა სულ უფრო ნაკლებ ფულს გვიტოვებდა და იმაზეც გაუთავებლად წუწუნებდა, დამაქვეითეს და მალე ამასაც

ველარ დაგიტოვებთო. ერთ დღეს კი ნამდვილი სიურპრიზიც მოგვიწყო.

— რა სიურპრიზი?

— რა და ჩემს მეთექვსმეტე დაბადების დღეზე შინ გაუფრთხილებლად და სრულიად ფხიზელი გამოგვეცხადა.

— რა გინდა! გამოსწორებულა კაცი...

— ხომ გითხარი, დასკვნების გამოტანას ნუ ჩქარობ-მეთქი.

— კარგი, გააგრძელე.

— მამაჩემის დანახვაზე დედას გული გადაუქანდა, რადგან არ ელოდა და სახლიც ჯერ არ ჰქონდა დალაგებული. ამიტომ ქმრის წინაშე დანაშაულზე წასწრებულივით დაიწყო თავის მართლება და მაშინვე სახლის მილაგებას შეუდგა. მამაჩემს კი მისთვის არც კი შეუხედავს, შუა ოთახში ტალახიანი ფეხსაცმლით შეაბოტა და თქვენგან საერთოდ მივდივარო, ლამის საზეიმოდ გამოგვიცხადა. გაოგნებულ დედას სახეზე დამნაშავე ღიმილი შეეყინა, მამაჩემმა კი კარი გაიჯახუნა და მას შემდეგ ერთხელაც აღარ შეგვხმიანებია.

— მდაა, სიურპრიზიც ამას ჰქვია...

— ცოტა ხანში დედა დარდისგან ისე განახევრდა, რომ სახლშიც კი ძლივს დალასლასებდა. საქმის კეთებას მაინც არ იშლიდა, მაგრამ ყველაფერი ხელიდან უცვიოდა. მეათე კლასში რომ გადავედი, ლოგინად ჩავარდა. ასე დავრჩი ცხოვრების პირისპირ სრულიად მარტო, უფულო და აბსოლუტურად გამოუცდელი.

— მერე ახლობლები?.. ნათესავები?..

— დედაჩემი დედისერთა იყო და მშობლები კარგა ხნის გარდაცვლილი ჰყავდა, სხვა ნათესავები ჩვენს სახლში საერთოდაც არასდროს მინახავს, რადგან მამაჩემი, როგორც თავად უყვარდა თქმა, სახლში ზედმეტ ხალხს ვერ იტანდა. მეზობლებს კი თავადაც არანაკლებ უჭირდათ, მაგრამ თავიდან მაინც წაგვაშველეს ხელი.

— ღმერთი უშველით.

— მართლაც ღვთისნიერი ადამიანები არიან. ისინი რომ არა, ალბათ საერთოდაც ჭკუაზე შევიშლებოდი. მახსოვს, დედა რომ ლოგინად ჩავარდა, პირველი სამი დღე და ღამე გვერდიდან წამითაც არ მოვცილებივარ და თან განუწყვეტლივ ვტიროდი. მეოთხე დღეს კი ცრემლი საერთოდ გამიშრა და იმასაც მაშინვე მიხვდი, რომ ჩემთვის ბავშვობა დამთავრდა და ახლა ცხოვრება ჩემი გამძლეობის გამოცდას იწყებდა. სხვა გზა არ იყო და მეც მივიღე ეს გამოწვევა. დღისით სკოლაში დავდიოდი, საღამოობით კი ერთ-ერთ ოფისში დამლაგებლად ვმუშაობდი და პურის ფულს ასე ვშოულობდი. მაგრამ შემდეგ დედას მდგომარეობა გაუუარესდა და ექიმებმაც უამრავი ძვირად ღირებული წამალი დაუნიშნეს, რასაც ჩემი შრომით ნაშოვნი გროშები ველარ სწვდებოდა. განსაკუთრებით მწარედ ის საღამო მახსოვს, ჩემი თანაკლასელი გოგონები რომ სკოლის გამოსაშვებ საღამოზე ლამაზ-ლამაზი კაბებით იწონებდნენ თავს, მე კი ოფისში იატაკს ვწმენდდი და შინ დაბრუნება საერთოდ აღარ მინდოდა, რადგან დედისთვის ახალი წამლის საყიდლად ფული აღარ მეყო. მას შემდეგ კიდევ ბევრი ასეთი მწარე საღამო გადავიტანე. და ის იყო, სასოწარკვეთისგან გულზე ხელებიც უნდა დამეკრიფა, რომ მხსნელად ჩემი ძველი დაქალი — ლანდა ჩახვაძე გამომეცხადა.

— ნეტავ, საიდან მახსოვს ეს გვარსახელი?

— ალბათ, რომელიმე საინფორმაციო საშუალებიდან. ლანდას უცნაურ მკვლელობაზე ხომ ბევრმა დაწერა.

— გასაგებია. მერე, რაო ლანდამ?

— დაგეხმარებიო, მითხრა და თავიდან სილამაზის კონკურსში მონაწილეობა მირჩია. და საერთოდაც, ანუშკი, — ხშირ-ხშირად მიმეორებდა იგი, — ალბათ, წარმოდგენაც კი არ გაქვს, შენი გარეგნობის წყალობით, რამხელა ფულის შოვნა შეგიძლიაო.

— თვითონ როგორღა შოულობდა ფულს?

— სამწუხაროდ, ძალიან ცუდი გზით, თუმცა მაშინ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ის კი არა და თავიდან მისი სიტყვების აზრს ბოლომდე ვერც კი ჩავწვდი, რადგან თავი მხოლოდ სილამაზის კონკურსში მონაწილეობასა და ამ გზით დედის წამლების საყიდელი ფულის შოვნაზე ფიქრით მქონდა გამოჭედილი. სილამაზის კი არა, სიმახინჯის კონკურსი რომ ჩაეტარებინა ვინმეს, იმაშიც კი ვცდიდი ბედს, ოღონდ კი დედაჩემის გაჭირვებული ყოფა ოდნავ მაინც შემემსუბუქებინა. თუმცა კონკურსზე ლაპარაკი ბოლომდე ლაპარაკად დარჩა და ლანდა ერთხანს საერთოდაც აღარ გამოჩენილა. ერთ დღეს კი ქუჩაში ვითომ შემთხვევით გადამეყარა და მითხრა: მოდი, კონკურსზე ფიქრს შეეშვი, რადგან გამოჩნდნენ ღვთისნიერი ადამიანები, რომლებიც ფულს ახლავე გასესხებენო.

— და შენც დათანხმდი, ხომ? — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ლაშამ.

— დავთანხმდი კი არა, სიხარულით ცას ვეწიე, რადგან ფული სასწრაფოდ მჭირდებოდა. ლანდამ მეორე დღესვე მომიტანა მოზრდილი თანხა და მეც მაშინვე წამლების საყიდლად გავქანდი. მაგრამ დედას არც ამ ახალმა წამლებმა უშველა. შეფიქრიანებულმა ექიმებმა მას ახლა სულ სხვა და კიდევ უფრო ძვირად ღირებული მკურნალობა დაუნიშნეს, ფული კი ისევ ლანდას ნაცნობებმა მასესხეს. ერთი სიტყვით, ვალს ვალს ვუმატებდი და იმასაც ვხვდებოდი, რომ მისი დაბრუნება ძალიან გამიჭირდებოდა, მაგრამ სხვა გზა უბრალოდ აღარ მქონდა. ერთხელაც, შინ ჩვეულებრივზე ცოტა გვიან დავბრუნდი და ჩვენს სახლთან სასწრაფო დახმარების მანქანა დავინახე. მაშინვე გულმა რეჩხი მიყო. იმ ღამეს დედა გარდაიცვალა. მე კი მისი დასამარხი ფულიც აღარ მქონდა, რადგან ლამის მთელი ჩემი დანაზოგი სწორედ იმ დღეს კიდევ ერთ დეფიციტურ წამალში გადავიხადე. რაღაც თანხა მეზობლებმა მომიგროვეს, რასაც ჩემი მორჩენილი გროშებიც მივუმატე და დედა ისე დავმარხე. ერთი კვირისთავზე კი კარზე ლანდა მომადგა და ვალის გადახდის დრო მოვიდაო, გამომიცხადა. იქნებ, ცოტა კიდევ მაცალონ? — შევევედრე. — ხომ იცი, რა უბედურებაც დამემართა. ბოლო ფულით დედა დავმარხე, მაგრამ მალე კიდევ მოვაგროვებ და შენს ნაცნობებს ყველაფერს უკლებლივ დავუბრუნებ-მეთქი. შენი ხელფასით იმ თანხას ათ წელიწადშიც კი ვერ მოაგროვებ, კრედიტორებს კი ფული ახლავე სჭირდებათო, — ყველა გზა უცბად მომიჭრა ლანდამ. მაგრამ ახლა არაფერი მაქვსმეთქი, — შევწუხდი მე. ფული არა, მაგრამ სხვა რაღაც ნამდვილად გაქვს. — თვალი ეშმაკურად ჩამიკრა მან. რა სხვა რამე-მეთქი? მართლა ასეთი გულუბრყვილო ხარ თუ თავს იკატუნებო, მკითხა და მაშინვე დაუმატა: „რა გაქვს და მშვენიერი გარეგნობა, აშოლტილი ტანი, ლამაზი სახე, ჩამოქნილი ფეხები... იცი, ეს რა ძვირად ღირებული საქონელია?“

როგორც იქნა, მივხვდი, რასაც გულისხმობდა და სახეზე სისხლმა ამასხა. ლანდა კი სავარძლის საზურგეზე არხეინად გადაწვა და სიგარეტი გააბოლა. როცა ცოტა დავწყნარდი, ვკითხე, მაინც რა უნდა გავაკეთო-მეთქი. „იქნებ, როგორმე თვითონ მიხვდე, გოგონი“, — მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა მან. არა, ამაზე არასოდეს წავალ, — ვიუარე მე, — მეძავი არ გავხდები. მერედა, ვინ გითხრა, მეძავი გახდიო, თვალი ისევ ეშმაკურად ჩამიკრა ლანდამ, — შენ ბევრად უფრო მარტივი რამ მოგეთხოვება: მხოლოდ ერთ ძალიან კეთილ და მდიდარ კაცთან უნდა დაწვე. ეს არის და ეს...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# რომანტიკა თუ დანაშაული?!

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №31-47

ოქტომბერი მიიწურა. რა ჩქარა გარბის დრო. თითქოს გუშინწინ დავიწყე მუშაობა და თითქოს წუხელ მოხდა ჩემსა და ნიკას შორის ყველაფერი.... უკან მოხედვაც ვერ მოვასწარი, ისე სწრაფად აიბურდა ჩემი ცხოვრება. არადა, ჩემს ადგილას ზოგიერთი კმაყოფილიც იქნებოდა. სამსახურში დამაწინაურეს, მამაც მომჯობინდა, ბებია ყოველთვე სოლიდურ თანხას მიგზავნიდა, არც საჭმელ-სასმელი მაკლდა და არც ჩაცმა-დახურვა. საყვარელი ადამიანიც მყავდა, რომლის დანახვა, ავად თუ კარგად, ყოველთვის გულს მიხარებდა. მერე რა, რომ ერთად არ ვცხოვრობდით? როცა შეეძლო, ხომ ახერხებდა ჩემ გვერდით ყოფნას? აი, ამ ადგილს რომ მიუახლოვდებოდა ჩემი ფიქრები, ვგრძნობდი, როგორ უსიამოვნოდ შემეკუმშებოდა გულის კუნთები, სუნთქვა მეკვროდა და სული მეხუთებოდა. ნიკა ჩემი ცხოვრების მტკივნეული ნაწილი იყო. ერთდროულად ახლობელიც იყო და შორეულიც, საყვარელიც და საზიზღარიც, მეგობარიც და მტერიც... იმისდა მიხედვით, როდის როგორ ხასიათზე იყო. მასაც გაორება სჭირდა — გულთბილიც იყო და გულცივიც, მკაცრიც და ლმობიერიც, ალერსიანიც და ფიცხიც, მშვიდიც და ნერვიულიც... ხანდახან მთელი კვირა დაიკარგებოდა და სულ რომ მოვმკვდარიყავი, ერთხელ არ მომიკითხავდა, რას ვაკეთებდი, თავს როგორ ვგრძნობდი... ხანდახან კი, დღე არ გავიდოდა, არ მოსულიყო და არ ვეწახე. თუ მოსვლას ვერ ახერხებდა, აუცილებლად დამიმესიჯებდა ან დამირეკავდა. ჩვენი სატელეფონო საუბარი დიდხანს გრძელდებოდა, საათობით და როცა დასასრულისკენ „გავუხვევდით“, ერთმანეთთან განშორება გვიჭირდა, ამიტომ ვაჭრობას ვიწყებდით, პირველად რომელს დაეკიდა ყურმილი.

— ჯერ შენ გათიშე.

— არა, ჯერ შენ, — ჯენტლმენურად დამითმობდა.

— მაშინ სამამდე დავითვლი და ერთად გავთიშოთ, — ვთავაზობდი.

— კარგი.

— ერთი, ორი, სამი...

— სამს რომ იტყვი მაშინ, თუ იქამდე? — კვლავ წელავდა დროს, ვერ მელეოდა.

და ასე გრძელდებოდა უსასრულოდ. ხანდახან ისე დაგვათენდებოდა თავზე, ვერც ვიგებდით. მაგრამ მერე კვლავ დაიკარგებოდა. მისი ძალიან ხშირად არ მესმოდა. რაღაც მომენტში თითქოს აბჯარს აისხამდა და მის გულს ვერა ქალი ვერ ეკარებოდა. მერე მოულოდნელად კვლავ შეეცვლებოდა ხასიათი და ძველი ნიკა ხდებოდა, თბილი და მოსიყვარულე...

ერთი სიტყვით, ხან ასე იყო და ხან — ისე. ალბათ სასაყვედურო არაფერი უნდა მქონოდა, მაგრამ საკუთარი გულის ამბოხს ვერაფერს ვუხერხებდი. ყველაზე ხარბი ხომ გულია, განსაკუთრებით მაშინ, როცა შეყვარებულია. ვიცი, ახლა რასაც მეტყვით, თვალიც ხომ ხარბიაო... გეთანხმებით, თვალიც ხარბია, მაგრამ ჩემი თვალები ისე იყო დაბრმავებული ნიკას სიყვარულით, მის იქით ვერავის და ვერაფერს ხედავდა. ჰოდა, სწორედ გულის სიხარბის ბრალი იყო, რომ არ მაკმაყოფილებდა ის ურთიერთობა, რაც მასთან მქონდა. რაც დრო გადიოდა, მეტი და მეტი მინდოდა. რა იყო ეს მეტი, მეც არ ვიცოდი... არა, კი ვიცოდი, მაგრამ იმდენად „ბეეევრი“ და იმდენად თავხედური იყო ეს „მეტი“, რომ ფიქრებშიც კი ვერ ვუტყდებოდი ჩემს თავს, საკუთარ ორეულთანაც კი მრცხვენოდა ამის აღიარება.

ბევრჯერ მიფიქრია, მე რომ მამაკაცი ვყოფილიყავი, ქალთან არასდროს არაფერი შემეშლებოდა-მეთქი. ალბათ იმიტომ, რომ ქალზე უკეთ არავინ იცის, რა სურს ქალს. ამასთან, ქალზე უკეთ არც ის იცის არავინ, რა სურს მამაკაცს. ამიტომაც ქალი ადვილად უგებს ძლიერ სქესს, უპრობლემოდ უღებს ალღოს მის ბუნებას, მამაკაცი კი შინაგანად ინერტულია, ზარმაცი და ასეთ წვრილმანებზე ფიქრით თავს არ იწუხებს. მგონი, ძალიან გამიგრძელდა და მოდი, ნუღარ ჩავუღრმავდებით ქალისა და მამაკაცის თემას, თორემ ძალიან შორს წაგვიყვანს და იმდენ „პათოლოგიას“ აღმოვაჩენთ, რომ თავი შეგვზიზღდება... ქალსაც და მამაკაცსაც...

როგორც იქნა, წვიმების სეზონი დამთავრდა და გამოიდარა. ზამთრის მოახლოებით „დასუსტებული“ მზე დედამიწას ძველებური სიმხურვალით ველარ ათბობდა, თუმცა მაინც მედგარ წინააღმდეგობას უწევდა შემოდგომის ქარებით გათამამებულ სუსხს.

სწორედ ის პერიოდი იყო, ჟაკეტიდან ქურთუკზე ან ლაბადაზე რომ გადადიხარ, თუმცა ვერც ჟაკეტს ელევი. ამიტომაც ყველა სტილში ჩაცმულ ადამიანს შეხვდებოდით ქუჩაში, პალტომოსხმულსაც კი.

ბოლო ხანებში ძალიან გამიტაცა შოპინგმა, მანიად მექცა. თანაც, აკვიატება მჭირს. მაგალითად, თუ რომელიმე შარფი მომეწონა, მერე კარგა ხანს მხოლოდ შარფებს ვყიდულობ ხოლმე, თუ მაისური — მხოლოდ მაისურებს და ა.შ. ნივთებზე დროებითი „გართულება“ მემართება. ნუთუ ყველა ქალი ასეა, თუ მხოლოდ მე ვარ გამონაკლისი?

იმ დღესაც, მოკლეყელიანი ჩექმა მომეწონა ერთ ბუტიკში და დავეტაკე, სხვამ არ დამასწროს-მეთქი. მთლად ძვირიც არ ღირდა, ორასი ლარი გადავიხადე, მაგრამ აბა, ერთი სამი თვით ადრე მენახა?! მაშინ ხომ ვერ მიმიწვდებოდა ხელი? აი, თვალის სიხარბე სად „დამემართა“. მერე შენაძენით აღფრთოვანებული დავუყევი გამზირს და ფეხსაცმლის ყველა მაღაზიაში შევიარე, იქნებ კიდევ რამეს წავაწყდე-მეთქი. ამ დროს ნიკუშამ დამირეკა. გამიხარდა მისი ხმის გაგონება, კარგა ხნის უნახავი მყავდა.

— რატომ მემალება ჩემი გარე ბიძაშვილი? — მხიარულად მომიკითხა.

— ნიკუშ, როგორ გამახარე! მე კი არა, შენ სად მემალები? ერთხელ არ გამოჩნდი. მომანატრე თავი.

— ჰოდა, ვიგრძენი, რომ მოგენატრე და დაგირეკე. ხვალ რას აკეთებ?

— რას უნდა ვაკეთებდე, ვმუშაობ.

— რომ მუშაობ, ვიცი, მაგრამ საღამოს?

— საღამოს... — წამით ორჭოფობა დავიწყე, რადგან ნიკა ამომიტივტივდა გონებაში, მაგრამ ხელი ჩავიქნიე, სულ მის მოლოდინში ხომ არ ვიქნები, ერთხელ მეც ხომ უნდა გავიარო ჩემს გემოზე? — საღამოს თავისუფალი ვარ.

— ჰოდა, მოემზადე, ლამაზო ქალბატონო, სხვა არაფერი დაგეგმო. ხვალ ჩემთან გეპატიჟები, თან მაგრად გამოიპრანჭე, სულ ტალიკ-ტალიკა ბიჭები იტრიალებენ შენ გვერდით, რა იცი, რა ხდება.

— მართლა რა ხდება? შენი დაბადების დღე ხომ არ არის?

— ჩემი არა, დედაჩემის დაბადების დღეა. ქრისტინე მყავს იუბილარი.

— რას მეუბნები! ეგ არ ვიცოდი... მაგრამ მე რა შუაში ვარ? დედაშენს თავისი მეგობრები ეყოლება, მე სრულიად ზედმეტი ვიქნები, ნიკა.

— ეგეთები არ გამაგონო! დედაჩემმა მითხრა, პერსონალურად ვეპატიჟები ლოლასო. ასე რომ, უნდა მოხვიდე, თუ არ გინდა, საშვილიშვილოდ გადაგეკიდოს, — გულიანად გაიცინა.

— თუ ასეა, მოუსვლელობას როგორ გავბედავ, ჩემო ნიკა, უსიკვდილოდ მოვალ. აბა, მითხარი, რომელ საათზე?

— თუ შეძლებ, ცოტა ადრე მონარნარდე და დედას რაღაც-რაღაცებში წაეხმარო, ხომ კარგი, თუ არა და, რვისთვის მაინც გელოდები.

— ცოტა ადრე?.. — კვლავ შევყოყმანდი, მოსამსახურის რანგში ყოფნა დიდად არ მხიბლავდა. — ვეცდები, ნიკუშ, დავეთხოვები, თუ გამომიშვეს.

— თუ არ გამოგიშვებენ, არ არის პრობლემა, დამხმარე ქალების მეტი რა გვყავს. ან, თუ გინდა, დავურეკავ ნიკას და ვეტყვი, ხვალ გაგათავისუფლოს.

— არა, არა, შენი ჭირიმე, ოღონდ ეგ არა! — დავფეთდი. — ის კი არა, საერთოდ, ისიც არ მინდა გაიგოს, ჩვენ რომ ნათესავები ვართ.

— რატომ ვითომ? — ითაკილა.

— იმიტომ, რომ ამის გამო შეიძლება, რაღაც შეღავათები გამიკეთოს, თავი ვალდებულად იგრძნოს. მე კი ეს არ მინდა. ყველაფერს ჩემით უნდა მივაღწიო, საკუთარი შრომითა და ოფლით, ხომ გესმის... — პათეტიკური ტყუილი დავახეთქე, სინამდვილეში მეშინოდა, ნიკუშას ჩვენი ურთიერთობის შესახებ რამე არ გაეგო.

— ყველაფერი გასაგებია. მაშინ, როცა საქმეს მორჩები, მერე მოდი. უბრალოდ, კრისტის უნდოდა, სანდო ადამიანი ჰყოლოდა გვერდით, ისეთი, ყველაფერს რომ გააკონტროლებდა. არ უნდა, სტუმრებთან სირცხვილი ჭამოს.

— მესმის, ნიკა, მესმის და ყველანაირად ვეცდები.

— როგორც მოგიხერხდება, ჩემო კარგო, მაგაზე არ იდარდო. მთავარია, მოხვიდე. ხომ გჯერა, რომ გულით გეპატიჟები. შენ უნდა გაალამაზო იქაურობა, გასაგებია?

სიცილი ვერ შევიკავე.

— გასაგებია, ბატონო, ძალისხმევას არ დავიშურებ.

აჰა. აი, ახლა ახალი სადარდებელი გამიჩნდა. რა უნდა ჩავიცვა? მართალია, ჩექმა ვიყიდე, მაგრამ ეგ საღამოს კაბაზე არ გამომადგება, მით უმეტეს, თუკი ჩემს ახალ, უმწიფარი ზეთისხილისფერ კაბას ჩავიცვამ. მას სხვა სტილის და სხვა ფერის ფეხსაცმელი მოუხდება. სასწრაფოდ უნდა ვეძებო! ბებია-ბაბუამ ისე გამანებივრა, ფული ჩეჩქივით მაქვს, არც კი ვიცი, რაში დავხარჯო, ამიტომაც მთელ ჩემს ხელფასს მამას ვუგზავნი ყოველთვიურად. ხომ ვარ კარგი გოგო? რა თქმა უნდა, ვარ! თან ქრისტინეს საჩუქარსაც შევიძენ ბარემ!

ვაკეში გავედი, აბაშიძის ქუჩაზე ერთი ბუტიკი მეგულებოდა, ძვირი საქონელი კი ჰქონდათ ხოლმე, მაგრამ ხარისხიანი და იქ შევიარე. არ შევმცდარვარ. ვალენტინოს ფირმის ისეთი ლამაზი „პლატფორმები“ ვნახე, თითქოს იტალიელებს საგანგებოდ ჩემი კაბისთვის შეუკერავთო. თანაც, მხოლოდ ერთი წყვილი ჰქონდათ და, რაც მთავარია, ზუსტად ჩემი ზომა. ჩავიცვი თუ არა, თვალთ დამიბნელდა, ფეხს ისე ლამაზად აჩენდა. ძალიან მდიდრული იყო და საოცრად მსუბუქი, საერთოდ ვერ ვიგრძენი, მაღალ ქუსლზე რომ ვიყავი შემდგარი. ფასი ვიკითხე და... ჩემი სიხარულიც იქვე ჩაქრა, — ათას ორასი ლარი დამიფასეს. არ შევიმჩნიე, ვითომ სულაც არ იყო გასაკვირი მათი „ცეცხლის ფასი“ და ფეხსაცმელი დახლზე შემოვდე.

— ცოტას დაგიკლებთ, — მაინც მიმიხვდა გამყიდველი.

— ცოტას რამდენს? — მეც ჩემი „ცეცხლის ფასი“ ღიმილი შევაფრქვიე, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო.

— ოც ლარს.

რას ერჩი, ოცი ლარი სწორედ რომ „ცოტაა“. აბა, ორმოცდაათს ხომ არ მეტყოდა? ორმოცდაათი ძალიან ბევრია!

— მოვიფიქრებ, — თავდაჯერებულად მივუგე, — კიდევ ერთ ადგილას უნდა შევიარო და იქ თუ არაფერი მომეწონა, მაშინ კვლავ თქვენთან მოვალ... რომელ საათ...

— რას არჩევ, ლოლა? — წინადადების დამთავრება ვერ მოვასწარი, რომ ტანში გამცრა, ისეთი სულში ჩამწვდომი ხმა ჩამესმა.

მოვბრუნდი და თავზე წამომდგარ ნიკას თვალებგაფართოებული მივაჩერდი, თითქოს მოჩვენება დამენახოს.

— აქ რას აკეთებ? — ფერწასულმა ჩავილუღლუღე, რას ვიფიქრებდი, აქ თუ გადავაწყდებოდი.

— საჩუქარს ვეძებ ერთი ახლობლისთვის.

— ა! — მოკლე რეპლიკით დავკმაყოფილდი, მაგრამ აალებულმა ღაწვებმა წამში გამცა... შემეტყო, რომ ვიეჭვიანე.

— ნუ ნერვიულობ, გეხუმრე, — გულიანად გაეცინა, — გარედან შეგამჩნიე და იმიტომ შემოვედი. რას ათვალიერებ?

— არაფერს...

— არაფრის გულისთვის დასჩერებიხარ ამ „ფრანცუზკებს“? — არ შეუმოუხედავს, ისე მკითხა, ფეხსაცმელს ხელი დაავლო, მაღლა ასწია და შორიდან პროფესიონალივით გულდასმით გახედა, თითქოს ზედმიწევნით ერკვეოდა ხარისხში.

— უბრალოდ, ფასი ვიკითხე.

— და მერე?

— ყიდვას არ ვაპირებ, ისე ვიკითხე.

— რა ღირსო, რა გითხრეს?

— ძალიან ძვირი.

— ჰოდა, რამდენია ეს „ძალიან ძვირი“?

— ათას ორასი ლარი.

— ოჰოოო! — დაუსტვინა

ნიკამ. — მაგ ფასად ექვს წყვილ ბოტასს იყიდდა კაცი, — ცივად დაუშვა ხელი და კავალის „შემოქმედება“ დახლზე დააბრუნა.

— მართალი ხარ, — ხმამაღლა დავეთანხმე, გულში კი გამეცინა, ნუთუ ასეთი მეწვრილმანეა? — მაგრამ მე ბოტასი არ მინდოდა... წავედით.

— საით შენი მგზავრობა?

— სახლში.

— გინდა, გაგიყვანო?

— არა, მანქანით ვარ.

გარეთ გამოვედით. ნიკამ ხელკავი გამიყარა და შემაჩერა.

— რატომ არ მეუბნები, რომ მოგენატრე?

„თავხედი! მაგას მე უნდა ვეუბნებოდე?!“

— რატომ გგონია, რომ მომენატრე?

— კი არ მგონია, ვიცი! — გამომცდელად ამიწია წარბი.

— შენ არ მოგენატრე?

— მომენატრე. შენსავით კი არ ვმალავ ამას.

— და რა მერე, რომ მოგენატრე? რაში გამოიხატება?

— რაში არ გამოიხატება?

— იმაში, რომ მთელი კვირაა, დაიკარგე. არც დაგირეკავს, არც რამე მინიშნება მომსვლია შენგან, სამსახურშიც კი თავს მარიდებ, თითქოს რიგითი ბუღალტერი ვიყო.

— რას ერჩი რიგით ბუღალტერს?

— არც არაფერს. ჩემს ადგილას ყოფნას რიგითი ბუღალტრობა სჯობია ალბათ.

— რითი?

— იმითი, რომ შენი ქალი მაინც არ ვიქნებოდი.

— რატომ გგონია? დამლაგებელიც რომ ყოფილიყავი, ჩემი ქალი მაინც გახდებოდი. კმაყოფილი ხარ? — მკლავზე ძლიერად მომიჭირა თითები.

— მეტი არ შეიძლება!

— გინდა, მოვიდე? გინახულო? — უფრო და უფრო მამწარებდა.

— დიდი ხანია, ჩემს სურვილებზე დადიხარ? — დავისისინე.

— მე სულ შენს სურვილებზე დავდივარ. რა, ასე არ არის?

დავიბოღმე. ვგრძნობდი, რომ ჩემი მოთმინების ფიალის სიმძიმეს ამოწმებდა და თავის შეკავებას მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ წონასწორობიდან არ გამოვსულიყავი. მტრისას, ახლა თუ ვიფეთქე, სამუდამოდ გავაფუჭებ ურთიერთობას! ფრთხილად, ლო, პროვოკაციაზე არ წამოეგო! — შევუძახე ჩემს თავს და მის შემოტევას ისეთი სათნო ღიმილი დავახვედრე, მოულოდნელობისგან დაიბნა.

— კარგი, წავედი, ნიკა, მეჩქარება.

— გამოგივლი... ოღონდ დღეს ვერა... ვერც ხვალ...

— და ვერც ზეგ... — „წავეშველე“.

— ვნახოთ... დაგირეკავ იქამდე.

— როგორც გინდა, — „სულერთიას“ ნიღაბი ავიკარი სახეზე და გაწბილებული გავემართე მანქანისკენ, უკან ერთხელაც არ მოვიხედე.

თითქმის ერთდროულად დავიძარით ადგილიდან. მე წინ მივდიოდი, ის უკან მომყვებოდა, თითქოს ჩემი დაცვა ყოფილიყო. შიგადაშიგ სარკეში ვიცქირებოდი და მის მანქანას ვუთვალთვალებდი. ლამის სახლამდე მომყვა... მაგრამ როგორც კი სვლა შევანელე, რათა მარჯვნივ გადამეხვია, გვერდით ჩამიარა, დამისიგნალა და გზა გააგრძელა. როგორ მეზიზღებოდა იმწუთას!

შესაფერისი ფეხსაცმელი ვერ ვიყიდე და იძულებული გავხდი, რაც მქონდა, იქიდან ამერჩია რომელიმე. კრემისფერი მაღალქუსლიანი ბოტილიონი, რომელიც შარშან ვიყიდე იტალიაში, ყველაზე მეტად მოუხდა ჩემს ახალ კაბას, გული უკვე აღარ მეთანაღრებოდა. „თმას ხვალ დავივარცხნი, უკვე დავრეკე ჩემს სტილისტთან და ჩამწერა. ახლა მთავარია, ხვალ ცოტა ადრე გავეთავისუფლო ნიკას. მგონი, პრობლემა არ შემექმნება“, — კმაყოფილმა მოვახსენე ჩემს თავს სარკეში. მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა. გულგახეთქილი ვეცი ყურმილს, ნიკა მეგონა.

— ლოლა, მიშველე! — მარიკა გულამოსკვნილი ტიროდა.

— რა მოხდა, მარი? — შევშფოთდი.

— ყველაფერი დამთავრდაااა!

— დაწყნარდი და ისე მითხარი, რა გჭირს, რა დამთავრდა?

— მგონი, ცოლს ურიგდება! ااა! — ძლივს ვარჩევდი სიტყვებს, მარიკა ისე ღრიალებდა.

— შეგიძლია, ჩემთან გამოხვიდე?

— არა, მაგის თავი არ მაქვს, უბრალოდ, მინდოდა, ვიღაცისთვის მეთქვა და შენ დაგირეკე.

— სად ხარ?

— სადღაც ქუჩაში, არც ვიცი, სად ვარ. ვერც სახლში მივდივარ, დედაჩემმა რომ მნახოს, გული გაუსკდება, — სლუკუნზე გადავიდა.

— მითხარი, სად ხარ და მოვალ.

— არა, არ მინდა. ისე მოგიყვები... დილით დამირეკა, შევხვდეთო... შევხვდი. ქალაქგარეთ გამიყვანა, ბულაჩაურში ხინკალი ვჭამეთ. მერე იქვე, არაგვისპირზე ჩამიყვანა. მანქანაში ვისხედით... ჯერ მეფერა, ძალიან მიყვარხარო, შენ სხვანაირად დამანახვე ცხოვრება და გამიჭირდება უშონოდო... ოოო! — კვლავ ამოიტირა მარიმ.

— დაწყნარდი, გთხოვ... მერე?

— მერე მითხრა, აჯობებს, დავშორდეთო... რატომ-მეთქი და... ცოლი შერიგებას მთხოვსო... ჩემი ბიზნესის ნაწილი მის სახელზეა და უარი რომ ვუთხრა, ბევრ რამეს დავკარგავო.

— კი მაგრამ, მაშინ არ ჰყავდა ცოლი, სხვებთან რომ ჰქონდა რომანი? შენ ხომ არ ხარ პირველი შემთხვევა? — ძალიან გავბრაზდი და თავი ვერ შევიკავე.

— მეც ეგ ვუთხარი. სწორედ ამაშია საქმეო. ახლა რომ შევურიგდე და ჩვენი ამბავი გაიგოს, უარეს სკანდალს მომიწყობს და არ მინდა, გული გეტკინოსო. მე ვკითხე, ასე არ მეტკინება გული-მეთქი? ჯობია, ასე გეტკინოს, ვიდრე ისეო. მთელი ქვეყანა გაიგებს და შენზე ჭორაობას დაიწყებენოოოო! — გულამომჯდარი ქვითინებდა.

— ჯანდაბამდის გზა ჰქონია, გოგო, მაგისთვის თავს როგორ იკლავ? — მისი დამოძღვრა ვცადე.

— სხვა უბედურებაც მჭირს, ლოლა! ااا!

— კიდევ არის რამე? ნუ გადამრიე!

— ორსულად ვااარ!

ახლა კი დავმუნჯდი. აღარ ვიცოდი, რა მერჩია. პირველი, რამაც თავში გამიელვა, ჩემი ნიკასთან ურთიერთობა იყო. მეც რომ იგივე დამემართოს, როგორ მოვიქცეოდი?

— გამაგიჟებ მე შენ! როდისღა მოასწარი? თავს არ იცავდი?

— რა ვიცი, მეგონა, ვიცავდი და თურმე ვეღარ დავიცავი.

— მერედა, რას აპირებ? უნდა გააჩინო? იქნებ...

— არც ეგ ვიციییییი! არც თედოსთვის მითქვამს და რა ვქნااااა!

— მარი, სასწრაფოდ უნდა გნახო!

— არა, არა, ლოლა! — უეცრად დაუწყნარდა ხმა. — ერთი-ორი დღე უნდა ვიფიქრო, შევხედავ, რა მოხდება და გადაწყვეტილებას მერე მივიღებ. რომ ვუთხრა, ორსულად ვარ-მეთქი, არ დამიჯერებს, პროვოკაციას მიწყობო, მეტყვის, ამიტომაც ვარ შავ დღეში.

— ხვალ ხომ მოხვალ სამსახურში?

— არა, სამსახურში მოსვლას არ ვაპირებ. დედას ვეტყვი, ავად ვარ-მეთქი და შინ დავრჩები. კარგად უნდა მოვიფიქრო.

— იცოდე, რაღაც სისულელეებზე არ იფიქრო, გასაგებია?

— არც ვაპირებ. დედაჩემს ისედაც ბევრი ტკივილი გადაუტანია. არ მინდა, ჩემი თავიც დავატირებინო. უბრალოდ, განმარტოება მჭირდება, ყველაფრის აწონ-დაწონა. მერე შენ დაგელაპარაკები და ერთად მოვიფიქროთ, როგორ ჯობია, კარგი?

— კარგი, მარი, როგორც შენ იტყვი. თუ გინდა, მე ახლაც შემიძლია, გნახო. თუ არა და, როცა მოი-

სურვებ, ჩათვალე, რომ შენს განკარგულებაში ვარ.

— ზეგ საღამოს აუცილებლად გამოგივლი. ახლა კი წავედი, ცოტას გავივლი, რომ გადამიაროს.

— აღარ იტირო, გესმის?

— აღარ ვიტირებ. გკოცნი, — არ დამელოდა, ისე გამითიშა.

ესღა მინდოდა ისედაც დამძიმებულს? ძალიან შემეცოდა. რა უნდა ქნას? იქნებ ჯობია, გააჩინოს შვილი და ამით კუთხეში მიამწყვდიოს თედო? მას ხომ შვილი არ ჰყავს... იქნებ გაჭრას? რა თავში იხლის ბიზნესს, ან რაში სჭირდება სიმდიდრე, თუკი მემკვიდრე არ ეყოლება? ეს, ალბათ ყველაზე კარგი ვარიანტია. ბავშვის მოშორებას მაინც ასე სჯობს. პატარამ რა დააშავა? მე როგორ მოვიქცეოდი მარიკას ადგილას? ალბათ ანალოგიურად. ბავშვს ყველა ვარიანტში გავაჩენდი, შემირთავდა თუ არ შემირთავდა ნიკა ცოლად.

ამის გაფიქრებაზე სარკის ლოლას უაზროდ გავუღიმე და ყავის მოსადუღებლად სამზარეულოს მივაშურე.

ცხრა იყო დაწყებული, ფილიპეს სახლს რომ მივადექი. კარი შეღებული დამხვდა. ოთახის სიღრმიდან მუსიკის ჰანგები გამოდიოდა. მორიდებით შევაბიჯე ჰოლში. უხერხულად ვგრძნობდი თავს, მეშინოდა, ზედმეტად გადაპრანჭულად ხომ არ გამოვიყურები-მეთქი. სრულიად უცხო სახეები შევნიშნე და ისეთი ალმური წამეკიდა, თითქოს წვეულებაზე პირველად ვყოფილიყავი. მალევე შევნიშნე ნიკა და ფილიპე, ჰალსტუხიან-სათვალიან იმპოზანტურ მამაკაცებთან გალანტურად რომ საუბრობდნენ. ნიკუშამაც შემამჩნია და ღიმილით დამიქნია ხელი, ბოდიში მოუხადა თანამოსაუბრეებს და ჩქარი ნაბიჯებით ჩემკენ გამოემართა.

— ჩემი ლა-მა-ზიიი! — გადამეხვია. — კარგია, რომ მოხვედი. თვალისმომჭრელად გამოიყურები.

— ეს სამოთხის ჩიტი საიდან გაჩნდა აქ? — ამ დროს ფილიპეც მოგვიახლოვდა. — ლამისაა, დავბრმავდე ჩემი მზეთუნახავი ნათესავის სილამაზით, — ხელები წინ გამოიშვირა და მხრებზე კმაყოფილების ნიშნად მომითათუნა.

— გილოცავთ მეუღლის დაბადების დღეს, ბატონო ფილიპე, — ძალიან ნაზად კი გამომივიდა.

— დიდი მადლობა, გენათალე, — როგორც სჩვეოდა, ენას მოუჩლიქა „ბიძაჩემმა“, — მაგრამ ხომ შევთანხმდით, რომ სახელით მომმართავდი? რა გიყვართ ეს ოფიციალურობა ამ ქალებს, ჰა?! — ყასიდად გამიბრაზდა.

— მაპატიეთ... მეტს აღარ ვიზამ... სად არის იუბილარი? — ირგვლივ მიმოვიხედე და მალულად უცხო სტუმრები შევათვალიერე, უფრო სწორად,

იქ მყოფი მამაკაცები. მაინტერესებდა, როგორი კონტინგენტი იყრიდა თავს ჩემი ბიზნესმენი ნათესავის ოჯახში.

— კრისტი? სადღაც აქ ტრიალებს... შეიძლება, აივანზეა გასული, — თვალი ირგვლივ მიმოავლო ფილიპემაც.

მოულოდნელად შევნიშნე, რომ სტუმრების უმრავლესობა ჩვენკენ იყურებოდა და ცნობისმოყვარედ მათვალიერებდნენ. ავილეწე.

— წამოდი, ჩემს მეგობრებს გაგაცნობ, — ხელკავი გამომდო ნიკუშამ.

— ჯერ დედაშენს ვნახავ, ხომ უნდა მივულოცო...

— მოასწრებ, სად გაიქცევა. წამო, წამო, — არ მაცალა ნიკამ და ოთახის შუაგულისკენ წამიყვანა.

— შეხედეთ, რა ქალი მოგიყვანეთ, ბიჭებო! — თავმომწონედ გადახედა მამაკაცებს. — გინახავთ ამისთანა სადმე? გაიცანით, ჩემი ბიძაშვილი ლოლიტა, დამწყები ბიზნესმენი.

„ჯენტლმენურად კი წარმადგინა!“

— ეს ვანოა, ბანკის პრეზიდენტი, ეს გიორგი, ნავთობკომპანიის ვიცეპრეზიდენტი, გოგა სამინისტროში მუშაობს, ლადო კი სამშენებლო ფირმებს კურირებს, — სათითაოდ მაცნობდა და თავის სტუმრებს მიხასიათებდა ნიკუშა.

ყველას თავს ვუქნევდი და ხელს ვართმევდი. მამაკაცები მოწიწებით მეცნობოდნენ და შეფარვით მეპრანჭებოდნენ. მსიამოვნებდა, აღტაცებას რომ ვამჩნევდი მათ სახეებზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ მართლა ბრწყინვალედ გამოვიყურებოდი!

— ახლა შეგიძლია, იუბილარიც მოინახულო, აივანზეა მგონი, — „გამათავისუფლა“ ნიკუშამ.

ღიმილით დავუკარი თავი მამაკაცებს და აივნისკენ გავეშურე, თან ფეხი მერეოდა, ასე მეგონა, ყველამ მე გამომაყოლა მზერა.

აივნის კარზე მუქი სქელი ფარდა იყო ჩამოფარებული. როგორც ჩანს, იგი ბოლომდე არ იყო მიხურული, რადგან ვიღაცები საუბრობდნენ და ხმები მკვეთრად ისმოდა.

— ვერ გავიგე, რას ნიშნავს შენი სიტყვები, ეს არის შენი დღევანდელი დღის საჩუქარი? — ქრისტინე აშკარად უკმაყოფილო ჩანდა.

— კრისტი, ისეთ რამეში მადანაშულებ, რაც არ ჩამიდენია. რატომ ართულებ ყველაფერს?

ამის გაგონებაზე ადგილს მიველურსმე... თითქოს ქანდაკებად ვიქეცი, ისე უეცრად ამიტანა სიცივემ და გამიცივდა ხელფეხი... ალბათ სახეზეც გავლურჯდი.

„ეს ხმა... ეს ხმა... რა ნაცნობი ხმაა, ღმერთო, ოღონდ ეგ არა!“

— მე ვართულებ? კარგად შემომხედე, ვგავარ იმ ქალს...

და სწორედ ამ დროს გადავწიე ფარდა და კარი გამოვაღე... კიდევ კარგი, აივანი სუსტად იყო განათებული და ჩემს გაფითრებულ თუ გაშავებულ სახეს ძნელად თუ აღიქვამდა ან ერთი, ან მეორე...

— ქრისტინე... გილოცავ, ჩემო კარგო, სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას გისურვებ, — სხაპასხუპით მივაყარე, — ეს კი ჩემგან, მცირედი საჩუქარი, — და ათრთოლებული ხელით მივაწოდე სასაჩუქრე მინიპარკში ჩადებული შანელის სუნამო — „შანელი №5“. მისი ასაკის ქალისთვის ნამდვილად მდიდრული საჩუქარი იყო.

— ოჰ! ლოლაჩკა, შენ ხარ? გმადლობ, საყვარელო, რატომ შეწუხდი? ეს რა არის? შანელი? ღმერთო! ჩემი საყვარელი არომატი! რა კარგი გოგო ხარ, ლოლა! ნიკა... ხედავ, როგორ უნდა შეარჩიო საჩუქარი? ლოლას ხომ იცნობ? შენთან მუშაობს მდივნად... — ისიც აიბნა...

ქრისტინეს სიტყვები უკვე აღარ მესმოდა...

მე მხოლოდ ნიკას ოფლით დაცვარულ შუბლს და სწრაფად მოხამხამე წამწამებს ვხედავდი...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ᲤᲐᲚᲡᲘᲤᲘᲙᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ

ᲛᲐᲠᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

დათასთან განყოფილებაში ერთერთმა თანამშრომელმა, გიამ (მეტსახელად გმირო) ფალსიფიცირებული „კოკა-კოლას“ დამზადების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია და თვით ფალსიფიცირებული ნაწარმის რამდენიმე ბოთლი მიიტანა. ეჭვების გასაფანტავად (უფრო — დასადასტურებლად) გაყალბებული სასმელი თვით „კოკა-კოლას“ ლაბორატორიაში ჩააბარეს. საწარმოს ხელმძღვანელმა ჯერ ეჭვის თვალით შეხედა, შემდეგ კი, როცა ლაბორატორიიდან დასკვნები მოუტანეს, მაქსიმალური ხელშეწყობა აღუთქვა და რა დასამალია, ხაზგასმით აღნიშნა, უპატივცემულოდ არც ერთს არ დაგტოვებთ, ოღონდაც თქვენ ეგ ფალსიფიკატორები გამოააშკარავეთო.

ოპერატიული ღონისძიებების გატარება გმიროს, უჭმელოვიჩს, დათას, ვოვას, მამუკასა და პენელოპას (ასე შეარქვეს ბიჭებმა, მაგრამ როცა ქმარს გასცილდა, დათა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პენელოპა ერთგული, მოსიყვარულე და მეოჯახე ცოლის სიმბოლოაო) დაევალათ. ფალსიფიცირებული „კოკა-კოლას“ რეალიზატორზე მალე გავიდნენ, მცირე პარტიის შეკვეთაც მისცეს და გულდამშვიდებულებმა სადღეღამისო თვალთვალი დაუწესეს, მაგრამ ნურას უკაცრავად, თვალთვალმა არავითარი შედეგი არ გამოიღო. რეალიზატორი ხან ელიავაზე, სამშენებლო მასალების ყიდვით იყო დაკავებული, ხანაც ქალაქგარეთ გავიდოდა დილაუთენია და სადაც მოეხასიათებოდა, გვიანობამდე თევზაობდა. გვარიანად დაბნეულებს, ერთხელაც თავად დაუკავშირდა, თქვენი შეკვეთა მზად არის და იქნებ ანგარიშსწორება მოვახდინოთო. გაოგნებულმა ოპერატიულმა თანამშრომლებმა მიითვალეს რამდენიმე ათეული შეკვრა „კოკა-კოლა“ და სასწრაფოდ, უფრო გაზრდილი რაოდენობა დაუკვეთეს. რეალიზატორმა უხმოდ დაუქნია თავი და საქონლის მოსატანად გაეშურა. ოპერმუშაკთა გასაოცრად, მან მანქანა სადღაც მიაგდო და მოულოდნელად, გზა მეტროთი განაგრძო. შედეგად დადგინდა, რომ „კოკა-კოლას“ დამზადების სავარაუდო ადგილმდებარეობა თბილისის ზღვის შემოგარენი იყო. ფალსიფიკატორთა ძიების საქმე ჩიხში შედიოდა. ამას ვოვას დაუდევრობაც დაერთო, თუმცა ბიჭები დღესაც ხალისით იგონებენ ამ ეპიზოდს. ინფორმაციის მოპოვების მიზნით, თავს მეწარმეებად ასაღებდნენ. ბაზრობებზე, ბაზრებსა და წვრილ მეწარმეთა სავარაუდო თავშეყრის ადგილებში ტრიალებდნენ. ერთხელაც, რომელიღაც სასადილოში შევიდნენ და ხმამაღლა არჩევდნენ გამაგრილებელი სასმელების ფასებს, იქ მსხდომთა გასაგონად. იქვე ისადილეს და დანაყრებულებმა, როცა სიგარეტი გააბოლეს, ვოვას ტელეფონმაც დარეკა. ვოვა სკამზე გაიშოტა, ტელეფონს დაუდევრად უპასუხა და კბილების ჩიჩქნა განაგრძო, თან ტელეფონში შიგადაშიგ ფრაზებს ურთავდა. მოულოდნელად კი ხმამაღლა ჩასძახა: აბა, როგორ უნდა გნახო... სულ ვიღაცის ძებნაში ვარ... ხომ იცი, რა ძნელია „ოპერატივნიკის“ ცხოვრება... ენაზე კი იკბინა, მაგრამ მთელი სასადილო უკვე ჩვენ გვიცქერდა და რამდენიმე დღის ნამუშევარი წყალში იყო გადაყრილიო, მიყვებოდა დათა. მერე იყო შემაღლებული ადგილებიდან და გორაკებიდან გარემოს ხანგრძლივი თვალიერება. იყო ბევრი იმედგაცრუება, როცა ფალსიფიცირებული „კოკა-კოლას“ დამამზადებელი საწარმო ხელის გაწვდენაზე ეგულებოდათ, მაგრამ იყო წყალგაუმტარ წინსაფარში გამოწყობილი ადამიანის დანახვით გამოწვეული სიხარული და იმედებიც. სწორედ ასეთმა წინსაფრიანმა გადაყარა ხევში რაღაც გაურკვეველი კოჭები. არ იყო იოლი ხევში ჩასვლა და ამ კოჭების მოძიება.

ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲧᲐᲪᲘᲡ ᲛᲔᲛᲘᲠᲘ ᲧᲝᲩᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲛᲐᲫᲚᲘᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ — ᲐᲠ ᲙᲘᲗᲮᲐᲡ

წინასწარ არაფერს ლაპარაკობდნენ. როცა ის კოჭები ნახეს, მაშინ გაიხარეს, რადგან კოჭები სხვა არა იყო, თუ არა — პლასტმასის ბოთლის დაზიანებული საცობები. ყველას გასაოცრად, ფალსიფიკატორთა ბუდე აღმოჩენილი იყო. უჭმელოვიჩი ატყდა, შევიდეთ ბარემო. ამ ჩვენს ნაწვალებსა და ნაოფლარს ყველა თავის დამსახურებად წარმოაჩენსო (და არ იყო შორს ჭეშმარიტებისგან მისი სიტყვები). ნებისმიერ შემთხვევაში, საწარმოში ფალსიფიცირებული პროდუქციის დამზადების პროცესში უნდა შესულიყვნენ. სხვაგვარად ძალიან რთული იქნებოდა სამართალდარღვევის ფაქტის დამტკიცება. დღევანდელობისაგან განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ კონსტიტუციის, ხალხისა და სამართალის მიმართ. ნებისმიერ პოლიტიკოსს თვალწინ უნდა უტრიალებდეს ოქროს სიტყვები: ინდივიდისთვის ყველაფერი ნებადართულია, რაც აკრძალული არ არის. ხოლო სახელმწიფოსთვის ყველაფერი აკრძალულია, რაც ნებადართული არ არის. თუმცა სანამ ქვეყანაში დემოკრატია ბატონობს, ეს მცირე მანძილიც გადაულახავად და მიუწვდომლად გვეჩვენება.

ბევრი, რომ არ გავაგრძელო, ისევ განხორციელდა საკონტროლო შესყიდვა, მოილაპარაკეს საქონლის მოწოდების სავარაუდო დროზეც. აღსანიშნავია, რომ ოპერატიულ თანამშრომელ-მეწარმეებს აქვე შესთავაზეს ბორჯომიც. ტარა მივიღეთ და თუ სურვილი გაქვთ მაგასაც ჩამოგისხამთო.

იმ გათვლებით, როცა ფალსიფიკატორები გახურებულ მუშაობაში უნდა ყოფილიყვნენ, გმირომ და ვოვამ საწარმოს კარზე დააბრახუნეს. — აუ, „სუშნიაკი“ მაქვს და დამალევინე რა ძმაო, რამე, — შესძახა გმირომ და ისევ დააბრახუნა, ოღონდ ამჯერად უფრო ძლიერად და ხანგრძლივად. კარი ოდნავ გაიღო და იქიდან ხელმა „კოკა-კოლას“ ბოთლი გამოაწოდა „აბეზარ სტუმრებს“ და ის იყო, უნდა მიეკეტა ისევ მძიმე კარი, ვოვამ ფეხით დაიჭირა და შეუყვირა: — ჭიქის მოტანა დაგავიწყდა და ამიტომ ჩვენ თვითონ ავიღებთ.

საწარმოს ეზო გადაივსო ოპერატიული თანამშრომლებით, ჟურნალისტებითა და ცნობისმოყვარეებით. „კოკა-კოლას“ ხელმძღვანელობაც აქ იყო და გაოცებული ათვალიერებდა ასეულ ათასობით დოლარად ღირებულ, „კოკა-კოლას“ ჩამოსასხმელი ხაზის კუსტარულ ანალოგს. დათასთვის უკვე ინტერესი ჰქონდა დაკარგული შემდგომ მოვლენებს, არც იმას აუღელვებია, რომ საამქროს მეპატრონე აქ და ახლავე მზადაა, 20 ათასი გადაიხადოსო. დათა დროის გაყვანის მიზნით „კოკა-კოლას“ წარმომადგენელს ესაუბრებოდა. ამ ტკბილი ბასის დროს დათამ თავი წარუდგინა, ხოლო მასთან მოსაუბრე მიტროფანე ლაღიძის პირდაპირი შთამომავალი (შვილიშვილი თუ შვილთაშვილი) აღმოჩნდა. საუბარი ბუნებრივია, ლაღიძის წყლებსაც შეეხო და დათას შეკითხვაზე, რატომ არ ზრდით რეალიზაციის მოცულობასო, უმცროსი ლაღიძისგან ასეთი პასუხი მიიღო: რას ამბობ, ხომ ჩაიძირა „კოკა-კოლაო“... ასეთი მსხვერპლი იქნა გაღებული სიყვარულისთვის (მაგრამ რისი ან ვისი?...) ჰო, რაც შეეხება ბიჭების პატივისცემას, „კოკა-კოლას“ ხელმძღვანელმა შენიშნა, რომ დიდი ხარჯი იქნა გაღებული სამართალდამრღვევთა გამოვლენის მიზნით. საკონტროლო შესყიდვებსაც ხომ სჭირდებოდა თანხები, საწვავი და ათასი გაუთვალისწინებელი ხარჯი, მიიღეთ ჩემი გულითადი მადლობა და ეს მცირედი თანხა, ათასი ლარიო. გულში ალბათ ყველამ წამოიყვირა, „კაჟდომუ“, მაგრამ ხმამაღლა კი განაცხადეს, რომ ოპერაცია სპეცანგარიშებიდან დაფინანსდა და შემოთავაზებული თანხა სრულიად ზედმეტია.

„კოკა-კოლას“ ოფისიდან გამოსულები, პირდაპირ ლაღიძის წყლების დასაგემოვნებლად გაემართნენ ოპერთანამშრომლები და თქვენი მონა-მორჩილი ულიბკა“.

# ზედმეტი დოზა

მოგესალმებით. ერთი ამბავი მინდა გიამბოთ. არ ვიცი, სიყვარულის მსხვერპლი დავარქვათ თუ არა ამ ამბავს, მაგრამ ეს მართლა მარადიული გრძნობა დღემდე სტანჯავს ჩემს უახლოეს მეგობარს. იმედია, არ გამიწყრება, მის ამბავს რომ გიყვებით. ჩვენს უბანში ერთი ბიჭი ცხოვრობდა. ჩემი მეგობარი უყვარდა წლების მანძილზე და ეს არავინ იცოდა, გულში ინახავდა. ჩემი მეგობარი კარგი ოჯახიდანაა, დედა ექიმი ჰყავს, მამას ბიზნესი აქვს. ბიჭი არ მოსწონდათ, არ არის ჩვენი ოჯახის შესაფერისიო. მიუხედავად ყველაფრისა, მათ ერთმანეთი უყვარდათ და მალულად ხვდებოდნენ. ერთ დღესაც გოგოს დააგვიანდა და გაიგეს, რომ შეყვარებულთან იყო — საუბრობდნენ და დრო გამოეპარათ. საშინელი ამბავი ატყდა, გოგოს სახლიდან აღარ უშვებდნენ, ძალიან დაიძაბა სიტუაცია. ბიჭი ძალიან განიცდიდა ამ ამბავს, იცოდა, რომ შეყვარებულის ოჯახს არ მოსწონდა. ერთი უბრალო ოჯახიდან იყო, მამა ადრე გარდაეცვალა, დედა საზღვარგარეთ იყო. ასე უპატრონოდ და ეულად გრძნობდა თავს. მალე დიდი უბედურება დატრიალდა — ერთ დღეს შემზარავი ამბავი გავიგე: ბიჭი სახლში იპოვეს გარდაცვლილი. მან თავისი სიკვდილის მიზეზი მიწაში წაიღო საიდუმლოდ. მოგვიანებით ჩემმა მეგობარმა გაიგო ყველაფერი. ის დღემდე ძალიან ცუდადაა. თითქმის ორი წელი გავიდა მას შემდეგ და ეს იარა ვერ მოიშუშა და ვიცი, ვერც ვერასოდეს დაივიწყებს. მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ჩემმა მეგობარმა ამ სიყვარულს თავისი პირადი ცხოვრება შესწირა. მჯეროდა მარადიული სიყვარულის, მაგრამ ასე ძლიერ — არა. დღეს ის გოგო ჩემი შვილის ნათლიაა, დღემდე უყვარს, მეუბნება, სულ ჩემთანააო. არასოდეს მიუტოვებია მისი საფლავი. მისტირის იმ მარადიულ გრძნობას და ვერ ინელებს ამ ტანჯვით მიყენებულ იარებს. ცუდი იცით, რა არის? ძალიან ცუდი სიკვდილითა და სახელით წავიდა ის ბიჭი იმქვეყნად — წამლის ზედმეტი დოზით მოკვდა. ყველამ მიატოვა და მიუხედავად ამ ყველაფრისა, გოგო დღემდე მისი ერთგულია. იცით, ხანდახან ვფიქრობ, მისი ცოლი რომ გამხდარიყო, დღეს ალბათ ის ცოცხალი იქნებოდა. სახელებს განგებ არ ვასახელებ. უბრალოდ, ამ პატარა ამბით მინდოდა, ხალხისთვის მეთქვა, რომ ამქვეყნად სილამაზე არა, მაგრამ სიყვარული არსებობს მარადიული. თქვენი ერთგული მკითხველი.

# სიყვარულისთვის გაღებული მსხვერპლი

**მივესალმები ყველა მკითხველს და „გზავნილებს“ საყვედურებით დავიწყებ: აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, რომ გაგაგებინოთ, ჭრელი მესიჯები აღარ გამოგზავნოთ. ხან გეხვეწეთ, ხან გემუდარეთ, მაგრამ... არაფერი გამომივიდა... ლაკვასტ, რატომ არ გეყურება ჩემი ნათქვამი? ნაომი, რა ენაზე ლაპარაკობ ქართულის გარდა, რომ იმ ენაზე მოგმართო? კამ-კამა, შენც გეხება და კიდევ ბევრ სხვას. გული მწყდება, რომ თქვენი კარგი მესიჯები დაუბეჭდავი რჩება. ჰოდა, გაითვალისწინეთ ჩემი თხოვნა (თუ მოთხოვნა) და ნურც მე მანერვიულებთ და ნურც თქვენ დაიწყვეტთ გულს. ახლა კი ის მესიჯები, რომელთა ავტორებმაც ჩემი თხოვნა გაითვალისწინეს და როგორც საჭირო იყო, ტექსტი ისე გამოგზავნეს.**

## მურიანი

„გამარჯობა, პირველად გწერთ და იმედია, ჩემ მიერ მოყოლილი ამბავი მოგეწონებათ. ლექტორთან უნდა ავსულიყავი, სადიპლომოსთან დაკავშირებით. გაზაფხულის სასიამოვნო დღე იდგა და რადგან ბუნებით რომანტიკოსი ვარ, გადავწყვიტე, სამსახურიდან ვაკეში, ლექტორის სახლამდე ფეხით გამესეირნა. ხელში შავი პარკი მეჭირა, წიგნებითა და კონსპექტებით სავსე. ცოტაოდენი მანძილის გავლის შემდეგ დამცხა და ინსტინქტურად, ცხვირსა და შუბლზე ხელების მოსმა დავიწყე, რომ ოფლი მომეწმინდა. მივდიოდი და თან ვამჩნევდი, რომ საკმაოდ უცნაური რამე ხდებოდა ჩემ გარშემო — ხალხი ჩერდებოდა და გაოცებით მიყურებდა. ჩემთვის ვფიქრობდი ან ეს ხალხი გაგიჟდა, ან მე გამოვიყურები ისე ღამაზად, რომ თვალს ვერ მაცილებენ-მეთქი. როგორც იქნა, მივაღწიე დანიშნულების ადგილამდე, დავრეკე კარზე და... ისმის ჩემი ლექტორის შეშინებული წივილ-კივილი. მე გაოცებული სახით ვდგავარ კარში და გულში ვფიქრობ, ამას მაინც რა მოუვიდა-მეთქი? როგორც იქნა, მოითქვა ქალმა სიცილისგან სული, ჩამკიდა ხელი და მიმიყვანა სარკემდე. ჰოი, საოცრებავ, შავი პარკის მთელი საღებავი სახეზე მქონდა გადასული. დედას გოგო“.

## გამოცხადება

„ღამისთევით ვიყავით შიომღვიმეში. ნასვამია ყველა. ერთს ძილი მოერია და შიგნით, ტაძარში უნდა დავიძინოო. ვერ გადავათქმევინეთ. ეკლესიაში, კარიდან მარჯვნივ, ქვემოთ, განიერი ნიშივითაა, იქ მოთავსდა და დაიძინა. როცა ჩაეძინა, მივეპარე, კარის უკან დავიმალე და დაბალი, ბოხი და დაგუდული ხმით ჩავძახე: „გაადიიი გარეეეეეეთ, გაადიი გაარეეეეთ“. გამოეღვიძა, მიიხედ-მოიხედა. ბნელოდა და შეეშინდა. გავიდა გარეთ, ცეცხლთან დაჯდა დაქლიავებული და დაშოკილი სახით, ლოცვანი მოითხოვა და კითხვა დაიწყო, ჩუმად, თავისთვის. მეც მივედი, რა ხდება-მეთქი? ვკითხე. — არცრა, უნდა დამეჯერებინა შენთვის, ეეეჰ! დაამატა და პირჯვარი გადაიწერა — „დიდება უფალს“, — გაიძახოდა შეშინებული, დილამდე“.

## ნანახი ფილმი

„ეკლესიაში ვიყავით. ერთ-ერთი სტუდია იყო მოსული და ვიდეოფილმს იღებდა, პროფესიონალური კამერით. იქვე ერთი საწყალი გლეხი იჯდა და სანთელს ჰყიდდა. ვიდეოოპერატორი გადასაღებად მიუახლოვდა. მესანთლემ ჰკითხა, კამერის ყიდვა მინდა და მასეთი რა ღირსო? ეს პროფესიონალურია, არ გამოგადგება, ჯობს, სამოყვარულო იყიდოთ, 1000 დოლარამდე დაგიჯდებათო. კიიი, ვიციი კამერები, მე მასეთი მინდა, პატარაო, — უთხრა მესანთლემ. ბატონო, — უპასუხა ოპერატორმა, — ეს კამერა 6 ათასი დოლარი ღირს და 3-მატრიციანიაო. ჰო, ჰოოოო, ვიცი კაცო, ეგ ფილმი მინახავსო, — უპასუხა მესანთლემ“.

## ალის მსხვერპლი

„შატილში ვიყავით, ზაფხულში. ერთ საღამოს, ხატის ველზე, ჩვენს კარავთან სუფრა გვქონდა გაშლილი და ვქეიფობდით, ჩვენ და შატილელები. თამადად ხევისბერი იყო, რა თქმა უნდა. სადღაც შუაღამისას იყო მიღწეული და უცებ მოვარდა აქოშინებული არდოტელი თუ ხონიჭალელი ხევსური და გაჰკივის, ალი მომდევს, ალი მომდევსო. ხევისბერმა არაყი მიაწოდა და დააწყნარა, დაამშვიდა... — აბა, როგორ იყო, მაგვიყევო. სტუმარი ჰყვება: ბარისახოდან ფეხით მოვდივარ, ლებაისკარსა შამამაღამდა და ვიფიქრე, კოშკსა ავალ, ღამესა აქა გავათენებო, ჰოდა ფანარ ავანთე, რომ ადგილი მენახა დასაწოლად და უცებ, ალი გამამეცხადა და ნაზი ხმით მეუბნება, ჩააქრე ფანარიო. ჰოდა, შემეშინდა და გამავიქეც, სულ სირბილით მოველ აქამდეს (ეს მანძილი 18 კილომეტრია). ამის შემდგომ, ხევისბერმა სუფრა ისევ გააგრძელა და გამთენიისას დავიშალეთ. შეშინებული სტუმარიც დამშვიდდა და წავიდა. მეორე დილით ტურისტული „სასტავი“ ამოვიდა თბილისიდან, რამაც ძალიან გაგვახარა. მასპინძლობა გავუწიეთ და ჩვენ გვერდით დავაბანაკეთ, საღამოს კვლავ სუფრა გავშალეთ და მოვიწვიეთ. შემოგვიერთდნენ, ცოტა ხნის შემდეგ ერთ-ერთი იმათგანი გვეკითხება, ეს ხევსურები ცოტა ხომ არ უბერავენ? წუხელ შემოგვაღამდა და ლებაისკარში, კოშკში დავრჩით ღამის გასათევად. გვეძინა, როცა ვიღაც კაცი შემოვიდა და თვალებში ფანარი მოგვანათა. ჰოდა, ერთმა გოგომ უთხრა, ფანარი ჩააქრეო. ამის თქმა და ეს ხევსური გადახტა ყვირილით და გაჰკიოდა, მიშველეთ ხალხნო, ალი გამომიდგაო“.

## სიყვარულის პატარა ამბავი

„დილით ნინო კარზე კაკუნმა გააღვიძა. კარი რომ გააღო, იქ უკვე აღარავინ იყო. ზღურბლზე თეთრი ბარათი ეგდო. ნინომ ბარათი გახსნა და ირაკლის ნაწერი იცნო. ტექსტი სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით გადაიკითხა. „ნინო, ჩემო სიცოცხლევ, ვიცი, რომ გუშინ საღამოს გაწყენინე და გული ძალიან გატკინე. გთხოვ, მაპატიე! ეს აღარ განმეორდება. მე დღეს საზღვარგარეთ მივემგზავრები. ვიცი, გაგიკვირდება, მაგრამ ვერ გავბედე თქმა, არ მინდოდა გენერვიულა. მინდა, რომ ბედნიერი იყო და ჩემ გამო აღარასოდეს იტირო. შენი ცრემლები ტანჯვას მაყენებს. გთხოვ, ყველაფერი მაპატიე, ჩემო დედოფალო! მიყვარხარ და მეყვარები, ბოლო ამოსუნთქვამდე. მშვიდობით!

მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად!

ირაკლი“.

ნინომ წერილი დაკეცა, ცრემლი შეიმშრალა, თავი ხელებში ჩარგო და გაირინდა.

— ღმერთო ეს რა ვქენი, ეს რა ჩავიდინე, ჩემი სულელური ეჭვიანობით საყვარელი ადამიანი დავკარგე, ახლა რა მეშველება? როგორ მოვიქცე ან სად გაემგზავრა და რატომ დამიმალა? — კიდევ დიდხანს იჯდა ასე გარინდებული. შემდეგ წამოდგა, ტელეფონი აიღო და ირაკლის მობილურზე სცადა დარეკვა, მაგრამ არავინ უპასუხა. მერე სახლში დარეკა ირაკლის დედასთან:

— ალო, გისმენთ!

— გამარჯობა, ქალბატონო თამარ, ნინო ვარ!

— ნინო?! — გაუკვირდა თამარს.

— დიახ, ნინო, ნინო ავალიანი, ირაკლის ჯგუფელი. ჩვენ ერთად ვსწავლობთ, ინსტიტუტში.

— ა, ნინო, როგორ ხარ, გენაცვალე?

— ხომ ვერ მეტყვით, ირაკლი სად არის?

— დღეს დილით ესპანეთში გაემგზავრა.

დაეცე, რომ მასთან ფიზიკური კავშირი დაამყარო. ჰო, ვნება ოხერი რამაა, ისეთ რამეს გაგაკეთებინებს, რომ მერე საკუთარი თავის შეგრცხვება, მაგრამ ამ ვნებას უნდა მოერიო, ამან არ უნდა დაგაბრმაოს... მამას თუ არა, დედას მაინც უთხარი სიმართლე, თორემ ეგ ბიჭი ყველაფერზე წამსვლელია; მან მამაშენი არაკაცად ჩათვალა, შენს დას კი ცხოვრება დაუნგრია (ნუ, არ ვიცი, თავად ასე ფიქრობს თუ არა). შენს მშობელს უფლება აქვს, სიმართლე იცოდეს. ღმერთი გფარავდეს, გკოცნი“.

**ნატალი 37:**

„ირაკლი არაკაცია და მაგრად უნდა მიიჟეჟოს. რაც შეეხება ანას, ის ისეთი თავხედი ჩანს, ცხოვრებაში არ დაიკარგება. მგონი, არ ღირს, მშობლებმა მისი საქციელის შესახებ გაიგონ. ნუ დარდობ. გკოცნი“.

**მისტერ:**

„ანა გზას კი არა, უკვე ბორდიურსაც ასცდა. თუ არ გინდა, შენს დაბანილ (ან დაუბანელ) კისერზე ახალგაზრდა ბიჭის ცოდვა „დაიკიდო“, მამიკოს არაფერი უთხრა და ენა ჯერ კუჭში, შემდეგ მუცელში ჩაიგდე. P.S. მხოლოდ ეჭვიმტანილებს კი არა, შენც გაქვს დუმილის უფლება“.

**გოგონა გარეუბნიდან:**

„იცი, რჩევა როდის უნდა გეკითხა? ვიდრე საქმე სექსამდე მივიდოდა. ახლა უკვე გვიანია და ვერაფერს შეცვლი. ჰო, კიდევ, ისეთი რამ არ გააკეთო, რასაც მერე ინანებ და რაც შენს დას დააზარალებს. აბა, მის ადგილას წარმოიდგინე თავი. ზურგს ნუ შეაქცევ, მას შენი თანადგომა სჭირდება. იცოდე, უმიზეზოდ არაფერი იწყება და უშედეგოდაც არაფერი მთავრდება. ფაქტი სახეზეა“.

**თამუნა:**

„მამაშენის მეგობარს ანასთან სექსი არ უნდა ეკადრებინა. რთული ამბავია. იქნებ, ცოლად შეირთოს... ასეა, განებივრებული მამიკოს შვილები მშობლებს ათას საწუხარს უჩენენ! მამაშენს ეს ამბავი რომც უთხრა, არ დაიჯერებს, ამიტომაც ჯობია, ყველაფერი თავად მოაგვარონ“.

**რუსპირი (YELLOW):**

„შენი და ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ ორგანიზაცია „იდსქოს“ ოფიციალური წარმომადგენელია. 18 წლის გოგო, რომელსაც მამაკაცის მოფერება სწყურია და ამას მამის ძმაკაცთან, თანაც — საკუთარ სახლშივე გააკეთებს, მთლად ნორმალური არ უნდა იყოს. შენს ადგილას საკუთარ თავზე უფრო ვიდარდებდი, რადგან შენდაუნებურად, იმ ცოდვის თანამონაწილე გახდი, რომელსაც შენი და სჩადის. სიმართლე მაშინ უნდა გეთქვა, როცა ყველაფერი დაინახე. ისე, თუ ირაკლიმ ანა ცოლად შეირთო, უფლისთვის მადლობის მეტი არაფერი გეთქმის. აი, შენი მესიჯის ბოლოს დაწერილმა სიტყვებმა: — „ჩემი და რომ გზას ასცდეს, მერე“ — ირონიით გაჟღენთილი ღიმილი ამაწება სახეზე. ისე გეშინია, შენმა დამ გზიდან არ გადაუხვიოს, თითქოს მთელი ცხოვრება მხოლოდ სწორი გზით ევლოს. P.S. რაც შეეხება „იდსქოს“, ეს ახალი ორგანიზაციაა, რომლის სახელწოდებაც ასე იშიფრება: „იდიოტ და სულელ ქალთა ორგანიზაცია“.

**სვანის ასული:**

„შეიძლება, მშობლებს სიმართლე პირდაპირ არ უთხრა და გული არ გაუხეთქო, მაგრამ როგორმე აუცილებლად მიანიშნე, რომ შვილს ბრმად არ უნდა ენდონ, რომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ და გააკონტროლონ. ქართული რეალობისთვის მამის ძმაკაცის შეყვარებაც კი, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენელია, მაგრამ ცოლად რომ შეერთო, კიდევ ჯანდაბას... რადგანაც ფიზიკური ურთიერთობა უკვე ჰქონდათ, გამოდის, რომ ანას უაქტიურია. ვწუხვარ, მაგრამ წინ იმედგაცრუება გელის“.

**წყევლა:**

„ჰმ, გამეცინა. შენი და გზას აცდენილი კი არა, ყოველგვარ ზნეობრივ პრინციპებს აცდენილი ადამიანია. ახლა რა გინდა, ანა ახალგაზრდა, ცანცარა, სიმპათიურ და კეთილსინდისიერ კაცს მიათხოვო? იმსახურებს, რო? აიძულე, ყველაფერი აღიაროს. მამაშენმა უნდა იცოდეს, რომ მეგობრის არჩევაში შეცდა და მისი ნებიერა მატრაკვეცა კი არა... კარგად ვიცი, მასეთ ქალებს რასაც ეძახიან, მაგრამ ახლა თავს შევიკავებ“.

**იკუშკები:**

„მესმის, რომ ზნეობრივად მიუღებელ საქციელს შეესწარი, მაგრამ ერთ რამეს გეტყვი: თავი დაანებე, მათ საქმეში ნუ ჩაერევი. მართალია, საქმე შენს დას ეხება, მაგრამ ის სრულწლოვანია და საკუთარ თავზე პასუხისმგებელიც თავადაა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მშობლებს უნდა გაუფრთხილდე. მამაშენმა ირაკლი მართლა რომ მოკლას, მერე რას იზამ? თავს ხომ ვერასდროს აპატიებ, მას სიმართლე რომ გაუმხილე... ან სულაც, შეიძლება თავი მოიკლას, ოჯახში ასეთი კაცი რომ შემოიყვანა, ჰოდა, ამიტომაც ჯობს გაჩუმება. ჩემო კარგო, რომ არა ირაკლი, შენი დის ცხოვრებაში სხვა ვინმე იქნებოდა. შეეცადე, თავი შეიკავო, თორემ რაიმე უბედურება რომ დატრიალდეს, ამას საკუთარ თავს ვერასდროს აპატიებ და მთელი ცხოვრება სინანულის განცდა დაგტანჯავს“.

**მაიკო:**

„კარგი გოგო ყოფილხარ, დის ამბავს ასე რომ განიცდი. ვფიქრობ, მშობლებს სიმართლე აუცილებლად უნდა უთხრა, რადგან შენ და ანას შესაძლოა, სხვა დროსაც მოგიხდეთ შინ მარტო დარჩენა, ჰოდა, თქვენთან ისევ ირაკლი რომ დატოვონ და იგივე განმეორდეს, მერე რას იზამ? სიმართლის თქმა იმისთვისაც აუცილებელია, რომ მამა ირაკლის აღარ ენდოს“.

**შავი მარგალიტი:**

„მართლაც, რთული სიტუაციაა. ადრე თუ გვიან, მშობლები ამას მაინც შეიტყობენ და აჯობებს, ყველაფერი შენგან გაიგონ. შეიძლება ანა გაგიბრაზდეს, მაგრამ მერწმუნე, მისთვისაც ასე აჯობებს. წარმატებები!“

GRAZY GIRL:

„საყვარელო, მაპატიე, მაგრამ შენი და უკვე ასცდა გზას. აი, შენ კი გეტყობა, ღირსეულად ცხოვრობ და ასე გააგრძელე! ამ თემაზე მოძღვარს დაელაპარკე, ის უკეთ გირჩევს, როგორ მოიქცე. აბა, შენ იცი, ღვთის წყალობას გისურვებ!“

**მარია:**

„მდაააა... გადასარევი ამბავია, რა. ძალიან ვწუხვარ, ჩემო კარგო, ასეთი რამ რომ შეგემთხვა. რა თქმა უნდა, მამას ყველაფერი უნდა უამბო. აბა, შენი დის აღვირახსნილობას უნდა უყურო? კარგად მისაბეგვები არიან და ეგ საქმე მამაშენს მიანდე. იცოდე, აუცილებლად უთხარი, თორემ უარესი მოხდება“. ■

## „რომ დავკარგო, თავს მოვიკლავ...“

**ბაჭია:**

„ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ. შეყვარებული მყავს, რომელიც ადრე ქალების „მუსუსი“ იყო. მან სიყვარული იმით დამამტკიცებინა, რომ ლოგინში ჩამიწვინა, შემდეგ კი მობილური ტელეფონის „კარტა“ მომცა, — ჩემი ქალები თვითონ მოიშორე თავიდანო. ახლა ერთ-ერთმა მისმა ძველმა „ლოვემ“ ჩვენ შორის ჩადგომა სცადა — მწერს, ჩემთან გღალატობსო და ექსშეყვარებულის „ესემესებს“ მიგზავნის; ჩემი „ლოვე“ კი უარყოფს, — არ მიმიწერიაო. არ ვიცი, რომელს დავუჯერო. შეყვარებული ძალიან მიყვარს და რომ დავკარგო, თავს მოვიკლავ. მირჩიეთ, როგორ გავარკვიო სიმართლე? ნერვიულობამ დამასუსტა. გთხოვთ, დამიბეჭდეთ და მირჩიეთ რამე“.

*P.S.* ***მაშ ასე თუ ბაჭიას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*** ■

# „ჯარში ქალის ადგილი არ არის“

## „საქართველოს კიდევ ერთი გმირი ქალი ეყოლება“

**„გზის“ №46-ში დაიბეჭდა 18 წლის მარის მესიჯი. გოგონა გვწერდა, რომ ჯარში უნდა წასვლა, მაგრამ ვინაიდან მისი არჩევანი ბევრს არ მოსწონს, ამისგან თავს იკავებს. მარი ჩვენს მკითხველს რჩევას სთხოვდა და ეკითხებოდა: ჯარში რომ წავიდე, თქვენი აზრით, ამაში ცუდი რა არისო?..**

*ლიკა ქაჯაია*

**უცნობი:**

„ძვირფასო, შენ ზრდასრული ადამიანი ხარ და რაც გინდა, ის უნდა გააკეთო“.

**მარია:**

„ჩემო კარგო, მეც ანალოგიური სურვილი მქონდა და არც მე დამრთეს ნება, გარკვეული ხნის მერე კი თავად „გადამინდა“ :)). ცუდია, ჯარში ქალის ადგილი რომ არ არის“.

**კუსა:**

„სიმართლე გითხრა, მსგავსი სურვილი ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ ამ პროფესიაში ცუდსაც ვერაფერს ვხედავ. შენ სრულწლოვანი, ჩამოყალიბებული ადამიანი ხარ და უფლება გაქვს, თავად გადაწყვიტო, რა გინდა. ვინც შენს ამ სურვილს უარყოფითად უყურებს, მას დაელაპარაკე და უთხარი, რომ ეს შენი მოწოდებაა. იმედი მაქვს, გაგიგებენ, მაგრამ თუ თხოვნამაც არ გაჭრა, შენსას მიაწექი. მგონი, ჩვენს სამშობლოს კიდევ ერთი ჯარისკაცი არ აწყენდა. აბა, შენ იცი, წარმატებები!“

**რუსსპირი (YELLOW):**

„ჩემო მარი, ერთია შენი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებდე და მეორე — მაქსიმალისტი იყო. მეც იმ ქართველი მამაკაცების რიცხვს მივეკუთვნები, ვისაც ქალი ჯარში ისევე ვერ წარმოუდგენია, როგორც — ქვრივი ქალიშვილი. სხვა პროფესიაზე იფიქრე და ამ ნათქვამს ნუ მიწყენ, ანკესზე წამოგებულ თევზს ნუ დაემსგავსები. P.S. „როლიკებიანი“ ჟირაფის დანახვისას ხომ გაგეცინება? საქართველოში ვართ“.

**თეო, მწყერი:**

„ჯარში წასვლა რომ გინდა, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ქალები ნაზი არსებები ვართ და ეს პროფესია არ გვიხდება, მშობლებს ამ საქმისთვის არ გავუჩენივართ. ცოტა უფრო მსუბუქი რაღაც აირჩიე“.

**გრუზინკა:**

„სხვების აზრს ყურადღება ნაკლებად მიაქციე. თუ გინდა, ჯარში აუცილებლად უნდა წახვიდე. აბა, რით ვართ გოგონები ბიჭებზე ნაკლები? ყველას დაუმტკიცე, რომ მაგარი გოგო ხარ“.

**ჯ.ხავი:**

„შენი არჩევანი მისასალმებელია, მაგრამ იმისათვის, რომ ჯარში იმსახურო, მხოლოდ მონდომება არ კმარა, მზად უნდა იყო როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურადაც... ისე, ამ საკითხთან დაკავშირებით რჩევა მას უნდა ჰკითხო, ვინც შენც კარგად გიცნობს და ამ სფეროშიც ერკვევა. პატივისცემით“.

**ლუნა:**

„ოჰ, მარი, მარი, თავში ქარი გიქრის, რა. აბა, რეებს მიედ-მოედები, არ გრცხვენია? ქართველ ქალს ეგ გეკადრება? ჯარი რა ქალის საქმეა? ქალმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს. ბიჭი რომ ვიყო, შენნაირ გოგოს ზედაც არ შევხედავდი. P.S. პირდაპირობა მაპატიე. გაკოცე“.

**სვანის ასული:**

„შენს სურვილს რატომ უყურებენ უარყოფითად ან სხვების აზრს რას უგდებ ყურს (მეგობრებსა და ოჯახის წევრებს არ ვგულისხმობ)?! თუ ეს შენი მოწოდებაა, ამაში ფიზიკური მონაცემებიც გიწყობს ხელს და ყველაფერი კარგად გაქვს გააზრებული, იცი რას ნიშნავს ბეწვის ხიდზე სიარული, მაშინ მიზნის მისაღწევად იბრძოლე (და არა მატერიალური დაინტერესების გამო), მერე კი შენებიც ყველაფერს შეეგუებიან. წარმატებებს გისურვებ!“

**გადარეული:**

„ისე, ჯარი რა გოგოს საქმეა? მართლაც, „ჯარისქალებზე“ ცუდს ბევრი ფიქრობს და სხვების მსგავსად, მანდილოსანი მეც „კუხნაში“ ვიცი“.

**ზურიკელა:**

„ქალს ჯარში რა უნდა? სახლში დაეტიე, საოჯახო საქმეები ისწავლე. მოკლედ, ქალი ქალს აღარ ჰგავს და კაცი — კაცს“.

**ანასტასია 23:**

„სხვა სადარდებელი არ გაქვს? არა მგონია, დასახმარებელი რამე გჭირდეს. თუ წასვლა გინდა, წადი, რა. ჯარში წასვლაში ვერც ერთი მგზავნელი ვერ დაგეხმარება“.

**უცნობი:**

„იმაში, რომ ჯარში წასვლა გინდა, ცუდს ვერაფერს ვხედავ. ფორმის ჩაცმა და ჯარში წასვლა ჩემი აუხდენელი ოცნებაა“.

**მაიკო:**

„ძალიან კარგად მესმის შენი. 14-15 წლის ვიქნებოდი, როცა მსგავსი სურვილი პირველად გამიჩნდა. ჩემი ძმა კადეტთა კორპუსში სწავლობდა და ჯარისკაცების საქმიანობით აღფრთოვანებული ვიყავი, მაგრამ მერე ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ სურვილი ვერ ავისრულე და უკვე 2 შვილის დედა, ამას ძალიან ვნანობ. ასე რომ, ჩემო კარგო, სანანებელი რომ არ გაგიხდეს, შენსას ბოლომდე მიაწექი. იმედია, შენი სახით საქართველოს კიდევ ერთი გმირი ქალი ეყოლება. წარმატებებს გისურვებ!“

**ჩილო:**

„ცოტა ხნის წინ მეც მინდოდა ჯარში წასვლა, მაგრამ გადამაფიქრებინეს. ისე, რომ დაუფიქრდე, გოგოს ჯარში წასვლა სისულელეა: ქალი ნაზი არსებაა, ამ სამსახურს კი ძლიერი ადამიანი სჭირდება; თანაც — ჯარში წასული არც ერთი გოგო შინ ქალიშვილი არ დაბრუნებულა“.

**ფიფქია:**

„ოოო, ნაცნობი სიტუაციაა. ერთ დროს გულისწასვლამდე მინდოდა ჯარში წასვლა, მაგრამ მერე ცოტა ჭკუა მომემატა და ამ სურვილმაც გადამიარა. თან ვნახე, როგორ დახოხავდნენ გოგონები სველ და ტალახიან მიწაზე, ჰოდა, როცა საკუთარი სახე მაკიაჟის ნაცვლად, ტალახით გათხუპნილი წარმოვიდგინე, ამით ნამდვილად ვერ აღვფრთოვანდი. რა ვიცი, რა ვიცი, კარგად დაფიქრდი და გადაწყვეტილება შემდეგ მიიღე. წარმატებები!“

**თუნთა:**

„მეც მგონია, რომ ჯარში წასვლა კარგია. სხვებს რომ უსმინო, შენსას ვერასდროს მიაღწევ. მართალია, ამ აზრს ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ამას ბევრი პოზიტიური მხარეც აქვს. მაინც სცადე და არ წააგებ. გოგონები გამტანები უნდა ვიყოთ. შენსას მიაწექი“. ■

## „მამის მეგობარმა ჩემზე ძალა იხმარა...“

**უცნობი:**

„გამარჯობა. მე სოფო ვარ, თქვენი რუბრიკის ერთგული მკითხველი და ძალიანაც მომწონს. მინდა, ჩემ შესახებ გიამბოთ. ერთ ზაფხულს მამის სოფელში, დასასვენებლად წავედი. არდადეგები რომ დასრულდა, მამას რაღაც პრობლემა შეექმნა და ჩემს ჩამოსაყვანად ახლო მეგობარი გამოუშვა, რომელიც 42 წლისაა. თბილისში რომ მოვდიოდით, გზად დალია, მანქანა გადააყენა და ჩემზე ძალა იხმარა, მერე კი დამემუქრა: ეს არსად თქვა, თორემ ოჯახს ამოგიჟლიტავო. მას შემდეგ ხშირად იყენებს ჩემზე ძალას. სხვათა შორის, ცოლ-შვილიც ჰყავს... ახლა მისგან დავორსულდი კიდეც და აღარ ვიცი, რა ვქნა. სიმართლის თქმის მეშინია, მართლა რომ დამიხოცოს ახლობლები, მერე?... რას მირჩევთ?“

*P.S. **მაშ ასე, თუ უცნობის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*** ■

# „ნუ მისცემ ქმარს უფლებას, გაგთელოს“

## „თუ გცემს, მისგან უნდა წამოხვიდე“

**„გზის“ №46-ში დაიბეჭდა ნატალის მესიჯი. ის გვწერდა: „18 წლის ასაკში გავთხოვდი. ქმარი ლოთია და მცემს. ღამე ვმუშაობ და ფულსაც მართმევს, დედ-მამა კი სახლში აღარ მიშვებს. აღარ ვიცი, რა ვქნა“.**

**ქეთი:**

„თუ სხვა გამოსავალს ვერ ხედავ და თანაც — მუშაობ, გაშორდი. სჯობს გაიჭირვო, ვიდრე ამდენი ცემა-ტყეპა აიტანო. სადმე იტალიურ ეზოში, ერთოთახიანი ბინა იქირავე (იაფი დაგიჯდება) და როგორმე, ერთი ლუკმა პურის ფულს იშოვი, მერე კი თანდათანობით, ცხოვრებას აიწყობ. ახალგაზრდა ქალმა მაგ საქონელს თავი რატომ უნდა შეაჭმევინო? როცა გცემს, მაშინ ხელები რატომ არ ემტვრევა? ძალიან მეცოდები და გულწრფელად გეუბნები: დაშორდი. მერე ალბათ, მშობლებიც შეგიცოდებენ და დაგეხმარებიან“.

**გუგუ:**

„ქმარი თუ გცემს, მისგან უნდა წამოხვიდე. მუშაობა გააგრძელე და ცხოვრება აიწყვე, შენ ამას შეძლებ. იცოდე, თავი არავის დაარაგვრინო. წარმატებებს გისურვებ!“

BLOODY-END:

„მესმის შენი. მართალია, გათხოვილი არ ვარ, მაგრამ ძალიან ეჭვიანი შეყვარებული მყავს, ნამდვილი პათოლოგია. რა ვქნა, მიყვარს და ვერ მივატოვებ. ალბათ, შენც ასე ხარ...“

**ანასტასია 23:**

„ჩემო კარგო, დედამ ლოთ ქმარს მთელი ცხოვრება შეალია იმ იმედით, რომ გამოსწორდებოდა, მაგრამ კუზიანს სამარე თუ გასწორებს. მოსაშორებელი ჭირი უნდა მოიშორო“.

**ნატალი 37:**

„საკუთარი ბედნიერებისთვის იბრძოლე და მშობლები მიახვედრე, რა დღეშიც ხარ. წარმატებები!“

SUPER LADY:

„ვიცი, რასაც განიცდი და ძალიან მეცოდები. მშობლებს დაელაპარაკე და აუხსენი, რომ იტანჯები, რომ მეტის ატანა აღარ შეგიძლია. პირველ რიგში, შენ ქალი ხარ...“

**ტიდო-ტიდო:**

„ჩემო კარგო, მესმის შენი. გირჩევ, ქმარს გაშორდე, ის უსინდისო შენს სიყვარულს არ იმსახურებს. ბინა იქირავე ან დახმარება მშობლებს სთხოვე. მჯერა, ისინი აუცილებლად გაგიგებენ. აბა, ჰე, წარმატებები“.

**გადარეული:**

„გაშორდი და შენ შენთვის, ის — მისთვის... ისე, ღამე სად მუშაობ ან მშობლები რატომ არ გიშვებენ სახლში? რა ვიცი, რა ვიცი...“

**ზურა:**

„თავად ამბობ, — ღამით ვმუშაობო ანუ შეგიძლია, საცხოვრებლად ცალკე გადახვიდე, მერე მშობლებიც შეგირიგდებიან. დამიჯერე, შენთვის ასე აჯობებს. ჯერ ახალგაზრდა ხარ, თავს ნურავის დაარაგვრინებ. ძმა ან ისეთი ნათესავი ბიჭი არ გყავს, შენს ქმარს რომ დაელაპარაკოს? თუ გინდა, შემეხმიანე“.

**სვანის ასული:**

„შეცდომა უკვე დაგიშვია და აღარ ვიცი, რა ვთქვა. ერთი შეხედვით, უიმედო სიტუაციაა, მაგრამ იქნებ გამოსავალი არსებობს?.. ქმრის გამოსწორებას უნდა შეეცადო, თუმცა საეჭვოა, რაიმე გამოგივიდეს... იქნებ მშობლებს მოულბეთ გული და მიგიღონ. მიუხედავად ურჩობისა, ალბათ, შეგირიგდებიან“.

**ლუნა:**

„თუ ქმარი უმიზეზოდ გცემს და მისგან ასეთ შეურაცხყოფას არ იმსახურებ, შეგიძლია თავი დაიცვა. მშობლები თუ არა, რომელიმე ნათესავი მაინც დაიხმარე, ეგ შენი ქმარი კარგად „დაამუშავებინე“. ძალიან მაინტერესებს, ღამით სად მუშაობ? დედ-მამას არა აქვს უფლება, გასაჭირში მყოფი შვილი მიატოვოს. რა, გული არ აქვთ? ასე რატომ გექცევიან? არ ვიცი, რა გითხრა. ნუ მისცემ ქმარს უფლებას, გაგთელოს და როგორც ქუჩის ქალს, ისე მოგექცეს. ღმერთი იყოს შენი მფარველი“.

**მაიკო:**

„შენს მშობლებს გული არ აქვთ? რა იყო, ვინ არ გათხოვილა 18 წლის ასაკში, ამის გამო როგორ მოგიძულეს? ან ძმა არ გყავს, ან დეიდაშვილი, ბიძაშვილი ან თუნდაც, მეგობარი? როგორ დავიჯერო, რომ არავინ გყავს ისეთი, ვინც რაიმეს გირჩევს? მასეთი ქმარი რაში გჭირდება, მით უმეტეს, რომ სამუშაოც გქონია და თავის დამოუკიდებლად რჩენა შეგიძლია. დამიჯერე, არაკაცის გვერდით ცხოვრება არ ღირს. წარმატებებს გისურვებ!“

**ანუშკეგი:**

„ძვირფასო, რაღა რჩევა გინდა? — აუცილებლად უნდა გაშორდე! თავიდან გაგიჭირდება, მაგრამ... მიდი, დაშორდი!“

**გრუზინკა:**

„ადრეულ ასაკში არ უნდა გათხოვილიყავი. თუ სამუშაო გაქვს, ქმარს გაეყარე და ქირით იცხოვრე. საკუთარ თავს ისედაც ინახავ და ეს ლოთი ქმარი რა ჭირად გინდა?“

**კუსა:**

„ვაი, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ყოფილხარ. ქმართან დაშორებაზე არ გიფიქრია? რა ძალა გადგას, მაგას რომ „აჭმევინებ“ ნერვებს? რაც შეეხება შენს მშობლებს, მათ ყველაფერი აუხსენი და არა მგონია, ვერ გაგიგონ... მაგრამ თუ სიტუაცია არ შეიცვლება, ბინა იქირავე და საკუთარ თავს მიხედე, ადრე თუ გვიან დედ-მამა მაინც მიგიღებს, დამიჯერე. არ ინერვიულო, ცხოვრება გრძელდება. წარმატებები!“

**უცნობი:**

„თუ შენი ქმარი ლოთია და თანაც — გცემს, ადექი და დაშორდი. ბავშვთან ერთად, ნაქირავებში გადადი, თან — სასამართლოში შეიტანე განცხადება, განქორწინების შესახებ; უბნის რწმუნებულთანაც მიდი, შენს გასაჭირზე დაელაპარაკე და ის დაგეხმარება“.

**აურა:**

„18 წლის გოგოს ლოთი კაცის გვერდით რა გაჩერებს, მით უმეტეს — რომ გცემს? ორი აზრი არ არსებობს, უნდა დაშორდე! იმუშავე და მისგან შორს იცხოვრე. მასთან გატარებული დღეები დაივიწყე“.

**მარია:**

„ეს რა მოგვწერე, ქალო. აბა, რა გირჩიო? ქმარს თავს როგორ აცემინებ? ადექი და უჩივლე ან ვინმე შენიანს ისე აცემინე, რომ გონს მოეგოს... და ეს „ღამე ვმუშაობ“ იმედია, პირდაპირი მნიშვნელობით თქვი... მშობლებს აღარ გაგილანძღავ, თუმცა ამის სურვილი ნამდვილად გამიჩნდა“.

**რუსპირი (YELLOW):**

„შემექმნა შთაბეჭდილება, რომ შენში 2 ქალია: ერთს სურს, ცხოვრებისგან მიიღოს გზნება, სიხარული, თავგადასავლები, მეორეს კი მშვიდი ყოველდღიურობის, ოჯახური ცხოვრების მონობა სურს ანუ მონობა იმ ყველაფრის, რაც შეიძლება დაგეგმო და განახორციელო. საუბედუროდ (თუ პირიქით), ორივე ქალი ერთ სხეულში ვერ იცხოვრებს და საკუთარი მედან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა გაასახლო. ჩემი აზრით, ქალის საკუთარ თავთან შეხვედრა საინტერესო თამაშია, მაგრამ ამავე დროს — სახიფათოც. ეს ღვთაებრივი ცეკვაა... შენმა მონაყოლმა უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა გამიჩინა: ღამღამობით სად მუშაობ? მშობლებმა ზურგი რატომ გაქციეს? ქმარი რატომ გცემს? ფაქტია, რაღაც ისეთი ხდება, რასაც არ გვეუბნები და რომც გვითხრა, მაინც ვერაფრით დაგეხმარებით. 18 წლის ასაკში არჩევანი თავად გააკეთე და ახლა საკუთარ ნაბიჯზე პასუხი უნდა აგო. ერთი რამ დაიმახსოვრე: ცხოვრება მეტისმეტად ხანმოკლეა საიმისოდ, რომ თავს ცუდად ცხოვრების უფლება მისცე. P.S. ყველას დიდი მადლობა, ვინც სითბოთი სავსე სიტყვებს არ იშურებს ჩემთვის“. ■

# მობილი-ზაცია

*იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.*

## ქალები

1. ვარ 30-ს გადაცილებული, კარგი გარეგნობის, განათლებული, ეკლესიური გოგო. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 42 წლამდე ასაკის მამაკაცს.

2. ვარ 50 წლის, მარტოხელა ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე ასაკის მამაკაცს.

3. ვარ 37 წლის, სიმპათიური ქალბატონი. ბინით უზრუნველყოფილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 42 წლამდე ასაკის მამაკაცს. დანარჩენი — პირადად.

4. გავიცნობ ყველაფრით უზრუნველყოფილ, სიმპათიურ, ყურადღებიან მამაკაცს. ვარ 37 წლის, სასიამოვნო გარეგნობის.

5. ვარ 31 წლის. განქორწინებული. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით დასაქმებულ, 35 წლამდე ასაკის მამაკაცს.

6. ვარ 32 წლის, ქუთაისში მცხოვრები, დასაქმებული, კარგი მეოჯახე, პატიოსანი, კარგი ხასიათის, მაგრამ ქმარს გაცილებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ შესაფერის მამაკაცს.

7. გამარჯობა, ვარ განათხოვარი, მყავს 2 შვილი. სამეგობროდ გავიცნობ ხალხს. უზრდელები და კაიფარები ნუ მომწერთ.

8. ვარ 50 წლის, მარტოხელა ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წელს ზევით, ასაკოვან მამაკაცს, ასევე მარტოხელას.

9. ვეხმაურები „გზა“ №47-ში გამოქვეყნებულ, რიგით მე-13 მამაკაცს. ვცადოთ. დამიკავშირდი. ნია.

10. ვარ 35 წლის, სიმპათიური ქალბატონი, ყველაფრით უზრუნველყოფილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე ასაკის მამაკაცს. ალფონსებმა თავი შეიკავონ.

11. გთხოვთ, გამომეხმაუროს სერიოზული ურთიერთობის მსურველი, მხოლოდ ქვრივი მამაკაცი, ვისთვისაც ჩემი ტკივილი ნაცნობია. ვარ ქვრივი, ეკლესიური, 43 წლის.

## კაცები

12. ვეხმაურები „გზა“ №43, მე-8 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ტელეფონის ნომერი. წინასწარ გიხდით მადლობას.

13. ვარ ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი. გავიცნობდი 25-დან 40 წლამდე ასაკის მანდილოსანს. გპირდებით, არ ინანებთ.

14. ვეხმიანები ეკას.

15. გავიცნობ 50 წლამდე ასაკის ქალბატონს, მეგობრული ურთიერთობისთვის. ვარ 51 წლის, ინტელიგენტი მამაკაცი. ვცხოვრობ თბილისში.

16. გავიცნობ 17-20 წლის ლამაზ გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 23 წლის, სიმპათიური. ზურა.

17. ვარ 29 წლის, დასაოჯახებელი, გორიდან. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ველი სერიოზულ ზარს.

18. გთხოვთ, დამაკავშიროთ მე-3 ნომერს, „გზა“ №47-დან.

19. გთხოვთ, მომწეროთ 47-ე ჟურნალის, მე-3 განცხადების ავტორის ტელეფონის ნომერი. თენგო.

20. ვარ 28 წლის მამაკაცი, სუსტი აღნაგობის. მშრომელი, არამსმელი, უცოლო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ გოგონას, პატიოსანს. დანარჩენი — პირადად. დათო.

21. ვარ 32 წლის, დასაქმებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-30 წლამდე ასაკის, ლამაზ მანდილოსანს.

## სხვადასხვა

• გემშვიდობებით, ჩემო საყვარელო მგზავნელებო. ჩვენი ჟურნალ „გზის“ ბოლო ნომერში (გვ.85) მგზავნელი გვსაყვედურობს, ერთი და იმავე ხალხმა დამღალა ან დაგვღალა, გთხოვთ გაითვალისწინოთო! ჩემო მიკა, შენ მართალი ხარ, გადამეტებული არაფერი ვარგა. მე ასაკით ყველაზე უფროსი ვარ და მე უნდა მივცე მაგალითი სხვებს. დღეს გემშვიდობებით! სანამ წავალ, მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა: მწოლიარე, გულით ავადმყოფი გახლდით. მოვითხოვე, ახალი ჟურნალი მოეტანათ. მომიტანეს „გზა“, წავიკითხე და მომეწონა, მერე მეორე ნომერი, მესამე... და დღემდე მისი მუდმივი მკითხველი ვარ. იცით, რა სიახლე აღმოვაჩინე „გზაში“? 79 წლის ქალს აქამდე არც ერთ ჟურნალში არ წამიკითხავს მკითხველის გულისთქმა დაბეჭდილი. ეს ჩემთვის დიდი სიახლე და აღმოჩენა იყო. მისი ავტორი მარი ჯაფარიძე აღმოჩნდა, რომელსაც მე უკვე ჟურნალიდან ვიცნობდი. ეს იყო 2009 წლის დასაწყისში. მარიმ მომხიბლა თავისი შემოქმედებით, ცხოვრების მისეული აღქმით, წინადადების წყობით, მისგან გამომდინარე სითბოთი და ნიჭიერებით. სწორედ ამიტომ, პირველი ჩემი სიყვარული ჟურნალ „გზაში“ მარი გახლდათ. ასეც

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |

მივწერე პირდაპირ: „ქალბატონო მარი, თქვენი შემოქმედებით ცოცხალი სამყაროს მშვენება ბრძანდებით და მივაყოლე ლექსი: დავლოცავ მაგ შენს გენიას, დიდებულ საქმეს მიაგნე, ჟურნალში ჟურნალი შობე, გონიერ მგზავნელთ მიანდე. დაგვათვრე შენი სითბოთი, გაგვიღე გულის კარები, მომწონს დედოფლად რომ გთვლიან, მაგ ნიჭში გენაცვალები“. აი, აქედან დაიწყო ჩემი და ჟურნალ „გზის“ მეგობრობა და მგზავნელების სიყვარული. ძალიან მომეწონა ლიმონას ლექსები. გავეცანი მემეს, ემიგრანტს, ტერეზას, ვერძს, მატიტელას, ბერბიჭას, ლუნას მესიჯებს. ბერბიჭა ჟურნალის სამკაული იყო. კელაპტარივით ანათებდა. მის ლექსებს ამკობდა შესანიშნავი რითმა და ხალასი იუმორი. ჩემი სული და გული ბერბიჭა იყო. მისმა წასვლამ გული მატკინა, დღესაც აკლია ჩვენს ჟურნალს მისი ბრწყინვალება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჟურნალს შემოემატა სხვა მგზავნელები და გაფართოვდა ჩემს გულში მათი სიყვარული. მეშინია ჩამოთვლა, ვინმე არ გამომრჩეს და გული არ ვატკინო. მაინც გეტყვით: ჩემი სიყვარულია ზევით აღნიშნული მგზავნელების ჩათვლით: ლაკვასტი, ჯაყისმანელი, კლეოპატრა, რუისპირი, ტირიფი73, 9717, მისირელი, ჭრიჭინა, გიჟპოეტა, გურული, გადარეული, ედელვაისი, შალვა ბაციკაძე, სევდიანი ქალი და სხვა. ულიბკას კი მინდა, ბებია ნინასავით მოვეფერო. გენაცვალოს ნანი ბებო. ჩვენო ჭკვიანო, მართლაც კარგო ჭაბუკო. გენაცვალეთ ყველას. მაინც გამიჭირდება უთქვენოდ, მომენატრებით. გამიხარდა მის რეალის დაბრუნება. ყველა — ყველა, მაგრამ, შენ, ჩემო მარი, შენ როგორ შეგელიო, მგზავნელების დედოფალო? ერთი გზა დამრჩა. ესემესები პერსონალურად გამოვგზავნო, სხვები რომ არ შეწუხდნენ. ქაჯების დედოფალო, ძალიან ღრმა და შორსმჭვრეტელი გოგონა ხარ. შენი გასაოცარი შინაგანი სამყაროთი ცხოვრებაში შორს წახვალ. მადლობა ჩვენს ახალ მგზავნელს, ნიტას ასეთი თბილი სიტყვებისთვის. ჩემო ნაომი, კარგი გოგონა ხარ, პატივს გცემ, შენს პოზიციებს ღირსეულად იცავ. ჟურნალის ბოლო ნომერში ძალიან მომეწონა ქართული ახალი სიტყვა — მარ, რატომ შ ე მ ო გ ე ჩ ა გ რ ე? ამას გურულის მეტი ვერავინ იტყოდა, ყოჩაღ ქალო, მომწონხარ! დიდებული ენა გვაქვს. მომხიბლა კოღოთოს მინიატიურულმა ჩანახატმა. რადგან გშორდებით ჩემო ახალგაზრდებო, მსურს ცხოვრებაში საგზლად პითაგორას ოქროს შეგონებები დაგიტოვოთ: 1. პატივი ეცი მშობლებს და ახლო ნათესავებს. 2. მეგობრად გაიხადე სათნოებით სხვებზე უკეთესი. 3. იცხოვრე უბიწოდ. 4. ნუ მოიმოქმედებ შენთვის უსარგებლოს, ის აღასრულე, რაც შემდეგ არ დაგტანჯავს. 5. ზომიერად იკვებე, იზრუნე სხეულის სიმრთელეზე. 6. ზომა იცოდე, ნურც მფლანგველი იქნები, ნურც წუწურაქი. 7. ნუ მიეცემი ძილს, ვიდრე თავს არ ჰკითხავ ჩავლილ დღეზე: რა გავაკეთე? რა გამომრჩა? რისი გაკეთება შემეძლო კიდევ? თუ იზარმაცე, თავს უსაყვედურე, თუ იყოჩაღე, საკადრისად შეირგე. 8. სამარცხინოდ ნუ მოიქცევი ნურც ვინმესთან, ნურც მარტოდ მყოფი. 9. კარგად იფიქრე, ვიდრე ნაბიჯს გადადგამ. 10. მიბაძე სხვას ქველმოქმედებაში. პითაგორას შეგონებებს ერთ ქართულ სიბრძნეს მე დაგიმატებთ: ღირსებას კაცურს, ნურავითარ განძში ნუ გაცვლით, სიხარბისაგან, ახალგაზრდებო, პირი იბრუნეთ, სინდისს, რომელსაც ცხოვრებაში გაყიდის კაცი, უკან ათმაგი სიმდიდრითაც ვერ დაიბრუნებთ! ახლა კი, რადგან გედის სიმღერა წაიკითხეთ, მართლა გემშვიდობებით, თქვენი მოსიყვარულე უხუცესი მგზავნელი ნანი დუმბაძე. ბოლოს მაინც მინდა გითხრათ, საყვარელო მგზავნელებო, თქვენ მახალისებდით და თქვენ მაცოცხლებდით აქამდე, ჩვენ ერთმანეთს ვათბობდით სიყვარულით!

• მაარ, როგორ ხარ? ვაიმე, მე რომ ამბები მჭიირს?! მტერსა და ავს... მეცინება, თორემ სატირლად მაქვს საქმე... მოვიარე ეს მოქანდაკეები... ერთი ძეგლს აკეთებდა და ლამის შიგ ჩამაყოლა, ძლივს გამოვასწარი, მთელი 2 დღე ვიბერტყავდი ტანსაცმლიდან თაბაშირს. მეორეს კი გავესაუბრე, მაგრამ ინტერვიუს გარდა ყველაფერს ჰგავს ეს ნაჯღაბნი... გაჩვენებ მაინც... ამით რომ რედაქციაში მოვსულიყავი, იმ მოქანდაკის არ ვიცი, მაგრამ შენ ნამდვილად ჩამაცემენტებდი სადმე...

• პირველად გწერთ და ალბათ უკანასკნელად, თუ არ დამიბეჭდავთ, რა თქმა უნდა. აუუ, მაარ, მინდა გითხრა, რომ მაგარია „გზავნილები“. მეც ჟურნალისტი ვარ და გისურვებ წარმატებებს. ერთად რომ წავალთ ინფორმაციის მოსაპოვებლად, იქ ჩემი მეტოქე იქნები, მაგრამ მე მაინც გეტყვი, რომ მიყვარს შენი რუბრიკა და შენც. მიყვარხართ ყველა... ქოქო.

• ძალიან მინდა თქვენთან მეგობრობა და თუ წინააღმდეგი არ იქნებით, შემეხმიანეთ. ახალი ვარ და მიმიღეთ თქვენს გუნდში. გიჟუა1. თუ არ დამიბეჭდავთ, ე.ი. უარი მითხარით. არადა მართლა გულით მინდა, მეც თქვენსავით მგზავნელი გავხდე. გიჟუა1.

• დათ, ძალიან გთხოვ, გამაგრდი. ჩათვლე, რომ ესეც დიდი გამოცდის ნაწილია და ყველაფერი კარგად იქნება. ყველა შენ გვერდით ვართ. ძალიან მიყვარხარ.

• გამარჯობა, ნინო და მარინე მურჯიკნელებო, აგარიდან. მე ირმა ვარ, თქვენი მამიდაშვილი. სამწუხაროდ, მობილურის ნომერი დამიკარგეს. გთხოვთ, „ოდნოკლასნიკებში“ მნახოთ.

• დე, წმინდა გიორგის მადლი გფარავდეს. დღეს მლეთაში ვიყავი, წმინდა გიორგის ტაძარში. ძალიან გვენატრები და იმედი მაქვს, მალე გნახავთ. ბიჭები კარგად არიან. გკოცნი ბევრს.

• მახო, ქუცუნა, გვენატრები ძალიან. ჩვენ კარგად ვართ, ნეტავ, დარეკვა მაინც შეგეძლოს. გიორგობას გილოცავ, გკოცნი ბევრს. გამაგრდი და გაძლიერდი. გეხუტები. გურია.

• მახო, ქუცუნა, როგორ ხარ? იმ დღეს რომ მხოლოდ გვიღიმოდი, რამე გეჭორავა, რაა... :-) მეორე მოსვლაზე სუფრა შენზე და კასპიდან დამკვრელები, ჩემზე იყოს. :-)

• 030, როგორ ხარ ბაჩი? ჩვენ კარგად ვართ. მეც ვარ, რა, გიორგობას მე და ლალიმ გადასარევად ვინერვიულეთ რა საზიზღარია ეს ცხოვრება... როდის დამთავრდება ეს ჯოჯოხეთი? ბაჩი, ერთ დღეს მოვალთ მე და ლალი. საქმეზე არაფერს გწერ. რომ გნახავ, გეტყვი. ერთი ის ვიცი, მალე რომ დაგიბრუნო, ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის. ვეღარ ვუძლებ უშენობას. გაგეცინება ალბათ და ძალიან ბევრი საწუწუნო დამიგროვდა, სიხარულო. ბებოს კნუტი იყო მოსული. კისერში მკოცნის. ბაბუ რა ვეღარ მოვიდა, ბეე? უნდა ვაკოცო, მოვენატრებოდიო. გძინავს, ბაჩი? ალბათ. გვიანია უკვე. დღეს დათის დამრიგებელი იყო მოსული, ისევ იგივე გოგონებს აწვალებს, რა მოვუხერხო, არ ვიციო. სხვას თუ არაფერს აშავებს, ამის გამო როგორ ვუსაყვედურომეთქი, ვუთხარი. არა, გოგონებიც ოხრები არიან, თვითონ დასდევენ, მაგრამ მე ვნერვიულობ, დათიმ არაფერი მოიწიოსო. დედას ლამაზი ბუშტი. გახსოვს, დედას წერტილს რომ ვეძახდი? თვალები არ აწუხებს, თუ არ იტირა, კარგად აქვს. ცოტა მოიმატა ისევ, ჩემპიონატის მერე აღარც ვარჯიშობს კარგად. კი დადის, მაგრამ ცოტა წაიზარმაცა. თვითონ მიდის, მაგრამ მერე ვაკითხავ. მეშინია, დიდი ბიჭები აღარ დადიან და 7 საათზე უშვებს. ღამეა უკვე. კი მეუბნება, მოვალ მე თვითონო, მაგრამ ხომ იცი, ნერვიულობას მირჩევნია, მივაკითხო. ასე ვართ ბაჩი. ხვალ გნახავ და კიდევ ბევრი მექნება სათქმელი. ნიკო არც თვითონ რეკავს და არც მე ვურეკავ. როგორ მოვიქცე? მითხარი რა ვქნა, ამდენ უნამუსოს რა ენაზე ვესაუბრო? იცი, რა კარგად გავიცანი ხალხი? მჭირდებოდა ვითომ, ამდენი დამენახა? როგორ დავიღალე ბაჩი, იცი? არა უშავს, გავუძლებ როგორმე. ძალიან მინდა შენთან ლაპარაკი, რომ გითხრა, რაც ხდება. ნეტავ, როდის მექნება ამის საშუალება? როდის დამთავრდება ჩემი წამება? ხვალ მოვალ ბაჩი. გაკოცე უამრავი. ბაჩი, კვირაა დღეს. ლალი მოვა ბავშვებთან ერთად, ცოტას გავერთობით. ბევრს ვიჭორავებთ თქვენზე და ასე გავა ეს დღეც. მალე მოვა პარასკევი და გნახავ. გაკოცე უამრავი. დაღამდა ეს დღეც. ცოტა დავლიეთ მე და ლალიმ. ბევრი გადღეგრძელეთ. გეფერეთ შორიდან, ვიჭორავეთ. ახლა სიამოვნებით მოვალთ გლდანში, მაგრამ არა, შენ არ გაგანერვიულებ. შენი სიძე მოვიდა და გავაგრძელეთ დალევა. სიდედრი ხომ იცი, როგორ უყვარს, მაგრამ ესენი რომ წავლენ, მერე ვარ ცოდო, თორემ ახლა რა, ვსაუბრობთ შენზე და დათუნაზე. ბაჩი, ისეთი შეგრძნება მაქვს, მწვადებს შემოიტან და შემოხვალ ეზოდან. სიხარულო, მოკვდები უშენოდ. არ შემიძლია. მიყვარხარ თურმე ძალიან. ისე ძალიან, რომ აღარაფერი არ მინდა. მომენატრე, ჩემო სიხარულო. ბევრი ვისაუბრეთ შენზე. დაგიბრუნებ სიხარულო, მალე. მე მჯერა, უფალი არ გამწირავს. გაკოცე უამრავი, ბაჩი.

• ერთი უცნაური შეკითხვა გამიჩნდა, განსაკუთრებით, მამრობითი სქესის ადამიანების მიმართ: რას ნიშნავს, როცა ბიჭი სიყვარულს გიმტკიცებს და თან გეუბნება, უნდა დავშორდეთ, არ მინდა დაგტანჯოო? მე მგონი, რადიაცია ზოგზე განსაკუთრებულად მოქმედებს. :-) ეჰ, სად გაქრნენ პრინცები? ჩემამდე მარტო ცხენები აღწევენ. :-) EWLIPSE.

• ყველაზე ლამაზი დუმილი ყოფილა, დუმილი — არაფრის თქმელი. ყველაზე ლამაზი ოცნება ყოფილა, ოცნება — სათქმელად ძნელი. ყველაზე ადვილი ლოდინი ყოფილა, შეხვედრა — ძალიან ძნელი. ყველაზე ადვილი სიკვდილი ყოფილა, სიცოცხლე — ძალიან ძნელი. ჩემთან მეგობრობა არავის გინდათ? ჰოკერა.

• ბამბუჩ, კარგი გოგო ხარ, ეგრე გააგრძელე, კარგად აზროვნებ, მეც დამიბლოკეს არმისაღები სმს-ბი, მაგრამ რას ვიზამთ? :) ახლებს მივესალმები, მეც ახალი ვარ. მანუ.

• დათ, მაგრები ხართ და მიხარია, რომ მხნედ ხართ. დღეს დავრწმუნდი ამაში. ცოტაც და ეს ყველაფერი ცუდი სიზმარივით იქნება. გული მწყდება, რომ საერთოდ ვერ...

• დათ, გურისაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ მაინც არ შემოუშვებდნენ. თან შემეცოდა, პატარაა მაინც. ყივჩაღმა არ იცოდა დღევანდელი დღის ამბავი, თორემ პირველი...

• დათ, პატარამ დღეს დილით იცი, რა გაიხსენა? მამიკოს რომ ვეფერებოდიო და ვეფხვის ბოკვერივით რომ კრუტუნებდაო. :) ეტყობა, ძაან ენატრები. ყველას ძაან გვენატრები, დათ. იმდენი ხალხი იყო მოსული, უმეტესობა გარეთ დარჩა. ბიჭები, მეგობრები, ნათესავები... სასაცილო თუ სატირალი, რა იყო იცი? ხალხი ერთმანეთს ასწრებდა შემოსვლას.

• გამარჯობა ყველას. თბილი სალამი მარიამულს, რომელიც დაუსწრებლად მიყვარს და ვაფასებ ძალიან. თუ დამიბეჭდავთ, კარგს იზამთ. ჩემი ნიკი იქნება ბარამბო.

• ქუცუნა, როგორ ხარ? მოგვენატრე ძალიან. ახლა გურიაში ვარ, ჩემი საყვარელი ბაბუა დამეღუპა. :( სხვა ახალი და კარგი არაფერია. გკოცნი ბევრს. გამაგრდი, მაგრად გვჭირდები.

• დათ, ყივჩაღმა შენი ფოტო დაიჭირა, ვითომ ტელეფონით ელაპარაკებოდა. გუკის კი შენი კაშნე უკეთია, არ იშორებს. ძაან გვენატრები. აღარ ვიცი, რა ვქნა.

• მარიამულ, როგორ ხარ, ჩემო კეთილო? შენი წყალობით, „გზავნილების“ ხარისხი ბევრად გაუმჯობესდა, ეს ფაქტია. მარ, მეგონა, ჩემი წინა კვირის თემა მოგეწონებოდა, მაგრამ...

• რა მოსაწყენია, ეს ცხოვრება ხანდახააან! სენტიმენტალობა მეპარება, ნელ-ნელა... რუისპირი (YELLOW).

• მარ, როგორ უძლებ ამდენ გადარეულს? ღმერთმა გაძლება მოგცეს, დიდხანს. „გზას“ ვაღმერთებ, ქართველებსაც. მარია.

• და კიდევ, 16 დეკემბერს დაბადების დღეს გილოცავ. :-( გისურვებ... არ ვიცი, რა გისურვო... უბრალოდ, გაიხარე!

• მაგალითად, მარი ჯაფარიძემ უკვე უკვდავჰყო თავისი სახელი მგზავნელთა გულებში. მოსაგონარი რომც არაფერი გვქონდეს, კარგად გასახსენებელი (ღმერთმა ნუ ქნას) მაინც გექნება.

• მარორიტა, მინდა, მწუხარება გამოვთქვა რუისპირის პაპის გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს. ქაჯების დედოფალი.

• მგზავნელებო, ერთი კითხვა მაქვს: ქათმის კვერცხისგან დამზადებულ კერძს, — „ყიყლიყოს“, მამლის ხორხისმიერი, დაუნაწევრებელი ბგერების სახელი რატომ ჰქვია? ქაჯების დედოფალი.

• მოგესალმებით ყველას, უთბილესო, უსაყვარლესო და უკეთილშობილესებო. მომენატრეთ, როგორ ხართ? მოკითხვა ქ-ნ ნანი დუმბაძეს, ლაკვასტის, ჩემს გრუზის, ჯაყისმანელს, ფლამინგოს.

• უპს... სკარლეტ იოჰანსონი გყოლიათ „ზაციებში“ და კემპბელი რა გახდა ვითოომ? :) სუპერსთარის გზავნილები მომენატრასავით, რაღაც, რა. :) ნაომი.

• დორბლიან მისტერსა და მუტანტ რუისპირს ისე აქვთ სალაპარაკო საღერღელი აშლილი, როგორც ჩემს ხბოს — კუჭიიი. :-) ნაომი.

• სიყვარულს ბედნიერი ღიმილი შევწირე, დავდივარ სიყალბედ ქცეული ბედნიერებით და ვუყურებ ჩემს ერთადერთ სიყვარულს როგორ უმშვენებს გვერდს ცოლ-შვილი. მ.გ.

• შემოგევლეთ მგზავნელებო, მე თქვენი ძველი მკითხველი ვარ და თითქმის ყველას გიცნობთ. მოვიკითხავ SCARLET-ს, კოზანოსტრას, ილინს, მიკას. გკოცნით. დევიატკა.

• სამი მხრივ მთები დარაჯად გვერტყა, ეს უხარებდა სიცოცხლეს გულსა, ხან ჩაძინებულს ძილს თუ გვიფრთხობდა, ბრაზ-მორეული დურუჯის სუნთქვა.

• კანონი მკაცრია, მაგრამ თურმე ბევრ წმინდა ადამიანურ შეღავათსაც ითვალისწინებს. თურმე შეიძლება აკეთო სიკეთე და ამისთვის დუბინკები არ დაგჭირდეს.

• მე დავიბადე პატარა ქალაქში და გავახილე ბავშვის თვალები, რადგან მენახა როგორ ჰყვაოდა ჩემი ღამაზი, ტურფა ყვარელი.

• ცინიკოსი არის ადამიანი, რომელიც ხედავს ყვავილებს და მაშინვე იწყებს კუბოს ძებნას. :) კახელო.

• ზღვა... თავისუფლება... დუმილი... იმედი... და მე... კახელო.

• ძვირფასო მამაკაცებო! როცა შეხედავთ თქვენი მეუღლის დაღლილ, დაქანცულ სახეს, გაიხსენეთ, ეს ის გოგოა, რომლის გამოც ღამეები გითენებიათ.

• ჩემი კეთილი ნამოქმედარი მუდამ უბედურების წყარო ხდებოდა ჩემთვის. სხვებივით ბოროტი რომ ვყოფილიყავი, მათსავით ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ — არა! ეს მე ვარ... მზე...

• ყოველი ადამიანი თავისუფალია, მას აქვს უნარი, სამყაროს, მარადიულობას, უსაზღვროებას, კაცობრიობას დაუპირისპირდეს, მარტო თავის მე-ზე და პიროვნებაზე დაყრდნობილი.

• მიხარია, ისევ რომ გიერთდებით და მინდა მიმიღოთ თქვენს გუნდში. მიკა, ჩემო სიცოცხლევ, გახსოვს, დაკეტილ სახლში რომ გაგეჩითე? ჩემი ფოტოგრაფი მომიკითხე. გკოცნის დევიატკა.

• სკარლეტ, ჩემო სიხარულო, შენ გააღვიძე ჩემში მგზავნელების სიყვარული. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებული ვარ, მაინც მოგწერთ, რადგან რომ არსებობთ, კარგია ეს. დევიატკა.

• გამარჯობა, მე ანი ვარ, მინდა გამოვეხმაურო 46-ე ნომერში გამოქვეყნებულ თემას. 73 წლის ბატონ გურამს და 65 წლის ქალბატონ გულნაზის. მე ვარ 27 წლის. ჩემი დედამთილ-მამამთილიც თქვენს ასაკში არიან, მაგრამ არ მივიჩნევ გადახრჩუებულად. ჩვენც დავბერდებით, ჩვენც გავხდებით დედამთილები. მე 18 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი. ძალიან ცუდად მექცეოდა ჩემი დედამთილი. არც დღეს მექცევა გუგულივით, მაგრამ მე მაინც პატივისცემითა და ყურადღებით ვექცევი, რადგან მიყვარს ჩემი მეუღლე. დედამ გამზარდა და მასწავლა უფროსების პატივისცემა. მეც მყავს შვილები და მათი ცოლებიც ისე მომექცევიან, როგორც მე მოვექცევი ჩემი ქმრის მშობლებს. ძალიან მიყვარს ჩემი დედამთილ-მამამთილი. ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს მათი თავი.

• მინდა ვთხოვო ახალგაზრდებს, პატივი ვცეთ ჩვენს დედ-მამას, დედამთილ-მამამთილს. მადლობა, რომ მომეცით საშუალება, ჩემი აზრი გამომეთქვა. ცრემლმორეული ვკითხულობდი მაგათ მონათხრობს. ანი გიგაური, 27 წლის. ზესტაფონი.

• არ შემიძლია, ჩემს ლონდა ბებოზე არ გიამბოთ. გაცნობისთანავე ნოდარ დუმბაძის ოლღა ბებია გაგახსენდება, მასავით სათნო მოხუცია და თანაც — ნაღდი გურულია, აბა. მაგრამ საქმით ბევრ ახალგაზრდას სჯობია. რაღა დაგიმალოთ და სერიალები უყვარს ლონდა ბებიას ნამეტანი. ყოველ საღამოს, ტელევიზორს რომ მიუჯდება, სულ ავიწყდება წნევაც და სახსრების ტკივილიც. — უი, დაგექცათ დაბადება, — იყვირა ერთხელაც გულმოსულმა ლონდა ბებომ, როცა ეკრანზე კარგა ხანს ჩახუტებული წყვილის ალერსს უყურა. — აგენი ბებია, მართლა კოცნიან ერთმანეთს თუ ტუჩებზე „ჟუაჩკა“ აქვთ დაწებილიო? მკითხა. სერიალებისგან განსხვავებით, რეკლამებს დიდად არ სწყალობს ლონიკო. ერთხელ კი ატირებული დამხვდა, ჩემი ტკბილი ბებო. ნუ იტყვი და მეზობელს უთქვამს, მარიო ჩიმარო ავარიაში დაიღუპაო. დიდ კურცხლებს თავსაფრით იმშრალებდა თვალებზე. აი, ასე, ყველას დარდი და გასაჭირი გულთან მიაქვს ბებოს, იქნება ეს ვიქტორიას გაყრა ქმართან თუ ლობას დაკარგული მემკვიდრეობა. ღმერთის წყალობით, კია მხნედ და კარგად. ახლა მალე 82 წლის გახდება. ღმერთო, კიდევ დიდხანს აცოცხლე, ჩვენი ლონდა ბებო.

• მარი, კარგა ხანია, აღარ მომიწერია არაფერი. ახლა დავფიქრდი და ვერაფერი გავიხსენე, ბებიების მოყოლილი. რატომღაც ეს ამბავი ამომიტივტივდა: თურმე ბებოს მამაჩემი და მამიდაჩემი დაუტოვებია შინ მარტო. მამაჩემს თვალებში წიწაკიანი ხელი ამოუსვამს. ჰოდა, ტირის თურმე გამწარებული, მიშველე იაკო, თვალები დამევსოო. მამიდა თვითონაც პატარა იყო. რომ ვერაფერი იღონა, თურმე ადგა და წითელი თავსაფრით აუხვია თვალები, ეს გიშველისო. ბებია სამუშაოდან რომ დაბრუნდა, ასეთი სურათი დახვდა. მე.

• მოგესალმებით, მგზავნელებო. როგორ ხართ? ისევ ჩხუბი, აყალმაყალი, დავიდარაბაა, ვატყობ. მგონი „ზაციაში“ ერთადერთი გოგო ვარ, ვისაც მისტერი და მისი წვეტიანი აზრები არ აღელვებს.

• გული ძგერს, გული ძგერს, დაღლილი,

ამასოდეს შეგეშინდეს იმის გაგიგიეშა, მაგრ ამ ილი. ყიდობანი „მოუკამოლმა“ ავგო, „ღიღანიკ“ — ჯამოფესიონალმა

რაღა ვქნა, რაღა ვქნა, არ ვიცი, გაშლილან მინდვრებად ველებად, აპრილში, ყვავილთა ფერებად, ოცნება მაღლდება, ეცემა, თითქოს და გულის ხმა ნელდება, იმედი სულ ახლოს ჩერდება და არა ბნელდება. გოდებად ჩამესმის აპრილში, წინაპრის საფლავთა ხმა ისმის, აყვავებულან მინდვრები, ის სანატრელი მიწები, შევცქერი, შევნატრი, ვივსები, ემოციებად ვიღვრები და ოცნებებში ვირევი, ჩამესმის იმ გმირთა სიტყვები: დავბრუნდებითო, გპირდებით, გული ძგერს, გული ძგერს დაღლილი, რაღა ვქნა, რაღა ვქნა, არ ვიცი. ლაკვასტი.

• რატომღაც მინდა, რომ „გზის“ ფურცლებზე ბებიაჩემი ნადეყდას სახელი უკვდავვყო. მერე, როგორ უყვარს „გზა“?! ნადია ბებო ყველა იმ ბებიისგან განსხვავდება, ვისაც მე ვიცნობ. ის ყველაზე ანჩხლი, ენაკვიმატი, გონიერი და ნერვიულია. ხანდახან მის ნერვებზე თამაში რომ მომინდება, ვიწყებ: ვინ მიგდია „ვაფშე“, სტალინი? ეგ არაკაცი, სადისტი... ბებოს „სიფათი“ უნდა ნახოთ. დაიწყებს: სტალინი და კომუნისტები რომ იყვნენ, მაშინ იყო ცხოვრება, ხალხს გამოტენილი ჰქონდა მაცივრები, ნაირ-ნაირი საჭმლითო. — რას იტყუები, ერთი? — ეჭვი შემაქვს მის ნათქვამში. კომუნისტების დროს მაცივარი სად იყო? — რაცხა იყო, ხომ ჰქონდათო? — არ დაიბნა, — ახლა 75 წლის ქალი პენსიას ვდარაჯობ, რომ კარაქი ვიყიდოო. ბეხლეწი სააკაშვილი რას მიკეთებს, სტალინზე უკეთესსო? ახლანდელ გოგონებს ხომ მარტო ალო-ალო გინდათო.

• ლაკვასტ, მე უკვე კარგა ხანია, ჩუმად ვარ. პროტესტის გრძნობა მაინც მაქვს, ერთი ენაჭარტალა გოგოს მიმართ. მაგრამ მაგას ველარ გავუყადრებ თავს. შენ კი ძალიან კარგი ხარ, ლაგოდეხის დედოფალო. მარია.

• მე ყველაფერი გავაკეთე ჩემი სიყვარულის გადასარჩენად... მე შენით ვსუნთქავდი და ყოველწამს ვილამაზებდი... ოცნება და ფიქრი ვისწავლე... და ამ ფიქრებით ალიონის შეგებება. მე ყველაფერი გავაკეთე ჩემი სიყვარულის გადასარჩენად... ყველაფერი, რაც ქალის საზღვრებს მიეკუთვნებოდა... მე ყველაფერი გავაკეთე... დრომ კი წარსულს ჩააბარა, დრომ გაწირა ჩემი შეგრძნებები... ახლა აღარაფერია შენზე, აღარც შენი აჩრდილები ჩემს ფანჯრებთან. ახლა შენს მაგივრობას ბეღურები სწევენ... ბეღურები ფრთხიალებენ. მე ყველაფერი გავაკეთე ჩემი სიყვარულის გადასარჩენად. ვუფრთხილდებოდი, ვეფერებოდი, მინდოდა, ნეტარების სული შთამებერა, შენ კი ვერ შეამჩნიე, შენ კი დაიბენი. ეს ყველაფერი სხვისი გეგონა... არადა, რა ახლოს იყავი ამ სამყაროსთან, რა ახლოს და არც შეხებიხარ. მე ყველაფერი გავაკეთე ჩემი სიყვარულის გადასარჩენად... მაგრამ ეს თურმე არ ყოფილა საკმარისი. მე ყველაფერი გავაკეთე ჩემი სიყვარულის გადასარჩენად... ვუფრთხილდებოდი, ვეფერებოდი, მინდოდა, ნეტარების სული შთამებერა, შენ კი ვერ შეამჩნიე, შენ კი დაიბენი... შენ ულამაზესი ფურცელი ხარ, რომელსაც აღარასოდეს გადავშლი. მე ყველაფერი გავაკეთე ჩემი სიყვარულის გადასარჩენად... ყველაფერი... და მაინც მოკვდა... კლეოპატრა.

• რუი, ვიზიარებ შენს მწუხარებას, ძალიან ვწუხვარ, ჩემო კარგო. მიყვარხარ. კლეოპატრა.

• ლაკვასტ, საყვარელო, უღრმესი მადლობა ამდენი სითბოსთვის. ჩემი უნიჭიერესი დაიკო ხარ. ვამაყობ, რომ გიცნობ, დაი. მიყვარხარ. კლეოპატრა.

• გრძნობებს, რომლებიც გაფიქრებენ, წარსულზე გაფიქრებენ, აწმყოზე გაფიქრებენ და მომავალზე გაოცნებებენ. გესმიის, უფალო, ეს უმისობა დამაძლევინე. კლეოპატრა.

• ქ-ნ. ნანი დუმბაძე, თქვენით აღფრთოვანებული ვარ. უფალი გფარავდეთ. კლეოპატრა.

• რასაც გული ატარებს... გული შეიგრძნობს... გულს უყვარს... მაშ სიყვარულს დაგილოცავთ... სიყვარულს... და თუნდაც სევდიანს... კლეოპატრა.

• ფიქრებში ნათენებ ღამეებს დაგილოცავთ და ამ ღამეში გაფანტულ ოცნებებს. წამებს, რომლებიც მასზე მოგონებებს ასახავს. დღეს დაგილოცავთ, რომელიც მისით ლამაზდება და ფერადდება. დღეს, რომელიც მისი სიყვარულით უფრო და უფრო გავსებს. დღეს, როდესაც ყოველწამს მისით სუნთქავ. გრძნობებს დაგილოცავთ. გრძნობებს, რომლებიც გაიძულებენ იცოცხლო.

• ზოგს შეიძლება გაეცინოს და ირონიულად თქვას, ვის არ ჰყვარებიაო და მართლაც, ვის არ ჰყვარებია? მაგრამ არა უშავს, მე როგორღაც გადავიტანე ეს ტკივილი. უფრო სწორად, გულში ჩავმარხე და ყველანაირად ვცდილობ, გარშემო მყოფებმა ვერ შეამჩნიონ, რომ ეს სიყვარული ჩემში არსებობს. მაგრამ ჩემს თავს ხომ ვერ მოვატყუებ? მე ეს ადამიანი ყველაფრის მიუხედავად, დღემდე სიგიჟემდე მიყვარს და რომ ვიცოდე, რაიმე შედეგს გამოიღებს ჩემი მცდელობა... მისთვის რამდენი რამე დავთმე, რამდენ რამეზე ვთქვი უარი, ყველასგან ყოველთვის თავგამოდებით ვიცავდი, ჯერ რადიოთი, მერე კი მეგობრის მეშვეობით შევუთვალე, რომ სიგიჟემდე მიყვარდა, მაგრამ მისგან ირონიის მეტი არაფერი მიმიღია. ჩემს სიყვარულზე ისე თქვა უარი, არც კი დაფიქრებულა, რა დამიჯდა მისთვის ამის გამხელა.

• სანამ რაიმე სისულელის ჩადენას დააპირებთ, კარგად დაფიქრდით, ღირს კი ის ადამიანი ამხელა მსხვერპლად? მე მას ჩემი სიცოცხლე შევწირე, მაგრამ რისთვის?

• რა გაგიკვირდათ, როცა პოლიცემ თქვა, ურჩ ჯარისკაცებს ვსჯიო? აბა, რა გგონიათ, თქვენ? რა არის ჯარი? დისციპლინა! ჯარისკაცს მოეთხოვება მორჩილება უფროსის მიმართ. ალბათ თქვენ, პატარებო, რუისპირ და მისტერ, გარკვეულ მიზეზთა გამო არ გესიამოვნათ პოლიცეს სიტყვები. აი, თქვენ კი, გოგონებო, კაცების საქმეში ნუ ერევით. ბურატინო.

• წვეთი რომ მონატრება იყოს, თავსხმა წვიმას გაჩუქებდი. კოცნა რომ წამი იყოს, სიცოცხლეს გაჩუქებდი. სიყვარული რომ ადამიანი იყოს, ჩემს თავს გაჩუქებდი. კოღოთო.

• ბებია ცხინვალიდან მყავს. უმდიდრესი ოჯახის ნაბოლარა და განებივრებული შვილი. მე ბებოს გაზრდილი ვარ და შესაბამისად, უამრავი რამ აქვს მოყოლილი. საპირფარეშო სახლიდან მოშორებით, კაკლის ხის ქვეშ ჰქონიათ. ჩემს დებს ყოველთვის მშობლები დაჰყვებოდნენ, ფეხსალაგშიო, იხსენებს ბებო. მე კი ყოველთვის მარტო დავდიოდი და კარს ღიას ვტოვებდიო. ამ დროს ჩემ წინ თეთრებში ჩაცმული ქალი ჩნდებოდა და სახლამდე მაცილებდაო. ეს ჩემ გათხოვებამდე გრძელდებოდაო. ჩემს ბებოს მარიამი ჰქვია და ეტყობა, ღვთისმშობელი მფარველობდა. ბე, მიყვარხარ. ნუკა, ახალციხიდან.

• რუისპირი სულ სხვაა. ამ ადამიანის სიხალისე და მოსწრებული ენა, მახვილი გონება კარგ განწყობილებაზე მაყენებს ამხელა ქალს. ჩემთან, სამსახურში ვკითხულობთ ხოლმე და ვხალისობთ მის გზავნილებზე. გაიხარეთ, MISLADY.

• ძალიან მინდა, „გზავნილებს“ ძველი სახე დაუბრუნდეს, განახლდეს მოკლე მესიჯები და აღდგეს მოკლე ჩართვა. დაბრუნდნენ ძველი მგზავნელები და გააახლონ „გზის“ ფურცლები. მარ, კიდევ ერთხელ მოუწოდე მათ, დაბრუნდნენ.

• ვინმეს რომ შეეპასუხო, ჯერ მან უნდა გითხრას რამე. შენი კაი რუიჩო გამომიხტა პირველი. და თუ შევეპასუხე, ცუდია? რაც შეეხება მისტერს, სანამ წყევლა გამოჩნდებოდა, მანამდე ისარკაზმა ჩემთან. ზუსტადაც, რომ არაფერი მითქვამს თავიდან. მაგრამ რა იცით თქვენ? არც არაფერი. ჰოდა, მიწყნარდით. ნაომი.

• სულ მინდოდა და ვოცნებობდი, დიდი და ლამაზი თვალები მქონოდა და აჰა, ამისრულდა ოცნება, უბრალოდ, 2 ნაკლი აქვს. ახლა მხოლოდ ერთი თვალი მაქვს დიდი და მეორე ნაკლი ისაა, რომ ლამაზი კი არა, საშინელებაა. ყველა უბედურება მე რატომ უნდა დამემართოს? კამ-კამა.

• წადი მოუხმე ახალ იმედებს, ახალ იმედებს აწოვე ბანგი, ვის რაღად უნდა ქალის თვალები, ასე ავყია და ასე ავი... შენ შენს სურვილთან ჩაიცვი თალხი და შენს სურვილში ფესვი გაიდგი, დღე არის უტყვი და თანაც ნაზი, ცის სილურჯეში გაქრა რაინდი... მიდი, მოუხმე პაწია ჩიტებს, რომელთა ხმაში ისმის ჩივილი, მე კი მივყვები უხილავ ნოტებს, მიხმობს, მეძახის სული დევნილი... მთვარის სუნთქვაა — ხეთა შრიალში, აფრინდა ფიქრი, ოცნების რაში, მე უშენობით აღარ ვარ მთვრალი, მე უშენობით ვერ გავვერანდი... ლექსად ჩავეშვი ნისლთა მორევში და დავიბადე აწმყოს წყვდიადში, სინათლე იგი სულში ვიხილე, თავიდან ვიშვი და გავმთლიანდი... ქალის თვალები ისევ მაღელვებს, ისევ ქალია ჩემი ტრფიალი, მე სხვის წვიმაში ბევრჯერ დავსველდი, ფაფარში ჩავწვდი მე სხვის ქარტეხილს... შენ მიგატოვა დიადმა განცდამ, ციურ ფრესკების ხილვა არ გერგო, ვრჩები ერთგული, არ ვჩქარობ გაცლას, ოღონდ გაფრთხილდი, ოღონდ არ ევნო... მიდი, მიაწექ! შეები სივრცეს... მიდი, დაწყვიტე ბედის ხლართები და მიეფერე ორგულს თუ ცბიერს, ვგონებ,

ტყუილად არ გაირჯე• ბი!

• მერე რაა, რომ უმალ გიმუხთლებს, უმარტივესად დაგიგებს მახეს, კრძალვით ეახელ და დაუამე, შეუნარჩუნე მოყვასის სახე... მიდი, მიაწექ, შეები სივრცეს! მხდალს გაუმაგრე ფუყე კაცობა, მერე რაა, რომ ვერ გაამართლებს, შენს დაჭრილ მხართან გაიტრუნება... მიდი, მიაწექ! შეები სივრცეს... და გამცემს უთხარ, რომ გესმის მისი, გესმის, რომ იგი მოდრიკეს ძალით, რომ აიძულეს დასმენა სხვისი. მერე რაა, რომ კვლავ დაგაბეზღებს, შეთითხნის ნაცად და ყალბ ბრალდებას, იქნებ ნამუსში ჩავარდეს ოდეს, სინდისის ქენჯნა გაიოლდება... მიდი, მიაწექ... ყველა ღალატი გადამოწმდება და გამართლდება, ყველა ალიბი იქნება სრული, მცნება — შეუნდე — დაფრთიანდება. მიდი, მიაწექ! ამხედრდი სივრცედ, სიმწრის შეგრძნება გაადვილდება... გული წრფელია, წრფელია ისევ... და რიდი მუშტის, აღორძინდება...

• ბევრმა მიუძღვნა წრფელი ლექსი დედას, ღვთისმშობელს... ცოტამ უთენა ღამე მშობელს, სიბერით დაღლილს... ვერც მარტოობის წიაღში შვა ის ღამისთევა და ახლა ისევ ფიქრში იქადის... წრფელი სტრიქონი იტევს ლოცვას, იტევს სინანულს, წარსულს აწმყოსთან კრავს ღვთიურ მადლით...

• მაშ, გაუმარჯოს იმ მომავალს, რომელიც ამაგს მიაგებს მშობელს, სიბერით დაღლილს... გადაუღებლად წვიმს, ალბათ ბუნება იზიარებს ჩემს დარდს და ჩემთან ერთად დასტირის. ჩემს განშორებას. არ მეგონა, თუ შენთან განშორება ასე შემცვლიდა, ასე გამტანჯავდა. ვერ ვხვდებოდი რომ შენ იყავი ჩემი ცხოვრების თანამგზავრი, რომელზეც მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი, ვნატრობდი, ვფიქრობდი. არ მეგონა, თუ ჩვენს შეხვედრას ასეთი დასასრული ექნებოდა! მეგონა, დიდხანს გასტანდა ერთად ყოფნის ბედნიერი წუთები! თურმე ვცდებოდი, ყველაფერი უფრო ადრე დამთავრდა. ახლა უფრო მეტს ვფიქრობ შენზე, ღმერთს ვთხოვ, დამიბრუნოს შენი თავი და ლამაზი თვალები. მაგრამ ვაი, რომ წარსული არასოდეს არ ბრუნდება უკან!

• ვიხსენებ შენთან ყოფნის უღამაზეს წუთებს და ახლა ვხვდები, რომ ბედნიერი ვყოფილვარ შენ გვერდით, ბედნიერი და ამაყი. ჩემმა სიამაყემ დამაკარგვინა შენი თავი! ნეტავ თუ ვიქნებით ოდესმე ერთად. ნეტავ თუ ვიქნები ოდესმე ბედნიერი? იქნებ მაპატიოს ღმერთმა ჩემი მოჩვენებითი გულგრილობა, ზედმეტი სიამაყე და ინებოს ჩვენი ერთად ყოფნა... მე თუ ვტირივარ, ნაღდი ცრემლი მიოსებს თვალებს, მე თუ ვიცინი, პირფერობა სადღაც აგდია, მე თუ ვიყვარებ, არა ვგავარ ბრჭყვიალა ქალებს და რაც ჩემშია, ყველაფერი მუდამ ნაღდია. მე თუ ვმეგობრობ, ერთგულებას ელოდე, უნდა, მე თუ ვღალატობ, იმ ღალატსაც თავის ფასი აქვს, არ ვხურდავდები, არც არასდროს ვაბრუნებ ხურდას და არ ვთამაშობ ცხოვრებასთან ორმაგ პასეანსს. მე თუ ვუჩოქებ, ალალ გრძნობას ვუჩოქებ მარტო, მე თუ ვაღმერთებ, სიყვარულის ღმერთია იგი და მე თუ ვნატრობ, შენგან მოწვდილ ალავერდს ვნატრობ, რადგან უშენოდ არსებობა არაფრად მიღირს.

• იცი, მონატრება მენატრება... ის მონატრება, შენ რომ ენატრები... იცი გაღიმება მენატრება, ის გაღიმება, მხოლოდ შენ რომ გეძღვნებოდა... იცი, სიყვარული მენატრება, ის სიყვარული, შენთვის რომ მომიძღვნია... იცი, ცრემლი მენატრება... მხოლოდ შენ გამო რომ ბრწყინავდა ჩემს თვალზე... იცი, თვალები მენატრება, ის თვალები, შენს დანახვაზე რომ ბრწყინავდა უმალ... იცი, სიცოცხლე მენატრება, ის სიცოცხლე... ის სიცოცხლე, შენთვის რომ არსებობდა... იცი, ის დრო მენატრება, ის დრო მენანება, პირველად რომ შევხვდით ერთმანეთს... შენთან სიახლოვე მენატრება, შენთან საუბარი მენატრება, მაგრამ რა ვქნა, შენი სიყვარული მე არ მეკარება.

• უაზრობაა მთელი ცხოვრება, ძიება რაღაც წმინდა გრძნობების, უაზრობაა მთელი ცხოვრება, როცა სიცოცხლეს ემშვიდობები, გენატრებოდეს ვისაც არასდროს მონატრებიხარ, უაზრობაა გიყვარდეს იგი, ვისაც არასდროს შეუყვარდები, უაზრობაა მთელი ცხოვრება, ძიება გრძნობის და ახალ რამის, უაზრობაა მთელი ცხოვრება, მაშინ, როდესაც არავინ გელის, უაზრობაა შინ დაბრუნება და მონატრება ცარიელ სახლის, უაზრობაა ცხოვრება მაშინ, როდესაც ხვდები რომ სიკვდილის დროა, უაზრობაა დარდი, ლოდინი, ფიცი ოცნება და მონატრება, როცა იცი, რომ ის სხვაზე ფიქრობს, სხვაზე დარდობს და სხვა ენატრება, უაზრობაა სთხოვდე სიყვარულს, ვისაც არ აქვს ამ გრძნობის განცდა, თუკი შენი და მისი გზები, დასაწყისშივე ერთმანეთს ასცდა, უაზრობაა მასზე ფიქრები და ოცნებაში მისი ფერება, თუკი მას შენთვის ერთი ღიმილი და ერთი კოცნაც არ ემეტება, უაზრობაა სხვაზე რომ ფიქრობს და შენ მას ისევ იმედით ელი, როცა მკვდარსაც კი არ გეღირსება ერთი კოცნა და პატარა ცრემლი. და რა აზრი აქვს ამ ყველაფრისთვის სიცოცხლეს შენსას.

• სიკვდილს სურს, რომ სახე დამდაღოს, მითხრას დღეიდან ჩემი იქნები, შენ მაშინ მოხვალ, მაგრამ რაღა დროს, სათქმელი უკვე აღარ ვიქნები, სულით ხორცამდე როცა შემიცნობ, როდესაც შეწყვეტს ფეთქვას ეს გული, შენ მაშინ მოხვალ, მაშინ შეიგრძნობ, რომ ხარ უზომოდ შეყვარებული, ტრფობის მომთმენი აბა, ვინ არის?! მეც დავმარცხდი და უკვე ვეცემი, შენ მაშინ მოხვალ, მოუსვენარი, გვამად როდესაც გადავიქცევი, როცა ჩამდებენ შავ, ბნელ კუბოში, ზედ დამაყრიან ცრემლებს ქალები, შენ მაშინ მოხვალ და მხოლოდ მაშინ, ატირდებიან შენი თვალები, როცა ყოველი ჩაქრება ჩემში, როს ვიგრძნობ გრილი მიწის სიამეს, შენ მაშინ მოხვალ მიხაკით ხელში და ინანებ, რომ დაიგვიანე, მარტოდ დარჩენილს ჩემს სასაფლაოს როცა დაათოვს ცივი ფიფქები, შენ მაშინ მოხვალ... ჰო მაშინ მოხვალ, მე კი ამქვეყნად აღარ ვიქნები...

• ისევ ირევა დღეს ჩემში ფრაზები ლექსებად გადავწერ დასაწვავ მაგ თვალებს, შენ ჩემში რიჟრაჟზე მზესავით დაძვრები, თუ არ გჭირდებოდი, მე რისთვის მაწვალე? ღმერთმა მოგიტევოს, რამდენჯერ გამწირე და შენზე ოცნება ტირილში გავცვალე, ზამთარი აქედან წვიმებით გავწიე, თუ არ გჭირდებოდი, მე რისთვის მაწვალე? ფრაზებმა ეს ლექსი ბოლოსკენ გაქაჩა, უბრალოდ მბეზრდება, მინდები, აბა რა, არც თოკი არ მინდა, არ მინდა დამბაჩა, სარდაფში მიგდია მემგონი ყუმბარა! (იმ ღამეს მთლიანად ქალაქი აფეთქდა).

• სიყვარული ეს ისეთი გრძნობაა, მოფრინდება, მერე გაგიფრინდება, სამუდამოდ სიყვარული ძნელია, რადგან ძნელი თვითონ სიყვარულია, ვერ გაუგებ, რა უნდა და რა — არა, რა სჭირდება, რატომ გაიბუტება, ვერ გაუგებ, იმიტომ რომ ძნელია, სიყვარული შეგეძლოს და გიყვარდეს. ისე მოვა, არ იკითხავს, რა გინდა, როგორ მოვა ღმერთო, ის ხომ დაფრინავს, მოფრინდება, წამში გაგიფრინდება, ამიტომაც მოფრთხილება სჭირდება.

• დაე, ასე იყოს, აღარ ვკამათობდეთ, ნუ დავწყვილდებით, ვიყოთ კენტები, როდესაც თმაში წლები ჩაგათოვს, ერთხელ ხომ მაინც გაგახსენდები, შენ არ გიყვარვარ? რა ვუყოთ მერე, თავს არ მოვიკლავ, არ გავბრიყვდები, წელთა სვლის ბორბალს რა შეაჩერებს, გაივლის დრო და დამავიწყდები. ოთახში მუსიკის ჰანგები ნავარდობს, სიცოცხლის წამებში სიკვდილი თამაშობს. მუსიკის ჰანგები რაღაცას არ ამბობს, მუსიკას უსმინე, ამ ჰანგებს გაფანტულს. დაღამდა, აცივდა, სამოსი არ მათბობს. მუსიკას უსმინე ამ ჰანგებს დამალულს და თუკი სიცოცხლე თან დაგდევს დაკარგულს, მუსიკას უსმინე, ის გეტყვის გაფანტულს. შენ ოღონდ უსმინე. ამის მეტს რაღას გთხოვ?

• სადღაც, უსასრულო ბურუსისკენ მიმაქროლებენ ჩემი ფიქრები, ვცდილობ, გავიქცე, გავიმარჯვო, მაგრამ ვინ მელის? ო, ღმერთო ჩემო, ცხოვრების გზაზე რამდენი სევდა, რამდენი განცდა, უკან თან დამდევს. ვცდილობ გავიქცე, მაგრამ ამით ჩემ თავს რას ვარგებ? ასეთ სიცოცხლეს, ასეთ წამებას ღმერთო, რად მაძლევ? მაგრამ დრო მოვა, გავიმარჯვებ, ჩემსას მივაღწევ და მაშინ ყველა, ყველა ნახავს, ამ ჩემს სიმართლეს.

• როცა სიჩუმე ასე ძნელია, როცა ქარები არხევენ ტირიფს, მე შენ გიამბობ ერთ ტრაგედიას და როგორც ჩვილი, დავიწყებ ტირილს. ტრაგედია კი ასე იწყება, მე მიყვარდება გულჩვილი ბიჭი. მერე ის ბიჭი სხვაგან გაქრება და მოლოდინის იწყება ფიცი. როცა სამყარო ასე უარგყოფს, როცა ქარები არხევენ ტირიფს. მაშინ მოგიხმობ შენ კი ძვირფასო, იმწამს გაჩნდები და მოხვალ ვიცი. როცა სევდა გულს ასე ედება, როცა ქარები ებრძვიან ტირიფს, მთელი ცხოვრება თვალწინ გეშლება და მთელი გულით განიცდი ვიცი. და ის ტირიფი, ნაზი ტირიფი ქარის კლანჭებში იბრძვის და ტირის, და შენ გეძახის, ისევ გეძახის, ისევ შველას გთხოვს, ისევ გესწრაფის. შენ კი არ მიხვალ, არ მიხვალ კარგო და ამითაც კი გულს ატკენ ტირიფს, მაგრამ დრო მოვა, დრო მოვა ვიცი, ისევ ტირიფი გიმღერებს დილით და მაშინ ისევ, ისევ გაიგებ, რომ ვერასოდეს უშველი ტირიფს. მაგრამ ინანებ, ძლიერ ინანებ და ტირიფს თვითონ, თვითონ მიაგნებ.

• თეთრ ჰორიზონტზე დაფრინავენ თეთრი თოლიები. ვიღაც მენატრება, მაგრამ რატომ ვმღერი? ზღვისკენ თვალი გარბის, ზღვაც კი აღელვებით... ჩემთვის გავიძახი, ფიქრის ზღვაში ვკვდები. ბინდი ცას ჩამოსწვდა, თითქოს ისიც მელის და უცებ გაწვიმდა, თითქოს ზეცაც ტირის. ფიქრს კი თან მივყვები, გზაც კი არის გრძელი. ზღვასაც გადავცურავ ღმერთო, შენი რწმენით.

• ჩვენ ვიზრდებოდით... და სადღაც, ვიღაც გიყვარდებოდა, იყავი ჩრდილი, სული იყავი და ჩრდილი შენი მელანდებოდა, ვიზრდებოდით ერთად, მაგრამ მაინც მენატრებოდი, მოჰგავდი წარსულს, რომელთანაც შეხვედრა მსურდა.

• მოგონება კი თამბაქოს სუნს და ჭერში სივრცეს მოჰგავდა ასე... შენ კი, საოცრად მონაფერებ სიყვარულს ეტრფი და გაოგნებას ეძებ თვალებში, ეძებ სიცივეს შემორჩენილს შენით ალყაში. შენი ფასადი თრთის და რატომღაც ტირის ვარდებთან მოქნეული ოცნების მიღმა. გადაღეღილი მკერდის სივრცეს მიაპობს სევდა, სევდა, რომელიც მე და შენ მოგვგავს.

• სიყვარულივით ჩამოვბერდით ცხოვრების ჭერქვეშ, ტრამალზე სული განისვენებს შენ არსის მიღმა. შენ ყველაფერს ხედავ... შენ ქალი ხარ და უკვდავება არაფერია! არაფერია მონატრება ცრემლების გარდა! ჩვენ ვიზრდებოდით და ვუყურებდით; მცირეწლოვანი სიყვარულის ნაშვილებ თრთოლვას! თრთოლვას, რომელიც პლაკატებზე დიოდა ცრემლად და გაცრეცილი ამბავივით მოგგავდა ასე...

• ვიყავი ის, რაც დარჩენილი იყო წვეთისგან და ეს წვეთი კი მხოლოდ შენთვის დიოდა ციდან, მაგრამ მომავლის ფანტელივით გავქრი უეცრად და სეზონივით მოვგავდი ქროლვას... თქვენ ჰგავდით წარსულს, ფეხმძიმეს სულით და გული იყო თვით სასოება, მაგრამ ბგერები თითოდ და თითოდ, როგორც მზის სხივი ათბობდა გულს და... თუ ჩვეულებრივ არის ზღაპარი, ცოტა ტკბილი და ისიც ბავშვური, მაშინ სად არის? მაშინ ბავშვური? შენ ქალი ხარ! და უკვდავება არაფერია! შენ გრძნობა ხარ! და სიყვარულიც არაფერია!

• შეიძლება ვიღაცამ მითხრას, შენი ცხოვრება უაზროაო, მაგრამ არა, დილით გამოღვიძებულს, ნაღვლიანს, შენი ერთი შემოხედვით, შენი მოელვარე თვალებით შეგიძლია ჩემი დარდის გაქარვება, მეც მაშინვე ახლიდან ვიბადები, ცხოვრების წამები სიხალისით მევსება და ვფიქრობ, როდემდე უნდა ვიტანჯო ასე? შეიძლება სიყვარულისთვის პატარაც კი ვარ! მაგრამ დღეებს მაინც ოცნებით ვიწყებ, თითქოს ეს ოცნება სრულდებოდეს, რას არ მივცემდი, შენი სამუდამოდ დავიწყება რომ შემეძლოს, მაგრამ არა, შენ გეკუთვნის ჩემი გული, ჩემს წამწამებს მოწყვეტილი.

• აქ, ამ მიწაზეა მისი სამყოფელი, მისი ცხოვრება... აქ არის მისი დროებითი თავშესაფარი... დროებითი... რამე თუ დროებით გამვლელები ვართ ყველანი დედამიწაზე, დაბადებასა და გაქრობას შორის გამოკიდებულები. მხოლოდ სიარული შეგვიძლია, წასვლა იქით, საითაც გვსურს — შორეული გასეირნება თუ შემთხვევითი წანწალი... მთავარია სიარული. ისიც დადის... გადის გზას ცხოვრებისას და გზას ენისას, დადის რომ ჩასწვდეს წარსულსა და ოდნავ მაინც დაინახოს მომავალი, გაიცნოს შემთხვევითობა და მიიღოს ბედისწერა.

• მე გარდავიცვალე. ეს მოხდა უკაცრიელ ადგილას, პატარა ხის ქოხში. მთებში. აბსოლუტური სიჩუმე. არანაირი ხმა. არავითარი საუბარი. ადამიანებს მობეზრებულმა მჭიდროდ მივხურე კარი და ნესტიან კედელს მივეყრდენი. თავი გამოტენილი ათასი უაზრო აზრით, თვალები მზერაგამოცლილი, სხეული გადაღლილი, უღონო... ტვინი ავტომატურად გენერირებს აზრებს: დროა დაისვენო. დროა დაისვენო. დროა დაისვენო ფიქრისგან, დარდისგან, ადამიანებისგან. გრილმა ნიავმა ჭრიალით გააღო კარი, სულში ჩაიხედა, დიდხანს აფათურა ხელები, მერე რაღაც მოქაჩა და უკანმოუხედავად წაიღო. ღიად დარჩენილ კარში ჩუმად შემოიძურწა სხივი, მომისამძიმრა და გავიდა. ყაყაჩოები გაკვირვებული ინტერესით ათვალიერებდნენ ჩემს უძრავ სხეულს. ეს გუშინ მოხდა... დღეს მე უზომოდ მომინდა თქვენთან, მივხვდი, რომ ძალიან მიყვარხართ. უსაზღვროდ მინდა გეფეროთ, არაფერს მოგთხოვთ სამაგიეროდ. ოღონდ ნება მომეცით გიყუროთ, გესაუბროთ და მიყვარდეთ ისე, როგორც არასოდეს ჰყვარებიხართ არავის. მინდა თქვენთან ვიყო, სადმე ჩემთვის, ჩუმად, კუთხეში, ოღონდ თქვენთან, ხმაურში, ქაოსში, ალიაქოთში. მინდა მოგისმინოთ. გულისყურით მოვისმინო თქვენი სიბრძნე და მერე დიდხანს ვიცინო თქვენზე. რა ბრძანეთ? დაგცინით? მე? უჰჰჰ... დიდი ამბავი... თქვენც იცინეთ, ოღონდ სიყვარულით. ოღონდ სიყვარულით იცინეთ. მე თქვენთან მინდა. თქვენ გგონიათ, გავგიჟდი? იქნებ ასეცაა. რა მოხდა მერე... მთავარია, რომ დღეს სიგიჟემდე მინდა სიცოცხლე. ეს გუშინ იყო. ორიოდე წამით რომ შევისვენე, თორემ დღეს...

• პირველად იყო წყევლა. იმიტომ, რომ წყევლამდე არაფერი იყო. წყეულიმც იყავ, ყველა ცხოველთა და გარეულ არსებათა შორის! უთხრა ღმერთმა ადამს. ღმერთის წყევლა უფრო ფართო და მრავლისშემცველი იყო და მის ციტირებას არ მოვყვები, ისედაც ყველამ იცის მოკლე შინაარსი. წყევლამდე იმიტომ არ იყო არაფერი, რომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო გააზრებული, ადამიანს არ ჰქონდა შეფასებათა სისტემა. თან ის, რასაც არ აქვს წინააღმდეგობა, არ შეიძლება არსებობდეს. არ არსებობს სევდა სიხარულის გარეშე და პირიქით. როგორც შოთა ნიშნიანიძე იტყოდა: ცა მიწის სიხარულია. ზოგიერთი ჩვენთაგანი მთელ დღეებს, თვეებს, წლებს და მთელ ცხოვრებას ანდომებს, რომ იფიქროს იმაზე, თუ რა უნდა ვქნათ წყევლის მოსახსნელად. წინათქმულიდან გამომდინარეობს, რომ რაც უფრო ვითარდება კაცობრიობა და რაც უფრო აქტიურ ფაზაში შედის წყევლა, მით უფრო მეტად აქტიურდება ადამიანში თვითგანადგურების ფუნქცია. კაცობრიობა, როგორც ერთი მთლიანი, ისწრაფვის უმანკოებისკენ. არა და, რა საჭიროა ხარჯო ამდენი დრო იმისთვის, რომ არაფერი არ იყო, არ იარსებო. ჰოდა, კრეატიულის დაწერას აქ არ ვაპირებ. უბრალოდ, მინდა (თუ გამომიქვეყნებენ) საჯაროდ მადლობა მოვუხადო ევას იმ ხის ნაყოფი რომ აგემა ადამს (თან საკეისრო კვეთა უკვე არსებობს და ქალებთან უხერხულად არ გამომივა, მშობიარობა მართლა ძაან არალიბერალურად გამოუვიდა). დღეს რომ მეგობრებს ვნახავ და გამიხარდება (თან ჩაცმულები იქნებიან იმედი მაქვს, ან თუ არ იქნებიან ისიც ხის ნაყოფის ამბავია), მერე ცოტას რომ დავლევ და ისიც გამიხარდება, მერე რაღაც რომ მეწყინება, რომ ის გახარებული არ მომბეზრდეს და მისი ფასი ვიცოდე (რომელიც ასევე ფარდობითი და სიმბოლურია და არაფერი არაა ამაში მნიშვნელოვანი).

## გილოცავ!

• ათენში დროებით მყოფ ჩემს მეგობარს, ნანა ტყეშელაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა გიკურთხოს წყალი და პური, გქონდეს სუფთა და წმინდა სული, არ მიაკარო გონებას შური, მკერდში გიცემდეს კეთილი გული. შენი ცხოვრება იყოს ნათელი, მბრწყინავი, როგორც წმინდა სანთელი, იესოს ლოცვა გზას გიკვალავდეს, უფალი ღმერთის მადლი გფარავდეს.

• ციცო ბიძინაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, უამრავ სიხარულს ვუსურვებ, საყვარელ შვილთან ერთად. სანამ ცოცხალი ვარ, ჩემი იმედი გქონდეს. მიყვარხარ, დედა. ეთო.

• გიორგი ცეცხლაძეს და თამუნა ზარხოზაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სტუდენტობის ბედნიერად გატარებას. უფალმა უმრავლოს საქართველოს ასეთი შვილები.

• გიორგობას ვულოცავ ყველა გიორგის, მათ შორის ჩემს ძამიკოს. ვუსურვებ, სულ ბედნიერი იყოს, თავის ცოლ-შვილთან ერთად. ჩემს დაქალებსაც მივულოცავ, კოლოთოში. ნინი86.

• მარი ჯაფარიძეს, „გზას“, მგზავნელებსა და მთელ საქართველოს ვულოცავ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ამ დღის მადლი გფარავდეთ. მისის ფორტუნა.

• გენადი აკოფაშვილო და ნათია ბერიძე, სიხარულებო, გილოცავთ გაბედნიერებას. ერთ ბალიშზე ტკბილად დაგაბეროთ უფალმა. გაიხარეთ, გამრავლდით. მეგი, ლალი და მზია.

• ძამიკო ლადო, გილოცავ გიორგობას ცოტა დაგვიანებით, მაგრამ არა უშავს. მალე მენახე, შენს საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად, გახარებული. ავთო.

• ლია ოქროპირიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაგასწროს უფალმა. გისურვებთ ჯანმრთელობას და სიხარულს. პატივისცემით, თამუნა და მზია.

• იკუშკები, გილოცავ დაბადების დღეს. მართალია, მოგვიანებით, მაგრამ ალალი გულით. დაესწარი მრავალს, ჯანმრთელად და ბედნიერად, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. ჯ. ხავი.

• ჩემო ლაშა, გილოცავ დაბადების დღეს. უამრავ სიხარულს გისურვებ. მინდა, ბედნიერება თან გდევდეს. თვალებს ვხუჭავ, მინდა, წარმოგიდგინო, როგორი ბიჭი ხარ ახლა. უკვე 1 წელია, არ მესმის შენი სუნთქვა, ჩემო სიხარულო. გაუსაძლის ტკივილს ვგრძნობ და მაინც იმედს არ ვკარგავ. ვიბრძვი შენი მომავლისთვის. მინდა, ძლიერი ვაჟკაცი გაიზარდო. ისწავლე კარგად, რომ ამაყი იყო. წარმატებულ მომავალს გისურვებ. არასოდეს გენახოს დამცირებული, საწყალი და უსასოო საქართველო. გკოცნი. შენი დედა, ქეთევან ჭაბაშვილი, ათენიდან.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ფაქტ-აუდი

## 2011 წლის რეკორდები

**1951 წლის 4 მაისს ლუდსახარშ — „გინესის“ დირექტორი — ჰიუ ბივერი ირლანდიელ მონადირეებს ლუდის ბარში შეხვდა. თანამეინახეები კამათობდნენ, თუ რომელი ფრინველი იყო დედამიწაზე ყველაზე დიდი. ასეთი ინფორმაცია არც ერთ წიგნში არ მოიძებნა და საინტერესო ამბების შეგროვება დაიწყეს. პირველი, 197-გვერდიანი გინესის რეკორდების წიგნი 1955 წლის 27 აგვისტოს გამოვიდა. მომდევნო 2011 წელს გამოვა და მასში რამდენიმე რეკორდსმენი მოხვდება, რომელთა სახელებსაც ახლა შემოგთავაზებთ:**

• მსოფლიოში ყველაზე დიდი — 16,5 სმ-იანი პირი ანგოლელ ფრანცის დომინგო ხოაკიმს აქვს.

• ინგლისელმა პერი ვატკინსმა მსოფლიოში ყველაზე პატარა ავტომობილი დაამზადა. მისი სიმაღლე — 104, სიგრძე — 130 და სიგანე — 66 სმ-ია. მანქანის მაქსიმალური სიჩქარეა 110 კმ/სთ.

• ლას-ვეგასის Mandalay Bay-ს კაზინოში ყველაზე დიდი ყავის ჭიქა დგას. მასში 2 ათასი გალონი (დაახლოებით 7 ათას 600 ლიტრი) სითხე ჩადის. ეს დაახლოებით 32 ათასი საშუალო ზომის ჭიქაა.

• ყველაზე გრძელი კატა 5 წლის სვიტი სიგრძით 48,5 დუიმია (1 დუიმი 2,54 სმ-ს უდრის).

• ამერიკელმა კრის სტივენსონმა მსოფლიოში ყველაზე დიდი გოგრა მოიყვანა. იგი 1,810 გირვანქას იწონის (1 გირვანქა 453,59234 გრამს უდრის).

• 27 წლის ბრიტანელმა მხატვარმა ლაურა ჰადლენდმა გახუხული 9852 პურის ნაჭრისგან დედამთილის — სანდრა უაიტფილდის პორტრეტი „დახატა“. 9,8X12,8 „ტილო“ ქალს 50 წლის იუბილეზე მიუძღვნა. ლაურას ამ საქმეში 40 ადამიანი ეხმარებოდა.

• 2010 წლის 17 ოქტომბერს მზარეულებმა ყველაზე გრძელი ენჩილადა (ტრადიციული მექსიკური კერძი) მოამზადეს. ის 1,5 ტონას იწონიდა.

• ამერიკელი ჯანეტ ესტევესი 1960 წლიდან მიკი მაუსისგამოსახულებიან ნივთებს აგროვებს. მის კოლექციაში 2760 მულტფილმის პერსონაჟია.

• საჰაერო ბუშტების ყველაზე დიდი სკულპტურა ჯონ კესიდიმ დაამზადა.

• მსოფლიოში ყველაზე დიდი ცხვირი (8,8 სმ) თურქ მეჰმედ ოზრეკუს აქვს.

• ცხოველებს შორის ყველაზე გრძელი ენა (11,43 სმ) პეკინესის ჯიშის ძაღლს — პაგის აქვს.

• მსოფლიოში ყველაზე პატარა ძროხის (85 სმ სიგრძის) პატრონი ბრიტანელი ფერმერი მარტინ რაიდერია.

• კალიფორნიელმა მაიკლ მაჩადომ ყველაზე მძიმე ლიმუზინი დაამზადა. Midnight Rider-ის სიგრძე 21,3 სიმაღლე 4,1 მეტრია. მანქანა 22933 კგ-ს იწონის.

• ჩინელი ხიე ქიუპინგი თმას 13 წლის ასაკიდან იზრდის. 2010 წელს მისი დალალების სიგრძემ 5,627 მეტრს მიაღწია.

• რომში (იტალია) გინესის რეკორდების კონკურსზე ყველაზე მძიმე ფეხსაცმლით (ორივე 122,8 კგ-ს იწონიდა) ჩინელი ჟანგ ჟენგუ გამოცხადდა. ■

# პარკინსონით დაავადებული ცნობილი ადამიანები

• მოკრივე — მუჰამედ ალის პარკინსონის ურთულესი ფორმა ჯერ კიდევ 1984 წელს დაუდგინეს.

• სალვადორ დალის დაავადება

76 წლის ასაკში აღმოუჩინეს. ერთი წლის შემდეგ, 1982 წელს მხატვარს მეუღლე გარდაეცვალა, რამაც დაავადების განვითარება კიდევ უფრო დააჩქარა.

• ტრილოგიის — „უკან მომავალში“ ვარსკვლავს — მაიკლ ჯეი ფოქს პარკინსონი 1991 წელს დაუდგინეს. მსახიობი დიდხანს მალავდა დაავადებას, მაგრამ 2000 წელს მაინც მოუხდა კინოკარიერის მიტოვება.

• რომის პაპი — იოანე-პავლე II ამ საშინელი სენისგან იტანჯებოდა. სიცოცხლის ბოლოს პაპს მეტყველების პრობლემა ჰქონდა, რასაც დაავადების მიზეზად ასახელებდნენ.

• სპეციალისტების აზრით, ჰიტლერიც პარკინსონით იყო დაავადებული.

• პარკინსონი გერმანელ პოლიტიკოსს — ერიხ ხონეკერსაც სჭირდა.

• 70-იან წლებში მაო ძედუნს ისე სერიოზულად შეუტია ამ დაავადებამ, რომ პოლიტიკას ჩამოშორდა.

• მუსიკოსი ოზი ოზბორნი დარწმუნებული იყო, რომ ხელები ნარკოტიკების მიღებისგან უკანკალებდა, მაგრამ 2005 წელს ექიმებმა პარკინსონის დაავადება დაუდგინეს.

• ეს დაავადება იასირ არაფატსაც ტანჯავდა.

P.S. პარკინსონის დაავადება („კანკალა პარალიჩი“) — თავის ტვინის ქრონიკული პროგრესირებადი დაავადებაა, რომელიც პირველად 1817 წელს ინგლისელმა ექიმმა პარკინსონმა აღწერა. პარკინსონით დაავადებულებს აღენიშნებათ კიდურების უნებლიე მოძრაობა (ტრემორი), კოორდინაციისა და მეტყველების დარღვევა, გადაადგილების გაძნელება. ეს სიმპტომები ძირითადად 60 წლის შემდეგ ვითარდება, მაგრამ მსგავსი რამ ახალგაზრდებსაც ემართებათ. ■

*რუბრიკა მოამზადა*
*რუსუდან გელაშვილმა*

# კრიმინალური ფაქტები, ქართული სერიალი და რეჟისორის ექსპერიმენტები

## რატომ შეიჭრა სპეცრაზმი მოქალაქის ბინაში

*ლალი ფაცია*

**როგორც ამბობენ, „დეტექტივები“ პირველი ქართული სერიალია, რომელიც რეალურ კრიმინალურ ფაქტებზე დაყრდნობითაა გადაღებული. მის დამდგმელ რეჟისორს, ლაშა ცერიაშვილს სერიალებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს — 2001 წლიდან მოყოლებული, გადაღებული აქვს: „ძილის წინ“, „ასა“, „ჟამი ყვავილობისა“... აგრეთვე იყო არაერთი ტელეშოუსა და კლიპის რეჟისორი. ამბობს, რომ „დეტექტივებზე“ მუშაობა მისთვის გამორჩეულად საინტერესო აღმოჩნდა, რადგანაც ახალი საქმე ექსპერიმენტის მეტ საშუალებას იძლევა... რეჟისორი და შემოქმედებითი ჯგუფი ახლა უკვე მეორე სეზონის სერიების გადასაღებად ემზადება.**

**— ლაშა, ვისი იდეა იყო „დეტექტივების“ გადაღება?**

— დაკვეთა „რუსთავი 2“-ისგან მივიღეთ. ფაქტობრივად, ის იყო, დავამთავრეთ სერიალზე — „ჟამი ყვავილობისა“ მუშაობა, რომ „დეტექტივების“ გადაღება დავიწყეთ. აქამდე საქართველოში დეტექტიური ჟანრის ფილმებზე კი მუშაობდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში იყო მცდელობა, ქართული პოლიციის ახალი სახე გვეჩვენებინა.

**— კონსულტანტებად შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები გყავდათ?**

— კონსულტაციას პოლიციის აკადემიის პედაგოგები გვიწევდნენ.

**— თავად თუ ხართ დეტექტიური ჟანრის ფილმების მაყურებელი?**

— საერთოდ, კინო მიყვარს და ყველაფერს ვუყურებ. დეტექტივიც მიყვარს... ამ ჟანრზე მუშაობისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად შეძლებ შენი ნამუშევრით მაყურებლის დაინტრიგებას, რამდენად ჩაითრევს მას ესა თუ ის ამბავი, მიხვდება თუ არა წინასწარ იმას, ვინ არის დამნაშავე. ამ თვალსაზრისით, „დეტექტივებზე“ მუშაობა ერთგვარი აზარტიც არის.

**— სცენარისტები — თქვენი გუნდის ერთგული წევრები, ძმები — ილია და ალექსანდრე ჯიბლაშვილები არიან. ვინ აწვდის მათ იმ რეალურ ამბებს, რომლებზეც შემდგომ სცენარის აგება ხდება?**

— ვხვდებოდით რეალურ გამომძიებლებს, რომლებსაც წლების განმავლობაში საინტერესო საქმეებზე მუშაობამ მოუწიათ; ისინი გვიყვებოდნენ იმ ამბებს, რომლებზეც შემდგომ ამა თუ იმ სერიის სიუჟეტი აიგო. ერთ-ერთ მათგანს ჩაწერილიც კი ჰქონდა საქმეები (საკუთარი არქივი შეექმნა)...

**— რას გვეტყვით მსახიობებზე — კმაყოფილი ხართ მათი თამაშით?**

— უკმაყოფილო ნამდვილად არა ვარ, მათთან მუშაობა ჩემთვის სასიამოვნოა. ნაწილი პროფესიონალია და მათი ოსტატობის წყალობით, მუშაობა მიადვილდება. ესმით, რასაც ვითხოვ. საერთოდ, მსახიობების შერჩევისას გარკვეულ რისკზეც წავედით.

**— რას გულისხმობთ?**

— სერიალში გამოცდილი მსახიობებიც თამაშობენ და დე-

ბიუტანტებიც არიან...

**— სალომე ფაღავას გულისხმობთ?**

— თუნდაც... ცოტა გვაფრთხობ-

და ის ამბავი, რომ სალომე მსახიობი არ არის, მაგრამ რაღაც თვალსაზრისით, რისკმა გაამართლა: ვიცი, რომ მაყურებელს მისი თამაში მოსწონს. თავისთავად ეს გმირი კი დასახვეწია. იმედია, მეორე სეზონზე ამას შევძლებთ.

**— ერთ-ერთ სერიაში, რომელიც „მანიაკის“ სახელწოდებით გავიდა, სალომეს საკმაოდ დაძაბულ ეპიზოდებში თამაში მოუხდა და ჩემი აზრით, არცთუ ურიგოდ გაართვა თავი. თქვენ რას იტყვით?**

— კი, ასე იყო... ცოტა ხნის წინ ამ სერიის შესახებ ფორუმზე წავაწყდი კომენტარს: მანიაკის ამბავი გამოგონილიაო... არადა, ფაქტია, რომ ფრიდონ პირტახიას — „რუსთაველი მანიაკის“ საქმე საკმაოდ გახმაურებული გახლდათ და აღნიშნული სერიაც მისი ნამოქმედარის მიხედვით გადავიღეთ.

**— სერიალში დეტექტივების პირად ცხოვრებაზე აქცენტი მაინცდამაინც არ კეთდება, რატომ?**

— პრინციპში, შეგნებულად ვთქვით უარი პერსონაჟების პირადი ცხოვრების წინა პლანზე წამოწევაზე, რადგანაც ეს, გარკვეული თვალსაზრისით, ძირითადი სიუჟეტური ხაზის სათანადოდ გაშლასაც უშლის ხელს და ფილმს საყურებლად ცოტა მოსაწყენსაც ხდის: თითოეული ამბავი ბევრი გარემოებისა და ფაქტორის ასახვას მოითხოვს და ამიტომ, დეტექტივების პირადი ცხოვრების ასახვისთვის დროც აღარ რჩება.

**— როგორც რეჟისორისთვის, მთავარი სირთულე ამ სერიალის გადაღების დროს რა აღმოჩნდა, რასთანაც მანამდე თქვენს პრაქტიკაში შეხება არ გქონიათ?**

— ფილმზე მუშაობისას, რეალურ ცხოვრებაში, გავიცანი ადამიანები, რომლებიც ცხოვრებაში ისეთები არიან, როგორებსაც ჩვენი გმირები ასახიერებენ. ჰოდა, ჩემთვის მთავარი სირთულეც სწორედ ეს იყო — რეალისტური საეკრანო სახეების შექმნა. არადა, სერიალის გამოსვლის შემდეგ ბევრჯერ მსმენია, რომ ჩვენი დეტექტივები ქართველი პოლიციელების რეალურ სახეებს არ შეესაბამებიან, არც ასეთი გამართული ქართულით საუბრობენო... ჩვენ შეგნებულად არ ვთქვით უარი ლიტერატურული ქართულით საუბარზე და დიალოგები ძალიან საყოფაცხოვრებო არ გავხადეთ. ამასთან, ჩემი, როგორც მოქალაქის სურვილია, რომ ადრე თუ გვიან, პოლიციელი სწორედ ასეთი იყოს და ასე მეტყველებდეს...




**— ისე, ბოლო დროს გადაღებული ქართული ფილმების უმეტესობა ჟარგონული სიტყვების სიუხვით გამოირჩევა; ეს თითქოს წესად დამკვიდრდა...**

— ერთ-ერთ სერიაში გვაქვს ამბავი ნარკომანებსა და ნარკობიზნესზე, სადაც დამნაშავეები — წამლის რეალიზატორები, კრიმინალები ერთმანეთს სწორედ ჟარგონით ელაპარაკებიან. თუ ასეთ შემთხვევაში ჟარგონი გაერევა, ეს ჩემთვის მისაღები და გასაგებია. მაგრამ თუ უცენზურო სიტყვების გამოყენება მხატვრული ამოცანის გადასაჭრელად არ არის აუცილებელი, ამის წინააღმდეგი ვარ...

**— გადაღებები, პავილიონის გარდა, ხშირად ჩვეულებრივ ბინაშიც გაქვთ. ადვილად ითანხმებთ ადამიანებს, გარკვეული დროით საკუთარი საცხოვრებელი დაგითმონ და გადასაღებ მოედნად აქციონ?**

— თავიდან ბევრმა არც იცის, რასთან აქვს საქმე, როდესაც საკუთარ ბინას გარკვეული დროით გვითმობს და იქ გადამღები ჯგუფის შეშვებაზე იოლად თანხმდება. მინდა, მადლიერებით მოვიხსენიო ერთი ოჯახი, რომელმაც 2 დღე გმირულად გაგვიძლო. მათთან თავიდან რომ შევედით, მოლაპარაკებული ვიყავით, რომ იქ 8 საათი უნდა გვემუშავა, მაგრამ ხელის შემშლელი უამრავი ფაქტორის გამო, იქ ყოფნა გაგვიგრძელდა, რამაც დიასახლისი ძალიან გააღიზიანა: „ვაიმე, ჩემი მასტიკა!.. ძალიან ფრთხილად!“ — მოგვიწოდებდა. იატაკს ვინ ჩიოდა — მისი გაღიზიანება მაშინ უნდა გენახათ, როდესაც ღამის 2 საათზე იქ ნიღბიანების რეალური სპეცრაზმი შეიჭრა. გახსოვთ ალბათ, მეოთხე სერიაში ზურა ინგოროყვას გმირმა სახლში თავი რომ მოიკლა. სცენარის მიხედვით, სპეცრაზმის დახმარება დაგვჭირდა... ერთი ასეთი ამბავიც მოხდა: ვიღებდით ეპიზოდს მტკვარზე — მაშველებს მტკვრიდან გვამები ამოჰქონდათ, იქვე იყვნენ — მყვინთავები, პოლიციელები. იმ დროს, როდესაც „მატორ!“ დავიძახე, მარცხენა სანაპიროდან, თვითმკვლელობის მიზნით, მტკვარში მოქალაქე არ გადაეშვა?!. მაშველები მის გადასარჩენად მაშინვე გაქანდნენ. მოკ-

ლედ, კინო და სინამდვილე გადაიკვეთა...

**— გადაღების პროცესში მკაცრი ხართ?**

— არა მგონია, ჯგუფის რომელიმე წევრს ჩემი ეშინოდეს. თუმცა მომთხოვნი ვარ. იყო პერიოდი, როცა უფროსი კოლეგები მომიწოდებდნენ, რომ მკაცრი ვყოფილიყავი... ისე კი ჩემ მიმართ ოპერატორები, ტექნიკური ჯგუფის წევრები მადლიერებას გამოხატავდნენ, — რა კარგია, რომ დედას არ იგინები, ადამიანურად გველაპარაკებიო (*იღიმება*)... რატომღაც, ასეთი სტერეოტიპია დამკვიდრებული — რომ რეჟისორი მუშაობის პროცესში მკაცრი და უხეში უნდა იყოს... ისე, ჩვენი საქმიანობა ემოციების გარეშე არ არსებობს და არის შემთხვევები, როცა მეც ვჩხუბობ, ვყვირი, შეიძლება, შემთხვევით რაღაც მივლეწო კიდეც, მაგრამ უმეტესად ვცდილობ, არავის ვაწყენინო. თუ ვინმე არ მომწონს, მასთან არ ვმუშაობ...

**— ოდესმე ხომ არ გქონიათ სურვილი, სამართალდამცველი ყოფილიყავით?**

— რეჟისორობის გარდა არასდროს მიფიქრია სხვა პროფესიაზე, თუმცა იყო სხვადასხვა შემოთავაზება — ზოგი ეკონომისტობას მირჩევდა, ზოგი — იურისტობას... მე კი ყოველთვის მინდოდა, მქონოდა ის პროფესია, რომელიც ახლა მაქვს. სხვათა შორის, ოჯახის წევრებს ჩემი მუსიკოსობა უნდოდათ, რადგანაც ჩემები „დინასტიურად“, ამ პროფესიის წარმომადგენლები არიან.

**— როგორც ვიცი, მამათქვენი სიონის ტაძარში გალობდა, არა?**

— ის პროფესიონალი მუსიკოსია. ახლა აღარ მღერის, ვოკალის პედაგოგი გახლავთ. ქორმაისტერია, დიდი ხნის მანძილზე სახელმწიფო კაპელის დირიჟორი იყო და საკმაოდ სოლიდური გამოცდილება აქვს. სიონის ტაძარშიც გალობდა. დედაჩემიც მუსიკოსია. ბებიაც, დედის დედა ვოკალისტი გახლდათ. ბებიის დედა კი მარიას თეატრის (პეტერბურგი) წამყვანი მომღერალი იყო. ბავშვობაში მშობლებს, კინოს ნაცვლად, ოპერაში დავყავდი. დავდიოდი კონსერვატორიაშიც... როგორც კი ასაკმა მომიწია, ნიჭიერთა მუსიკალურ ათწლედში ჩამაბარებინეს. მოკლედ, მუსიკას ძლივს, მაგრამ მაინც დავაღწიე თავი... ჩემი პროფესია სიამოვნებას მანიჭებს... ისე, დედა სულ იმას მეუბნებოდა, — თუ გინდა, მეეზოვე გახდი, მთავარია, შენი საქმე გიყვარდესო...

**— სულ სამსახურში ხართ, რამდენად გიდგათ გვერდით თქვენი ოჯახი? ადვილად ეგუებიან თქვენს ასეთ რეჟიმს?**

— უკვე დიდი ხანია, ჩემი ცოლი — ია სამადალაშვილი ჩემთან ერთად მუშაობს. ორივეს ძალიან გვენატრება ბავშვები და მათაც ვენატრებით. დედაჩემი გვეხმარება — ბავშვები მასთან არიან. ყოფილა შემთხვევა, როცა ჩვენთვის ბინაში დენი ჩაუჭრიათ, რადგან საქმეში გართულებს, მე და ჩემს ცოლს გადასახადის გადახდა დაგვავიწყებია...

**— რამდენი შვილი გყავთ?**

— სამი — ორი გოგონა და ერთი ვაჟი.

**— რა ფუნქცია აქვს თქვენს მეუღლეს თქვენს გუნდში?**

— ჩემი ასისტენტია. მისი უშუალო ფუნქცია — სამონტაჟო ფურცლების შედგენაა ანუ გადაღებული მასალის გაშიფვრა და სამონტაჟომდე „გაწმენდილი“ სახით მიტანა.

**— შემდეგი სეზონისთვის მუშაობას როდის დაიწყებთ?**

— ახალი სეზონი აპრილის დასაწყისისთვისაა დაგეგმილი. გადაღებებს 10 დეკემბრიდან ვგეგმავთ. გვინდა, რომ ახალ წლამდე ერთი ამბის გადაღება მოვასწროთ, რადგანაც მერე, მოგეხსენებათ, „მკვდარი სეზონი“ იწყება — საახალწლო ბახუსი ადამიანებს ადუნებს და გადაღებაზე მსახიობების მიყვანა გაგვიჭირდება... ■

# მოპარული წიგნი, ჰამლეტთან მეგობრობის სურვილი და ცხოვრების ნაწილად ქცეული სერიალი

**„— ბატონო ზურაბ, ჟურნალ „გზიდან“ გაწუხებთ.
— მოგესალმებით და მშვიდობიან გზას გისურვებთ“... — ასე დაიწყო ჩემი საუბარი მსახიობ ზურაბ ცინცქილაძესთან. ის „ერუდიტში“ სტუმრობაზე სიამოვნებით დამთანხმდა. შეხვედრისას კი მითხრა, რომ არ უყვარს დეტექტიური ჟანრის ლიტერატურა, სამაგიეროდ, დოკუმენტური და ისტორიული ჟანრის წიგნები განსაკუთრებით იზიდავს. ბოლო დროს პაულო კოელიოს შემოქმედებითა და ბიოგრაფიითაც დაინტერესდა და წუხს, რომ ამ ავტორს ორიგინალში ვერ კითხულობს.**

თამუნა კვინიკაძე



## პრეამბულის მაგივრ

**ზურა ცინცქილაძე:**

— წიგნების კითხვა ადრეულ ასაკში დავიწყე, ბავშვობიდანვე წიგნის მაღაზიების ხშირი სტუმარი ვიყავი, მაშინ ზოგიერთი გამოცემის ყიდვა ხურდა ფულითაც კი შეიძლებოდა.

**— წიგნი თუ მოგიპარავთ?**

— (*იცინის*) ბავშვობაში არა, მაგრამ მოგვიანებით, ერთ-ერთი ახლობლის ოჯახიდან, 1945 წელს გამოცემული წიგნი მოვიპარე. დამაინტერესა, მოგზაურობაზე იყო... ეს რა წამომაცდენინეთ (*იცინის*).

**— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდით?**

— ჰამლეტთან. კარგად „ვიცნობ“ და მასთან მეგობრობას ნამდვილად შევძლებდი. თავად დამიმეგობრდებოდა თუ არა, ვერ გეტყვით...

**— ამ პერსონაჟმა რით დაგაინტერესათ?**

— მისი პიროვნული ტკივილითა და სიხარულით...

**— კარგი მეხსიერება გაქვთ?**

— ნიკოლოზ ბარათაშვილი ამბობს: — „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“. საბედნიეროდ, ჩემს სულს ბევრი რამ ატყვია და მეხსიერებასაც ბევრი რამ ახსოვს...

**— სერიალში — „გოგონა გარეუბნიდან“ ერთ-ერთი მთავარი როლი გაქვთ. რამდენად მოგწონთ თქვენი თავი ამ როლში?**

— ეს სერიალი ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა...

**— თქვენს პერსონაჟს ბევრი დადებითი თვისება აქვს...**

— ამიტომაც არის, რომ მასზე მუშაობა ძალზე კომფორტულია. ჩემი პერსონაჟი სამართლიანია, რითაც ძალიან მგავს. მე როლს კი არ ვთამაშობ, უბრალოდ მისი ცხოვრებით ვცხოვრობ...

**— ეს ქართველი მწერალი 1705 წელს სოფელ გორისუბანში დაიბადა. ჭაბუკობა საგურამოში გაატარა. 1727-1728 წლებში ლეკებმა შეიპყრეს და დაღესტანში გადაიყვანეს. იგი ტყვეობიდან გაიქცა და ასტრახანის გავლით მოსკოვში ჩააღწია. 1787 წელს საკუთარი ხელით დაწერილი ნაწარმოები ერეკლეს ძეს — მირიან ბატონიშვილს გამოატანა. იგი დაკრძალულია უკრაინაში. დაასახელეთ ეს მწერალი.**

— დავით გურამიშვილი. შეუძლებელია, ქართველმა კაცმა დავით გურამიშვილის შემოქმედება არ იცოდეს...

**— ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, რა ერქვა ყმაწვილს, რომელმაც უნებლიეთ საყვარელი ირემი მოკლა და დარდისგან ხედ იქცა?**

— ბერძნული მითოლოგია ბავშვობიდანვე მაინტერესებდა, მაგრამ როგორც ჩანს, იმ „ყმაწვილის“ ამბავი არ ვიცი...

**— მიგანიშნებთ, იგი კუნძულ კეოსზე ცხოვრობდა.**

— ჯობს, თავად მითხრათ.

**— კვიპაროსი. „ჩიხურის პირად, მაღლობზე დგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე — ციხის, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არ ჰგავს!.. აი, ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში კი 1841 მიწერია“, — წერს ერთ-ერთი მწერალი საკუთარ თავგადასავალში. დაასახელეთ იგი.**

— აკაკი წერეთელი. ცოტა ხნის წინ რეჟისორმა ზვიად მიქელაძემ აკაკის როლში გადამიღო. სხვიტორში ვიყავით. ეს ფილმი ერთ-ერთი ტელევიზიით უკვე გავიდა. სხვათა შორის, ფილმში აკაკის ძალიან ვგავარ...

**— რა რიტუალი სრულდებოდა საქართველოში ნეფე-პატარძლის ავი თვალისგან დასაცავად?**

— არ ვიცი.

**— მათ გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ ატარებდნენ.**

— ჩემს ქორწილშიც ჩავატარეთ ასეთი რიტუალი (*იცინის*), მაგრამ იმაზე არც დავფიქრებულვარ, თუ რატომ შესრულდა ის.

**— ფრენსის ბეკონი ამბობდა: „ფული კარგი მსახურია, მაგრამ — ცუდი ბატონი“. რის გამო დაითხოვეს იგი სახელმწიფო სამსახურიდან?**

— ქრთამი აიღო, არა?

**— დიახ. ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ რამდენი სამეფო ჩამოყალიბდა საქართველოში?**

— 3 — ქართლის, კახეთისა და იმერეთის.

**— ჭოროხი, მტკვარი, ენგური, თერგი — ამ მდინარეებიდან რომელი მიედინება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე?**

— ენგური.

**— ინდოეთის ოკეანეში რომელია ყველაზე დიდი ზღვა?**

— ინდოეთის ზღვა.

**— ცდებით, ყველაზე დიდი არაბეთის ზღვაა. ვინ იყვნენ ქრისტესთვის სახარების ავტორები — მათე, ლუკა, იოანე და მარკოზი?**

— მოწაფეები იყვნენ.

**— მუსლიმანთა რომელი სალოცავია იმ კლდეზე აგებული, საიდანაც გადმოცემით, მუჰამედი სამოთხეში ავიდა?**

— სად არის ეს სალოცავი?

**— იერუსალიმში და ყველაზე ლამაზ ნაგებობად მიიჩნევა.**

— ომარის მეჩეთი. ომარი მუჰამედის მოწაფე იყო.

**— სად გამოვიდა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი — „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“?**

— იტალიაში, რომში.

**— ევროპის ჯუჯა სახელმწიფოთაგან რომელი მდებარეობს საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე?**

— ანდორა.

**— რა ეწოდება საგანგებოდ მოწყობილ საცავს, სადაც ბოთლებში ჩამოსხმული სხვადასხვა მარკის ღვინის კოლექცია ინახება?**

— ყვარელში ხომ არ არის?

**— დიახ, თან არაერთი.**

— ვერ ვიხსენებ. რა ჰქვია?

**— ენოთეკა.**

— არ ვიცოდი.

**— არსებობს თუ არა ისეთი ციფრი, რომლის დასახელება იმდენივე ასოს შეიცავს, რამდენსაც ეს რიცხვი გამოხატავს?**

— ალბათ არსებობს.

**— უნდა დამისახელოთ.**

— (*ფიქრობს*) ოთხი. გამოვიცანი?

**— დიახ. რომელმა მეფემ მოახერხა მონღოლთა თითქმის 100-წლიანი ბატონობის შემდეგ მათი საქართველოდან განდევნა?**

— გიორგი ბრწყინვალემ.

**— რა ჰქვია ძვირფასი ქვების წონის ერთეულს?**

— უნცია.

**— სწორი პასუხია — კარატი. რა ჰქვია ხელოვნებაში მიმდინარეობას, რომელიც უარყოფს საგნების რეალურად გამოსახვას?**

— არ ვიცი.

**— აბსტრაქციონიზმი. რა ერქვა მეფეს „სიბრძნესიცრუისაში“?**

— ფინეზი.

**— ამის მიზეზი შეიძლება გახდეს — დღესასწაულები, შეხვედრები, ახალმოსახლეობა, სიცივე, უგუნებობა, ნადირობა... შესაძლოა, ეს საქმე ისე გააკეთო, ამისთვის მიზეზი სულაც არ არსებობდეს. რაზეა ლაპარაკი?**

— რაღაც საინტერესო თემას მივადექით. კითხვა გამიმეორე. (*გამეორების შემდეგ*) აი, სად „გავიჭედე?!“

**— ალკოჰოლის დალევა...**

— (*იცინის*) რა მარტივი კითხვა ყოფილა...

**— თქვენთვის ალკოჰოლის მიღების მიზეზი ჩამოთვლილთაგან ყველაზე ხშირად რომელი შეიძლება, რომ გახდეს?**

— უმეტესად დღესასწაული...

**— ახლა შოთა ნიშნიანიძის ერთ პატარა ლექსს წაგიკითხავთ და უნდა დაასრულოთ: „მატარებლები და პოეტები,/ ეს შედარება რით გავამართლო?/ ყველა თავისი შემოქმედებით,/ არის სახალხო, ზოგიც...**

— „...ზოგიც საბარგო“ (*იცინის*).

**— რა ერქვა ავაზაკს, რომელიც იესო ქრისტეს დასჯის სანაცვლოდ გაათავისუფლეს?**

— ბარაბა.

**— „კაცური კაცის სიცოცხლე ის არის, რომ უნდა იწვოდე კვარივით, სანთელივით, კოცონივით, მზესავით — როგორ ხვედრსაც არგუნებს განგება. ისე იმაზეც უნდა იფიქრო, შენ რომ ჩაქრები, წყვდიადმა არ დაისადგუროს ირგვლივ, ან შენ რომ ხარ, მაგ ერთ ფიორა ადგილზე მაინც, სანამდე ანთიხარ, ისე უნდა ენთო, შვილო, რომ სხვაც აანთოს შენმა სიცოცხლემ და აღარ შეიქმნება სიბნელე შენი წასვლის შემდეგ“, — რომელ ნაწარმოებში ვხვდებით ამ სიტყვებს?**

— ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“.

**— რა ფიზიკური ნაკლი ჰქონდა თემურ-ლენგს გარდა იმისა, რომ მარჯვენა ფეხით კოჭლობდა?**

— ცალთვალა იყო.

**— და ასევე ვერ შლიდა მარცხენა ხელს. ოკეანეებში არსებული ღრმულებიდან ყველაზე ღრმა მარიანის ღრმული (10863 მ), რომელ ოკეანეშია?**

— წყნარ ოკეანეში.

**— ალჟირი, კაირო, ნაირობი, ჯაკარტა — ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის აფრიკის კონტინენტზე?**

— ჯაკარტა.

**— ილია ჭავჭავაძის აზრით: „ლანძღვა ის არის, რომ იტყვი და არას...**

— და არას იქმნ.

**— ...და არას დაამტკიცებ. ვინ იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი?**

— (*ფიქრობს*) მინიშნებას ვერ მეტყვი?

**— მან პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 1827 წელს დაამთავრა. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს და გააციმბირეს. მალე იგი ჭლექით გარდაიცვალა.**

— სოლომონ დოდაშვილზე ამბობთ?

**— დიახ. ამერიკის რომელ შტატში მდებარეობს პენტაგონი?**

— არ ვიცი.

**— ვირჯინიის. „ცა როცა მემღვრევა შავ ზღვასავით/ და როცა მეწყება განსაცდელი,/ როდესაც შენს გარდა აღარსაით,/ არასგზით აღარ მაქვს გასაქცევი,/ ტკივილი ცოტა ხნით დამიამე,/ შენს ჭერად მიიღე ჩემი ჭერი,/ ძარღვებში სისხლივით დამიარე,/ თვალებში შუქივით შეიჭერი“... ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— ვერ დაგისახელებთ.

**— ოთარ ჭილაძე. ბარბრა სტრეიზანდი ამბობდა: „განსაკუთრებული თავისებურება ამაში ის არის, რომ შემქმნელები ხშირად ცდებიან, თუმცა, გამოიძებნება მილიონობით ადამიანი, რომლებიც ამ შეცდომებში ფულს იხდიან“. რაზეა ლაპარაკი?**

— არ ვიცი.

**— მოდაზე. დაბოლოს დაასრულეთ ციცერონის ცნობილი გამონათქვამი: „ცოდნის მიღება საკმარისი არაა, ცოდნის...**

— „...გამოყენებაც უნდა იცოდე“. როგორც მივხვდი, ჩვენი ინტერვიუ დასრულდა.

**— დიახ.**

— საინტერესო რუბრიკის ავტორი ხართ, მსგავსი თემატიკის მასალები, პერიოდულ გამოცემებს ძალიან აკლია. ამ შემთხვევაში „გზა“ გამონაკლისია... კითხვები მომეწონა.

■

# ანეკდოტები

* * *

ტელეფონის ზარია:

— ალო, გისმენთ!

— გაუმარჯოს! როგორ ხარ?!

— გმადლობთ, კარგად.

— უკაცრავად, ეტყობა, სხვაგან მოვხვდი.

* * *

ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში კაცი წევს მთლიანად შებინტული. გვერდით მწოლიარე პაციენტი ეკითხება, რა დაგემართათაო.

— ექსკავატორის მძღოლი ვარ. სახლში 31 დეკემბერს, საღამოს მივედი და ვხედავ, სახლის წინ საკანალიზაციო ჭა თავმოხდილია. ალბათ ხუფი ვიღაც უსინდისომ ჯართში ჩასაბარებლად მოიპარა და ამ საახალწლოდ არავინ დაზიანდეს-მეთქი, გავიფიქრე. ავდექი და ჩემი ექსკავატორის კოვში ზედ დავადე. ახალ წელს მაგრად დავთვერი. სამუშაოდ წასვლა მხოლოდ 4 რიცხვში დავაპირე. დავქოქე ჩემი ექსკავატორი, ავწიე კოვში და ჭიდან ორი მუტრუკი „კლუჩებით“ ხელში ამოხტა... მეტი არაფერი მახსოვს...

* * *

— დედიკო, იყიდე რა, ძაღლი!

— არა!

— იყიდე, რა!.. იყიდე, რა!..

— თავი დამანებე! ვინმე სხვას მიჰყიდე!..

* * *

სპორტული კომენტატორი:

— ჩვენი სპორტსმენები შავი ტრუსებით და თეთრი მაისურებით ასპარეზობენ... დანარჩენ მოთხილამურეებს შედარებით უფრო თბილად აცვიათ.

* * *

— ჩემი ცოლი ფეხმძიმედაა!

— ვისზე გაქვს ეჭვი?!

* * *

განცხადება: „სამგზის ქვრივი მამაკაცი ეძებს ცხოვრების თანამგზავრს. საყვარელი საქმიანობა — სოკოს კრეფა და მომზადება“.

* * *

ქალი ურეკავს სვან დაქალს:

— ალო, შენს ბიძაშვილთან საქმე მაქვს, ნომერი აღარ მახსოვს და SMS-ით გამომიგზავნე, რა!

— კარგი.

ცოტა ხანში მისდის SMS-ი: „რვა ცხრა სამი ოთხმოცდათექვსმეტი სამოცდაჩვიდმეტი ორმოცდათვრამეტი“.

* * *

ორი კახელი შეხვდა ერთმანეთს.

— როგორ ხარ, მიხო?

— ცუდად, მაგის დედა ვატირე! კოროზიამ მანქანა შემიჭამა!

— ვაა, არ შეგვჭამეს ამ მეგრელებმა!

* * *

კაცი მიდის სახლში მშიერი. კარს უცხო მამაკაცი უღებს.

— შენ ვინ ხარ?

— ქმარი.

— რა გინდა?

— მშია.

— გუშინდელ ლობიოს შეჭამ?

— კი.

— მაშინ ხვალ მოდი.

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

### „პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა ერქვა ალუდა ქეთელაურის ცოლს?
2. დაასრულეთ სოკრატეს სიტყვები: „მზე ყველა ადამიანშია, ...“
3. როგორ ადამიანს ეძახიან დაცინვით წვერცამეტას?
4. რომელი ქვეყნის მეფე იყო ჰოკონ მოხუცებული?
5. რა არის „ქრთილი“?
6. ვინ „ამტკიცებს“, ძალა გართობაშიაო?
7. სადაური მწერალია კონდრატ კრაპივა?
8. სადაური კომპოზიტორია ბედრიხ სმეტანა?
9. სადაური პოეტია გრიგოლ სკოვოროდა?
10. ერთხელ ჟან გაბენმა ფულით სავსე კონვერტი მიიღო დანტისტისაგან, რომელთანაც რამდენიმე დღით ადრე კბილი ამოიღო. რა თანხა გაუგზავნა დანტისტმა მსახიობს?
11. კონფუციუსი ცუდ მმართველად მიიჩნევდა იმას, ვინც ხალხს სძულდა, ცოტათი უკეთესად იმას — ვინც ხალხს უყვარდა. ვის ასახელებდა კონფუციუსი საუკეთესო მმართველად?
12. იაპონიაში თავის დროზე გამოუშვეს აუდიოკასეტა, რომელზე ჩაწერილი მუსიკის შექმნისას კომპოზიტორი ვატანაბე ომური რამდენჯერმე ჩამოვარდა სკამიდან. ვისთვის იყო განკუთვნილი ეს კასეტა?
13. XX საუკუნის დასაწყისში, დამოუკიდებლობის წლებში ჩვენს ქვეყანას დიპლომატიური ვიზიტით ეწვია ფრანგი დიპლომატი, რომლის გვარიც ქართველებში მხიარულ ასოციაციას იწვევდა. გაიხსენეთ, რა გვარი იყო ეს დიპლომატი და დაასრულეთ იმდროინდელი თბილისური ხუმრობა: „ჟორდანიას კაბინეტში უეჭველად შევა ...“
14. ერთხელ ერთმა თაყვანისმცემელმა პაგანინის ჰკითხა: „რა გავაკეთო იმისათვის, რომ თქვენი მუსიკა მუდამ ჩემთან იყოს?“. რა უპასუხა პაგანინიმ?

* * *

— ეს როგორ მოგივიდა, მოშე, კაცს ათი ათასი ასესხე და ის კი შენს ცოლთან ერთად გაიპარა.

— მე ისეთი სულელი არა ვარ, ვინმეს ტყუილუბრალოდ ფული ვასესხო.

* * *

სვანს ეკითხებიან:

— რამდენი ფული გინდა, რომ გქონდეს?

— იმდენი... იმდენი... იმდენი, რომ სპილო ვიყიდო.

— სპილო რა ჯანდაბად გინდა?

— სპილო სულაც არ მინდა... ფული მინდა იმდენი.

* * *

— თქვენ მაღალი წნევა გაქვთ, — ეუბნება ექიმი პაციენტს.

— თევზაობის ბრალია!

— არა მგონია, ეგ პირიქით აწყნარებს ადამიანს.

— ჰო, მაგრამ, მე აკრძალულ ადგილებში ვთევზაობ.

* * *

— მამაჩემმა ავსტრალიიდან იშვიათი ჯიშის თუთიყუში ჩამომიყვანა. ათასი დოლარი ღირს.

— ლამაზია?

— ძალიან!

— ლაპარაკობს?

— აბა, რა!

— გემრიელია?

— შენ ნაღდად ვერა ხარ?!. ათასდოლარიანი თუთიყუში უგემური იქნება, აბა?!

* * *

სვანი შეხვდება ძმაკაცს აეროპორტში.

— რას შვრები? — ეკითხება სვანი.

— ჩემმა შვილმა უმაღლესში ჩააბარა და ახლა მოსკოვში მიმყავს საგრიალოდ და სექსუალური გამოცდილების მისაღებად! — თვალი ჩაუკრა ძმაკაცმა.

— ბიჭი გყავს თუ გოგო?

* * *

სიმპათიური გოგონა თანაკურსელ ვაჟს ეუბნება:

— მე კი გეტყვი, როგორ ჩავაბარე გამოცდა, მაგრამ ეს შენ არაფერში გამოგადგება.

* * *

ჯარისკაცი პოსტზე დგას. უცებ აკრძალულ ზონაში ვიღაცას მოჰკრა თვალი.

— სდექ! პაროლი მითხარი თორემ გესვრი!

— წადი, შენი!.. — ისმის პასუხად.

— ვაა, — უკვირს ჯარისკაცს, — უკვე ორი წელი ხდება, რაც აქ ვმსახურობ და პაროლი არა და არ იცვლება.

* * *

— დღეს ცუდი დღეა, დოლარი რომ დოლარია, იმის კურსიც კი დავარდა, — თავს იმართლებდა ბიზნესმენი მდივანი ქალის წინაშე.

* * *

— ძალიან მომწონს აი ის მორბენალი, ყელზე წითელი შარფი რომ აქვს შემოხვეული.

— ეგ შარფი კი არა, ენაა.

* * *

სვანის ცოლმა იმშობიარა.

— შენს ცოლს ძუძუ თუ აქვს? — ეკითხება ახალ მოსული ექთანი.

— კი, ორი ცალი!

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ლელა.
2. ოღონდ აცალეთ, რომ ანათოს“.
3. მეჩხერი, თხელი წვერის მქონეს.
4. ნორვეგიის.
5. შემოდგომის ქერი.
6. კოტე ყუბანეიშვილი.
7. ბელორუსი.
8. ჩეხი.
9. უკრაინელი.
10. ეს იყო გაბენის „წილი“ მისი კბილის გაყიდვით მიღებული თანხიდან.
11. მას, ვისაც ხალხი ვერ ამჩნევდა.
12. მათთვის, ვისაც უძილობა აწუხებდა.
13. დიპლომატი გვარად კუე გახლდათ („ჟორდანიას კაბინეტში უეჭველად შევა კუე“).
14. „გვარნერის ვიოლინოდ იქეცით“.

## ჩვენი ფოტო გაღვრეა



# ჰოროსკოპი

## 2-8 დეკემბერი

### ვირაქი

გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ხშირად დაისვენეთ. კარგი პერიოდია ახალი ნაცნობობისა და რომანტიკული პაემნებისთვის.

### ჯუჩიი

ახალი მეგობრები შესაძლოა, ინტერნეტის საშუალებითაც შეიძინოთ. უქმეები შემოქმედებით საქმიანობას დაუთმეთ.

### ტყუპი

კარდინალური ცვლილების შეტანას არ გირჩევთ, იმიჯი ეტაპობრივად შეიცვალეთ. განაახლეთ ძველი, სასიყვარულო ურთიერთობები. მეგობრები მოწყენის საშუალებას არ მოგცემენ.

### ქიჩიგხიბი

უფროს მეგობრებთან ფილოსოფიური საუბრების შემდეგ შესაძლოა, ბევრი რამის გადაფასებამ მოგიწიოთ. ცხოვრება სიახლითა და ცვლილებებით გაიხალისეთ.

### ლიონი

ავანტიურა და თავგადასავლები გაგიტაცებთ. თუ არ გსურთ, საფრთხე შეექმნას თქვენს საქმიანობასა და სასიყვარულო ურთიერთობას, დაუფიქრებლად ნუ იმოქმედებთ.

### ქალწული

ნუ დაელოდებით სხვათა დახმარებას, საკუთარი გეგმების განსახორციელებლად თავად იმოქმედეთ. ახალგაცნობილთან ფლირტი შესაძლოა, სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდოს.

### სასწორი

კოლეგები სასიამოვნო სიურპრიზებით გაგანებივრებენ. ახალი ტექნიკის ყიდვა სასურველი არ არის. ურთიერთობის გასამყარებლად, უქმეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

### ღორიანელი

კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. შესაძლოა, საკუთარ თავში ახალი ნიჭიც კი აღმოაჩინოთ.

### ჯუვიანდელი

სასიამოვნო სიახლეებით დატვირთული კვირა გელით. რომანტიკული შეხვედრები განწყობილებას აგიმაღლებთ. უქმეებში შესაძლოა, სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობამ მოგიწიოთ.

### თხიმ რქა

კვირის განმავლობაში აქტიურად იქნებით ჩაბმული ახლობლების პრობლემების მოგვარებაში. შესაძლოა, ახალ მეზობლებთან დამეგობრდეთ.

### ბრაწყუდი

ფინანსურ საკითხებს თქვენს სასარგებლოდ მოაგვარებთ. ფორტუნა თქვენ მხარესაა, რაც საშუალებას მოგცემთ, ახალი იდეები და გეგმები განახორციელოთ.

### თევზები

ახლობლებს გონიერებით გააოცებთ. შესაძლოა, შემოქმედებითი ნიჭიც გამოავლინოთ. ამ კვირაში პლასტიკური ოპერაციების გაკეთებას არ გირჩევთ.

# სიყვარულის ფორმულა

**ფსიქოლოგების აზრით, ადამიანის ბედს მისი დაბადების დღე განსაზღვრავს. დაადგინეთ — თქვენი შეყვარებული რომელ დღეს დაიბადა და მოძებნეთ პასუხი:**

## თქვენ დაიბადეთ

**ორშაბათს:** თქვენი შეყვარებული — ორშაბათს: ერთნაირი გემოვნება გაქვთ; სამშაბათს: ცხოვრებას ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულში გაატარებთ; ოთხშაბათს: თქვენი რჩეული მძიმე ხასიათის ადამიანია; ხუთშაბათს: მის ბრძანებებს თუ დამორჩილდებით, ერთად დიდხანს იქნებით; პარასკევს: ერთმანეთისთვის ხართ გაჩენილი; შაბათს: ურთიერთობისას ინიციატივა საკუთარ თავზე აიღეთ; კვირას: მასზე მზრუნველობა მოგიწევთ.

**სამშაბათს:** შეყვარებული — ორშაბათს: შეცდომების გამოსწორებაში დაეხმარეთ და ხშირად შეაქეთ; სამშაბათს: იდეალური წყვილი ხართ; ოთხშაბათს: მისი ჭირვეულობა სიცოცხლეს გაგიმწარებთ; ხუთშაბათს: კარგი მომავალი გელით; პარასკევს: ერთმანეთის მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ და თქვენი რომანი მთელ ცხოვრებას გასტანს; შაბათს: არ შეეფერებით ერთმანეთს; კვირას: თქვენი რჩეული მხიარულების და დროს ტარების მოყვარულია.

**ოთხშაბათს:** შეყვარებული — ორშაბათს: ერთმანეთთან არაფერი გაკავშირებთ, წვრილმანებზეც კი კამათობთ; სამშაბათს: ხანდახან მისი აზრიც გაითვალისწინეთ; ოთხშაბათს: თუ ერთმანეთს არ დაუთმობთ, ერთად ყოფნა გაგიჭირდებათ; ხუთშაბათს: მიუხედავად იმისა, რომ უერთმანეთოდ ვერ ძლებთ, ერთად როცა ხართ, სულ კამათობთ; პარასკევს: თქვენს სიყვარულს საფრთხე არ ემუქრება; შაბათს: ცოტა ხანში ერთმანეთი აღარ დაგაინტერესებთ; კვირას: გაუფრთხილდით სიყვარულს.

**ხუთშაბათს:** შეყვარებული — ორშაბათს: ერთმანეთის ინტერესებს გაგებით მოეკიდეთ; სამშაბათს: უსაფუძვლო ეჭვიანობა ურთიერთობას დაგინგრევთ; ოთხშაბათს: თუ რჩეული ლიდერის პოზიციას დაგითმობთ, ბედნიერები იქნებით; ხუთშაბათს: გაუფრთხილდით ერთმანეთს; პარასკევს: ცხოვრება სავსე იქნება სიურპრიზებით; შაბათს: ერთად არაერთ ბედნიერ დღეს გაატარებთ; კვირას: ერთად ცხოვრება გაგიჭირდებათ.

**პარასკევს:** შეყვარებული — ორშაბათს: ერთმანეთის მიმართ პატივისცემას მთელი ცხოვრება შეინარჩუნებთ; სამშაბათს: თქვენს რჩეულს მზრუნველი ქალი სჭირდება; ოთხშაბათს: თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება გელით; ხუთშაბათს: ეცადეთ, მეუღლეზე მატერიალურად დამოკიდებული არ იყოთ; პარასკევს: თქვენს რჩეულს ხშირად გაურბის თვალი სხვა ქალებისკენ; შაბათს: ერთმანეთს ტკბილად შეაბერდებით; კვირას: კონფლიქტების მოგვარებაში ნათესავები არ ჩარიოთ.

**შაბათს:** შეყვარებული — ორშაბათს: ბედნიერი წყვილი ხართ; სამშაბათს: ჭირსა და ლხინში ერთმანეთის გვერდით უნდა დადგეთ; ოთხშაბათს: ცხოვრებამ ნამდვილი სიყვარულით დაგაჯილდოვათ; ხუთშაბათს: ისწავლეთ ერთმანეთის მოსმენა; პარასკევს: ხშირად მოგიწევთ მეუღლის გაკონტროლება; შაბათს: პრეტენზიებით ერთმანეთს თავი არ მოაბეზროთ; კვირას: იდეალურ ურთიერთობას ბოლომდე შეინარჩუნებთ.

**კვირას:** შეყვარებული — ორშაბათს: ერთმანეთის უსიტყვოდ გესმით; სამშაბათს: მეუღლის მოთხოვნები უსიტყვოდ უნდა შეასრულოთ; ოთხშაბათს: საყვარელი ადამიანი ცხოვრებას დღესასწაულად გიქცევთ; ხუთშაბათს: მეუღლეს ეჭვიანობის საბაბი არ მისცეთ; პარასკევს: თქვენზე ბედნიერი წყვილი იშვიათად მოიძებნება; შაბათს: ნუ ეცდებით ერთმანეთის გადაკეთებას; კვირას: იდეალური წყვილი ხართ. ■

1. სტალინის ნამდვილი გვარი
2. კუზიანი კურდღელი
3. სითხის პატარა მრგვალი ნაწილაკი
4. უბანი თბილისში
5. მწერი
6. კურო
7. ზლაპრული ცხენი
8. სევანის კალმახი
9. მარტის ძვ. ქართული სახელწოდება
10. ქვეყანა აფრიკაში
11. გეომეტრიული ფიგურა
12. გრძელი ნაწნავი
13. ქალაქი საქართველოში
14. კედლის სანათი
15. ბურთის ფორმის საგანი
16. კვიპროსის დედაქალაქი
17. თმის საღებავი
18. სასიმინდე
19. ერთგვარი ყველი
20. ძვირფასი ქვა
21. მატყუარა
22. ლატვიის დედაქალაქი
23. წამლის ფორმა
24. ლაშქარი
25. გრამატიკული კავშირი
26. პარიზის კოშკი
27. სოფოკლეს ტრაგედია
28. მძორის მჭამელი ფრინველი
29. ჰოლანდიელი ფილოსოფოსი
30. ჟურნალისტის საერთაშორისო ფედერაცია
31. ფორტეპიანოს წინამორბედი
32. მღვდლის ცოლი
33. ცეცხლგამძლე კარადა
34. მზაკვარი, მუზანათი
35. სვეტის ფორმის ქანდაკება
36. ქართული პროვინცია ირანში
37. მზის ღმერთი ეგვ. მით.
38. აზრი, ჩანაფიქრი

**ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ**

1. მარტოხელა; 2. პონი; 3. ხისტი; 4. ალეგორია; 5. საგა; 6. ორდენი; 7. დრო; 8. ეტი; 9. სელი; 10. გოშია; 11. კაბალიერო; 12. კუ; 13. ბრეშა; 14. გორი; 15. ომანი; 16. გუბე; 17. აბეზარი; 18. დუბაი; 19. ბრაილ; 20. მილორავა; 21. გერმანია; 22. მაისი; 23. პაბი; 24. სამიტი; 25. პირამიდა; 26. ხარაგაული; 27. ეგერი; 28. გლეხი; 29. მერხი; 30. სალბუნი; 31. დარი; 32. ჩაროზი; 33. ბოგოტა; 34. ომი; 35. ბაო; 36. მარაო; 37. სუფიქსი; 38. ლაქია; 39. იო; 40. სიმინდი.

**სურათებზე:** 1. მონიკა ბელუჩი; 2. ვენსან კასელი.

# სპეციალური კროსვორდი



**შევსების წესი:** **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

**გ**. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; **ზ**. დიდი მტაცებელი თევზი; **ა**. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი მსოფლიოში; **გ**. ქალაქი შოტლანდიაში; **ზ**. მუსიკალური საკრავი, რომლის სახელსაც იმ კაცს მიაძახებენ ხოლმე, რომელიც ხმამაღლა ყვირის; **ი*.** ცალკე პირის ან დაწესებულების რომელიმე წლისთავი და ამ წლისთავთან დაკავშირებული ზეიმი; **ს*.** არხი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წითელსა და ხმელთაშუა ზღვებს; **თ*.** მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც იაკობ ბემეს თქმით, ხელში მახვილი რომ არ ეჭიროს, სასწორს თავზე გადაამტვრევდნენ; **ვ*.** ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება; **ი*.** ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომელიც მამის, დედალოსის მიერ გაკეთებული ფრთებით გაფრინდა კრეტის ლაბირინთიდან. ფრენისას ძალზე მიუახლოვდა მზეს, რის გამოც ცვილი, რომლითაც ფრთები ჰქონდა მიმაგრებული, გალღვა და ზღვაში ჩავარდა; **ს*.** რომაელი ფილოსოფოსი, ნერონის მასწავლებელი; **ა*.** ტროპიკული ხილი; **ო*.** საერთო ხარჯით გამართული ნადიმი, ლხინი (იციან რაჭაში); **ვ*.** ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ პერსონაჟი ქალი; **კ*.** ტომ კრუზის ყოფილი მეუღლის გვარი; **ი*.** დონ კიხოტის წოდება; **თ*.** რა ერქვა დათა თუთაშხიას მეგობარს, რომელსაც ხლისტებმა ჩხუბში თვალი გამოსთხარეს; **ხ*.** მცენარე, რომელსაც ანდაზის თანახმად ყალსწაღებული ეჭიდებოდა; **ვ*.** იტალიელი ფეხბურთელი; **ე*.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ლ*.** რა მდინარე ჩამოედინება ცხინვალსა და გორში; **ი*.** მგალობელი ფრინველი; **ს*.** საქართველოს მთიანი კუთხე; **თ*.** მეტსახელი; **ვ*.** მამაკაცის პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი; **ი*.** ათენი — თეზევსი, რომი — რომულუსი, თბილისი — ვახტანგი, მოსკოვი — ?; **ს*.** რაიმე დამსახურების აღსანიშნავად გაცემული საბუთი; **ა*.** სამცხის მმართველთა ტიტული; **ო*.** გუთნისდედის სიმღერა.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**ჟ**. ჟუსაკი; **უ*.** უინძორი; **რ*.** რვეული; **ნ*.** ნიუ; **ა*.** აკლდამა; **ლ*.** ლიე; **ი*.** იუბილე; **გ*.** გეა; **ზ*.** ზესნახე; **ა*.** ანჯამა; **ს*.** სიო; **ა*.** ალბიონი; **უ*.** უისლერი; **კ*.** კასკადი; **ე*.** ერნესტო; **თ*.** თხემი; **ე*.** ერუდიტი; **ს*.** სალიერი; **ო*.** ონისე; **ა*.** აქსიომა; **რ*.** რაჭა; **ჩ*.** ჩივაძე; **ე*.** ებრაელი; **ვ*.** ვიერი; **ა*.** არტალა; **ნ*.** ნიაგარა; **ი*.** იოსები; **ა*.** აბორტი.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**

**სნეულება სჯობს სნეულის ჭვრეტასო**

## იაპონური სენსაცია სუდოკუ

**„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 6 | 9 | 5 | 4 | 8 | 1 | 3 |
| 9 | 8 | 3 | 1 | 6 | 2 | 7 | 4 | 5 |
| 4 | 5 | 1 | 8 | 7 | 3 | 9 | 2 | 6 |
| 3 | 9 | 7 | 5 | 4 | 6 | 2 | 8 | 1 |
| 6 | 1 | 8 | 2 | 3 | 9 | 4 | 5 | 7 |
| 5 | 4 | 2 | 7 | 8 | 1 | 3 | 6 | 9 |
| 1 | 6 | 9 | 4 | 2 | 7 | 5 | 3 | 8 |
| 8 | 3 | 4 | 6 | 9 | 5 | 1 | 7 | 2 |
| 2 | 7 | 5 | 3 | 1 | 8 | 6 | 9 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 5 | 8 | 2 | 6 | 4 | 3 | 9 |
| 6 | 4 | 9 | 3 | 5 | 7 | 1 | 2 | 8 |
| 2 | 3 | 8 | 9 | 4 | 1 | 6 | 7 | 5 |
| 4 | 2 | 7 | 6 | 9 | 5 | 8 | 1 | 3 |
| 3 | 5 | 1 | 2 | 8 | 4 | 7 | 9 | 6 |
| 9 | 8 | 6 | 1 | 7 | 3 | 2 | 5 | 4 |
| 5 | 1 | 4 | 7 | 3 | 8 | 9 | 6 | 2 |
| 7 | 9 | 3 | 4 | 6 | 2 | 5 | 8 | 1 |
| 8 | 6 | 2 | 5 | 1 | 9 | 3 | 4 | 7 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | 2 | 4 | 3 | 8 | 1 | 9 | 6 |
| 1 | 6 | 8 | 9 | 2 | 5 | 4 | 3 | 7 |
| 4 | 9 | 3 | 6 | 7 | 1 | 2 | 8 | 5 |
| 7 | 5 | 6 | 8 | 1 | 9 | 3 | 2 | 4 |
| 9 | 3 | 4 | 5 | 6 | 2 | 7 | 1 | 8 |
| 2 | 8 | 1 | 3 | 4 | 7 | 5 | 6 | 9 |
| 8 | 2 | 5 | 7 | 9 | 3 | 6 | 4 | 1 |
| 3 | 4 | 7 | 1 | 8 | 6 | 9 | 5 | 2 |
| 6 | 1 | 9 | 2 | 5 | 4 | 8 | 7 | 3 |

* **მარტივი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | | 5 | | | 7 |
| | 7 | | 6 | | 9 | 3 | 5 | |
| 2 | 9 | | | 1 | | | 4 | |
| 3 | | 1 | | | 8 | 5 | | |
| 4 | | | 7 | | 1 | | | 6 |
| | | 9 | | | 2 | 4 | | 1 |
| | 4 | | | 5 | | | 1 | 3 |
| | 3 | 7 | 1 | | 4 | | 6 | |
| 5 | | | 9 | | | | 2 | |

** **საშუალო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 4 | | | 8 | 9 | 7 | 6 | |
| | | 2 | | | 4 | 8 | | |
| 6 | | | | | 1 | 3 | | |
| 8 | 1 | | 5 | | | | | 7 |
| | | 9 | | | 2 | 4 | | |
| 2 | | | 3 | 9 | | | 8 | 5 |
| | | 1 | 9 | | | | | 8 |
| | | 6 | 4 | | | 2 | | |
| | 3 | 7 | 1 | 2 | | | 9 | 4 |

*** **რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | | | 1 | | 3 | 7 |
| 2 | 1 | | 8 | | 7 | 4 | | |
| | 7 | | | | 9 | | 1 | |
| 5 | | 2 | 9 | | | | | 6 |
| | | 8 | | 3 | 5 | 7 | | |
| 9 | | | | 8 | | 2 | | 3 |
| | 9 | | 7 | | | | 2 | |
| | | 6 | 4 | | 2 | | 7 | 1 |
| 7 | 2 | | 5 | | | | | 8 |

# „ბომონდის“ დეკემბრის ნომერი

## ჯაგრეულ გონაშვილი დისკთან ერთად

შეაგროვე კოლექცია

CD №5 საჩუქრად!

ჩვენი ხმების საგანძური

CD №1 ჯგუფი „შინ“
CD №2 ჯგუფი „ქართული ხმები“
CD №3 ჯგუფი „ცისფერი ტრიო“
CD №4 მამუკა ჩარკვიანი

პროექტის სპონსორია

შეგიძლიათ შეიძინოთ „ბიბლუსის“ წიგნის მაღაზიათა ქსელში.

გეპატიჟებათ ყველაზე მხიარული
სადღესასწაულო ცენტრი

„ენჯი-ბენჯი"

გადაიხადე დაბადების დღე ჩვენთან
და მოაწყვეთ დაუვიწყარი ზეიმი თქვენ
საყვარელ გმირებთან და მეგობრებთან ერთად.

აგრეთვე დისკოთეკა და კარაოკე
თინეიჯერებისათვის

მის: მტკვრის მარცხენა სანაპირო
ტელ:.47 95 67
მობ: 893 90 77 33, 899 10 43 44

**როდენი** – წონაში დასაკლები
უნიკალური საშუალება!
მისი დროული მიღება თავიდან
აგაცილებთ წონაში მატებასაც

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი ჰრიდექტი
- ხელს უშლის ნახშირწყლების სხიმებში გადასვლას
- ხელს უწყობს სხიმების ბოლომდე დანვას
- აკვეთებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- ნორმამდე დაჰყავს სიმსუქნის ჰორმონი ლეპტინი და ქოლესტერინი
- ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და შლაკები
- ანესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას

მოგვაკითხეთ ვისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ „ნეოფარმის" და
„ჯი პი სის" საფთიაქო ქსელს,
როგორც თბილისში, ასევე
ქუთაისსა და გათუმში.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
99 00 14; 895308405;
893 668318; 897 117867;
e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების
შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს


„პალიტრა მედია" წარმოგიდგენთ ისტორიულ-შემეცნებით ჟურნალს

ძველ

# „ისტორიები"

მთავარი რედაქტორი: ჯაბა სვამუშია

მომავალი ისტორიიდან იწყება

# ფოტოკოლიაჟები
















# ტერაფლუ® ლარი

## ავადმყოფობის დრო არ არის!

**ტერაფლუს ეფექტურობა პირის ღრუს და ყელის ინფექციების დროს**

**ახალი**

**ძლიერი ორმაგი ფორმულა – მაქსიმალური ეფექტი**

- სწრაფად ხსნის ყელის ტკივილს
- აქვს ანტიმიკრობული მოქმედება

**გამოყენება:**

**ტერაფლუ ლარი საწუწნი ტაბლეტი:**

**4 წლიდან:** 1 ტაბ. 2-3 სთ-ში არა უმეტეს 6 ტაბ. დღეში

**მოზრდილები:** 1 ტაბ. 2-3 სთ-ში არა უმეტეს 10 ტაბ. დღეში

**ტერაფლუ ლარი სპრეი:**

**4 წლიდან:** 2-3 შესხურება 3-6-ჯერ დღეში

**მოზრდილებში:** 4 შესხურება 3-6-ჯერ დღეში

**შემადგენლობა:** ბენზოქსონიუმ ქლორიდი, ლიდოკაინი

NOVARTIS

**ნოვარტისი, შვეიცარია**

გ. ტაბიძის ქ. №18;

ტელ.: 98 27 30; 98 27 50

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს